

თ. ცინცაძე, თ. საღარეიშვილი, ნ. შანშიაშვილი

ვარმაცხველული საქმიანობის

ორგანიზაცია

„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თ. ცინცაძე, თ. საღარეიშვილი, ნ. შანშიაშვილი

უარმაცხველი საქმიანობის
ორგანიზაცია



დამტკიცებულია სტუ-ს
სარედაქციო-საგამომცემლო
საბჭოს მიერ

თბილისი
2009

წარმოდგენილია სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ფარმა-ცეპტული საქმიანობის ორგანიზაციის სალექციო და პრაქტიკული სამუშაოების საკითხები. ახლავს სახელმძღვანელოში გამოყენებული ტერმინების განმარტებების ლექსიკონი, რომელშიც გადმოცემულია ფარმაცევტული საქმიანობის სამართებლივი წარმართვისათვის აუცილებელი მოთხოვნები.

განკუთვნილია ფარმაცევტული სპეციალობის მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის.

რეცენზებები ფ.მ.დ. გ. ცაგარეიშვილი

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2009

ISBN 978-9941-14-501-8

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>



ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

სააკტორო უფლებების დარღვევა ისკება კანონით.

ს ა რ ჩ ი გ ი

შინაგანი დოკუმენტის თავმცირებელი საქართველოს მთავრობის მიერ მოწოდების შესახებ	1
თავი I. ზარმაცხველი საქმიანობის ობიექტების საქართველოში	7
1.1. სამკურნალო საშუალებების შექმნა და ფარმაკოლოგიური კვლევა	9
1.2. სამკურნალო საშუალებების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა	11
1.3. სამკურნალო საშუალებების სახელმწიფო რეგისტრაციის წესი და პირობები	12
1.4. სამკურნალო საშუალებების წარმოება	16
1.5. სამკურნალო საშუალებების გაცემა, გადამუშავება და განადგურება	18
1.6. არარეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა	18
1.7. წამლის გვერდითი მოქმედების მონიტორინგი	19
თავი II. ნებართვას დაშვებულებარებული ზარმაცხველი საქმიანობის სახეები. ნებართვის მიღების ფასები და პირობები	20
2.1. ნებართვის მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით გაცემის წესი	21
2.2. ნებართვის გაცემის ზოგადი წესი	22
2.3. სანებართვო პირობები ნებართვით გათვალისწინებული ფარმაცევტული საქმიანობის განსახორციელებლად	23
2.3.1. ფარმაკოლოგიურ საშუალებათა კლინიკური კვლევა	24
2.3.2. სამკურნალო საშუალებათა წარმოება	24
2.3.3. სააფთიაქო დაწესებულებები	25
2.3.4. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების ექსპორტ-იმპორტი	27
2.4. ნებართვის ამოქმედება	28
2.5. კონტროლი სანებართვო პირობების შესრულებაზე	28
თავი III. პიგიენური მოთხოვნები აფთიაქის მოწყობისა და მშენებლის მიერ მოწოდების შესახებ	29
3.1. პიგიენური მოთხოვნები აფთიაქის შენობისა და აღჭურვილობისადმი	29
3.2. პიგიენური მოთხოვნები ასეპტიკური ბლოკის სათავსებისა და აღჭურვილობისადმი	32
3.3. პიგიენური მოთხოვნები შენობის, აღჭურვილობისა და ინვენტარის სანიტარულ მოვლა-პატრონობაზე	36
3.4. სანიტარულ-პიგიენური მოთხოვნები აფთიაქის პერსონალის მიმართ	39
3.5. პიგიენური მოთხოვნები გაწმენდილი და საინექციო წყლის მიღების, ტრანსპორტირებისა და შენახვისადმი	40
3.6. სანიტარული მოთხოვნები ასეპტიკურ პირობებში წამლის მომზადებისადმი	42
3.7. სანიტარული მოთხოვნები არასტერილური სამკურნალო საშუალებების ფორმების მომზადებისადმი	46
3.8. აფთიაქებში მიკრობიოლოგიურ კონტროლს დაქვემდებარებული ობიექტები	47
თავი IV. წამლის უსაფრთხო გამოყენება და პაციენტის უსაფრთხოების მასში მაღალური გაუმჯობესება ზარმაცხველი პრაქტიკის განვითარების გზით	48
4.1. პაციენტის უსაფრთხოება	49
4.2. უსაფრთხო წამალი	52
4.3. წამლის უსაფრთხო გამოყენება	54

4.4. ინფორმაცია პაციენტებისათვის	58
4.5. კომუნიკაცია ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტებს შორის	59
4.6. განათლება და ტრენინგი	59
4.7. საზოგადოებრივი ფარმაცევტების წვლილი პაციენტის უსაფრთხოებაში	60
თავი V. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეპურსორების ლებალური ბრუნვა, ნარკოლოგიური დახმარება	63
5.1. სამართლებრივი საფუძვლები	63
5.2. პრეპარატების კონტროლის რეჟიმი	78
5.3. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეპურსორების ლეგალური ბრუნვის და მათი უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო მართვის ორგანიზაციული საფუძვლები	79
5.4. ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების გამოყენების სფერო	83
5.5. ნარკოლოგიური დახმარება	84
5.6. ფარმაცევტულ, სამედიცინო, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით, საექსპერტო დიაგნოსტიკურ დაწესებულებაში და საკონტროლო- ანალიზურ ლაბორატორიაში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეპურსორების ლეგალური ბრუნვის წესები	86
5.6.1. ფარმაცევტულ საბითუმო ბაზაში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეპურსორების შეძენის, შენახვის აღრიცხვის, გაცემის და რეალიზაციის წესი	86
5.6.2. აფთიაქში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეპურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, მომზადების, გაცემის და რეალიზაციის წესი	89
5.6.3. ფარმაცევტულ საწარმოში ფსიქოტროპული ნივთიერებების წარმოების, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეპურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, გამოყენებისა და გაცემის წესი	93
5.6.4. სტაციონარში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეპურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, მომზადების და გამოყენების წესი	98
5.6.5. სტაციონარის აფთიაქში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეპურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, მომზადების და აფთიაქიდან გაცემის წესი ..	100
5.6.6. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შენახვის, მიღების, აღრიცხვისა და გაცემის წესი იმ სტაციონარებში, რომლებსაც არ გააჩნიათ აფთიაქი	102
5.6.7. სასწარაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (სგსდ) სამსახურში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეპურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, მომზადებისა და გამოყენების წესი	103
5.6.8. სგსდ სამსახურის აფთიაქში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენის, შენახვის, აღრიცხვისა და გაცემის წესი	105
5.6.9. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენის,	

შენახვის, აღრიცხვისა და გაცემის წესი იმ სგძნ სამსახურში,	105
რომელსაც არ გააჩნია აფთიაქი 5.6.10. სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით, საექსპერტო დიაგნოსტიკურ დაწესებულებაში და საკონტროლო-ანალიზურ ლაბორატორიაში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის და გამოყენების წესი 106	
5.6.11. ფარმაცევტულ, სამკურნალო, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით, საექსპერტო-დიაგნოსტიკურ დაწესებულებასა და საკონტროლო- ანალიზურ ლაბორატორიაში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების ჩამოწერის და განადგურების წესი 109	
5.6.12. ნარკომანით დაავადებულ პირთა ჩანაცვლებითი მკურნალობის გამნახორციელებელი დაწესებულებებში ჩამნაცვლებელი ნარკოტიკული საშუალებების მიღების, შენახვის, აღრიცხვის და გაცემის წესი 111	
5.7. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების, ამ ნივთიერებათა წამლის ფორმების, მათი შემცველი კომბინირებული პრეპარატების დანიშვნისა და გამოწერის წესი 116	
5.8. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების დანიშვნის, გამოწერისა და სპეციალური რეცეპტის ბლანკების შეძენის შენახვის, აღრიცხვის, გაცემის, ჩამოწერისა და განადგურების წესი 119	
თავი 6. GMP – სათანადო საჭარმოო პრაქტიკა 123	
6.1. ფარმაცევტული წარმოების ძირითადი პრინციპები და ელემენტები 124	
6.2. ხარისხის კონტროლი 125	
6.3. სანიტარული და ჰიგიენური მოთხოვნები 126	
6.4. დოკუმენტაცია 143	
6.5. ვალიდაცია 151	
6.6. მცენარეული სამკურნალო საშუალებების წარმოების სათანადო პრაქტიკა 162	
6.7. პროდუქციის ბაზრიდან გამოთხვის სისტემა 167	
თავი VII. სამკურნალო საშუალებების რეკლამის ეთიკური პრიტერიტობი 169	
სახელმძღვანელოში გამოყენებული ფერმინების ბანდარტებანი 173	
გამოყენებული ლიტერატურა 179	

¶ 0 6 ა ს 0 ტ ჰ ვ ა რ ბ ა

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მყარი საფუძველის შექმნაში გადამწყვეტ როლს თამაშობს ხელისუფლება და კატეგორიულად გამორიცხავს არაპროფესიონალთა მონაწილეობას სამედიცინო და ფარმაცევტული მომსახურების სფეროში.

ფარმაცევტული საქმიანობა ჯანდაცვის სისტემის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ამ საქმის კვალიფიციური პროფესიონალური ორგანიზაცია და მართვა მისი ეფექტურობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

საბაზრო ეკონომიკის პირობები მოითხოვს ფარმაცევტ-ორგანიზატორთა აღმინისტრაციულ-მმართველობითი მომზადების მაღალ დონეს. ფარმაცევტ-ორგანიზატორებმა ასევე უნდა იცოდნენ სამართლებრივი ნორმები, კანონები და სხვა ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც ფარმაცევტული საქმიანობის რეგლამენტირებას ახდენენ.

ფარმაცევტული საქმიანობა დღევანდება საქართველოში ხორციელდება და ეყრდნობა მარკეტინგის და მენეჯმენტის პრინციპებს. იგი რეგულირდება საქართველოს კანონით წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ.

ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაცია სწრაფადგანვითარებადი, დინამიური დისციპლინაა. იგი როგორც მეცნიერება ფორმირდება რიგი ფარმაცევტული, სამედიცინო, ეკონომიკური, მმართველობითი, იურიდიული ზოგადბიოლოგიური მეცნიერებების გზაჯვარედინზე.

ფარმაციის ორგანიზაცია ითვლება კომპლექსურ მეცნიერულ დისციპლინად, რომლის მიზანია მოსახლეობისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ფარმაცერვტული დახმარების სისტემის ორგანიზების ეფექტური ხერხებისა და მეთოდების ძიება.

მოსახლეობის ხარისხიანი და ეფექტური სამედიცინო და ფარმაცევტული დახმარება ბევრადად დამოკიდებული ფარმაცევტული დაწესებულებების საქმიანობის სწორ ორგანიზაციაზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობა და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებები სამკურნალო საშუალებებით და სამედიცინო დანიშნულების საგნებით. სწორედ ამას ეძღვნება წარმოდგენილი ნაშრომი ფარმაციის დარგში უახლესი ნორმატიული დოკუმენტაციის წყაროებზე დაყრდნობით.

სახელმძღვანელო შედგება 7 თავისაგან და მოიცავს ფარმაცევტული საქმიანობის ზოგად საკითხებს. მასში გადმოცემულია არა მხოლოდ პროფესიული ინფორმაცია სტუდენტებისა და სპეციალისტებისათვის, არამედ ის მოთხოვნები, რომელიც აუცილებელია ფარმაცევტული საქმიანობის სამართლებრივი წარმართვისათვის.

მასალას თან ახლავს ზოგიერთი ცნებები და ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი, ასევე გამოყენებული ლიტერატურის სია.

ავტორთა ჯგუფი

თავი 1. ფარმაცევტული საქმიანობის რეგულაცია საქართველოში

სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის სუბიექტთა საქმიანობისა და ამ სფეროში მართლზომიერი პრაქტიკის სახელმწიფო გარანტიების სამართლებრივ საფუძვლებს ქმნის საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“.

კანონის მიზანია შექმნას ხარისხის, უსაფრთხო და ეფექტური წამლებით მოსახლეობის უზრუნველყოფის საფუძველი; იგი არეგულირებს წამლის მიმოქცევის და გამოყენების სფეროში დასაქმებული პირების საქმიანობას, განსაზღვრავს სპეციალისტთა და ფარმაცევტული დაწესებულებების თანამდებობის პირთა უფლებებსა და პასუხისმგებლობას, სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის მართვის სფეროში დასაქმებული სახელმწიფო ორგანოების, დაწესებულებების უფლებამოვალებებსა და სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის სხვა სუბიექტების საქმიანობის რეგულირების პრინციპებს.

სამკურნალო საშუალებების მიმოქცევა - საქმიანობა, რომელიც მოიცავს სამკურნალო საშუალებების მომზადებას, წარმოებას, სტანდარტიზაციას, ხარისხის კონტროლს, შეფუთვას, შესყიდვას, გადაგზვნა-გადაზიდვას, შენახვას, გაცემას, მოსახლეობისა და სპეციალისტების ინფორმირებას, რეკლამას, მარკეტინგს, ექსპორტს, იმპორტს, რეექსპორტს, გამოყენებას, განადგურებას და სამკურნალო საშუალებებთან დაკავშირებულ სხვა მოქმედებებს.

ფარმაკოლოგიური საშუალება - დადგენილი ფარმაკოლოგიური აქტივობისა და უსაფრთხოობის ნივთიერება ან ნივთიერებათა კომბინაცია, რომელიც კლინიკური კვლევის ობიექტია.

ფარმაცევტული სუბსტანცია - ნებისმიერი წარმოშობის, შესაბამისი ხარისხისა და ფარმაკოლოგიური აქტივობის ნივთიერება, რომელიც გამოიყენება წამლის მომზადებისათვის ან/და წარმოებისათვის.

ფარმაცევტული პრეპარატი (წამლის ფორმა) - გარკვეული ფორმის სახით არსებული (მათ შორის, აბი, კაფსულა, ტაბლეტი, ამპულა, სანთელი, კაპლუტი, დრაჟე) კონკრეტული, დოზირებული მზა წამალი.

წამალი (სამკურნალწამლო საშუალება, მედიკამენტი) - ის ნივთიერება ან ნივთიერებათა კომბინაცია ფარმაცევტული პრეპარატის სახით, რომელიც გამოიყენება ფიზიოლოგიური სისტემის გამოსაკვლევად, ადამიანისა და ცხოველის რეპროდუქციული ფუნქციის სარეგულირებლად, პათოლოგიური მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად ან რეციპიენტის სასარგებლობით შესაცვლელად.

სამკურნალო საშუალება (ფარმაცევტული პროდუქტი) - წამალი ან ფიზიოლოგიურად აქტიური, ბუნებრივი ან სინთეზური გზით მიღებული სამკურნალო ნივთიერება ან მათი კომბინაცია, რომელიც ნებადართულია სამედიცინო გამოყენებისათვის.

ფარმაცევტული საქმიანობა - სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის სფეროში დაკავებული ფიზიკური და იურიდიული პირების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქმიანობა.

სახელმწიფო პოლიტიკა სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის სფეროში ითვალისწინებს მოსახლეობის უზრუნველყოფას ეფექტური, უსაფრთხო და მაღალი ხარისხის აუცილებელი ასორტიმენტის სამკურნალო საშუალებებით, ასევე სამეცნიერო კვლევის მხარდაჭერას, ახალი ტექნოლოგიების შექმნას, დანერგვას, სამკურნალო საშუალებების წარმოების განვითარებას. ამისათვის სახელმწიფო აფინანსებს პრიორიტეტულ მიზნობრივ პროგრამებს, ხელს უწყობს სამკურნალო

საშუალებების ფასტარმოქმნის რეგულირებას, კომპენსაციების სისტემის და სხვა ეკონომიკურ და სამართლებრივ ღონისძიებებს.

მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის კონსტიტუციური უფლებების რეალიზაციისათვის სახელმწიფო პასუხისმგებელია:

- ა) მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი წამლების ხელმისაწვდომობაზე;
- ბ) სამკურნალო საშუალების ხარისხის უზრუნველყოფის ურთიანი სისტემაზე;
- გ) წამლების, ვაქცინების, მრატების და ეპიდსაწინააღმდეგო საშუალებების სავალდებულო ასორტიმენტის მარაგის უზრუნველყოფაზე.

სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის სფეროში სახელმწიფო მართვას ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ამ სფეროში მისი ფუნქციებია:

- ა) სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და ფარმაცევტული დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი კანონქვემდებარე აქტების შემუშავება, დამტკიცება და მათი განხორციელების უფლებისანობის მონიტორინგი;
- ბ) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირების და ფარმაცევტული საქმიანობის კოორდინაცია;
- გ) ფარმაციის სპეციალისტთა (ფარმაცევტი, ფარმაცევტის თანაშემწერ) სახელმწიფო სერტიფიცირების, მოზადებისა და უწყვეტი ფარმაცევტული განათლების სისტემაში მონაწილეობა;
- დ) ფარმაცევტული საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების, მეთოდური, ინსტრუქციული დოკუმენტაციისა და ანალიზური ინფორმაციის გამოცემა;
- ე) პროფესიულ და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან თანამშრომლობა.

ფარმაცევტულ საქმიანობაზე სახელმწიფო მმართველობის სფეროში სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ფუნქციებია:

- ა) ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირება;
- ბ) სამკურნალო საშუალებების სახელმწიფო უქსახერტიზა ან სახელმწიფო უქსახერტიზის ორგანიზება;
- გ) სამკურნალო საშუალებების სახელმწიფო რეგისტრაცია, ხელახალი რეგისტრაცია, რეგისტრაციის შეჩერება ან რეგისტრაციის გაუქმება;
- დ) ფარმაცევტული საქმიანობის ინსპექტირება;
- ე) სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლი;
- ვ) სამკურნალო საშუალებების შესახებ სარეკლამო ტექსტების შეთანხმება, რეკლამით გავრცელებული ინფორმაციის ობიექტურ ინფორმაციასთან შესაბამისობის მონიტორინგი;
- ზ) სამკურნალო საშუალებების იმპორტსა და რეექსპორტზე, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტსა და ექსპორტზე ნებართვების გაცემა;
- თ) სამკურნალო საშუალებების კლინიკამდელი და კლინიკური საგამოცდო პროცედურების განხილვა-დამტკიცება;
- ი) სამკურნალო საშუალებების გვერდითი მოქმედების მონიტორინგის ერთიანი

სისტემის კოორდინაცია;
კ) ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგი და ანალიზი.

I.1. სამკურნალო საშუალებების შექმნა და ფარმაკოლოგიური კვლევა

სამკურნალო საშუალებები შეიძლება შექმნან ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა. მათი საავტორი და საპატენტო უფლებები დაცულია კანონმდებლობით. ახალი სამკურნალო საშუალებების შექმნა და ფარმაკოლოგიური კვლევის დაფინანსება თავისუფალია. დამფინანსებელი ვალდებულია ფლობდეს კვლევისა და მისი შედეგების უსაფრთხოების დამასტურებელ დოკუმენტურ ინორმაციას.

წამლის კლინიკური კვლევა (გამოცდა, გამოკვლევა) - ფარმაკოლოგიური საშუალების ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების შესწავლა არასასურველი რეაქციების დადგენის, ეფექტიანობისა და უსაფრთხოობის შეფასების მიზნით.

ფარმაკოლოგიური საშუალებების კლინიკური კვლევა ტარდება სააგენტოს გადაწყვეტილებით, რომელიც მიიღება განაცხადის შეტანიდან 2 თვის ვადაში.

ფარმაკოლოგიური საშუალებების კლინიკური კვლევის გადაწყვეტილება მიიღება თუ წარმოდგენილია ფარმაკოლოგიური საშუალებების ეფექტიანობისა და უსაფრთხოების კლინიკამდელი კვლევის მასალების ექსპერტიზის დადებითი დასკვნა.

სამკურნალო საშუალების უფექტიანობა - დაავადების მიმდინარეობაზე სამკურნალო საშუალების დადებითი ზემოქმედების მეცნიერული მეთოდებით დადგენილი ხარისხის მახასიათებელი.

სამკურნალო საშუალების უსაფრთხოობა - სამკურნალო საშუალების ეფექტიანობის და მის მიერ ჯანმრთელობის ზიანის გამოწვევის რისკის შეფასების შედარებით ანალიზზე დამყარებული მახასიათებელი.

ფარმაკოლოგიური საშუალების კლინიკამდელი კვლევა - ფარმაკოლოგიური საშუალების ფარმაკოლოგიური, ტოქსიკოლოგიური და სხვა სახის სამეცნიერო შესწავლა მისი სპეციფიკური აქტივობის და ფიზიოლოგიურ სისტემაზე ზემოქმედების დადგენის მიზნით.

კლინიკური კვლევის შემკვეთს უფლება აქვს მიიღოს სრული ინფორმაცია კვლევის მიმდინარეობის და შედეგების შესახებ, აღმრას შუამდგომლობა კლინიკური კვლევის ჩამტარებელი სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულების შეცვლის თაობაზე.

სამკურნალო საშუალების კლინიკური კვლევის ჩამტარებელ დაწესებულებას და ამ დაწესებულებაში მომუშავე სპეციალისტებს ეკრძალებათ სამკურნალო საშუალების კვლევის დაფინანსება.

კლინიკურ კვლევაში მონაწილე ავადმყოფების და ჯანმრთელ მოხალისეთა უფლებები დაცულია საქართველოს კანონმდებლობით და ეფუძნება ადამიანებზე ბიოსამედიცინო გამოკვლევების ჩატარების პელსინგის დეკლარაციით აღიარებულ საერთაშორისო რეკომენდაციებს.

ფარმაკოლოგიური საშუალებების კლინიკური კვლევის სუბიექტის უფლებების და მათი ჯანმრთელობისათვის უვნებლობის პრინციპის დასაცავად კლინიკური კვლევის ჩამტარებელ დაწესებულებასთან კვლევის მთელი ვადით იქმნება დამოუკიდებელი ეთიკური კომისია, რომელიც განიხილავს ფარმაკოლოგიური საშუალებების კლინიკური კვლევის პროგრამის ეთიკურ, მორალურ და სამართლებრივ ასპექტებს.

ეთიკური კომისია უნდა შედგებოდეს ორივე სქესის 5 პირისაგან. მის შემადგენლობაში შედიან-კვალიფიციური სპეციალისტი გამოკვლევის პროფილის შესაბამისად, მედდა, ფარმაცევტი, იურისტი და სოციალური დაცვის მუშაკი ან სასულიერო პირი. ეთიკური კომისიის დასკვნა კლინიკური კვლევის შესახებ მიიღება საჭირო დოკუმენტაციის წარდგენიდან 30 დღის განმავლობაში და უნდა გაფორმდეს წერილობით იმ დოკუმენტების ნუსხის მითითებით, რომელთა საფუძველზეც მიიღეს დასკვნა. ეთიკური კომისია ინფორმირებული უნდა იყოს კლინიკური კვლევის პროგრამაში (ოქმში) შეტანილი ყოველი შესწორების, კვლევასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი თანამოვლენის, აგრეთვე კვლევის დასრულების თაობაზე.

ავადმყოფება და ჯანმრთელ მოხალისებზე კლინიკური კვლევა შეიძლება ჩატარდეს, თუ არსებობს:

- მოხალისეთა ჯგუფი;
- უსაფრთხოობისა და უფექტიანობის შესახებ წამლის კლინიკამდელი კვლევის შედეგები;
- კლინიკური კვლევის დამტკიცებული პროგრამა და სარწმუნო მონაცემები იმის შესახებ, რომ სამკურნალო საშუალების გამოყენებისას გვერდითი უფექტი გაცილებით დაბალია მოსალოდნელ დადებით უფექტზე;
- ეთიკური კომისიის დადებითი დასკვნა;
- კლინიკური კვლევის ჩატარებელ დაწესებულებასა და კლინიკური კვლევის სუბიექტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს შორის სათანადოდ გაფორმებული ხელშეკრულება. რომელიც ითვალისწინებს მოხალისეთა ანაზღაურებას.

კვლევის სუბიექტი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი ინფორმირებული უნდა იყოს კლინიკური კვლევის შინაარსის, შესაძლო შედეგების, სამკურნალო საშუალებების თვისებების, მოსალოდნელი უფექტისა და რისკის ხარისხის თაობაზე. მათი თანხმობა დადგენილი წესით უნდა გაფორმდეს წერილობით.

ჯანმრთელ მოხალისებზე ფარმაკოლოგიური საშუალების კლინიკური კვლევა დასაშვებია თუ:

- ა) წარდგენილია მონაცემები ნივთიერების ფიზიკურ-ქიმიური და ფარმაკოლოგიური თვისებების შესახებ;
- ბ) წარდგენილია თანამედროვე მეცნიერულ დონეზე ჩატარებული კლინიკამდელი კვლევის მონაცემები;
- გ) ნივთიერების გამოყენებით გათვალისწინებული სარგებლობა არსებითად აღემატება ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შესაძლებელ რისკს ან მისი გამოყენებით რისკი არ მატულობს.

ავადმყოფზე კლინიკური გამოცდა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, თუ:

- ა) წარდგენილია ნივთიერების უსაფრთხოობის და ამტანობის შესწავლის შედეგები.
- ბ) ფერტილური ასაკის ავადმყოფ ქალებში გამოკვლევის დაწყებამდე და ყოველთვიურად გამოკვლევის მიმდინარეობისას ჩატარებული ტესტებით გამოირიცხება ორსულობა.

კლინიკური კვლევა არ შეიძლება ჩაუტარდეს უცხოელს, პასუხისმგებაში ან პატიმრობაში მყოფ პირს, სამხედრო მოსამსახურეს, უდედმამო ბავშვს. ორსული ან

მეძუძური ქალები შეიძლება ჩართული იყვნენ მხოლოდ სპეციალურ კვლევაში. დაუშვებელია ფარმაკოლოგიური საშუალების კლინიკური კვლევა არასრულწლოვნებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფარმაკოლოგიური საშუალება გამიზნულია მხოლოდ ბავშვთა დაავადებების სამკურნალოდ ან კლინიკური კვლევის მიზანია სამკურნალო საშუალებების პედიატრიულ პრაქტიკაში დასანერგი ოპტიმალური დოზების განსაზღვრა. ამ შემთხვევაში არასრულწლოვნებზე წამლის კვლევას წინ უნდა უსწრებდეს სრულწლოვნებზე ჩატარებული კლინიკური კვლევა.

ფსიქიატრიული პრაქტიკისათვის გამიზნული ფარმაკოლოგიური საშუალების კლინიკური კვლევა დასაშვებია ფსიქიკური ავადმყოფის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, ხოლო ფსიქიკური დაავადების მქონე ქმედულნარო პირებზე მათი კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

ფარმაკოლოგიური საშუალების კლინიკური კვლევის შემკვეთი ვალდებულია კანონით გათვალისწინებული წესით კვლევის დაწყებამდე დააზღვიოს კვლევის სუბიექტის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

კლინიკური კვლევის ხელმძღვანელი ვალდებულია შეაჩეროს კლინიკური კვლევა ან მისი ცალკეული ეტაპი კვლევის სუბიექტის ჯანმრთელობისთვის მოსალოდნელი საფრთხის გამოვლენის შემთხვევაში, აგრეთვე კვლევის სუბიექტის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის სურვილით.

სააგენტო წყვეტს კლინიკურ კვლევას, თუ:

- ა) კვლევის სუბიექტის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს შეექმნა საფრთხე;
- ბ) ფარმაკოლოგიური საშუალების გამოყენებით ვერ იქნა მიღებული სათანადო თერაპიული ეფექტი;
- გ) დაირღვა კლინიკური კვლევის ეთიკური ნორმები.

12. სამკურნალო საშუალების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა

სამკურნალო საშუალების ხარისხი - სამკურნალო საშუალების მახასიათებელი, რომელიც მოიცავს მისი იდენტურობის, ინგრედიენტების რაოდენობრივი შემადგენლობის, სიწმინდის, ქიმიური და ბიოლოგიური კომპონენტების ფარმაკოპეის სტანდარტთან შესაბამისობას.

სამკურნალო საშუალებების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემა მოიცავს ფარმაცევტულ განათლებას, სამკურნალო საშუალებების რეგისტრაციას, ფარმაცევტულ დაწესებულებებზე ნებართვის გაცემას, ფარმაცევტული კადრებისა და სამკურნალო საშუალებების რეგისტრაციას, სამკურნალო საშუალებების ხარისხის კონტროლს და ფარმაცევტულ ინფორმაციას, ფარმაცევტული საქმიანობის ინსპექტირებას.

სამკურნალო საშუალებების ხარისხის კონტროლი - სამკურნალო საშუალებების ხარისხის უზრუნველყოფის საკანონმდებლო მოთხოვნათა შესრულებისათვის ორგანიზაციული და სამართლებრივი ღონისძიებების ერთობლიობა.

სამკურნალო საშუალებების ხარისხზე პასუხისმგებელია სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის სფეროში დასაქმებული ყველა პირი თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

1.3. სამკურნალო საშუალებების სახელმწიფო რეგისტრაციის წესი და პირობები

საქართველოს ტერიტორიაზე ნებადართულია მხოლოდ რეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების გაცემა-გამოყენება, გარდა გამონაკლისებისა.

სამკურნალო საშუალებების სახელმწიფო რეგისტრაციას ახორციელებს სააგენტო.

სამკურნალო საშუალების რეგისტრაცია - საქართველოში წარმოებული და საზღვარგარეთიდან შემოტანილი სამკურნალო საშუალების სახელმწიფო უქსპერტიზის პროცედურა, რომლის საფუძველზედაც გაიცემა საქართველოში მისი მიმოქცევის ნებართვა.

სამკურნალო საშუალების სახელმწიფო რეგისტრაციის მაძიებლობის უფლება აქვს მხოლოდ აღნიშნული საშუალების მწარმოებელს ან ამ საშუალების სავაჭრო ლიცენზიის მფლობელს-რეგისტრაციის უფლების მქონე სუბიექტს.

სამკურნალო საშუალების რეგისტრაციის თანმიმდევრობა ასეთია:

- ა) რეგისტრაციის მაძიებელი განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს წარუდგენს სააგენტოს.
- ბ) სარეგისტრაციო დოკუმენტები შედგება ადმინისტრაციული და მეცნიერულ-ტექნიკური ნაწილებისაგან; სააგენტო ახორციელებს მათ ადმინისტრაციულ და მეცნიერულ-ტექნიკურ უქსპერტიზას;
- გ) სარეგისტრაციო დოკუმენტების ადმინისტრაციული ნაწილი წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო მეცნიერულ-ტექნიკური ნაწილი – ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე, სამ ასლად; ამასთანავე, მეცნიერულ-ტექნიკური ნაწილის წარმოდგენა დასაშვებია ელექტრონული ვერსიის სახით; დ) სარეგისტრაციო დოკუმენტების მეცნიერულ-ტექნიკური ნაწილი კონფიდენციალურია და არ უქვემდებარება საჯარო ინფორმაციის სახით გავრცელებას;
- ე) სააგენტო არ უგვიანეს 14 დღისა ამოწმებს წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტების ამ მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობას, ანუ ახორციელებს მათ ადმინისტრაციულ უქსპერტიზას;
- ვ) ადმინისტრაციული უქსპერტიზის დადებითი დასკვნის საფუძველზე სარეგისტრაციო დოკუმენტები უქვემდებარება შემდგომ მეცნიერულ-ტექნიკურ უქსპერტიზას სამკურნალო საშუალების სტანდარტიზაციის, ხარისხის, უსაფრთხოობისა და თერაპიული ეფექტიანობის დადგენის მიზნით;
- ზ) ადმინისტრაციული ან მეცნიერულ-ტექნიკური უქსპერტიზის დონეზე გამოვლენილი ხარვეზის გამოსასწორებლად რეგისტრაციის მაძიებელს დამატებით ეძღვევა 2 თვემდე ვადა. აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობისას სარეგისტრაციო დოკუმენტები განუხილველი რჩება;
- თ) საჭიროების შემთხვევაში სააგენტოს უფლება აქვს სარეგისტრაციო დოკუმენტების განხილვაში დამატებით ჩართოს უქსპერტები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საკუთარი დასკვნების ობიექტურობაზე. ინვაციური, სისხლის, იმუნობიოლოგიური, პარენტერალური, საინფუზიო და რადიოფარმაცევტული სამკურნალო საშუალებების უსაფრთხოობის, ეფექტიანობისა და ხარისხის კუთხით მაღალი პოტენციური რისკის არსებობისას სააგენტო უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი კვლევების

ჩატარება ან/და საწარმოს ადგილზე ინსპექტირება. მოთხოვნის
დაუკავშირფილებლობა რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია.

სამკურნალო საშუალების აქტიური ნივთიერებების, ფორმის, მოქმედების
ძალის (დოზა, კონცენტრაცია), გამოყენების მეთოდის (ხერხი) და წარმოებასთან
დაკავშირებული ცვლილებები ითვლება II რიგის (განსაკუთრებული
მნიშვნელობის) ცვლილებად და საჭიროებს რეგისტრაციას.

I რიგის (შედარებით ნაკლები მნიშვნელობის) ცვლილებად ითვლება და
საჭიროებს სააგენტოსთვის ცვლილებების შესახებ ინფორმაციის წარდგენას

ა) I რიგის „ა“ ტიპის ცვლილებები:

- ა.ა) ცვლილებები წარმოების ლიცენზიაში;
- ა.ბ) სამკურნალო საშუალების სახელმწოდების ცვლილება;
- ა.გ) სავაჭრო ღიცებულის მფლობელის – რეგისტრაციის უფლების მქონე
სუბიექტის სახელის ან/და იურიდიული მისამართის ცვლილება;
- ა.დ) აქტიური სუბსტანციის მწარმოებლის ცვლილება;
- ა.ე) ტაბლუტებზე არსებული წარწერის, გრუნტირების ან სხვა მარკირების,
ტვიფრების, კაფსულებზე არსებული წარწერის ცვლილება;
- ა.ვ) პირველადი შეფუთვის მარკირების, მეორეული შეფუთვის მარკირების და
დიზაინის ცვლილება;
- ა.ზ) შეფუთვაში სამკურნალო საშუალების რაოდენობის ცვლილება

ბ) I რიგის „ბ“ ტიპის ცვლილებებია:

- ბ.ა) არააქტიური სუბსტანციის ცვლილება;
- ბ.ბ) საღებავის ამოღება ან ერთი საღებავის მეორით შეცვლა;
- ბ.გ) საგემოვნებო დანამატების დამატება, ამოღება ან ცვლილება;
- ბ.დ) ტაბლუტის საფარის მასის ან კაფსულის გარსის მასის ცვლილება;
- ბ.ე) პირველადი შეფუთვის შემადგენლობის ხარისხობრივი ცვლილება;
- ბ.ვ) გამოყენების რომელიმე ჩვენების ან შეყვანის ერთ-ერთი გზის ამოღება;
- ბ.ზ) უმნიშვნელო ცვლილებები აქტიური სუბსტანციის წარმოებაში;
- ბ.თ) აქტიური სუბსტანციის სერიის/პარტიის მოცულობის ცვლილება;
- ბ.ი) უმნიშვნელო ცვლილებები სამკურნალო საშუალების წარმოებაში;
- ბ.კ) მზა პროდუქციის საწარმოო სერიის მოცულობის ცვლილება;
- ბ.ლ) სამკურნალო საშუალების სპეციფიკაციის ცვლილება;
- ბ.მ) დამხმარე ნივთიერებების სინთეზი ან აღდგენა, რომლებიც აღწერილია
თავდაპირველ სარეგისტრაციო დოკუმენტებში და არ არის მითითებული
ფარმაკოპეაში;
- ბ.ნ) სამკურნალო საშუალების დამხმარე ნივთიერებების სპეციფიკაციის
ცვლილება (ვაქცინების აღიუვანტების გამოკლებით);
- ბ.ო) ღიცებულისას მითითებული სამკურნალო საშუალების ვარგისობის
ვადის გახანგრძლივება;
- ბ.პ) ვარგისობის ვადის ცვლილება შეფუთვის პირველი გახსნის შემდეგ;
- ბ.ჟ) სამკურნალო საშუალების ვარგისობის ვადის ცვლილება მისი აღდგენის
შემდეგ;
- ბ.რ) შენახვის პირობების ცვლილება;
- ბ.ს) აქტიური სუბსტანციის გამოცდის მეთოდის ცვლილება;
- ბ.ტ) სამკურნალო საშუალების ხარისხის კონტროლის მეთოდის ცვლილება;

- ბ.უ) ფარმაკოპეაში შეტანილი დამატების შესაბამისი ცვლილება;
- ბ.ფ) არაფარმაკოპეული დამტმარე ნივთიერების გამოცდის მეთოდის ცვლილება;
- ბ.ქ) პირველადი შეფუთვის გამოცდის მეთოდის ცვლილება;
- ბ.ღ) შესაყვანი მოწყობილობის გამოცდის მეთოდის ცვლილება;
- ბ.ყ) ვეტერინარული პრეპარატის შეფუთვის მოცულობის ცვლილება;
- ბ.შ) პირველადი შეფუთვის ფორმის ცვლილება;
- ბ.ჩ) ტაბლეტების, კაფსულების, სანთლების ზომის და საშუალო მასის ცვლილება, მათი შემადგენლობის ხარისხობრივი ცვლილების გარეშე.

რეგისტრაციას საჭიროებს II რიგის ცვლილებები:

- ა) სამკურნალო საშუალების ფორმის, მოქმედების ძალისა და გამოყენების მეთოდის ცვლილებები;
- ბ) აქტიური ნივთიერებების ცვლილებები;
- გ) თერაპიული ჩვენების ცვლილებები.
- დ) წარმოების ადგილის ცვლილება.

I და II რიგის ცვლილებების დროს წარმოდგენილი უნდა იქნას:

- ა) ცვლილების მოტივაცია;
- ბ) ცვლილების დამასაბუთებელი დოკუმენტაცია;
- გ) განახლებული შესაბამისი სარეგისტრაციო დოკუმენტები.

სამკურნალო საშუალების ხელახალი რეგისტრაციისთვის სარეგისტრაციო დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნას რეგისტრაციის ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 2 თვისა. წინააღმდეგ შემთხვევაში სამკურნალო საშუალების რეგისტრაცია განხორციელდება პირველადი რეგისტრაციის რეჟიმით.

სამკურნალო საშუალებების ხელახალი რეგისტრაციისას რეგისტრაციის მაძიებელი ვალდებულია წარმოადგინოს სამკურნალო საშუალების გვერდითი ეფექტების შესახებ ბოლო 5 წლის მონაცემები, პუბლიკაციები და ბიბლიოგრაფია.

სარეგისტრაციო პროცედურის, მათ შორის ხელახალი რეგისტრაციის ცვლილების, რეგისტრაციის და რეგისტრაცია-აღნუსხვის ვადის ათვლა იწყება სარეგისტრაციო დოკუმენტების სრულად წარმოდგენის (მათ შორის სარეგისტრაციო მოსაკრებლის შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვის დადასტურების) თარიღიდან.

სააგენტო სარეგისტრაციო პროცედურის დროს, მათ შორის II რიგის ცვლილების რეგისტრაციისას - 3 თვის ვადაში, სამკურნალო საშუალებების ხელახალი რეგისტრაციისას და რეგისტრაცია-აღნუსხვისას - 2 თვის ვადაში, I რიგის „ა“ ტიპის ცვლილების რეგისტრაციისას - 10 დღის ვადაში, ხოლო I რიგის „ბ“ ტიპის ცვლილების რეგისტრაციისას - 1 თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას სამკურნალო საშუალების რეგისტრაციის თაობაზე ან ცვლილების რეგისტრაციაზე თანხმობის ან უარის თქმის შესახებ, რაც ფორმდება ადმინისტრაციული აქტით.

რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს დასაბუთებული უარი რეგისტრაციის მაძიებელს. თუ აღნიშნულ ვადებში რეგისტრაციის მაძიებელს არ ეცნობა გადაწყვეტილება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, სამკურნალო საშუალება ითვლება რეგისტრირებულად და სააგენტო ვალდებულია გასცეს სარეგისტრაციო მოწმობა.

სააგენტო აუქმებს საჭაროველოში სამკურნალო საშუალების რეგისტრაციას:

- ა) რეგისტრაციის მაძიებლის თხოვნით;
- ბ) თუ სამკურნალო საშუალებას აღმოაჩნდა ადამიანისათვის ან მისი შთამომავლობისათვის ზიანის მომტანი თვისება.

სააგენტო დროებით რეგისტრაციის შეჩერების მიზეზის აღმოფხვრამდე აჩერებს საქართველოში სამკურნალო საშუალების რეგისტრაციას:

- ა) რეგისტრაციის მაძიებლის თხოვნით;
- ბ) თუ შეიცვალა სარეგისტრაციო დოკუმენტების რაიმე ნაწილი, რომელიც დადგენილი წესით და ფორმით არ არის რეგისტრირებული ან/და აღნუსხული

სააგენტო აუქმებს სარეგისტრაციო მოწმობას:

- ა) სამკურნალო საშუალების რეგისტრაციის გაუქმებისას;
- ბ) სამკურნალო საშუალებაზე ახალი სარეგისტრაციო მოწმობის გაცემის საჭიროებისას.

სამკურნალო საშუალების მიმოქცევა საქართველოს ტერიტორიაზე ნებადართულია მისი რეგისტრაციიდან 5 წლის განმავლობაში, ხოლო რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ მისი ვარგისობის ვადის ამოწურვამდე. ცვლილების განხორციელების შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიაზე ნებადართულია ცვლილებამდე არსებული სამკურნალო საშუალების მიმოქცევა მისი ვარგისობის ვადის ამოწურვამდე.

ფარმაცევტული სუბსტანცია, დაუფასოებელი და შუალედური ფარმაცევტული პროდუქტები, მაგისტრალური და ოფიცინალური რეცეპტებით მომზადებული წამლები, კონკრეტული ფიზიკური პირისათვის განკუთვნილი ალერგენი რეგისტრაციას არ საჭიროებს.

სარეგისტრაციო დოკუმენტების ადმინისტრაციულ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იქნას:

- ა) განცხადება თანდართული დოკუმენტების საძიებლით (გვერდების მითითებით);
- ბ) საქართველოში სამკურნალო საშუალების რეგისტრაციის განაცხადის (სააპლიკაციო ფორმა, რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს სააგენტო) ორიგინალი;
- გ) რეგისტრაციის მაძიებლის მიერ ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელი საბუთის ორიგინალი;
- დ) ფარმაცევტული პროდუქტის სერტიფიკატი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული ფორმით (ორიგინალი), ან მისი არარსებობის შემთხვევაში – სამკურნალო საშუალების GMP-ის სტანდარტით წარმოების დამადასტურებელი საბუთი ან სამკურნალო საშუალების წარმოების ლიცენზია, გაცემული მწარმოებელი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ;
- ე) სარეგისტრაციო სამკურნალო საშუალების (მათ შორის, ბად-ების) სტანდარტული შეფუთვა სტანდარტული მარკირებით (ან ელექტრონული ვერსიის სახით);
- ვ) სამკურნალო საშუალების (მათ შორის, პათოლოგიური მდგომარეობის მაკორექტირებელი ბად-ების) გამოყენების ინსტრუქცია (ფიზიოლოგიური მდგომარეობის შესანარჩუნებელი ბად-ების შემთხვევაში – გამოყენების

რეკომენდაცია) ქართულ ენაზე.

სარეგისტრაციო დოკუმენტების მეცნიერულ-ტექნიკურ ნაწილი
წარმოდგენილი უნდა იქნეს მასალები:

- ა) ინოვაციური (ახალი ორიგინალური) სამკურნალო საშუალების რეგისტრაციისთვის;
- ბ) გენერიკული - საერთაშორისო, არაპატენტირებული და კვლავწარმოებული სამკურნალო საშუალების რეგისტრაციისთვის;
- გ) სისხლის პრეპარატის რეგისტრაციისთვის;
- დ) იმუნობიოლოგიური პრეპარატის (სამკურნალო საშუალება, რომელიც გამოიყენება იმუნობიოლოგიური პროფილაქტიკისა და თერაპიისათვის (ვაქცინები, შრატები, ტესტსისტემები) რეგისტრაციისთვის;
- ე) პარასამკურნალო საშუალების (გარკვეული თერაპიული ეფექტის მქონე, მცენარეული, ცხოველური ან მინერალური წარმოშობის საშუალება, რომელიც შეიცავს წამლის სპეციფიკურ სუბსტანციას ისეთი სახითა და რაოდენობით, რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს წამლის ფორმად) რეგისტრაციისთვის;
- ვ) რადიოფარმაცევტული საშუალების (მაიონიზებელი გამოსხივების თვისების მქონე, სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენებული საშუალება) რეგისტრაციისთვის;
- ზ) კონტრაცეპტული მექანიკური საშუალების რეგისტრაციისთვის;
- თ) პათოლოგიური მდგომარეობის მაკორექტირებელი ბიოლოგიურად აქტიური დანამატის (ზად-ის) რეგისტრაციისთვის;
- ი) კომპლუმენტარული სამკურნალო საშუალების (კომპლუმენტარული (პომეოპათიური, ანთროპოსოფიული, ჰომოტოქსიკოლოგიური) სამკურნალო საშუალება – ბუნებრივი (მინერალური, მცენარეული, ცხოველური) წარმოშობის ნივთიერებისგან ან ნივთიერებათა ჯამისგან დამზადებული საშუალება, რომლის მოქმედება და სტანდარტულობა არ არის დადასტურებული ობიექტური მტკიცებულებებით) რეგისტრაცია-აღნუსხვისთვის;
- კ) სტომატოლოგიური მასალის რეგისტრაცია-აღნუსხვისთვის;
- ღ) ფიზიოლოგიური მდგომარეობის შესანარჩუნებელი ბიოლოგიურად აქტიური დანამატის (ზად-ის) (კვების პროდუქტის შემავსებელი საკვები დანამატისა და აქტიური ქიმიური ინგრედიენტისაგან შემდგარი ნარევი, რომელიც გამოიყენება დაავადების პროფილაქტიკის ან მკურნალობის მიზნით) რეგისტრაცია-აღნუსხვისთვის;
- მ) სადიაგნოსტიკო საშუალებების: ტესტ-სისტემების (ნოზოლოგიების მიხედვით), ალერგენების (გარდა კონკრეტული ფიზიკური პირისთვის განკუთვნილი ალერგენისა), რეაგენტების (კლინიკური ბიოქიმიისა და კლინიკური ქიმიისათვის) და შრატების რეგისტრაცია-აღნუსხვისთვის.

1.4. სამკურნალო საშუალების ჭარმოება

წამლის წარმოება - საწარმოში სათანადო სტანდარტის მოთხოვნათა სრული დაცვით წამლის სერიულად გამოშვება.

სამკურნალო საშუალებების წარმოება ემყარება სათანადო საწარმოო სტანდარტს, რომელსაც საერთაშორისო ნორმების საფუძველზე შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. სამკურნალო საშუალებას აწარმოებს ფარმაცევტული საწარმო სააგენტოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე. ფარმაცევტული საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე პასუხს აგებენ საწარმოს ხელმძღვანელი და მის მიერ გამოყოფილი პასუხისმგებელი პირები.

დაუშვებელია საქართველოში არარეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების წარმოება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი წარმოება ხდება სახელმწიფო რეგისტრაციისათვის, კლინიკამდელი და კლინიკური კვლევისათვის, ექსპორტისათვის.

სამკურნალო საშუალებების მარკირება და ინსტრუქცია

მარკირება - ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილია პირველად ან/და მეორეულ შეფუთვაზე.

სამკურნალო საშუალებების მარკირება ხორციელდება მკაფიო და არაჩამორეცხვადი შრიფტით, საქართველოს მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე.

სამკურნალო საშუალებების მეორეულ შეფუთვაზე (შეფუთვის ფორმა, რომელშიც თავსდება სამკურნალო საშუალება პირველადი შეფუთვი), ხოლო მისი არარსებობისას - პირველად შეფუთვაზე (შეფუთვის ფორმა, რომელიც უშუალოდ ეხება სამკურნალო საშუალებას) მიეთითება: სამკურნალო საშუალების სავაჭრო დასახელება, საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება, მწარმოებელი, სავაჭრო ლიცენზიის მფლობელი-რეგისტრაციის უფლების მქონე სუბიექტი (ასეთის არსებობისას), მწარმოებელი ქვეყანა, წამლის ფორმა, ყოველ ერთეულში მოქმედი ნივთიერების დოზა, რაოდენობა შეფუთვაში, პარენტერალური სამკურნალო საშუალებებისა და ოფთალმოლოგიური საშუალებებისათვის – ყველა დამხმარე ნივთიერება, აუცილებლობისას- მიღების გზა და მეთოდი, ვარგისობის ვადა (თვე, წელი), შენახვის პირობები, სერია.

თუ მეორეულ შეფუთვაზე მოთავსებული პირველადი შეფუთვა ბლისტერის სახითაა წარმოდგენილი, მასზე მიეთითება სამკურნალო საშუალების სავაჭრო დასახელება (არსებობისას - გენერიული სახელწოდება), მწარმოებელი (არსებობისას - რეგისტრაციის უფლების მქონე სხვა სუბიექტი), ვარგისობის ვადა, სერია.

მცირე ზომის პირველად შეფუთვაზე, სადაც ვერ მოთავსდება აღნიშნული ინფორმაცია, მიეთითება: სამკურნალო საშუალების სავაჭრო დასახელება, აუცილებლობისას - დოზა, მიღების გზა და მეთოდი, ვარგისობის ვადა, სერია, მასა, მოცულობა ან ერთეული დოზების რაოდენობა.

ყველა სამკურნალო საშუალებაზე, მისი მიღების ან გამოყენების თავისებურებების გათვალისწინებით:

- ა) ადამიანის სისხლიდან ან სისხლის კომპონენტებიდან მიღებულ სამკურნალო საშუალებაზე აღინიშნება - შესაბამისად, „სისხლიდან“ „სისხლის პლაზმიდან“;
- ბ) ადამიანის ორგანოებიდან (ქსოვილებიდან) მიღებულ სამკურნალო საშუალებებზე, გამოკვლევის საფუძველზე, აღინიშნება - „ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის ანტისეცულებს არ შეიცავს“. "B" და "C" ჰეპატიტების გამომწვევებს არ შეიცავს“;
- გ) შრატები მომქცევაში დაიშვება აღნიშნით, თუ ადამიანის ან რომელიც ხოველის სისხლის პლაზმიდან, ორგანოებიდან, ქსოვილებიდან არის იგი

- მიღებული;
- დ) ვაქცინების მიმოქცევაში გაშვებისათვის საგალდებულოა მიეთითოს ვირუსების ან ბაქტერიების გამრავლებისათვის გამოყენებული საკვები ნიადაგი.
- ე) პომეოპათიურ საშუალებად რეგისტრირებულ საშუალებებს უკეთდება წარწერა „პომეოპათიური“;
- ვ) მცენარეული ნედლეულიდან მიღებულ სამკურნალო საშუალებებს სათანადო გამოკვლევის საფუძველზე უკეთდება წარწერა „პროდუქციაში გაიარა რადიაციული კონტროლი“;
- ზ) კლინიკური გამოკვლევისათვის განკუთვნილ სამკურნალო საშუალებებს უკეთდება წარწერა „მხოლოდ კლინიკური კვლევისათვის“.
საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებულ წარმალს უნდა ახლდეს სახელმწიფო ენაზე წარმოდგენილი ინსტრუქცია.

ინსტრუქცია - მომხმარებლისათვის განკუთვნილ ფურცელზე წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც თან ახლავს სამკურნალო საშუალებას.

1.5. სამკურნალო საშუალების ბაცემა, ბადამუშავება და განადგურება

სამკურნალო საშუალებებს გასცემს მხოლოდ სათანადო ნებართვის მქონე ფარმაცევტული დაწესებულება. აკრძალულია წამლის რეალიზაცია ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატის გარეშე.
მოსახლეობაზე სამკურნალო საშუალებები გაიცემა რეცეპტით ან ურეცეპტოდ.

რეცეპტი - ფარმაცევტისადმი უქიმის წერილობითი მიმართვა წამლის მომზადების, გაცემისა და მიღების წესების შესახებ. იგი წარმოადგენს იურიდიული, სამედიცინო, სამეურნეო-საფინანსო და ტექნოლოგიური მნიშვნელობის საბუთს.

მაგისტრალური რეცეპტით მომზადებული წამალი - ინდივიდუალური პაციენტისათვის განკუთვნილი, აფთიაქში მომზადებული წამალი.

ოფიცინალური რეცეპტით მომზადებული წამალი - ფარმაკოპეის შესაბამისად აფთიაქში მომზადებული წამალი.

უკანონო ბრუნვიდან ამოდებული, რეგისტრირებული სამკურნალო საშუალება ექვემდებარება ჩამორთმევას. თუ ჩამორთმეული მედიკამენტის რაოდენობა იძლევა ლაბორატორიული კვლევის ჩატარების საშუალებას და კვლევით მიღებული დასკვნა დადებითია, სამკურნალო საშუალების გამოყენება დასაშვებია.

ფალსიფიცირებული-იდენტურობასთან ან/და წარმოშობასთან დაკავშირებით განზრახ არასწორად მარკირებული ფარმაცევტული პროდუქტი, ასევე ვადაგასული, გაუვარგისებული, არარეგისტრირებული, (გარდა დაშვებული გამონაკლისებისა), საბაჟო წესების დარღვევით შემოტანილი სამკურნალო საშუალებები ექვემდებარება განადგურებას.

1.6. საქართველოში არარეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა

არარეგისტრირებული სამკურნალო საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლება შემოტანილი იქნეს:

- ა) კლინიკამდელი და კლინიკური კვლევისათვის;
- ბ) სახელმწიფო რეგისტრაციისათვის – ნიმუშის სახით;
- გ) ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის;
- დ) საერთაშორისო მიმართულებაზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალების ბრიგადის მიერ მგზავრთა სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ოდენობით;
- ე) ჰუმანიტარული მიზნით;
- ვ) გამოფენების, სიმპოზიუმების, კონფერენციების, ფორუმებისა და კონგრესებისათვის – ნიმუშის სახით, რეალიზაციის უფლების გარეშე;
- ზ) რეკლამობისათვის;
- თ) საბაზო საწყობში საქონლის შენახვის ან/და საქონლის ტრანზიტის საბაზო რეჟიმით.

განსაკუთრებულ პირობებში (სტიქიური უბედურება, მოსახლეობის მასობრივი დაზიანება, ეპიდემია, იშვიათი დაავადებები) ჰუმანიტარული მიზნით ან გადაუდებელი სახელმწიფო ინტერესების არსებობის შემთხვევაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შექმნილი კომისიის შესაბამისი დასკვნის საფუძველზე დასაშვებია საქართველოში არარეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა და გამოყენება, თუ წარდგენილია უცხო ქვეყნებში მათი რეგისტრაციისა და გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტები. ამასთან, ამ მედიკამენტების შემოტანის წესსა და პირობებს აღგანს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

აკრძალულია საქართველოში რეგისტრირებული სამკურნალო საშუალების უკანონო ასლის, მათ შორის ფალსიფიცირებული სამკურნალო საშუალების საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა.

1.7. ფამლის ბვერდითი მოქმედების მონიტორინგი

მონიტორინგის სისტემის ერთიან კოორდინაციას და მიღებული ინფორმაციული მასალის ანალიზს ახორციელებს სააგენტო. იგი:

- ა) აგროვებს წამლის არასასურველი ეფექტის შესახებ ინფორმაციას, აანალიზებს და განაზოგადებს მას;
- ბ) ახორციელებს ამ ინფორმაციის გაცვლას სხვა ქვეყნების სამედიცინო სამსახურებთან და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან;
- გ) ორგანიზაციას უწევს მოძიებული მონაცემების ექსპერტიზას და ამზადებს რეკომენდაციებს წამლის გამოშვების, მიმოქცევიდან ამოღებისა და სარეგისტრაციო მოწმობის მოქმედების გაუქმების შესახებ;
- დ) ეტაპობრივად შეისწავლის წამლების შეუთავსებლობას და ურთიერთქმედებას, განაზოგადებს მონაცემებს სამკურნალო საშუალებებზე, ამზადებს საინფორმაციო მასალას.

სამკურნალო საშუალებების მიმოქცევისა და გამოყენების სუბიექტები ვალდებული არიან სააგენტოს მიაწოდონ ინფორმაცია სამკურნალო საშუალებების გვერდითი მოქმედების ყველა შემთხვევისა და სამკურნალო საშუალებების ურთიერთქმედების თავისებურებათა შესახებ, რომლებიც მითითებული არ არის მათი გამოყენების ინსტრუქციაში.

თავი II. ნებართვას დაქვემდებარებული ფარმაცევტული საქმიანობის სახეები. ნებართვის მიღების შესები და კიროგაბი

ისეთ ორგანიზებულ საქმიანობას ან ქმედებას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრულ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურებით სარგებლობასთან რეგულირდება კანონით „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“. ამ კანონის მოქმედება შეიძლება გაგრცელდეს აგრეთვე არაორგანიზებულ საქმიანობაზე ან ქმედებაზე. კანონი ასევე აწესრიგებს ლიცენზიითა და ნებართვით რეგულირებულ სფეროს, განსაზღვრავს ლიცენზიისა და ნებართვის სახეების ამომწურავ ჩამონათვალს, ადგენს ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის, მათში ცვლილებების შეტანის და მათი გაუქმების წესებს.

სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუ ლიცენზიის ან ნებართვის გაცემით რეალურად შესაძლებელია აღნიშნული საფრთხის შემცირება ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინება.

საქმიანობის ან ქმედების ლიცენზიით ან ნებართვით რეგულირების მიზანი და მირითადი პრინციპებია:

- ა) ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა;
- ბ) ადამიანის საცხოვრებელი და კულტურული გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა;
- გ) სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა.

საქმიანობა ან ქმედება, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება საზოგადოებრივ რისკს, სახელმწიფოს მიერ თავისუფლდება რეგულირებისაგან ან რეგულირდება მხოლოდ ნაწილობრივ.

შესაძლებელია უცხო ქვეყნის მიერ გაცემული ლიცენზია ან ნებართვა საერთაშორისო ხელშეკრულებით ან კანონით აღიარებული იქნეს და მიენიჭოს ისეთივე სამართლებრივი სტატუსი, როგორიც აქვს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გაცემულ ლიცენზიას ან ნებართვას.

ლიცენზიისა და ნებართვის გამცემი ორგანოები დგინდება კანონით ან საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით. საქმიანობასა და ქმედებაზე ლიცენზიას და ნებართვას, როგორც წესი, გასცემენ სახელმწიფოს ცენტრალური სამთავრობო დაწესებულებები.

- ა) ლიცენზია – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე პირისათვის კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე მინიჭებული განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლებაა;
- ბ) ნებართვა – კანონით გათვალისწინებული, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით ქმედების განხორციელების უფლებაა, რომელიც უკავშირდება ობიექტს და აღასტურებს ამ განზრახვის კანონით დადგენილ პირობებთან შესაბამისობას. შესაძლებელია ნებართვის გადაცემა სხვა პირისთვის, თუ ეს კანონით არ არის აკრძალული ან ნებართვა არსობრივად არ არის დაკავშირებული მის მფლობელთან.

საქართველოში ნებართვა გაიცემა შემდეგი ფარმაცევტული საქმიანობის განხორციელებაზე:

- ა. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო სამუალებების იმპორტის ან ექსპორტი;
- ბ. ფარმაკოლოგიური სამუალების კლინიკური კვლევა;
- გ. ფარმაცევტული წარმოება (სამკურნალო სამუალებებისა, გარდა ნარკოტიკული სამუალებებისა);
- დ. I ჯგუფის აფთიაქის მოწყობა;
- ე. II ჯგუფის აფთიაქის მოწყობა;
- ვ. სააფთიაქო პუნქტის მოწყობა.

2.1. ნებართვის მარტივი აღმინისტრაციული წარმოებით გაცემის ზე

ნებართვის მაძიებელი ნებართვის მისაღებად ნებართვის გამცემს წარუდგენს წერილობით განცხადებას. განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ ნებართვის რომელი სახის მიღებას მოითხოვს ნებართვის მაძიებელი და თანდართული საბუთების ნუსხას.

განცხადებას უნდა ერთვოდეს კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები.

განცხადებას ასევე უნდა ერთვოდეს სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

სანებართვო მოსაკრებელი არის ერთჯერადი სავალდებულო გადასახდელი საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში ან შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტში (თუ ნებართვას გასცემს ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანო), რომელსაც ნებართვის მაძიებელი იხდის კანონით ან კანონის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ (თუ ნებართვას გასცემს ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანო) დადგენილი ოდენობით, მისთვის კანონით განსაზღვრული სანებართვო ქმედების განხორციელების უფლების მინიჭებისათვის. სანებართვო მოსაკრებლით გათვალისწინება ნებართვის გაცემის ადმინისტრირების ხარჯები.

სანებართვო მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით. დამატებითი თანდართული საბუთები შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ კანონით.

საქმიანობის თავისებურებიდან გამომდინარე, ნებართვის მისაღებად, გათვალისწინებული პირობების გარდა, დამატებითი სანებართვო პირობები განისაზღვრება კანონით ან კანონის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით.

ნებართვის მაძიებელი ვალდებულია წარადგინოს დამატებითი სანებართვო პირობების დამატებული ფაქტოლების ისეტი ფაქტოლები გარემოებები, რომელთა დადასტურება უშუალოდ არ არის დაკავშირებული ნებართვის გაცემის

ადმინისტრაციულ წარმოებასთან. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურება ხორციელდება ცალკე ადმინისტრაციული წარმოებით.

ნებართვის მაძიებელი უფლებამოსილია არ წარადგინოს დამატებითი სანებართვო პირობების დამაკმაყოფილებელი ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი ისეთი დოკუმენტები, რომლებიც გაიცემა სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და ნებართვის გაცემის საფუძველია. ფაქტობრივი გარემოებების დადასტურებისა და წარმოდგენის მიზნით ნებართვის გამცემი განცხადების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისთანავე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს გადასცემს განცხადებისა და თანდართული საბუთების ასლებს. ნებართვის გამცემი ვალდებულია განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების ასლები მიაწოდოს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს განცხადების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენიდან არა უგვიანეს 3 დღისა.

2.2. ნებართვის გაცემის ზოგადი ჭესი

ნებართვის გამცემი ვალდებულია ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს განცხადების წარდგენიდან 20 დღის ვადაში. თუ აღნიშნულ ვადაში არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის ან ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, ნებართვა გაცემულად ჩაითვლება.

ნებართვის მაძიებელი უფლებამოსილია ნებართვის გაცემისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოითხოვის სანებართვო მოწმობა. ნებართვის გამცემი ვადდებულია დაუყორნებლივ გასცეს სანებართვო მოწმობა.

თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად აუცილებელია ადმინისტრაციული წარმოებისათვის კანონით განსაზღვრულ ვადაზე მეტი, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია მხოლოდ კანონით განსაზღვრული ნებართვის სახეებისათვის მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების ვადის არა უმეტეს 3 თვემდე გაგრძელების თაობაზე. ნებართვის გამცემი ვალდებულია აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღოს განცხადების წარდგენიდან 15 დღის ვადაში.

დაუშვებელია ნებართვის გაცემის ვადის გაგრძელება, თუ ნებართვის მაძიებელს განცხადების წარდგენიდან 20 დღის ვადაში არ ეცნობება ნებართვის გაცემის ვადის გაგრძელების თაობაზე.

თუ კონკრეტული ნებართვის სახე, რომლის გაცემის ვადის გაგრძელება შესაძლებელია, ხასიათდება ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით, ეხება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების ფართო წრეს და ამ ქმედებით გათვალისწინებულ გარემოებათა დასადგენად არ არის საკმარისი 3 თვე, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს საქართველოს მთავრობას ნებართვის გაცემის ვადის კიდევ 3 თვით გაგრძელების შესახებ. თუ ზემოაღნიშნული პირობები არსებობს და ცნობილი გახდება ნებართვის გამცემისათვის განცხადების წარდგენისას, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს საქართველოს მთავრობას ნებართვის გაცემის ვადის 6 თვით გაგრძელების შესახებ.

ნებართვის გამცემი არ გასცემს ნებართვას, თუ:

ა) ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში არ იქნა გამოსწორებული ნებართვის მაძიებლის მიერ;

ბ)ნებართვის მაძიებელი ვერ აკმაყოფილებს კანონით ან კანონის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილ სანებართვო პირობებს.

ნებართვის გამცემის გადაწყვეტილება ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ან სასამართლოში.

სანებართვო მოწმობის ფორმა განისაზღვრება კანონით ან/და ნებართვის გამცემის ან ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული აქტით.

სანებართვო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ნებართვის მფლობელი ნებართვის გამცემს მიმართავს წერილობითი განცხადებით სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემის თაობაზე.

განცხადების მიღებიდან 2 დღის ვადაში ნებართვის გამცემი გასცემს სანებრთვო მოწმობის დუბლიკატს, შესაბამისი ინფორმაცია შეაქვს უწყებრივ სანებართვო რეესტრში და ამის თაობაზე აცნობებს სახელმწიფო სანებართვო რეესტრის მწარმოებელ ორგანოს სახელმწიფო სანებართვო რეესტრში შესაბამისი ცვლილების შესატანად.

სანებართვო მოწმობის დუბლიკატს ისეთივე იურიდიული ძალა აქვს, როგორიც მის დედანის. სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემისათვის გადასახდელი მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით ან „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობიოს (მმართველობიოს) წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით.

„ლიცენზიების და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე კონტეტულად შემუშავდა „ფარმაკოლოგიურ საშუალებათა კლინიკური კვლევის, ფარმაცევტული წარმოების, სააფთიაქო დაწესებულებათა (I ჯგუფის აფთიაქის, II ჯგუფის აფთიაქისა და სააფთიაქო პუნქტის) მოწყობის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებათა იმპორტისა ან ექსპორტის ნებართვების გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 14 ოქტომბრის №176 დადგენილება.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტის ან ექსპორტის, ფარმაკოლოგიური საშუალებების კლინიკური კვლევის, ფარმაცევტული წარმოებისა და სააფთიაქო დაწესებულებათა (I ჯგუფის აფთიაქი, II ჯგუფის აფთიაქისა და სააფთიაქო პუნქტის) მოწყობისათვის ნებართვების გამცემი ადმინისტრაციული ორგანო საქართველოს შრომის, ჯანმრთელიობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო.

2.3. სანებართვო პირობები ენართვით გათვალისწინებული ფარმაცევტული საჭმიანობის განსახორციელებლად

სანებართვო პირობები არის ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნების და ინფორმაციის ამომწურავი ნუსხა, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს ნებართვის მაძიებელი ანუ ნებართვის მიღების მსურველი პირი ნებართვის მისაღებად და ნებართვით განსაზღვრული ქმედების განსახორციელებლად.

2.3.1. ფარმაკოლოგიურ საშუალებათა კლინიკური კვლევა

ფარმაკოლოგიურ საშუალებათა კლინიკური კვლევის ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებელმა სააგენტოს უნდა წარუდგინოს:

- ა) კლინიკური კვლევის ოქმი, რომელშიც უნდა აისახოს კლინიკური კვლევის საფუძველი, მიზანი, ამოცანა, კვლევის მეთოდოლოგია, ორგანიზება და პირობები. თუ ოქმი უცხოებოვანია, ასევე წარდგენილი უნდა იქნეს მისი ქართული თარგმანი და მათში უნდა აღინიშნოს შემდეგი ძირითადი ინფორმაციები:
- ა.ა) კლინიკური კვლევის დასახელება;
 - ა.ბ) კლინიკური კვლევის ფაზა;
 - ა.გ) იმ კვლევის ცენტრების ჩამონათვალი, სადაც მიმდინარეობს კვლევა;
 - ა.დ) კვლევის მიზანი;
 - ა.ე) კვლევის განხორციელების აღწერა;
 - ა.ვ) პაციენტის მიერ პრეპარატის მიღების წესი;
 - ა.ზ) ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური პროცედურების აღწერა;
 - ა.თ) პაციენტთა კვლევაში ჩართვისა და კვლევიდან გამორთვის კრიტერიუმები;
 - ა.ი) საქართველოში კვლევის მონაწილე პაციენტთა დაგეგმილი რაოდენობა;
 - ა.კ) პაციენტთა ვიზიტების რაოდენობა და კვლევის საერთო ხანგრძლივობა.
- ბ) ავადმყოფისათვის საინფორმაციო წერილის ნიმუში;
- გ) ავადმყოფის წერილობითი ინფორმირებული თანხმობის ნიმუში;
- დ) ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება;
- ე) ფარმაკოლოგიური საშუალების უსაფრთხოობის რისკიდან გამომდინარე კლინიკამდელი კვლევის მასალები ან ცნობილი ინგრედიენტების ახალი კომბინაციების პარასამკურ-ნალო საშუალებათა შემთხვევაში ფარმაკოპეის სტატია. საერთაშორისო კვლევების შემთხვევაში კლინიკამდელი კვლევის მასალა დასაშვებია წარდგენილ იქნეს ინგლისურ ან რუსულ ენებზე;
- ვ) ავადმყოფის ინდივიდუალური ბარათის ნიმუში;
- ზ) ინფორმაცია მკვლევარის გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესახებ;
- თ) კლინიკური კვლევის განმახორციელებული სამედიცინო დაწესებულების ლიცენზიის ან აკრედიტაციის დამადასტურებული დოკუმენტი.

2.3.2. სამკურნალო საშუალებათა ჭარმობა

საქართველოში სამკურნალო საშუალებათა წარმოება ხორციელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ სამკურნალო საშუალებების ხარისხის უზრუნველყოფისათვის დადგენილი წესების შესაბამისად. აკრძალულია არარეგისტრირებული საშუალებების წარმოება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი წარმოება ხდება სახელმწიფო რეგისტრაციის, კლინიკამდელი და კლინიკური კვლევის ან ექსპორტისათვის.

ფარმაცევტული წარმოების ნებართვის მისაღებად სააგენტოს წარედგინება:

ა) ფარმაცევტული წარმოებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის სიტუაციური გეგმა (ნახაზი) სათავსების დანიშნულებისა და განთავსების მითითებით. საწარმოო ფართობი იზოლირებული უნდა იყოს და გამოიყენებოდეს მხოლოდ ფარმაცევტული წარმოებისთვის;

- ბ) ინფორმაცია ფარმაცევტული საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ;
 გ) სამკურნალო საშუალების ტექნოლოგიური რეგლამენტი;
 დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შემუშავებული გარემოზე
 ზემოქმედების შეფასება.

ნებართვის მისაღებად საჭიროა სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებთან
 შესაბამისობის დასკვნა.

სააგენტო ვალდებულია „ერთი სარკმლის პრინციპით“ მოიპოვოს
 სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურება.

ერთი სარკმლის პრინციპი - ადმინისტრაციული წარმოების წესია, როდესაც
 ლიცენზიის ან ნებართვის გამცემი თავად უზრუნველყოფს დამატებითი
 სალიცენზიო ან სანებართვო პირობების სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ
 დადასტურებას. დამატებითი სალიცენზიო ან სანებართვო პირობების
 დადასტურება დაკავშირებული უნდა იყოს ლიცენზიის ან ნებართვის გაცემის
 ადმინისტრაციულ წარმოებასთან. ამ პირობების დამადასტურებელი
 ფაქტობრივი გარემოების მოპოვება უშუალოდ უნდა ემსახურებოდეს
 ლიცენზიის ან ნებართვის მიღების მიზანს.

აღნიშნული ნებართვის მაძიებელს უფლებას არ ართმევს თვითონ
 წარმოადგინოს ეს დოკუმენტები.

დაუშვებელია ფარმაცევტული წარმოების მოწყობა სკოლამდელი აღზრდისა
 და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო მყარი წამლის ფორმების
 სრული საწარმოო ციკლის, აგრევე საინექციო და საინფუზიო წამლის ფორმების
 წარმოების შემთხვევაში ნებისმიერ სხვა დაწესებულებაში.

2.3.3. საავთიაქო საჭირებულებები

- I ჯგუფის აფთიაქის მოწყობის ნებართვის მფლობელი უფლებამოსილია
 საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს
 ყველა სახის სააფთიაქო საქმიანობა, მათ შორის წამლის ფორმებისა და შიდა
 სააფთიაქო დანამტადების მომზადება და გაცემა. ასევე რეცეპტით ან ურე-
 ცეპტოდ გასაცემი სამკურნალო საშუალებების, მათ შორის სპეციალურ
 კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების საცალო
 გაცემა.
- II ჯგუფის აფთიაქის მოწყობის ნებართვის მფლობელი უფლებამოსილია
 საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს
 როგორც წამლის ფორმებისა და შიდა სააფთიაქო დანამტადების მომზადება
 და გაცემა, ისე რეცეპტით ან ურეცეპტოდ გასაცემი სამკურნალო
 საშუალებების, მათ შორის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული
 სამკურნალო საშუალებათა საცალო გაცემა ნებართვის მიღებისას
 მითითებული მოთხოვნის შესაბამისად.
- სააფთიაქო პუნქტიდან ნებადართულია ურეცეპტოდ გასაცემი სამკურნალო
 საშუალებების და რეცეპტით მხოლოდ მყარი წამლის ფორმების გაცემა,
 გარდა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული საშუალებებისა.

I ჯგუფის აფთიაქის მოწყობისათვის ნებართვის მისაღებად სააგენტოს უნდა
 წარედგინოს:

- ა) აფთიაქის ფართობის სიტუაციური გეგმა (ნახაზი) სათავსოების განთავსების მითითებით. ამასთან, აფთიაქის საერთო ფართობი უნდა იყოს არანაკლებ 190 კვ.მ, ერთიანი, იზოლირებული და მხოლოდ ამ მიზნით გამოყენებული;
- ბ) ინფორმაცია არანაკლებ ერთი ფარმცევტ-ანალიტიკოსისა და ერთი ფარმაცევტ-ტექნიკოგის შესახებ, რომელთა ყოლა I ჯგუფის აფთიაქში სავალდებულოა;
- გ) ინფორმაცია ფარმაცევტული საქმიანობისათვის პასუხისმგებელი პირის შესახებ (სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო სამუალებების მიმოქცევის შემთხვევაში დამატებით წარმოდგენილ უნდა იქნეს ცნობა პასუხისმგებელი პირის ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე არყოფნის და სამედიცინო ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ);
- დ) ინფორმაცია აფთიაქის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ.

II ჯგუფის აფთიაქის მოწყობისათვის ნებართვის მისაღებად სააგენტოს უნდა წარედგინოს:

- ა) აფთიაქის ფართობის სიტუაციური გეგმა (ნახაზი) სათავსების განთავსების მითითებით. აფთიაქის საერთო ფართობი უნდა იყოს სულ ცოტა 40 კვ.მ, ერთიანი, იზოლირებული და მხოლოდ ამ მიზნით გამოყენებული;
- ბ) თუ აფთიაქი ახორციელებს წამლის ფორმებისა და შიდა სააფთიაქო დანამტადების მომზადებასა და გაცემას, მაშინ ინფორმაცია არანაკლებ ერთი ფარმაცევტ-ანალიტიკოსისა და ერთი ფარმაცევტ-ტექნიკოგის შესახებ;
- გ) თუ აფთიაქი ახორციელებს რეცეპტორ ან ურეცეპტორ გასაცემი სამკურნალო სამუალებების, მათ შორის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო სამუალებების საცალო გაცემას, მაშინ ინფორმაცია ფარმაცევტული საქმიანობისავის პასუხისმგებელი ფარმაცევტის შესახებ (სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო სამუალებების მიმოქცევის შემთხვევაში დამატებით წარმოდგენილ უნდა იქნეს ცნობა პასუხისმგებელი ფარმაცევტის ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე არყოფნის და სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ);
- დ) ინფორმაცია აფთიაქის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ.

ურეცეპტორ და რეცეპტორ გასაცემი მყარი წამლის ფორმების (გარდა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული საშუალებების) გაცემის უზრუნველსაყოფად სააფთიაქო პუნქტის მოწყობის ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებელმა სააგენტოს უნდა წარუდგინოს:

- ა) სააფთიაქო პუნქტის განთავსების დარბაზის სიტუაციური გეგმა (ნახაზი) პუნქტის დაგეგმვარების მითითებით. პუნქტი განთავსებული უნდა იყოს მინის ზღუდარით გამოყოფილ არა ნაკლებ 8 კვ.მ ფართობის ბლოკში. სააფთიაქო პუნქტის საქმიანობისათვის გამოყოფილი ფართობი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა მიზნებისა და მომხმარებლებთან ურთიერთობისათვის;
- ბ) ინფორმაცია სააფთიაქო პუნქტის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ.

I ჯგუფის აფთიაქის, II ჯგუფის აფთიაქისა და სააფთიაქო პუნქტის მოწყობის ნებართვის მისაღებად დამატებით საჭიროა აფთიაქის სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან შესაბამისობის დასკვნა, რომელსაც „ერთი სარემლის პრინციპით“ მოიპოვებს ნებართვის გამცემი. აღნიშნული ნებართვის მაძიებელს უფლებას არ ართმევს თვითონ წარმოადგინოს ეს დასკვნა.

ფარმაცევტული საქმიანობისთვის პასუხისმგებელი პირის ცვლილების შემთხვევაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია არა უგვიანებს 7 დღისა მიაწოდოს აღნიშნული ინფორმაცია სააგენტოს.

სააგენტო უფლებამოსილია შესაბამის სანებართვო პირობებში მითითებული მონაცემების სისტორე შეამოწმოს უშუალოდ, ადგილზე დათვალიერებით, რაზედაც დგება შესაბამისი ოქმი, ოქმს ხელს აწერენ სააგენტოს წარმომადგენელი და ნებართვის მაძიებელი. თუ ნებართვის მაძიებელი უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი. ასეთ შემთხვევაში ნებართვის მაძიებელმა ოქმს უნდა დაურთოს ახსნა-განმარტება ან/და შენიშვნები ოქმის შინაარსთან დაკავშირებით, აგრეთვე მიუთითოს მის ხელმოწერაზე უარისთვის მოტივები.

ნებართვის მაძიებლის მხრიდან სანებართვო პირობების ადგილზე შემოწმებისათვის თავის არიდება და შემოწმების მიზნით წაყენებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა ჩაითვლება სანებართვო პირობების შეუსრულებლობად, რაც ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველია.

2.3.4. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებაში სამკურნალო საშუალებების ექსპორტ-იმპორტი

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების ექსპორტ-იმპორტი ხორციელდება სააგენტოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ნებართვის გაცემამდე სააგენტო სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებათა ექსპორტსა და იმპორტს წინასწარ ათანხმებს ექსპორტიორი (იმპორტიორი) ქვეყნის შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებათა ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებელმა სააგენტოს უნდა წარუდგინოს:

ა) მომწოდებელთან (შესაბამისად – მიმღებთან) გაფორმებული ხელშეკრულება (შესაბამისი სპეციფიკის ამსახველი ინფორმაციით – ხელშეკრულების დანართი);

ბ) ექსპორტის შემთხვევაში – იმპორტიორი ქვეყნის წინასწარი შეთანხმების დედანი.

სააგენტო საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული წესით აწვდის/იღებს ინფორმაციას სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების ფაქტობრივად განხორციელებული იმპორტის/ექსპორტის თაობაზე, აგრეთვე ამ ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელების შესახებ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების ექსპორტ-იმპორტის სფეროში.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებებთან დაკავშირებით გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული ნორმები.

სააგენტო ნებართვის გაუქმების შესახებ დაუყონებლივ აცნობებს ნებართვის მფლობელსა და შესაბამის საბაჟო სამსახურს.

2.4. ნებართვის ამოქმედება

ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ნებართვის მაძიებელი უფლებამოსილია სანებართვო მოწმობის მიღებამდე შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე განახორციელოს ნებართვით გათვალისწინებული ქმედება. ნებართვის გამცემის მიერ კანონით განსაზღვრულ ვადაში ნებართვის გაცემის, ან ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში ნებართვის მაძიებელს ნებართვით გათვალისწინებული ქმედების განხორციელება მხოლოდ სანებართვო მოწმობის მიღების შემდეგ შეუძლებელია.

ნებართვები გაიცემა:

- ა) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებათა იმპორტის/ექსპორტის ნებართვა – კონკრეტული ოპერაციის განხორციელების ვადით წინასწარ განსაზღვრული რაოდენობის ფარგლებში;
- ბ) ფარმაკოლოგიურ საშუალებათა კლინიკური კვლევის ნებართვა – კლინიკური კვლევის ჩატარებსთვის საჭირო ვადით ნებართვის მაძიებლის მოთხოვნის შესაბამისად;
- გ) ფარმაცევტული წარმოების ნებართვა – უვადოდ;
- დ) I ჯგუფის აფთიაქის მოწყობის ნებართვა – უვადოდ;
- ე) II ჯგუფის აფთიაქის მოწყობის ნებართვა – უვადოდ;
- ვ) სააფთიაქო პუნქტის მოწყობის ნებართვა – უვადოდ.

2.5. პონტონლი სანებართვო პირობების შესრულებაზე

ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შესრულებას აკონტროლებს ნებართვის გამცემი. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლოა ნებართვის გამცემის კონტროლს დაექვემდებაროს ასევე სხვა ნომატიული აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და მათი დარღვევისას გამოყენებული იქნეს პასუხისმგებლობის გათვალისწინებული ფორმები. ნებართვის გამცემის გადაწყვეტილებით შერჩევითი შემოწმების განხორციელებაში შესაძლებელია მონაწილეობა მიიღონ სხვა ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლებმა. ნებართვის გამცემი ვალდებულია შერჩევითი შემოწმების დასრულების შემდეგ შეადგინოს შეაბამისი შემოწმების აქტი, რომელიც შეიტანება ნებართვის გამცემის მიერ სპეციალურად ამისთვის წარმოებულ რეესტრში. ნებართვის გამცემს სანებართვო პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება კალენდარული წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ შეუძლია.

თავი III. პიბიენური მოთხოვნები აფთიაქის მოწყობისა და ექსპლუატაციისადმი

აფთიაქების გამართვისა და ექსპლუატაციის, აგრეთვე მომსახურე პერსონალის შრომის პირობების უზრუნველყოფის სანიტარული წესების დადგენის მიზნით შემუშავებულია „აფთიაქების მოწყობისა და ექსპლუატაციის სანიტარული წესები“ (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 12 ნოემბრის №282/6 ბრძანება).

სანიტარული წესები და ნორმები განკუთვნილია საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ყველა ტიპის აფთიაქისათვის საკუთრების ფორმისა და უწყებრივი დაქვემდებარების მიუხადავად.

სანიტარულ წესებსა და ნორმებში მოცემულია პიგიენური მოთხოვნები აფთიაქის განთავსების, აღჭურვის, ასეპტიკური ბლოკის გამართვის, ინვენტარის, შენობის სანიტარული მოვლის, საინექციო და გაწმენდილი წყლის მიღების, შენახვისა და ტრანსპორტირების, ასეპტიკურ პირობებში სამკურნალო საშუალებების, აგრეთვე არასტერილური პრეპარატების დამზადებისა და მომსახურე პერსონალის პირადი პიგიენისადმი.

3.1. პიბიენური მოთხოვნები აფთიაქის შენობისა და აღჭურვილობისადმი

სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის სფეროში ფარმაცევტული დაწესებულებები თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებენ შესაბამისი მინიმალური ნორმატივების საფუძველზე.

ფარმაცევტული დაწესებულებების მოწყობის მინიმალური ნორმატივები:

1. აფთიაქში მოსახლეობის მომსახურების დარბაზი მომხმარებლისთვის გათვალისწინებული ფართის გარდა, რომელიც არ შეიძლება იყოს 12 კვ.მ.-ზე ნაკლები, უნდა ითვალისწინებდეს აფთიაქის მოწყობისა და ექსპლუატაციისათვის სანიტარულ-პიგიენური ნორმებით დადგენილი მინის ზღუდარებით გამოყოფილ საეციალისტთა სამუშაო ზონებს, კერძოდ:

- ა) მზა წამლის ფორმების გაცემისათვის, მათ შორის:
 - ა.ა) სარეცეპტურო ნომენკლატურისათვის – 5 კვ.მ.;
 - ა.ბ) ურეცეპტოდ გასაცემი ნომენკლატურისათვის, მათ შორის სამედიცინო, ჰიგიენური და კოსმეტიკური დანიშნულების საქონლისათვის – 5 კვ.მ.;

ბ) შიდა სააფთიაქო დანამზადებისათვის – 4 კვ.მ.

2. სააფთიაქო საწარმოო განყოფილება (შიდა სააფთიაქო დანამზადის) უნდა მოიცავდეს საასისტენტო, სამარაგო, გამოხდილი წყლის მისაღები და სასტერილიზაციო და ტარის და მინის შესანახ ოთახებს, კერძოდ:

- ა) საასისტენტო ოთახი – 20 კვ.მ., შემდეგი ზონებით:
 - ა.ა) საწარმოო ზონა – 10 კვ.მ.;
 - ა.ბ) ფარმაცევტანალიტიკოსის სამუშაო ადგილი – 4 კვ.მ.;
 - ა.გ) ასეპტიკური ბლოკი – 6 კვ.მ.;
- ბ) სამარაგო ოთახი – 6 კვ.მ.;
- გ) გამოხდილი წყლის მისაღები და სასტერილიზაციო ოთახი იზოლირებულ ზონებად – 6 კვ.მ.;
- დ) სამრეცხაო ოთახი – 6 კვ.მ.;
- ე) ტარისა და მინის შესანახი ოთახი – 6 კვ.მ.;

3) სააფთიაქო საწარმოო განყოფილებაში უნდა იყოს ფარმაცევტის თანაშემწის, ფარმაცევტტექნოლოგისა და ფარმაცევტანალიტიკოსის სათანადოდ აღჭურვილი სამუშაო ადგილები, ასევე შესაბამისი საქმიანობისათვის ასეპტიკური ბლოკის, წყლის გამოსახდელი ბოქსის, სასტერილიზაციონ, სამრეცხაო და საწარმოო განყოფილების სამარაგო აღჭურვილობით.

3.სააფთიაქო სამარაგოს დაგეგმარება, მოწყობა და ექსპლუატაცია უნდა უზრუნველყოფდეს სამკურნალო საშუალებებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების სათანადო მიღების, კომპლექტაციის, შენახვისა და გაცემის შესაძლებლობას, ამასთან:

- ა) სამარაგოში, რომელიც არ უნდა იყოს 10კვ.მ-ზე ნაკლები, თერმოლაბილური პრეპარატები, სამკურნალო მცენარეული ნედლეული და სამედიცინო დანიშნულების საქონელი განთავისუფლებული უნდა იყოს სხვა წამლებისაგან განცალკავებულ ზონაში, ამასთან, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებებისა და შხამების სამარაგოს დამოუკიდებელი სათავსო ფართი უნდა იყოს არანაკლებ 6კვ.მ. და აღჭურვილი უნდა იყოს რკინის ცეცხლგამძლე სეიფით;
- ბ)სამკურნალო საშუალებები სავალდებულო წესით უნდა განთავსდეს თაროებზე ან დროებით ქვეშსადებებზე (თაროები და ქვეშსადებები უნდა დამზადდეს მღრნელებისაგან დაცული მასალისაგან), თაროები, რომლებსაც უნდა ეკავოთ სამარაგო სათავსოების მხოლოდ 2/3, უნდა დამონტაჟდეს გარეთა კედლიდან არანაკლებ 0,6 მით, ჭრიდან 0,5 მით იატავიდან არანაკლებ 0,25 მის დაშორებით, თაროებს შორის მანძილი არ უნდა იყოს 0,75 მზე ნაკლები, რათა უზრუნველყოფილი იყოს საქონელთან თავისუფლად მოძრაობა;
- გ)სანიტარიული კვანძი (რაოდენობა განისაზღვრება პერსონალის ოდენობით) არ შეიძლება პირდაპირ უკავშირდებოდეს სხვა სათავსოს;
- დ)გასახდელი – (გათვალისწინებული უნდა იყოს თითოეული თანამშრომლის პირადი ნივთების შესანახი იზოლირებული სათავსო, ერთ პირზე კარადის არანაკლებ 0,55 კვ.მ.)
- ე) ადმინისტრაციისათვის განკუთვნილი ფართი.

აფთიაქის შენობა ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ შესაძლებელი იქნეს სანიტარული რეჟიმის სრულყოფილი დაცვა. შესასვლელში უნდა იყოს ფეხსაცმლის საწმენდი, რომლის გასუფთავება ხდება საჭირობის მიხედვით, მაგრამ არანაკლებ დღეში ერთხელ.

აფთიაქის მომუშავე პერსონალის სამუშაო ადგილები მომსახურების დარბაზში აღჭურვილი უნდა იქნეს წვეთოვანი ინფექციისგან დამცავი მოწყობილობით.

შენობის ფანჯრის ფრამუგები ან სარემლები დაცული უნდა იყოს მოსახსნელი მეტალის ან პლასტმასის ბადეებით მწერების შემოღწევისაგან. მზის მხარეზე განლაგებულ ფანჯრებსა და ვიტრინებს უნდა ჰქონდეთ მზისგან დამცავი მოწყობილობები.

აფთიაქის მშენებლობისათვის გამოყენებული მასალები უნდა უზრუნველყოფდეს მღრნელებისა და მწერების შეუღწევადობას, დაუშვებელია თაბაშირ-მუჟაოს ტიხები.

საწარმოო შენობის ჭერისა და კედლების ზედაპირები უნდა იყოს გლუვი, საფარის მთლიანობის დარღვევის გარეშე, რათა შესაძლებელ იქნეს დეზისაშუალებების გამოყენებით მათი გარეცხვა. შენობაში გამოყენებული

მოსაპირკეთებელი მასალები უნდა იყოს ანტისტატიკური და მედეგი დამუშავებისადმი (წყალგამძლე საღებავები, ემელი, დია ფერის მომინანქრებული ფილები). იატაკი უნდა დაიფაროს კერამიკული ფილებით ან ლინოლიუმით, რომელსაც ნაკერებში კიდევები შედუღებული ექნება.

სააფთიაქო დაწესებულების შენობას უნდა ჰქონდეს ბუნებრივი ან/და ხელოვნური განათება. განათება უნდა იყოს გათვალისწინებული მთელი შენობისათვის. გარდა ამისა, ცალკეული სამუშაო ადგილებისთვის უნდა მოეწყოს ადგილობრივი განათება. ხელოვნური განათება ხორციელდება ლუმინესცენტური და ვარგარების ნათურებით.

განათებისა და ვენტილაციის სისტემები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედი ნორმატული დოკუმენტების მოთხოვნებს. შენობაში უნდა წარმოებდეს კონტროლი მიკროკლიმატის პარამეტრებზე. სააფთიაქო ორგანიზაციებში ჰაერცვლის ჯერადობა და გაანგარიშებული ტემპარატურები მოყვანილია ცხრილის სახით:

სააფთიაქო ორგანიზაციებში (აფთიაქებში) ჰაერცვლის ჯერადობა და გაანგარიშებული ტემპერატურები				
ჰაერის t ⁰ არანაკლებ	ქვეგანყოფილების დასახელება	ჰაერცვლის ჯერადობა. მექანიკური ვენტილაცია	ბუნებრივი ჰაერცვლის გაწოვის ჯერადობა	
160°C	მოსახლეობის მომსახურების დარბაზი	3	4	3
180°C	შეავთების გასაფორმებელი და მისაღები, სარეცეპტურო	2	1	1
180°C	საასისტენტო, ასეპტიკური, სადეფეკტორო, დასამზადებელი, საფასოო, სასტერილიზაციო-საავტოკლავო, სადისტილაციო	4	2	1
180°C	საკონტროლოანალიტიკური, ხსნარების სასტერილიზაციო, განსაფუთი	2	3	1
180°C	ასეპტიკურ პირობებში წამლების მოსამზადებელი სათავსი	4	2	არ დაიშვება
საწყობი				
180°C	ა) სამკურნალო ნივთიერებების, თერმოლაბილური პრეპარატებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების	2	3	1
180°C	ბ) სამკურნალო მცენარეული ნედლეულის	3	4	3
180°C	გ) შხამიანი პრეპარატებისა და ნარკოტიკების		3	3
180°C	დ) ადვილადაალებადი და საწვავი ხსნარების		10	5
180°C	ე) სადეზინფექციო საშუალებების, მჟავების		5	3

აღჭურვილობა კედლიდან ისეთი დაშორებით უნდა განთავსდეს, რომ შესაძლებელი იყოს მისი დასუფთავება, დეზინფექცია და შეკეთება. აღჭურვილობამ არ უნდა შეაფერხოს განათების შეღწევადობა და არ ჩახერგოს გასასვლელები, კონკრეტულ საწარმო სათავსებში არ დაიშვება იმ მანქანების,

აპარატების და სხვათა განთავსება, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მოცემული საწარმო სათავსოს ტექნოლოგიურ პროცესთან.

საწარმო სათავსებში არ დაიშვება ფარდების დაკიდება, ხალიჩების დაფენა, ყვავილების გაშენება, კედლის გაზეთის, პლაკატებისა და სხვათა გაკვრა. ამისათვის გამოიყენება დერეფნები, მომუშავე პერსონალის დასასვენებილი ოთახები და კაბინეტები.

საწარმოო სათავსებში მუშაობისათვის საჭირო საინფორმაციო სტენდები და ცხრილები უნდა დამზადდეს ისეთი მასალისაგან, რომელიც მდგრადია სველი დასუფთავებისა და დეზინფექციის მიმართ.

არასაწარმოო სათავსების დეკორატიული გაფორმება, მათ შორის გამწვანება, დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფილი იქნება სათანადო მოვლა (დასუფთავება მტკრისაგან, გარეცხვა და სხვა), საჭიროების შემთხვევაში, მაგრამ არანაკლებ კვირაში ერთხელ.

სამრეცხაო სათავსებში უნდა იყოს გამოყოფილი მარკირებული ნიუარები, (აბაზანები) სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭლის გასარეცხად: კერძოდ, საინექციო წყლების, თვალის წვეთების, შინაგანი და გარეგანი სამკურნალო საშუალებების ფორმების მოსამზადებელი ჭურჭლისთვის. ამ ნიუარებში ხელების დაბანა აკრძალულია.

მომუშავე პერსონალის ხელის დასაბანად ასეპტიკურ ბლოკში, საასისტენტოში, სააბაზანოებს, ტუალეტებსა და ა.შ. უნდა იქნეს დაყენებული ნიუარები (ხელსაბანები), რომლებიც მიზანშეწონილია აღიჭურვოს პედლიანი ან ფოტოელემენტიანი ონკანებით, ხელის სადეზინფექციო ხსნარებიანი ჭურჭლით და ელექტრომაშრობებით.

3.2. ჰიბიენური მოთხოვნები ასეპტიკური ბლოკის სათავსებისა და აღჭურვილობისადმი

ასეპტიკური ბლოკის სათავსები უნდა იყოს განთავსებული იზოლირებულ მონაკვეთში და უნდა გამორიცხავდეს „სუფთა“ და „ჭუჭყიანი“ დინებების ურთიერთგადაკვეთას. ასეპტიკურ ბლოკს უნდა ჰქონდეს განცალკევებული შესასვლელი ან გამოიყოს სხვა საწარმოო სათავსებისაგან რაბებით. ასეპტიკური ბლოკის შესასვლელთან დაფენილი უნდა იყოს სადეზინფექციო ხსნარში დასველებული რეზინის ან ფორიანი მასალით დამზადებული ხალიჩები.

რაბში გათვალისწინებული უნდა იყოს: სკამები – ფეხსაცმლის გამოსაცვლელად, სათავსები – სპეციალურისაცმლისათვის, კარადა – ხალათისა და სტერილური ტანსაცმლის კომპლექტის ბიქსებისათვის, ასვე ნიუარა (პედლიანი ონკანით), საპაერო ელექტროსაშრობი და სარკე, ხელის დასამუშავებელი ჰიგიენური საშუალებების ნაკრები, ინსტრუქციები ტანსაცმლის გამოცვლისა და ხელების დამუშავებისადმი, ასეპტიკურ ბლოკში ქცევის წესები.

ასეპტიკურ საასისტენტოში არ დაიშვება წყლის და კანალიზაციის სისტემის შეფერხება-გაუმართაობა. წყალგაუგანილობის ქსელის მონტაჟის ტიპი დასუფთავების შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს.

ასეპტიკურ ბლოკში დერეფნებიდან და სხვა საწარმოო სათავსებიდან ჰაერის შეღწევის გამოსარიცხად აუცილებელია შემწოვ-გამწოვი ვენტილაციის გათვალისწინება, რომლის დროსაც ჰაერის ნაკადი მიმართული უნდა იყოს ასეპტიკური ბლოკიდან მიმდინარე სათავსებისკენ.

რეკომენდებულია სპეციალური მოწყობილობების საშუალებით ჰიბიენტალური ან ვერტიკალური სუფთა ჰაერის ლამინარული ნაკადების მოწყობა მთელ შენობაში ან განსაკუთრებულად საპასუხისმგებლო დანიშნულების ოპერაციებისათვის განკუთვნილ ცალკეულ ლოკალურ უბნებში (სუფთა კამერები).

სუფთა კამერებს ან მაგიდებს ლამინარული ჰაერის ნაკადით – უნდა ჰქონდეს სამუშაო ზედაპირები და კალპაკი დამზადებული გლუვი, მდგრადი მასალისაგან. ლამინარული ჰაერის ნაკადის სიჩქარე უნდა იყოს 0,3-0,6 მ/წმ (-1 ხარისხში) ფარგლებში ჰაერის რეგულარული კონტროლით – არანაკლებ თვეში ერთხელ.

ასეპტიკურ ბლოკში პერსონალი სამუშაოდ მომზადება და ქცევის წესები

ასეპტიკურ ბლოკში სამუშაოდ მომზადებულ პერსონალს უნდა ჰქონდეს სანიტარულ-ტექნოლოგიური ტანსაცმლის სპეციალური კომპლექტი: ხალათი ან კომბინიზონი (მომდგარი საყელო, წელზე შემოჭერილი, სამაჯენი მჭიდროდ მორგებული), სპეცფენსაცმელი ან ბაზილები, ქუდი, კაპიუზონი ან შლემი, აუცილებლობის შემთხვევაში – რეზინის ხელთაომანი ტალკის გარეშე. კომპლექტი უნდა იყოს დამზადებული ნაკლებხაოიანი მასალისგან და შეესაბამებოდეს ჰიგიენურ მოთხოვნებს.

ტანსაცმლის კომპლექტს ასტერილებენ ბიქსებში 120°C -ზე ორთქლის სტერილიზაციონებში 45 წთ-ს ან 132°C 20 წთ-ს და ერთჯერადი სტერილური ტანსაცმლის კომპლექტს ინახავენ დახურულ ბიქსებში არაუმეტეს 3 დღე-დამის განმავლობაში შესაძლებლობისამებრ.

პერსონალის ფეხსაცმელი მუშაობამდე და მუშაობის შემდეგ დეზინფიცირდება და ინახება დახურულ კარადაში ან ყუთებიან რაბში. დეზინფექციას ატარებენ ორჯერადი გარეგანი გაწმენდით 1% ქლორამინის ხსნარით ან 0,075% ხსნარით 0,5% სარეცხ საშუალებასთან ერთად. გარდა ამისა, ფეხსაცმლის დეზინფექციას ატარებენ პაკეტში ჩადებული ნიშადურის სპირტით ან მჟავით განეიტრალებული 40% ფორმალდეპიდის ან 40% მმარმანებას ხსნარში დასველებული ბამბით.

ასეპტიკურ ბლოკში შესვლა-გამოსვლა, აუცილებელი საგნებისა და მასალების გადატანა უნდა მოხდეს მხოლოდ საჭაერო რაბის გავლით, ასეპტიკურ სათავსში ყოველი შესვლისას უნდა მოხდეს სტერილური ტანსაცმლის კომპლექტის შეცვლა.

რაბში შესვლისას იცვამენ ფეხსაცმელს, მიზანშეწონილია გაკეთდეს ორმხრივი სკამი ქვედა ნაწილში ფეხსაცმლის შესანახი უჯრებით, სკამზე მჯდომი მოსამსახურე იხდის ფეხსაცმელს და ინახავს ინდივიდუალურ უჯრაში, შემდეგ შემობრუნდება 1800°C -ით, ფეხებს გადადებს სკამის მეორე მხარეს და იდებს ინდივიდუალური თაროდან ან სტელაჟიდან პაკეტში ან ბიქსში მოთავსებულ სტერილურ ტექნოლოგიურ ტანსაცმელს. ხელების დაბანისა და გაშრობის შემდეგ იცვამენ სტერილური ტანსაცმლის კომპლექტს ხელთაომანების გარეშე, შემდეგ დაიმუშავებენ ხელებს და საჭიროების შემთხვევაში იცვამენ სტერილურ ხელთაომანებს.

ასეპტიკურ ბლოკში უნდა იმყოფებოდეს მოსამსახურების მინიმალურად აუცილებელი რიცხვი, პერსონალის მოძრაობა უნდა იყოს ნელი, რაციონალური, ისინი უნდა მოერიდონ მკვეთრ, ნერვულ ან უსიამოვნო შეგრძებისაგან შემამსუბუქებელ მოძრაობებს, შეიზღუდოს ლაპარაკი და გადაადგილება. აუცილებლობის შემთხვევაში ასეპტიკური ბლოკის გარეთ მყოფ თანამშრომელთან სიტყვიერი მიმართვისათვის უნდა გამოიყენონ ტელეფონი ან სხვა სალაპარაკო მოწყობილობა.

ჩანაწერებისათვის უნდა გამოიყენონ პერგამენტის ფურცლები და ეთილის სპირტში დასველებული არახაოიანი ხელსახოცით გაწმენდილი ბურთულიანი კალმები ან ფლომასტერები.

ასეპტიკურ ბლოკში მუშაობისას იკრძალება:

- ა)ასეპტიკურ ოთახში არასტერილური ტანსაცმლით შესვლა და ასეპტიკური ბლოკიდან სტერილური ტანსაცმლით გამოსვლა;
- ბ) სტერილური სანიტარიული ტანსაცმლის ქვეშ ხარიანი ტანსაცმლის ან ქუჩაში ჩასაცმელი ტანსაცმლის ტარება;
- გ) კოსმეტიკისა და აეროზოლიანი დეზოდორანტების ხმარება;
- დ) საათებისა და სამკაულების ტარება;
- ე) პირადი ნივთების (გასაღები, სავარცხელი, ცხვირსახოცი და ა.შ.) შეტანა;
- ვ)ცხვირის მოწმენდა. ამისთვის თანამშრომელი უნდა გამოვიდეს რაბში, გამოიყენოს სტერილური ცხვირსახოცი ან ხელსახოცი, შემდეგ დაიბანოს ხელები და ჩაიტაროს დეზინფექცია;
- ზ) მუშაობისას ძირს დაგდებული საგნების აღება და ხელმეორედ გამოყენება;
- თ) ფანჯრების, საშლელის, კალმიანი საწერი საშუალების ხმარება.

პერსონალის ხელების დამუშავება:

ხელების დამუშავება ხდება სპეციალურად განკუთვნილ ადგილებზე, იკრძალება ხელების დაბანა სააფთიაქო ჭურჭლის გასარეცხვის ნიჟარაში.

მიკროფლორისა და ჭუჭყის მექანიკური მოცილებისათვის ხელებს იბანენ საპნიო თბილ გამდინარე წყალში 1-2 წთ-ის განმავლობაში, საპონს უნდა ჰქონდეს ქაფის უხვად წარმოქმნის უნარი, შემდეგ ხელებზე საპნის მოსაშორებლად გადაივლებენ წყალს და დაიმუშავებენ სადეზინფექციო საშუალებით.

ასეპტიკურ ბლოკში (რაბში) ხელების დაბანის შემდეგ კარგად გაიმშრალებენ და იცვამენ სტერილურ ტანსაცმელს, ხელებს ჩამოიბანენ წყლით და დაიმუშავებენ სადეზინფექციო საშუალებით, დამუშავებას იმეორებენ თუ მუშაობის ხანგრძლივობა 4 სთ-ს აღემატება.

ხელების დეზინფექციისთვის გამოიყენება 70% ეთილის სპირტი და რომელიმე სპირტიანი პრეპარატი (АХД-2000, ოკტორიდერმი, ოკტონისეპტი), 0,5% ქლორჰექსიდინის ბიგლუკონატი (70% ეთილის სპირტში), იოდპირონის ხსნარი და სხვა, 1%-იანი იოდოფორებით (იოდონატი, იოდვიდონი), 0,5% ნ ქლორამინის ხსნარი (თუ არ არის სხვა პრეპარატები) და სხვა საშუალებები, რომელიც ნებადართულია შრომის, ჯანმრთველობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ.

სპირტიანი პრეპარატებით დეზინფექციისას ხელებს იწმენდენ ამ ხსნარში დასველებული დოლბანდის ხელსახოცით, ამით დეზინფექციასთან ერთად ხდება კანის მოთრიმვლაც. ქლორჰექსიდინის ხსნარის ან იოდოფორმის პრეპარატების გამოყენებისას 5-8 მლ-ს დაისხამენ ხელისგულზე და შეიზელენ კანში, ქლორამინით დამუშავებისას ჩაუშვებენ ხსნარში, 2 წთ-ის განმავლობაში იბანენ, შემდეგ იმშრალებენ.

მუშაობის შემდეგ ხელებს გადაიბანენ თბილი წყლით და დაიმუშავებნ დამარბილებელი საშუალებებით, მაგალითად, გლიცერინის, სპირტის, 10% ამიაკის და წყლის თანაბარი რაოდენობის ნარევით, რომელსაც ხმარების წინ კარგად შეანჯლრევენ, შეიძლება სხვა დამარბილებელი საშუალებების, მზა კრემების გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს ხელის კანის ელასტიკურობასა და გამძლეობას.

ჰაერისა და ზედაპირების დეზინფექცია

ასეპტიკურ სათავსებში ჰაერისა და სხვადასხვა ზედაპირების დეზინფექციისათვის იყენებენ ბაქტერიოციდულ ნათურებს (სტაციონარულ და გადასაადგილებელ დამასხივებლებს) ან ეკრანირებულ ნათურებს, ბაქტერიოციდული ნათურების რაოდენობა და სიმძლავრე უნდა შეირჩეს შემდეგი ანგარიშით:

არანაკლებ 2-2,5 ვტ-ის სიმძლავრის არაეკრანირებული გამომსხივებელი - სათავსის 1მ3 მოცულობაზე; ეკრანირებული ბაქტერიოციდული ნათურების შემთხვევაში 1 ვტ-ის 1 მ3-ზე; კედლის ბაქტერიოციდულ დამსხივებლებს აყენებენ ანგარიშით - 1 დამსხივებელი სათავსის 30 მ3-ზე; ჭერის - 1 ცალი სათავსის 60 მ3-ზე; გადასაადგილებელ ღია ნათურებს იყენებენ ჰაერის სწრაფი გაუვნებლებისთვის 100 მ3 მოცულობის სათავსებში. ოპტიმალური ეფექტი შეინიშნება 5 მ-ის დაშორებით დასასხივებელი ობიექტებიდან.

ბაქტერიოციდულ ნათურების (გამომსხივებლების) ექსპლუატაციის წესები:

ბაქტერიოციდული გამომსხივებლები წარმოადგენენ დაბალი წნევის აირგანმმუხრებელ ნათურებს, 254მ6. ტალღის სიგრძის მქონე ულტრაიისფერი გამოსხივებით, რომელიც შეესაბამება სხივური ენერგიის უდიდესი ბაქტერიოციდული მოქმედების არეს.

გამომსხივებლები ორგვარია:

- 1) არაეკრანული ნათურებიანი - ზედაპირისა და ჰაერის სწრაფი დეზინფექციისთვის (ადამიანების დაუსწრებლად);
- 2) ეკრანული ნათურებით - ჰაერის ზედა ფენების დასხივებისთვის (ადამიანების თანდასწრებით), ამ დროს ქვედა ფენების გაუვნებლობა ხდება კონვექციით.

არაეკრანული ნათურების გამოყენება:

1. არაეკრანული ბაქტერიციდული ნათურები გამოიყენება ადამიანების დაუსწრებლად შესვენების პერიოდში, ღამით ან სპეციალურად განკუთვნილ დროს - მუშაობის დაწყებამდე 1-2 საათით ადრე.
2. არაეკრანული ნათურების ჩამრთველები უნდა გაიმართოს საწარმოო სათავსის შესასვლელში სასიგნალო წარწერით „ჩართულია ბაქტერიციდული ნათურები“. არაეკრანული ნათურების მუშაობისას სათავსში ადამიანების ყოფნა აკრძალულია.
3. სათავსში შესვლა ნებადართულია არაეკრანული ბაქტერიციდული ნათურების გამორთვის შემდეგ, მითითებულ სათავსში ხანგრძლივად ყოფნა კი გამორთვიდან მხოლოდ 15 წთ-ის შემდეგ.
4. არაეკრანული ნათურების დაფენილი სიმძლავრე არ უნდა აღემატებოდეს სათავსის 1 მ³ მოცულობაზე ქსელიდან მოხმარებული სიმძლავრის 22,5 ვტს.
შენიშვნა: სათავსები, სადაც აყენებენ ბაქტერიციდულ ნათურებს:
სადისტილაციო, სამრუცხაო, სასტერილიზაციო, საასისტენტო,
ასეპტიკური სამკურნალო ფორმების სასტერილიზაციო.

ეკრანული ნათურების გამოყენება:

ადამიანების თანდასწრებით ჰაერის დეზინფექცია შეიძლება ჩატარდეს იატაკიდან არანაკლებ 2 მეტრ სიმაღლეზე დამონტაჟებულ სპეციალურ

არმატურაში მოთავსებული ბაქტერიოციდული ნათურებით, არმატურაში უნდა მიმართოს ნათურის სხივები ზემოთ, პორიზონტალური ზედაპირის მიმართ 50°C - 80°C -მდე კუთხით.

1. კურანული ბაქტერიოციდული ნათურები შეიძლება მუშაობდეს დღე-ღამეში 8 სთ-მდე. თუ არ არის საკმარისი ვენტილაცია, ნათურების 1,5-2 საათის განუწყვეტელი მუშაობის შემდეგ ჰაერში შეივრძნობა ოზონის დამახასიათებელი სუნი, რეკომენდებულია ნათურების გამორთვა 30-60 წთ-ით.
2. რაიმე ზედაპირის სპეციალური დასხივებისთვის შტატივიანი გამომსხივებელი დანადგარის გამოყენებისას ის მაქსიმალურად უნდა მივუახლოოთ ზედაპირს დასხივების ჩასატარებლად არანაკლებ 15 წთ-ის განმავლობაში.
3. კურანული ნათურების დადგენილი სიმძლავრე არ უნდა აღემატებოდეს სათავსის 1 მ3 მოცულობაზე ქსელიდან მოხმარებული სიმძლავრის 1 ვტ-ს.
4. ბაქტერიოციდული გამომსხივებლების მუშაობის ოპტიმალურ კლიმატურ პარამეტრებად ითვლება - გარემოს ჰაერის ტემპერატურა $18-25^{\circ}\text{C}$ და ფარდობითი ტენიანობა არა უმეტეს 65%.
5. ბაქტერიოციდული ნათურების მუშაობის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 1500 საათს. სპეციალურ ჟურნალში აუცილებლად უნდა აღირიცხოს თითოეული გამომსხივებლის მუშაობის ხანგრძლივობა, დაფიქსირდეს ნათურის ჩართვისა და გამორთვის დრო. ვადაგასული ბაქტერიოციდული ნათურების გამოყენება არ შეიძლება.

ბაქტერიოციდული გამომსხივებლების გარეთა ნაკეთობა შეიძლება დამუშავდეს სგელი სანიტარული წესით.

3.3. ჰიბიონური მოთხოვნები შენობის, აღჭურვილობისა და ინვენტარის სანიტარულ მოვლა-აატრონობაზე

სამუშაოს დაწყებამდე აუცილებელია შენობის სგელი წესით დასუფთავება (იატაკისა და აღჭურვილობის) დეზისაშუალებების გამოყენებით შენობის მხოლოდ მშრალი წესით დასუფთავება დაუშვებელია. საწარმოო სათავსების გენერალური დასუფთავება უნდა ჩატარდეს არანაკლებ კვირაში ერთხელ. უნდა გაირცხოს კედლები, კარები, იატაკი, აღჭურვილობა. ჭერი მტკრისგან უნდა გაიწმინდოს სგელი ჩვრით თვეში ერთხელ, ფანჯრის მინები, რაფები და მათ შორის სივრცეები უნდა გაირცხოს საპნიანი ან სხვა სარეცხის საშუალებიანი ცხელი წყლით, არანაკლებ თვეში ერთხელ.

საწარმოო სათავსებისა და საგაჭრო დარბაზების აღჭურვილობა ექვემდებარება ყოველდღიურ დასუფთავებას. სამკურნალო საშუალებების კარადები შესანახ-სამარაგო სათავსებში უნდა დასუფთავდეს საჭიროების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ კვირაში ერთხელ.

დასუფთავებისათვის საჭირო ინვენტარი უნდა იყოს მარკირებული და გამოყენებული მკაცრად დანიშნულების მიხედვით. ისინი უნდა ინახებოდეს სპეციალურად მიჩენილ ადგილას (ოთახში, კარადაში) განცალკევებით. საწარმოო აღჭურვილობის დასასუფთავებელი ჩვრები დეზინფექციისა და გაშრობის შემდეგ უნდა ინახებოდეს მარკირებულ, მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში (ქილა, ქვაბი და სხვა). ასეპტიკური ბლოკის დასასუფთავებელი ინვენტარი უნდა ინახებოდეს ცალკე.

ასეპტიკური ბლოკის სათავსის დასუფთავება (იატაკებისა და აღჭურვილობის) უნდა ხდებოდეს ცვლაში არანაკლებ ერთხელ, სამუშაოს ბოლოს, სადეზინფექციო ხსნარების გამოყენებით კვირაში ერთხელ უნდა ჩატარდეს გენერალური დალაგება-დასუფთავება აღჭურვილობის შეძლებისდაგვარი გატანით.

ასეპტიკური ბლოკის დასუფთავებისას მკაცრად უნდა იქნეს დაცული სტადიების თანმიმდევრობა. პირველად უნდა გაირეცხოს პედიატრი ჰერიდან იატაკამდე, ზემოდან ქვემოთ. შემდეგ უნდა გაირეცხოს და დეზინფექცია ჩატარდეს სტაციონარულ აღჭურვილობას, ხოლო ბოლოს იატაკს. ასეპტიკურ ბლოკში შეტანილ აღჭურვილობას და ავეჯს წინაწარ ამუშავებენ სადეზინფექციო სსნარით. ზედაპირების დასუფთავებისა და დეზინფექციისათვის რეკომენდებულია პარალონის ღრუბლები და შემოკეცილკიდებიანი არაბოჭკოვანი ქსოვილით მომზადებული ხელსაწმენდები. იატაკის საწმენდი ჩვრები უნდა იყოს შემოკეცილკიდებიანი უხეში ნაჭრები. სადეზინფექციო ხსნარების მომზადება უნდა ხორციელდებოდეს სპეციალურად განსწავლული პერსონალის მიერ, მოქმედი ინსტრუქციების შესაბამისად.

საწარმოო ნარჩენები და ნაგავი უნდა შეგროვდეს სპეციალურ კონტეინერებში მოძრავი სახურავით და გატანილი უნდა იქნეს არანაკლებ ცვლაში ერთხელ.

ხელის დასაბანი ნიჟარები, სანიტარული კვანძები და ნაგვის კონტეინერები უნდა გაიწმინდოს, გაირეცხოს და ჩატარდეს დეზინფექცია ყოველდღე. სანიტარული დღე უნდა მოეწყოს თვეში ერთხელ (ერთდროულად ზედმიწევნით დასუფთავებასთან ერთად, შეიძლება ჩატარდეს მცირე მიმდინარე რემონტი).

სადეზინფექციო რეჟიმი სხვადასხვა მასალის საგნებისათვის (თერმული)

ობიექტის დასახელება	მაღეზინფი-ცირებელი აგნტი	თერმული მეთოდით დეზინფექციის რეჟიმი				დეზინფექციის ჩატარების პირობები
		t^0_{C}		დაყოვნების რეჟიმი		
მინის, მეტალის, თბოფამძლე პოლიმერული მასალების, რეზინის ნაკეთობები (შპადელები, ბაკრატლები, პინცენტები, მილები, ხელის დასაბანი ჯაგრისები, ჯაგრისები)	გაწმენდილი წყალი ან გაწმენდილი წყალი 2% ნატრიუმის ჰიდროკარბონატით	98	+ -1	30 15	+5	დუღილი ნაკეთობის მთლიანად წყალში ჩაყურსვით სადეზინფექციო მადუდარა
მინის, მეტალის, რეზინის, ლატექსისა და თბოფამძლე პოლიმერების ნაკეთობები	წყლის ნაჯერი ორთექლ-ჭრბი წნევის ქვეშ. P=0B05 გვ 0,5გრ/ს cm^2	110	+ -2	20	+5	ორთექლის სტერილუზატორში, სასტერილუზაციო ფუთებში შეფუთვით
ხელის დასაბანი ჯაგრისები		120		20		
მინის და მეტალის ნაკეთობები	მშრალი ცხელი ჰაერი	120	+ -4	45	+5	საპაერო სტერილუზატორში შეუფუთვად,
დასასუფთავებელი ჩვრები	წყალი	98	+ -1	30	+5	გარეცხვის შემდეგ გამოხარშვა - წყალში მთლიანად ჩაყურსვით

**I. ცალკეული ობიექტების სტერილიზაციის რეჟიმები და მეთოდები
ორთქლის მეთოდი (წყლის ნაჯერი ორთქლით ჭარბი წნევის ქვეშ)**

ობიექტის დასახელება	სტერილიზაციის რეჟიმი						ორთქლის სტერილიზა ტორში სტერილიზა ციის ჩატარების პირობები	სტერილობის შენახვის ვადა
	სასტერილიზაციო კამე რაში MPA ორთქლის წნევა კმ ² /გ ²							
	ნომინ. მნიშვნ.		გადახრის ზღვარი		ნომინ. მნიშ ვნ	გადახრის ზღვარი	ნომინ. მნიშვნ.	გადა ხრის ზღვა რი
მინის ჭურჭელი, სანაეფი (როდინი), მინის, ტექსტილის ნაკეთობები (ხალისები, ბამბა, მარლა, ფილტრის ქადალიდა; კორიზიამდგრა დი მეტალი.	0,20 (2,0) 0,11 (0,11)	+ _ 0,02 + _ 0,2 + 0,02 (+0,2)	132 120	+ _ 2 +3	20 45	+2 +3	სტერილიზა ციის ატარებენ შეფუთვის გარშეან სასტერილიზ აციო ყუთებში ან ა და ბ მარკის ჰერაცენტრის ნახვებში ან მინის ქილებში.	შეფუთული ნაკიონბების სტერილი- ზაიის ვადა 3 დღე
რეზინის, ლატექსის და ზოგიერთი პოლიმერული მასალის (ბადლი სიმკრივის პოლიეთილენის, ПВХ პლასტიკატის, ფტორიპალსტის ა და ლივრნის პოლიბირთვულ ი ფილტრებს) ნაკეთობები.							სტერილიზა ციის ატარებენ (ან-ან) _ შეფუთავად; _ სასტერილიზ აციო ყუთებში; _ ნარმის ორმრან ნახვებში; _ ა და ბ ტიპის ჰერაცენტრის ჭადლდში; _ მინის ჭოლებში ან ჭოლბებში.	
შენიშვნა: ორთქლით სტერილიზაციის დროს ტემპერატურული რეჟიმის კონტროლს ახორციელებენ 150°C სკალის მქონე მაქსიმალური თერმომეტრით ან თერმოორთქლით. ქიმიურ თერმოტესტად იყენებენ ბენზოლის მჟავას ნარევს ფუქსინთან (10:1), დნობის ტემპერატურა – 121°C.								

II სტერილიზაციის საპარო მეთოდი (მშრალი, ცხელი ჰაერით)

ობიექტის დასახელება	სტერილიზაციის რეჟიმი				საპარო სკერილიზატორში სტერილი ზურის ჩატარების პირობები	სტერილობის შენახვის ვადა
	სასტერილიზაციო სამუშაო ტემპერატურა 0°C				სასტერილიზაციო დაყოვნების დრო წთ-ში	
	ნომინ. მნიშვნ.		ზღვრული გადახრა		ნომინ. მნიშვნ.	ზღვრული გადახრა
მინის ჭურჭელი, სანაეფი (როდინი), მინის, მეტალისა და სილიკონის ნაკეთობები	180 160	+2 _10 +2 _10	60 150	+5	სტერილიზაციას ეპიმეტბარება შერალი საგრები: _ ქადალის შეფუთვაში (ტენგამძლე და გაუმტარ ტომრებში); _ შეფუთავად, და ჭურჭელში	_ შეფუთულად გასტერილუებული ინაზება 3 დღე-დამე; _ შეფუთავად უნდა გამოყნებულ იქნეს უსუალოდ სტერილიზაციის შემდეგ;
შენიშვნა: სააფთიაქო ჭურჭელს, სტერილიზატორში ტემპერატურის 60-70°C- მდე დაწევის შემდეგ, იღებენ და მაშინვე ახურავენ სტერილურ საცობებს; საპარო სტერილიზაციის კონტროლს ახორციელებენ ინდიკატორის ქაღალდით (N 6 თერმოინდიკატორული საღებავის საფუძველზე), რომელიც 160°C- ზე იცვლის ფერს, ან იყენებენ ქიმიურ თერმოტესტებს: საქართვა, თიოშარდოვანა – დნობის ტემპერატურა 180°C, ჰიდროხინონი – დნობის ტემპერატურა 170°C.						

II. სტერილურაციის ქიმიური მეთოდი (ქიმიური პრეპარატების ხსნარები)

ობიექტის დასახელება	მასტერი ლებლი აგნეტი	სტერილურაციის რეჟიმი			სტერილურაციის ჩატარების პირობები	მასტერილური ნაკეთობის შენახვის ვადა
		სასტერილურაციო სამუშაო ტემპერატურა 0°C			სასტერილურაციო დაყოვნების დრო წთ-შთ	
		ნომინ. მნიშვნ.	ზღვრული გადახრა	ნომ ინ. მნიშვნ.	ზღვრული გადახრა	
მინისა და კოროზიამდგრადი მტბალებისა და შენადნობების, პილმერული მასალების, რეზინის ნაკეთობები	წ-ანი წულის დის ზეპანგის ხსნარი გოსტ- 77-88	18 50	- + _2	360 180	+ _5 + _5	მინის, პლასტმასის ან დებუზიანგებულ ემლით დაფარულ დახურულ ჭურჭელში სტერილურაციას ატარებზე ნაკოთობის მთლიანად სსნარში ჩაყრისით, სასტერილურაციო დაყოვნების დროის განსაკლიმაში, რის შემდგაც ნაკოთობებს რეცხავნ სტერილური წყლით, სტერილურ ჭურჭელში. _ 3დღე-დამე

3.4. სანიტარულ-პიგიენური მოთხოვნები აზოიაზის პერსონალის მიმართ

თამანშრომლები ინფექციური დაავადებებითა და კანის დაზიანებებით სამუშაოზე არ დაიშვებიან, გამოვლენილი ავადმყოფები იგზავნებიან მკურნალობისა და სანაციისთვის. სამუშაოზე დაიშვება მხოლოდ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებიდან გამოჯანმრთელების შესახებ მოტანილი ცნობის საფუძველზე.

პერსონალი ვალდებულია დაიცვას პირადი პიგიენისა და საწარმო სანიტარიის წესები, ატაროს შესასრულებელი ოპერაციების შესაბამისი სპეციალური ტანსაცმელი.

აფთიაქში შესვლისას პერსონალი ვალდებულია საგარდერობოში გაიხადოს გარეთა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, დაიბანოს და დეზინფექცია ჩაუტაროს ხელებს, ჩაიცვას სანიტარული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. აკრძალულია აფთიაქის ტერიტორიიდან სანიტარული ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით გამოხვდა. მწვავე რესპირატორული დაავადებების გავრცელების პერიოდში აფთიაქის თანამშრომლებმა უნდა ატარონ სპეციალური ნიღბები.

სანიტარული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი აფთიაქის თანამშრომლებს ეძლევათ მოქმედი ნორმების შესაბამისად შესასრულებელი საწარმო ოპერაციების გათვალისწინებით. სანიტარული ტანსაცმლის გარეცხვა უნდა მოხდეს არანაკლებ კვირაში ორჯერ, ხოლო ფეხსაცმლის – ყოველდღიურად. სპეციალური ტანსაცმლის კომპლექტი ასეპტიკურ ბლოკში მოჟუშე პერსონალისათვის სამუშაოს დაწყების წინ უნდა იყოს სტერილური. მიზანშეწონილია ამ ტანსაცმელს ჰქონდეს განმასხვავებელი ნიშნები, მაგალითად, თეთრის გარდა იყოს სხვა ფერის ან ჰქონდეს დამატებითი დეტალი, რაც საშუალებას მოგვცემს ადვილად შევამჩნიოთ წესრიგის დარღვევა და პერსონალის გადადგილება ასეპტიკურ ზონაში, სათავსებს შორის ან ასეპტიკური ბლოკის გარეთ, სხვა საწარმოო ზონებში.

წარმოების პერსონალი რეგულარულად უნდა ღებულობდეს შხაპს, ზედმიწევნით უნდა იცავდეს ხელების სისუფთავეს, უნდა ჰქონდეს მოკლედ შეჭრილი, ლაქით დაუფარავი ფრჩხილები.

პერსონალს ეკრძალება საკვების მიღება, თამბაქოს მოწევა, აგრეთვე საკვების, თამბაქოს და პირადი სამკურნალო საშუალებების შენახვა აფთიაქის

საწარმოო და მზა პროდუქციის სათავსებში. ხალათის ჯიბეებში არ უნდა ჰქონდეს პირადი მოხმარების საგნები, გარდა აუცილებელი გამონაკლისისა (ცხვირსახლი, სათვალე და სხვა).

ასეპტიკურ ბლოკის პერსონალი, სპეციალური ცოდნისა და სამუშაო პრაქტიკული გამოცდილების გარდა, უნდა ფლობდეს ჰიგიენისა და მიკრობიოლოგიის საფუძვლებს, რათა შეგნებულად შესარულოს სანიტარული წესები და ნორმები, მზად უნდა იყოს სამუშაო დროს შესასრულებელი ისეთი უხერხულობებისადმი, როგორიცაა ხელების სისტემატური დამუშავება, მკაცრად დაცული თანმიმდევრობით ტანსაცმლის გამოცვლა, ნიღბისა და რეზინის ხელთაომანების ტარება და სხვა.

არსებული ღოკუმენტების საფუძველზე წარმოების პერსონალისათვის უნდა იქნეს შემუშავებული და განმტკიცებული პირადი ჰიგიენის, შენობაში შესვლისა და გამოსვლის, დასუფთავების რეგლამენტის, ნაკეთობებისა და მასალების ტრანსპორტირების (ტექნოლოგიური პროცესის მსვლელობის შესაბამისად) წესები, მოცემული სააფთიაქო წარმოების თავისებურებების გათვალისწინებით. პირადი ჰიგიენის წესებისა და ღონისძიებების დაცვა, სანიტარული ტანსაცმლის გამოყენებაზე მოთხოვნების ჩათვლით, ევალება ყველა საწარმოო შენობაში შემსვლელს, დროებით და მუდმივ მუშაკებს და სხვა პირებს (სტუმრები, ინსპექცია, ხელმძღვანელობა და სხვა).

აფთიაქის თანამშრომლები აფთიაქში მუშაობის დროს ვალდებული არიან დაიცვან ტექნიკური უსაფრთხოებისა და საწარმოო სანიტარიის წესები.

აფთიაქში პერსონალისათვის გათვალისწინებულია სანიტარულ-საყოფაცხოვრებო სათავსების შედგენილობა:

- ა) საგარდერობო - ინდივიდუალური კარადებით სიითო შემადგენლობის 100%-ზე გარეთა, სახლისა და სანიტარიული ტანსაცმლის განცალკევებულად შესანახად. სახლისა და სანიტარიული ტანსაცმლის საგარდერობოების ფართობი უნდა გაანგარიშდეს ორმაგ კარადაზე - 0,55 მ2 და დამატებით გასასვლელების ფართობი;
- ბ) გარეთა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გარდერობი - 0,08 მ2 თითო საკიდისთვის (60% მომუშავეზე) ორცვლიანი სამუშაოს დროს, ხოლო 100% ერთცვლიანის დროს;
- გ) სანიტარიული კვანძები (სანიტარიული ხელსაწყოების რაოდენობა - გამომდინარე მომუშავეთა რიცხვიდან);
- დ) სათავსები საკვების მისაღებად და დასასვენებლად იზოლირებული უნდა იყოს სხვა სათავსებისაგან.

3.5. ჰიგიენური მოთხოვნები გაფარდილი და საინექციო ფქლის მიღების, ტრანსაროტირებისა და შენახვისადმი

არასაინექციო სტერილური და არასტერილური სამკურნალო საშუალებების დასამზადებლად იყენებენ გაწმენდილ წყალს, რომელიც მიიღება დისტილაციით, უკუსმოსით, იონცვლითი და სხვა ნებადართული ხერხით. გაწმედილი წყლის მიკრობიოლოგიური სისუფთავე უნდა შეესაბამებოდეს სასმელ წყლებზე წაყენებულ მოთხოვნებს, მასში დაიშვება 1 მლ-ზე არა უმეტეს 100 მიკრორგანიზმისა _ Enterobacteriaceae, P. aeruginosa, S. aureusის არარსებობით. ასეპტიკურად დამზადებული სტერილური არასაინექციო სამკურნალო საშუალებების დამზადებისათვის აუცილებელია წყლის სტერილიზაცია.

საინექციო ხსნარების დასამზადებლად იყენებენ საინექციო წყალს, რომელიც უნდა უძლებდეს გაწმენდილ წყალზე გამოცდას და აგრეთვე უნდა იყოს

აპიროგენულიც. გაწმენდილი წყლის მიღება და შენახვა უნდა ხდებოდეს ამ მიზნისათვის სპეციალურად აღჭურვილ ოთახში.

საინექციო წყლის მიღება უნდა ხდებოდეს ასეპტიკური ბლოკის სადისტილაციო სათავსში, სადაც კატეგორიულად იკრძალება ყველანაირი სამუშაოს ჩატარება, რომელიც არ არის დაკავშირებული წყლის გადადენასთან.

გაწმენდილ წყალს ინახავენ ახლადმომზადებულს ან ინახავენ დახურულ ჭურჭელში, რომელიც დამზადებულია ისეთი მასალისაგან, რომელიც არ ცვლის წყლის თვისებებს და იცავს მას სხვაგვარი ნაწილაკებისაგან, მიკრობიოლოგიური დაბინძურებისაგან არა უმეტეს 3 დღე-დამისა.

საინექციო წყალს გამოიყენებენ ახლადმომზადებულს ან ინახავენ $5-10^0$ C ან $80-95^0$ C ტემპერატურაზე, დახურულ ჭურჭელში, რომელიც დამზადებულია ისეთი მასალისაგან, რომელიც არ შეცვლის წყლის თვისებებს, დაიცავს მას მექანიკურ ჩანართების მოხვედრისაგან და მიკრობიოლოგიური დაბინძურებისაგან 24 სთ-ის მანძილზე.

გაწმენდილი და საინექციო წყლის მიღება ხდება აკვადისტილატორების ან ამ მიზნისთვის სხვა ნებადართული ხელსაწყოების საშუალებით.

აკვადისტილატორის საშუალებით წყლის მისაღებად ყოველდღიურად მუშაობის დაწყებამდე აუცილებელია 10-15 წთ-ის განმავლობაში აორთქლების წარმოება დახურული ვენტილით აკვადისტილატორსა და მაცივარში წყლის მიწოდებით 15-20 წუთის განმავლობაში. მიღებული პირველი წყლის ულუფა უნდა გადაიღვაროს. ამის შემდეგ უნდა მოხდეს წყლის შეგროვება.

მიღებულ გაწმენდილ ან საინექციო წყალს აგროვებენ გასტერილებულ ან ორთქლით დამუშავებულ სამრეწველო წარმოების შემგროვებლებში, რომელთაც უნდა ჰქონდეს წარწერა „გაწმენდილი წყალი“. სამუშაო ადგილებზე წყლის მიწოდებას ახორციელებენ მილგაყვანილობით ან ბალონებით. მილგაყვანილობა უნდა დამზადდეს მედიცინაში გამოსაყენებლად დაშვებული მასალებისაგან, რომლებიც არ უცვლის წყალს თვისებებს. რეცხვის, დეზინფექციისა და მიკრობიოლოგიური ანალიზისათვის გაწმენდილი წყლის სინჯების ასაღებად ყოველ $5-7$ მ-ში უნდა იქნეს გათვალისწინებული გამანაწილებლები გარეთა გამომყვანითა და ონკანებით.

მილგაყვანილობის გაუსწევებოვნებისათვის თბოგამძლე მასალების შემთხვევაში, მასში ატარებენ მწვავე ორთქლს. დროის ათვლას იწყებენ მილსადენის უკანასკნელი ნაწილიდან ორთქლის გამოსვლის მომენტიდან. დამუშავებას აწარმოებენ 30 წთ-ის განმავლობაში. პოლიმერული მასალებისგან და მინისგან დამზადებულ მილგაყვანილობას შეიძლება სტერილიზაცია ჩაუტარდეს 6% წყალბადის ზეჟანგის სხნარით 6 სთ-ის განმავლობაში, შემდგომ გაწმენდილი წყლის ზედმიწევნით გამოვლებით. ამის შემდეგ ახორციელებენ გასინჯვას აღმდეგნი ნივთიერებების არსებობაზე. მილსადენის დამუშავების შესახებ რეგისტრაციას ახდენენ სპეციალურ უურნალში. პიროგენული ნივთიერებებისაგან გასაწმენდ მინის მილებს და ჭურჭელს ამუშავებენ კალიუმის პერმანგანმატის შემჟავებული სხნარით 25-30 წთ-ის განმავლობაში. სხნარის მოსამზადებლად 10 წილ 1 % კალიუმის პერმანგანატს უმატებენ 6 წილ 1,5% გოგირდმჟავას სხნარს. მილების და ჭურჭლის დამუშავების შემდეგ მათ ზედმიწევნით გარეცხავენ ახლადმომზადებული საინექციო წყლით.

აფთიაქის ხელმძღვანელობის მიერ ინიშნება პირი, რომელიც პასუხისმგებელია გაწმენდილი წყლის მიღებაზე.

3.6. სანიტარული მოთხოვები ასეპტიკურ პირობებში ჭამლის მომზადებისადმი

ასეპტიკურ პირობებში ჭამლის მოსამზადებელი სათავსი უნდა განცალკევდეს, აღიჭურვოს და დამუშავდეს სანიტარული წესებისა და ნორმების შესაბამისად.

ასეპტიკურ პირობებში ჭამლის მოსამზადებლად საჭიროა სამკურნალო ნივთიერებები დაბინძურებისაგან დასაცავად ინახებოდეს შტანგლასებში და მჭიდროდ დახურულ კარადაში, ყოველი შეესების წინ შტანგლასები უნდა ირეცხებოდეს და სტერილდებოდეს. დამხმარე მასალა უნდა მომზადდეს, გასტერილდეს და შეინახოს დახურულ მდგომარეობაში არა უმეტეს 3 დღე-დამის განმავლობაში.

შესაფუთი საშუალებებისა და დამხმარე მასალის დამუშავება:

რეზინის ახალ საცობებს რეცხავენ ხელით ან სარეცხი მანქანებით ცხელ წყალში ($50-60^{\circ}\text{C}$) სარეცხი საშუალების 0,5%-იანი ხსნარით 3 წთ-ის განმავლობაში (საცობების წონისა და სარეცხი საშუალების ხსნარის შეფარდება 1:5), გარეცხავენ $5-ჯერ$ ცხელ მიღსადენის წყალში, ამასთან ყოველ ჯერზე წყალს ცვლიან ახლით და ერთჯერ რეცხავენ გამოხდილ წყალში. გამოხარშავენ ნატრიუმის ჰიდროკარბონატის 1%-იან ხსნარში 30 წთ-ის განმავლობაში, გარეცხავენ ერთჯერ გამდინარე წყლით და $2-ჯერ$ გამოხდილი წყლით. შემდეგ მოათავსებენ მინის ან ემალირებულ ჭურჭელში, ასხამენ გამოხდილ წყალს, დახურავენ და აყოვნებენ ორთქლის სტერილიზატორში 120°C -ზე 30 წთ-ის განმავლობაში. ამის შემდეგ წყალს გადაღვრიან, საცობებს ერთხელ კიდევ გაავლებენ გამოხდილ წყალში.

დამუშავების შემდეგ საცობებს ასტერილუბენ ბიქსებში ორთქლის სტერილიზატორით 120°C 45 წთ-ის განმავლობაში. გასტერილებულ საცობებს ინახავენ დახურულ ბიქსებში არა უმეტეს 3 დღე-დამე. ბიქსის გახსნის შემდეგ საცობები უნდა გამოიყენონ 24 სთ-ის განმავლობაში. მარაგის დამზადების დროს რეზინის საცობებს დამუშავების შემდეგ სტერილიზაციის გარეშე აშრობენ საჭაერო სტერილიზატორში არა უმეტეს 50°C 2 სთ-ის განმავლობაში და ინახავენ არა უმეტეს 1 წლით დახურულ ბიქსებში ან ქილებში გრილ ადგილას. ხმარების წინ რეზინის საცობებს ასტერილებენ ორთქლის სტერილიზატორში 120°C 45 წთ.

ალუმინის ჩაჩებს დათვალიერებისა და წუნდების შემდეგ 15 წთ. აყოვნებენ $70-80^{\circ}\text{C}$ -მდე გამობარი სარეცხი საშუალების 1-2%-იან ხსნარში, ჩაჩების მასის სარეცხი ხსნარის მოცულობასთან შეფარდებაა 1:5. ხსნარს გადაღვრიან და ჩაჩებს რეცხავენ გამდინარე მიღსადენის წყლით, შემდეგ გამოხდილი წყლით, გაწმენდილ ჩაჩებს ათავსებენ ბიქსებში და აშრობენ საჭაერო სტერილიზატორში $50-60^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე, ინახავენ დახურულ ჭურჭელში (ბიქსებში, ქილებში, კოლოფებში) ისეთ პირობებში, რომელიც გამორიცხავს მათ დაბინძურებას.

პოლიეთილენის ახალ საცობებს რამდენჯერმე რეცხავენ 60°C ტემპერატურის წყალსადენის ცხელ წყალში. შენახვის პროცესის დროს დაბინძურების შემთხვევაში საცობებს წინასწარ რეცხავენ სარეცხი საშუალებით, შემდეგ ავლებენ გამოხდილ წყალში, ასტერილებენ 6%-იან წყალბადის ზეჟანგის ხსნარში ჩაშვებით 6 სთ., რის შემდეგაც გარეცხავენ გამოხდილი წყლით და აშრობენ საჭაერო სტერილიზატორში $50-60^{\circ}\text{C}$. გამშრალ საცობებს ინახავენ სტერილურ მიღესილსაცობიან ქილებში ან ბიქსებში 3 დღე-დამის განმავლობაში.

პლატმასის ახალ მოსახრახნ საცობებს რამდენჯერმე რეცხავენ ცხელი 50-60 °C ტემპერატურის მიღსადენის წყლით, ხოლო დაბინძურებულს – სარეცხი საშულების გამოყენებით, შემდეგ აშრობენ საპაერო სტერილიზაცორში 50-60°C ტემპარატურაზე, გამშრალ საცობებს ინახავენ დახურულ კოლოფებში, ყუთებში ისეთ პირობებში, რომელიც გამორიცხავს მათ დაბინძურებას.

დამხმარე მასალა სტერილიზაციისთვის თავსდება ბიქსებში (ქილებში) გამოყენებისათვის გამზადებული სახით (პერგამენტის და ფილტრის ქალალდი) დოლბანდი იჭრება საჭირო ზომის ნაჭრებად, ბამბისგან მზადდება ტამპონები და ა.შ.) ასტერილებენ ორთქლის სტერილიზაცორში 120°C ტემპერატურაზე 45 წთ-ის განმავლობაში, ინახავენ დახურულ ბიქსებში ან ქილებში 3 დღე-დამის განმავლობაში, გახსნის შემდეგ მასალა გამოიყენება 24 სთ-ის განმავლობაში მასალის ყოველი აღების შემდეგ ბიქსი ან ქილა მჰიდროდ უნდა დაიხუროს, ამოდებას აწარმოებენ სტერილური პინცეტით.

სააფთიაქო ჭურჭლის შესაბამისი დამუშავების შემდეგ უნდა გამოიყენონ დანიშნულებისამებრ ან დაიხუფოს და შეინახოს მჰიდროდ დახურულ კარადებში.

სააფთიაქო ჭურჭლის დამუშავება:

მინის ჭურჭლის დამუშავება მოიცავს შემდეგ ტექნოლოგიურ ოპერაციებს:

- ა) დეზინფექცია;
- ბ) ჩაღმობა და გარეცხვა (ან გარეცხვა-დეზინფექციით დამუშავება);
- გ) გავლება;
- დ) გაშრობა (ან სტერილიზაცია);
- ე) დამუშავების ხარისხის კონტროლი.

ხმარებაში მყოფი ჭურჭლის დეზინფექცია:

- ა) სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების ინფექციური განყოფილებიდან ან მოსახლეობიდან შემოსულ ჭურჭლებს სავალდებულო წესით უკეთდება დეზინფექცია;
- ბ) დეზინფექციისთვის გამოიყენება აქტივირებული ქლორამინის 1%-იან ხსნარში 30 წთ-ით ჭურჭლის ჩაშვება (ჩაყურსვა) ან 3%-იან წყალბადის ზეჟანგის ხსნარში 80 წთ-ით ჩაშვება (ჩაყურსვა);
- გ) სადეზინფექციო ხსნარებს ამზადებენ მინის, პლასტმასის ან ემალით დაფარულ (დაუზიანებელი ემალი) ჭურჭლები იმ რაოდენობით, რომელიც საჭიროა დასამუშავებელი ჭურჭლის სრული (ჩაყურსვისთვის) ჩაშვებისთვის;
- დ) აქტივირებული ქლორამინის ხსნარს ამზადებენ ქლორამინის გახსნით წყალსადენის წყალში (100გ-10 ლ სამუშაო ხსნარში), შემდგომ მასში უმატებენ თანაბარი რაოდენობის აქტივატორს (ამონიუმის ქლორიდი, სულფატი, ან ნიტრატი);
- ე) 10ლ 3%-იან წყალბადის ზეჟანგის დასამზადებლად იღებენ 1200მლ პერპიდროლს და უმატებენ წყლის შესაბამის რაოდენობაში;
- ვ) დამზადებული სადეზინფექციო ხსნარები უნდა ინახებოდეს არა უმეტეს 24 სთ. დაუშვებელია ერთი და იმავე ხსნარის განმეორებით გამოიყენება. ჭურჭლებს ჩაუშვებენ სადეზინფექციოხსნარიან ავზში და დატოვებენ გარკვეული დროით (30-80წთ);

ზ) დეზინფექციის შემდეგ ჭურჭელს გარეცხავენ გამდინარე წყალსადენის წყლით სადეზინფექციო საშუალების სუნის გაქრობამდე და შემდეგ რეცხავენ სარეცხი საშუალებიანი ხსნარით.

სააფთიაქო ჭურჭლის გარეცხვა:

- სააფთიაქო ჭურჭელს (ახალს ან დეზინფექციის შემდეგ ნახმარს) ჩააღმობენ შესაბამისი კონცენტრაციის სარეცხი საშუალების ხსნარში. სარეცხ საშულებას ხსნიან $50\text{-}60^{\circ}\text{C}$ ტემპერატურამდე გამთბარ წყალში, ჭურჭელს აღმობენ ხსნარში 25-30 წთ-ის განმავლობაში მთლიანი ჩაძირვით. ძალიან ჭუჭიან ჭურჭელს აყოვნებენ უფრო ხანგრძლივი დროით, ამავე ხსნარში რეცხავენ ჭურჭელს ჯაგრისის საშუალებით. ჭურჭლის გარეცხვას მდგოვით აწარმოებენ ცხელ წყალში.
- სინთეტური სარეცხი საშუალების გამოყენებისას რეცხვა და გავლება შეიძლება სარეცხი მანქანის დახმარებით.

ჭურჭლის გარეცხვა-დეზინფიცირებით დამუშავება:

- ყველაზე რაციონალურია შემოსული ჭურჭლის დამუშავება ჩატარდეს სარეცხი-სადეზინფექციო საშუალებით. ამ მიზნით ძლიერ ჭუჭიანი ჭურჭლისთვის მიზანშეწონილია ჭურჭლის დაყოვნება 120 წთ-ით $0,2\%$ -იან $\Delta\text{P}-2$ -ის ან ქლორცინის 1% -იან ხსნარში. დანარჩენი ჭურჭლისთვის გამოიყენება ქლორცინის $0,5\%$ -იან ხსნარი, $0,1\%$ -იან $\Delta\text{P}-2$ -ის ხსნარი ან 3% -იან წყალბადის ზუյანგის ხსნარი $0,5\%$ -იან სარეცხ საშუალებასთან ერთად.
- სამუშაო ხსნარის მოსამზადებლად გამოიყენება დახურული მინის, პლასტმასის ან ემალით დაფარული (დაუზიანებელი ემალი) ჭურჭელი. 10cm სამუშაო ხსნარისთვის საჭიროა $50,0$ -მლ ქლორცინი ან $10,0$ -მლ $\Delta\text{P}-2$ -ის ან $1,2$ ლ. პერკიდოროლი $50,0$ -მგ სარეცხ საშუალებასთან ერთად.
- ჭურჭელს მთლიანად ჩაძირავენ $40\text{-}50^{\circ}\text{C}$ თბილ წყალში, აყოვნებენ მასში 15 წთ-ს, შემდეგ გარეცხავენ ამავე ხსნარში ჯაგრისით, ამის მერე ირეცხება ცხელი გამდინარე წყალსადენის წყლით სადეზინფექციო საშუალების სუნის სრულ გაქრობამდე, მაგრამ არანაკლებ $5\text{-}7$ -ჯერ. ჭურჭლის საბოლოო ჩამორეცხვა ხდება გამოხდილი წყლით.

სააფთიაქო ჭურჭლის გავლება:

- მინის ჭურჭლის გავლება ხდება წყალსადენისა და გამოხდილი წყლით. სააფთიაქო ჭურჭელს ავლებენ წყალსადენის წყალში 7 -ჯერ, შემდეგ გამოხდილ წყალში 1 -ჯერ.
- მდოგვით დამუშავებისას ჭურჭელს წყალსადენის წყალში ავლებენ 5 -ჯერ. სტერილური ხსნარების დასამზადებლად განკუთვნილ მინის ჭურჭელს ავლებენ წყალსადენის წყალში 5 -ჯერ, ხოლო გამოხდილ წყალში 3 -ჯერ. ბოლო გავლება სასურველია ჩატარდეს საინექციო წყლით, რომელიც გაფილტრულია 5 მკ ფილტრში.

ჭურჭლის გაშრობა და სტერილიზაცია:

- სუფთა ჭურჭელს აშრობენ და ინახავენ დახურულ კარადებში. საინექციო ხსნარებისა და თვალის წვეთებისთვის განკუთვნილ ფლაკონებს ასტერილებენ. სტერილიზაციის რეზიმი: ცხელი ჰაერით - 180°C ტემპერატურაზე 60 წთ. ან

გაჯერებული ორთქლით წნევის ქვეშ 120°C ტემპერატურაზე 45 წთ. ტემპერატურის $60-70^{\circ}\text{C}$ ტემპერატურამდე დაწევის შემდეგ ჭურჭელს გამოიღებენ, დახუფავენ სტერილური საცობით და გამოიყენებენ ხსნარის ჩამოსხმისთვის.

დამუშავების ხარისხის კონტროლი:

- ა) გარეცხილი ჭურჭლის სისუფავის კონტროლი ტარდება ვიზუალურად (ამორჩევით), მასში არ უნდა იყოს გარეშე ჩანართები, ლაქები, ცხიმის წვეთები. გამოვლების შემდეგ ფლაკონის კედლებიდან წყალი თანაბრად უნდა ჩამოედინოს. ჭურჭლის ზედაპირზე ცხიმოვანი დაბინძურების აღმოჩენის კონტროლი ტარდება სუდან III-ის შემცველი რეაქტივით. ამისთვის გარეცხილი და გამშრალებული ჭურჭლის შიგნითა ზედაპირს ასველებენ 3-5 მლ. შეფერილი ხსნარით, ანაწილებენ მას გამოსაკვლევ ზედაპირზე 10 წმ-ის განმავლობაში. ამის შემდეგ სწრაფად ჩამორეცხავენ წყლის ჭავლით, ჭურჭლის შიგნითა ზედაპირზე არ უნდა დარჩეს ყვითელი ლაქა და ცხიმის წვეთები.
- ბ) შეფერილი ხსნარის მომზადება: 60°C ტემპერატურამდე გამთბარ 70მლ 90%-იან ეთილის სპირტში ხსნიან 0,2 გ. სუდან III-ის ფხვნილსა და მეთილენის ლურჯს, შემდეგ უმატებენ 20-25%-იანი ამიაკის ხსნარის 10მლ-ს და დისტილირებული წყლის 20 მლ-ს და ანჯლრევენ. ხსნარი ვარგისია 6 თვის განმავლობაში.
- გ) სინთეტური სარეცხი და სარეცხ-სადეზინფექციო საშუალების მოშორების სისრულეს საზღვრავენ pH სიდიდით პოტენციომეტრული მეთოდით. ჭურჭელში გამოვლებული გამოხდილი წყლის pH-ის მნიშვნელობა უნდა შეესაბამებოდეს საკონტროლო აღებული წყლის pH-ს.
- დ) სარეცხი საშუალების ნაშთის არსებობა საორიენტაციოდ შეიძლება განისაზღვროს ფენოლფრალეინის ვარდისფერი შეფერილობის მიხედვით.

უსაფრთხოების წესები სარეცხ და სადეზინფექციო საშუალებებთან მუშაობისას და პირველადი დახმარების აღმოჩენა:

- ა) სარეცხი-სადეზინფექციო და სადეზინფექციო ხსნარების დამზადებით დაკავებული პერსონალის ტანსაცმელი უნდა შედგებოდეს ხალათის, თავსაფრისა და რეზინის ხელთათმანებისგან. პრეპარატის დოზირების მომენტში აუცილებელია გამოიყენონ დამცავი სათვალეები და რესპირატორი (ან ოთხფენიანი დოლბანდის სახვევი). პერპიდროლის კანზე მოხვედრისას იგი დაუყოვნებლივ უნდა ჩამოიბანონ წყლით. ქლორშემცველი ფხვნილის კანზე მოხვედრისას კანის ეს ნაწილი უნდა ჩამოიბანონ საპნითა და წყლით და უნდა დაიმუშაოვნ 2%-იანი ნატრიუმის ჰიდროკლფიტის ან ნატრიუმის ჰიდროკარბონატის ხსნარით.
- ბ) თვალებში თვალის პრეპარატის ხსნარის მოხვედრისას იგი დაუყოვნებლივ უნდა გამოირეცხოს სუფთა წყლის ნაკადით, შემდეგ კი რამდენიმე წუთის განმავლობაში 2%-იანი ნატრიუმის ჰიდროკარბონატის ხსნარით. თვალის ლორწოვანის ანთების ნიშნების შემთხვევაში აუცილებელია უნდა ჩაიწვეთონ ნატრიუმის სულფიცილის ხსნარი, ტკივილისას კი - 2% ნოვოკაინის ხსნარი. მუშაობის დამთავრების შემდეგ აუცილებელია სახისა და ხელების დაბანა საპნით.

წამლის მომზადებისა და დასაფასოებელი სტერილური ჭურჭლის შენახვის ვადაა არა უმეტეს 24 სთ.

დიდი მოცულობის ბალონების გაუსნებოვნებისთვის დასაშვებია გარეცხვის შემდეგ ბასრი ორთქლით დამუშავება 30 წთ განმავლობაში. დამუშავების შემდეგ ჭურჭელი უნდა დაიხუროს სტერილური საცობით ან შემოეკრას სტერილური პერგამენტი და ასეთ პირობებში უნდა ინახებოდეს არა უმეტეს 24 სთ-ის განმავლობაში. დასაცობი მასალები (საცობები, ხუფები და სხვა) უნდა დამუშავდეს და ინახებოდეს ისეთ პირობებში, რომელიც დაიცავს მათ დაბინძურებისაგან.

ტექნიკური აღჭურვილობის მოსახსნელი ნაწილები (რეზინისა და მილის მილები, ფილტრები, მემბრანული მიკროფილტრები, შუასადებები და სხვა) უნდა დამუშავდეს, გასტერილდეს და შენახულ იქნეს.

კონცენტრირებული სხინარები, ნახევარფაბრიკატები, შიდასააფთიაქო პროდუქტები უნდა დამზადდეს ასეპტიკურ პირობებში, ინახებოდეს მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების და შენახვის დადგენილი ვადების შესაბამისად ისეთ პირობებში, რომელიც გამორიცხავს მათ დაბინძურებას.

3.7. სანიტარული მოთხოვები არასტერილური სამკურნალო საშუალებების ზორმების მომზადებისადმი

არასტერილური წამლის ფორმების დასამზადებლად გამოსაყენებელი სამკურნალო საშუალებები უნდა ინახებოდეს მჭიდროდ თავდასურულ შტანგლასებში ისეთ პირობებში, რომელიც გამორიცხავს მათ დაბინძურებას. სამკურნალო საშუალებების შესანახად გამოყენებული შტანგლასები შევსების წინ უნდა გაირეცხოს და გასტერილდეს.

წამლის მომზადებისა და დაფასოებისათვის საჭირო მასალები და შესაფუთი საშუალებები უნდა მომზადდეს, გასტერილდეს და შენახულ იქნეს სათანადოდ.

სააფთიაქო ჭურჭელი გამოყენების წინ უნდა გაირეცხოს, გაშრეს და გასტერილდეს. სტერილური ჭურჭლის შენახვის ვადაა არაუმეტეს 3 დღე-დამე.

წამლის მომზადებისა და დაფასებისათვის გამოყენებული მცირე მექანიზაციის საშუალებები უნდა გაირეცხოს, ჩაუტარდეს დეზინფექცია თანდართული ინსტრუქციის მიხედვით. ინსტრუქციის არარსებობის შემთხვევაში სამუშაოს დამთავრების შემდეგ ისინი უნდა დაიშალოს და მოსცილდეს სამკურნალო საშუალებების ნარჩენები, გაირეცხოს ცხელი წყლით, შემდეგ კი ჩაუტარდეს დეზინფექცია ან გასტერილდეს იმ მასალის თვისებების გათვალისწინებით, რისგანაცად დამზადებული. დეზინფექციის შემდეგ ნაკეთობები უნდა გამოირეცხოს ცხელი წყლით, გამოევლის გაწმენდილი წყალი და შეინახოს სათანადო პირობებში.

ყოველი ცვლის დაწყებისას და დამთავრებისას სასწორები, შპადელები, მაკრატლები და სხვა წვრილი სააფთიაქო ინვენტარი უნდა გაიწმინდოს წყალბადის ზეჟანგის 3% -იანი სხინარით ან სპირტ-ეთერიანი ნარევით (1:1).

ბიურეტები და პიპეტები არანაკლებ 10 დღეში ერთხელ უნდა დაიცალოს კონცენტრატებისაგან და გაირეცხოს ცხელი წყლისა და მდოგვის ფხვნილის ნარევით ან წყალბადის ზეჟანგის 3%-იან სხინარში 0,5% სარეცხს საშუალებასთან ერთად. შემდგომ გაირეცხოს გაწმენდილი წყლით და ნარეცხი წყლები აუცილებლად გაკონტროლდეს სარეცხი საშუალებების ნარჩენ რაოდენობაზე. ბიურეტების ონკანები მუშაობის დაწყების წინ უნდა გაიწმინდოს მარილოვანი სხინარების ნალექისაგან, ექსტრაქტებისა და ნაყენებისგან და გასუფთავდეს სპირტ-ეთერის (1:1) ნარევით.

სამკურნალო ნივთიერების ყოველი გაზომვისა და აწონვის შემდეგ შტანგლასის ყელი და საცობი, აგრეთვე ხელის სასწორი, უნდა გაიწმინდოს ერთჯერადი გამოყენების დოლბანდის ხელსახოცით.

ძაბრებს თხევადი სამკურნალო საშუალებების ფილტრაციისას ან გაწურვისას, აგრეთვე როდინებს ფხვნილიანი ან საცხიანი მასის აწონგამდე და ტარაში მოთავსებამდე უნდა დაეხუროს პლასტმასის ან მეტალის ფირფიტები, რომლებიც წინასწარ დეზინფიცირდება. როდინიდან საცხებისა და ფხვნილების ამოსაღებად გამოიყენება პლასტმასის ფირფიტები, ამ მიზნით მუჟაოს გამოიყენება დაუშვებელია. საცხის დამზადების შემდეგ ცხიმის ნარჩენების მოცილება ხდება მუჟაოს, ქაღალდის დახმარებით, რის შემდეგაც როდინი უნდა გაირეცხოს და გასტერილდეს.

მუჟაობისას გამოიყენებული ქაღალდისა და გაცვილული კაფსულები, შპადელები, მოსაკრავი ძაფები და რეზინები და ა.შ. უნდა ინახებოდეს საასისტენტო (დასაფასოებელი) მაგიდის უჯრაში (უჯრები ყოველდღე უნდა გაირეცხოს). დამზადები დაბინძურებისაგან დასაცავად უნდა ინახებოდეს დახურულ კარადებში.

3.8. აფთიაქები მიკრობიოლოგიურ კონტროლს დამვამდებარებული ობიექტები

აფთიაქებში მიკრობიოლოგიურ კონტროლს დაქვემდებარებულ ობიექტებს მიეკუთვნება საწყისი, შუალედური და საბოლოო პროდუქტები, დამსმარე ნივთიერებები, მასალები, პერსონალის სანიტარული ტანსაცმელი, ასვე ხელები, სათავსისა და მოწყობილობების ზედაპირი და ჰაერი, საკონტროლო სააფთიაქო პროდუქციის ნუსხა და მათი მიკრობიოლოგიური სისუფთავის შეფასების ნორმატივები მოცემულია ცხრილის სახით:

მოთხოვნა სამკურნალო საშუალებების მიკრობიოლოგიური სისუფთავისადმი		
N	საკონტროლო ობიექტის დასახელება	მოთხოვნა მიკრობიოლოგიურ სისუფთავებები
1	გაწმენდილი წყალი	არა უმეტეს 50 მიკროორგანიზმებისა 1მლში Enterobacteriacead, P. aeruginosa, da S. aureus-ის არარსებობით
2	საინექციო წყალი	აპიროგენული
3	საინექციო ხსნარები სტერილიზაციის შემდეგ	სტერილური
4	– თვალის წვეთები, სტერილიზაციის შემდეგ; – თვალის წვეთები, მომზადებული ასეპტიკურ პირობებში, სტერილურ წყალზე	სტერილური სტერილური
5	სტერილური პრეპარატების საწარმოო ძირითადი ნედლეული (სუბსტანციები)	არა უმეტეს 50 ბაქტერია და სოკო ჯამში 1გრ. ან 1 მლში Enterobacteriacead, P. aeruginosa, da S. aureus-ის არარსებობით.
6	ახალშობილთათვის განკუთვნილი სამკურნალო საშუალებები (ხსნარები შინაგანი და გარეგანი ხმარებისთვის, თვალის წვეთები, კანის დასამუშავებელი ზეთები)	სტერილური
7	0,1 წლამდე ბავშვებისთვის სამკურნალო საშუალებები	არა უმეტეს 50 ბაქტერია და სოკო ჯამში 1გრ. ან 1 მლში Enterobacteriacead, P. aeruginosa, da S. aureus-ის არარსებობით.
შენიშვნა: დროის ინტერვალი ხსნარის დამზადების დაწყებიდან სტერილიზაციამდე არ უნდა აღემატებოდეს 3 სთ-ს.		

თავი IV. ფამლის უსაზროსო გამოყენება და პაციენტის უსაზროსო მასიმალური გაუმჯობესება ფარმაცევტული პრაქტიკის ბანგითარების გზი

ფარმაცევტები უნდა გამოვიდნენ დახლიდან და დაიწყონ მოსახლეობისათვის სპეციალური მომსახურების გაწევა. მხოლოდ წამლის მიწოდების პროცესის განხორციელებას არა აქვს მომავალი, ეს საქმიანობა შესაძლოა განხორციელდეს ინტერნეტის, მანქანების, ან სხვა ტექნიკის გამოყენებით. ფაქტი, რომ ფარმაცევტებს აქვთ სპეციალური აკადემიური მომზადება და პროფესიული როლი ჯანმრთელობის დაცვის საქმეში, მათ ავალებს უკეთ დაიცვან მოსახლეობა.

ათეულობით წლის მანძილზე ფარმაცევტული პრაქტიკა მიმართული იქმ მხოლოდ წამლის გაცემისაკენ, აღნიშნული პროცესი უცილებლად მოითხოვს მიმართულების ცვლას და ფოკუსირებას ახდენს პაციენტსა და მის ჯანმრთელობაზე, ფარმაცევტის როლი გათვალისწინებულია როგორც წამლის მომზადებასა და გაცემაში, ასევე მომსახურებასა და ინფორმაციის მიწოდებაში. ფარმაცევტის დანიშნულებაა უზრუნველყოს პაციენტის წამლით სწორი თერაპია სათანადო დანიშნულების საფუძველზე, პაციენტისათვის უფრო უსაფრთხოდ, ეფექტურად და მოხერხებულად. პაციენტის მკურნალობაზე უმუალო პასუხისმგებლობის აღებით ფარმაცევტს შეუძლია უნიკალური წვლილი შეიტანოს მკურნალობის შედეგებში და პაციენტის სიცოცხლის ხარისხში. ეს ახლებური მიღგომა განისაზღვრება ფარმაცევტული დაცვით.

ფარმაცევტული დაცვა არის პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება წამლით თერაპიის პროცესში, რათა მიღწეული იქნას განსაზღვრული შედეგი პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებასა და შენარჩუნებაში.

ფარმაცევტული დაცვის პრაქტიკა არის საპირისპირო იმ პრაქტიკისა, რასაც ფარმაცევტები ახორციელებდენ წლების მანძილზე. ისინი არ გრძნობდნენ პასუხისმგებლობას მკურნალობის პროცესში, არ ქმნიდნენ აღეჭვატურ დოკუმენტებს და არ აწარმოებდნენ მონიტორინგსა და დაკვირვებას მკურნალობის პროცესზე.

ფარმაცევტული დაცვის ვალდებულებათა შესრულებისათვის ფარმაცევტს ესაჭიროება ბევრი სხვადასხვა ფუნქციების შესრულება, რომლებიც მოწოდებული იქნა ჯანმოს მიერ 2000 წელს. აღნიშნული ითვალისწინებს ფარმაცევტის საქმიანობაში მკურნალის, კომუნიკატორის, გადაწყვეტილების მიმღების, მასწავლებლის, ჯანმრთელი, ხანგრძლივი სოცოცხლის მისაღწევად გზამკვლევის, ლიდერის, მკვლევარისა და მენეჯერის ფუნქციებს.

სამკურნალო საშუალებების რაოდენობა დრამატულად იზრდება ბოლო ათეული წლის მანძილზე, შემოდის ახალი ინოვაციები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან ცვლილებას წამლის ხარისხის კონტროლის და რაციონალური გამოყენების თვალთახდვით. ბევრ ქვეყანაში იზრდება ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები, შეზღუდულია ფინანსური რესურსები, მცირდება ადამიანური რესურსები ჯანმრთელობის დაცვის სექტორში, არაეფექტურია ჯანმრთელობის სისტემა, იცვლება პოლიტიკური, ეკონომიკური და ტექნოლოგიური გარემო. გლობალიზაცია მჭიდროდ აკავშირებს ქვეყნებს ერთმანეთთან პროდუქციის და მომსახურების კუთხით, ასევე ითვალისწინებს აკადემიური ხარისხებისა და დიპლომების აღიარებას, რაც მოითხოვს ცვლილებების განხორციელებას ჯანდაცვის სისტემაში.

პაციენტების ჯანმრთელობის დაცვისათვის მნიშვნელოვანია ხარისხიანი და ეფექტური მედიკამენტების მოწოდება, გასათვალისწინებელია, რომ განვითარებად ქვეყნებში სამკურნალო საშუალებების 10-20% ვერ აკმაყოფილებს ხარისხის მოთხოვნას. პაციენტი უნდა იღებდეს წამალს კლინიკური საჭიროების შესაბამისად, იმ დოზებით, რაც განკუთვნილია ინდივიდუალური მოთხოვნით,

დროის ადექვატურ პერიოდში, ყველაზე დაბალი ფასით. თუმცა განვითარებად ქვეყნებში პაციენტების თითქმის ნახევარი წამალს იღებს არასწორი დანიშნულებით, ხოლო ნახევარზე მეტი - არა სათანადო. ამას გარდა, იზრდება ანტიმიკრობული რეზისტენტობა, რაც ბევრი პაციენტის ჯანმრთელობისათვის პრობლემას წარმოადგენს.

ბევრი შორმა მიეძღვნა პაციენტთა უსაფრთხოების ძირეული მიზეზების ანალიზს და მათ ზოგად აღქმას. მნიშვნელოვანი კვლევები ჩატარდა და ბევრი დოკუმენტი გამოიცა გასული ათწლეულის მანძილზე იმისათვის, რომ გაცნობიერებულიყო პაციენტთა უსაფრთხოება, პოლიტიკის განმსაზღვრელები, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები, პაციენტები, თუ მრავალი სხვა დაინტერესებული მხარე ჩართულიყო უსაფრთხოების კულტურისა და პროცესების განვითარებაში.

თუმცა პაციენტთა უსაფრთხოების კულტურისა და ცნობიერების ამაღლება არ იქნება შედეგიანი მისი ეფექტურად განხორციელების გარეშე. ძირითადი ასევექტია რესურსების ფოკუსირება ღონისძიებათა შესრულებაზე, მონიტორინგსა და აუდიტზე.

ფარმაცევტული პრაქტიკა პაციენტზე კონცენტრირებული და პროცესზე ორიენტირებული ხდება. ფარმაცევტის ყოველდღიური პრაქტიკა ითვალისწინებს სათანადო წამლის გაცემას და ინფორმაციის მიწოდებას. არსებობს ბევრი სხვა ყოველდღიური ქმედებაც, რომლებიც ხორციელდება აფთიაქში და უკავშირდება პაციენტთა უსაფრთხოების საკითხს.

ფარმაცევტების საქმიანობაც ისევე, როგორც ზოგადად ჯანმრთელობის სფეროს მუშაკებისა, უნდა ეფუძნებოდეს უსაფრთხოების ელემენტებს. საეციფიურ ფოკუსირება უნდა მოხდეს სამკურნალო საშუალებების უსაფრთხოებაზე – იმ სფეროზე, სადაც ჩვენი კომპეტენტურობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. პაციენტი არის უსაფრთხოების პროცესების აქტიური ელემენტი, აქედან გამომდინარე, მას აქვს აქტიური ხმა და გაზიარებული პასუხისმგებლობა.

ევროპავშირის ფარმაცევტთა ჯგუფი (PGEU - „Pharmaceutical Group of the European Union“) მხარს უჭერს ჯანმოს მიერ 2004 წლის ოქტომბერში პაციენტთა უსაფრთხოების მსოფლიო ალიანსის (WAPS) დაარსებას და მის ძალისხმევას, მოახდინოს საკითხის აქტუალიზაცია და გაზარდოს პოლიტიკური მხარდაჭერა მკურნალობის უსაფრთხოების გაუმჯობესების თვალსაზრისით, რითაც ხელი შეუწყოს პაციენტთა უსაფრთხოების პოლიტიკისა და პრაქტიკის განვითარებას ყველა წევრ სახელმწიფოში. ფარმაცევტები, საერთაშორისო ფედერაციის საშუალებით, მჭიდროდ არიან ჩართულნი ამ საქმიანობაში.

ეევროსაბჭოს (2001) 2 რეზოლუცია აღიარებს, რომ ფარმაცევტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია არის იატროგენის რისკის შემცირება ან მის პრევენციაში მონაწილეობა. ფარმაცევტები უნდა აანალიზებოდნენ დანიშნულებას, ავადმყოფობის ისტორიას და იძლეოდნენ რეკომენდაციებს წამლისმიერი პრობლემების შესამცირებლად.

4.1. პაციენტის უსაფრთხოება

რა არის პაციენტის უსაფრთხოება?

მედიცინის ინსტიტუტის (IOM) მიერ პაციენტის უსაფრთხოება განსაზღვრულია როგორც „ქმედების და უმოქმედობის შეცდომების შედეგად პაციენტისათვის ზიანის მიუნების პრევენცია“.

დიდი ბრიტანეთის პაციენტთა უსაფრთხოების ეროვნული სააგენტო თვლის, რომ პაციენტის უსაფრთხოება არის „თავისუფლება შემთხვევითი დაზიანებისაგან მკურნალობის პროცესში. პაციენტის უსაფრთხოების შემთხვევა არის ნებისმიერი

არაგამიზნული ან მოულოდნელი შემთხვევა, რომელსაც შეეძლო გამოეწვია ან გამოიწვია ერთი ან რამდენიმე პაციენტის დაზიანება“.

ევროსაბჭო პაციენტთა უსაფრთხოებას განსაზღვრავს, როგორც შემთხვევითი დაზიანებებისაგან თავისუფალი მკურნალობის პროცესს; ქმედებებს სამედიცინო დახმარების შესაძლო არასასურველი შედეგის თავიდან აცილების (პრევენცია) და გამოსწორებისათვის (კორექცია) (Kohn, 2000. AHA&HRET&SMP, 2002) და როგორც პაციენტთან დაკავშირებული რისკების და შემთხვევების გამოვლენას, ანალიზსა და მართვას, რათა პაციენტის მკურნალობა გახდეს უფრო უსაფრთხო და მინიმუმამდე შემცირდეს მისთვის მიყენებული ზიანი (Aspden, NPSA, 2004).

ზემოაღნიშნული განსაზღვრებების შესაბამისად ფარმაცევტები, როგორც ჯანდაცვის ერთიანი გუნდის პარტნიორები, ერთვებიან ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში და პაციენტს განიხილავენ როგორც ამ პროცესის აქტიურ ელემენტს.

მედიკამენტური მკურნალობის უსაფრთხოებას უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება პაციენტის უსაფრთხოებაში. იგი მოიცავს როგორც წამლის არასასურველ რეაქციებს, ასევე მედიკამენტური მკურნალობის შეცდომებს. საჭიროა მათი მკაფიოდ გამიჯვნა. ჯანმო-ს მონაცემებით წამლის არასასურველი რეაქციები (ფარმაკოუსაფრთხოება) დაკავშირებულია პროდუქტის უსაფრთხოებასთან, ხოლო მედიკამენტური მკურნალობის შეცდომები - სამედიცინო მომსახურებასთან.

მედიკამენტური მკურნალობის შეცდომა განმარტებულია შემდეგნაირად: „თავიდან აცილებადი ნებისმიერი მოვლენა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს წამლის არასწორი გამოყენება და პაციენტის დაზიანება მაშინ, როდესაც წამალი სამედიცინო პერსონალის, პაციენტის ან მომხმარებლის განკარგულებაშია“. მსგავსი მოვლენები შეიძლება დაკავშირებული იყოს პროფესიულ პრაქტიკასთან, ჯანდაცვის პროდუქტებთან, პროცედურებთან ან სისტემებთან, როგორიცაა: ნომენკლატურის შედგენა, რეცეპტის გამოწერა, დანიშნულების მიცემა, პროდუქტის მარკირება, შეფუთვა, წამლების შერევა (მომზადება), გაცემა, გავრცელება, შეყვანა, სწავლება, მონიტორინგი და გამოყენება.

მედიკამენტური მკურნალობის შეცდომები, რომლებიც დაკავშირებულია წამლის არასასურველ თანამოვლენებთან, შესაძლოა გამოვლინდეს იმ შემთხვევაში, როდესაც:

- პაციენტი წამალს იღებს არასწორი დანიშნულებით;
- დანიშნულება სწორია, მაგრამ წამლის მიღება ხდება სხვა დოზით, არასათანადო გზით, არასწორ დროს;
- წამალი შერჩეულია სწორად, მაგრამ ადგილი აქვს სხვა მედიკამენტთან ან საკვებთან უარყოფით ურთიერთქმედებას;
- პაციენტი იღებს წამალს, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული ან სხვა საზიანო ეფექტები.

მედიკამენტური მკურნალობის შეცდომები, რომლებიც უკავშირდება სხვადასხვა ტიპის წამლისმიერ პრობლემებს:

- საჭიროების პრობლემა (პაციენტი წამალს: 1. არ იღებს, როდესაც იგი მისთვის აუცილებელია ან 2. იღებს, როდესაც მისი საჭიროება აღარ არსებობს);
- მედიკამენტური თერაპიის არაეფექტურობა (მკურნალობა დაბალი დოზით ან არასათანადო წამლით);
- უსაფრთხოების პრობლემა (წამლის არასასურველი ეფექტები, მაღალი დოზით მიღებისას).

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სფერო დღეისათვის არ არის ისეთი უსაფრთხო, როგორიც რეალურად უნდა იყოს. არასასურველი მოვლენები მნიშვნელოვანი ზიანის მომტანია პაციენტებისათვის. მრავალი მტკიცებულება მიუთითებს იმაზე, რომ მედიკამენტური მკურნალობის შეცდომა ხშირად ხდება ადამიანის სიკვდილისა და დაზიანების რელევანტური მიზეზი. სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული გამოკვლევებიდან დადგინდა, რომ ჰოსპიტალიზებული პაციენტების დაახლოებით 10-16%-ში აღინიშნება მკურნალობის შედეგად გამოწვეული არასასურველ მოვლენები, რომელთა 5-8% სიკვდილით მთავრდება. წამლის არასასურველი მოვლენები დღეს აღიარებულია როგორც ჯანმრთელობის დაცვის სისტემის პრობლემა: ცალკეულ პაციენტებზე მოქმედი არასასურველი მოვლენები ჩვეულებრივ გამოწვეულია შემთხვევების თანმიმდევრობით მაკრო და მიკრო გარემოში და წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სტრუქტურისა და ორგანიზების ნაკლოვანებების, და არა ჯანდაცვის პასუხისმგებელი სპეციალისტების ადამიანურ შეცდომათა მარტივ თანმიმდევრულ შედეგს, რაც წარმოადგენს საბოლოო რგოლს პაციენტის მკურნალობის ჯაჭვში.

2000 წელს დადგენილი იქნა, რომ ევროპის საავადმყოფოებში ყოველი მეათე პაციენტი მოთავსებული იქნა პრევენცირებადი დაზიანებით და მკურნალობის შედეგად გამოვლენილი არასასურველი ეფექტებით.

დიდ ბრიტანეთში ჩატარებული კვლევის მიხედვით პაციენტთა უსაფრთხოების ინციდენტები (შემთხვევები):

- ფიქსირდება სტაციონარში მოთავსებული პაციენტების 11%-ში (850.000 ყოველწლიურად);
- იწვევს 8.5 დღით სტაციონარში დაყოვნებას, რომლის ღირებულება 1 მილიარდი ფუნტია (1.5 მილიარდი ევრო) წელიწადში;
- დაკავშირებულია სამედიცინო მოწყობილობების არასწორ ექსპლუატაციასთან და ამის შედეგად წელიწადში 400 ადამიანი კვდება ან სერიოზულად აგადდება;
- 400 მილიონ ფუნტზე მეტი (დაახლ. 600 მილიონი ევრო) წელიწადში იხსარჯება კლინიკური დაუდევრობით გამოწვეულ შემთხვევებზე;
- საავადმყოფოში შეძენილი ინფექციების მკურნალობის ღირებულება წელიწადში შეადგენს 31 მილიარდ ევროს;
- წამლით გამოწვეული უბედური შემთხვევები შეადგენს შემთხვევათა 25%-ს.

პოლანდიაში წამლის არასწორი გამოყენებით უფრო მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე ავტო-სატრანსპორტო შემთხვევებით. პოლანდიის ჯანდაცვის ინსპექციის (Dutch Inspectorate for Healthcare) მონაცემებით მედიკამენტური მკურნალობის შეცდომები ყოველწლიურად ასობით (ზოგჯერ ათასობითაც) ადამიანის სიკვდილის მიზეზია (IGZ report). მეცნიერების შეფასებით წელიწადში 3.000 სიკვდილი და ყოველდღიურად 200 არასაჭირო ჰოსპიტალიზაცია წამლების არასათანადო გამოყენების შედეგია, რისი ღირებულებაც წელიწადში დაახლოებით 200-400 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. სხვა კვლევებმა (HARM study) აჩვენა, რომ წამლით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია საერთო ჰოსპიტალიზაციის 2,4%-ს და მწვავე ჰოსპიტალიზაციის 5,6%-ს შეადგენს. ამ შემთხვევების 46% შეფასებულია, როგორც პოტენციურად თავიდან აცილებადი. თუ ამ სისშირეთა ექსტრაპოლაციას პოლანდიის ყველა ჰოსპიტალზე განვითარებულებოთ, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: პოლანდიაში ყოველწლიურად ჰოსპიტალიზაციის 41.000 შემთხვევა წამლისმიერი პრობლემებით არის გამოწვეული; ამათგან 19.000 შემთხვევის თავიდან აცილება პოტენციურად შესაძლებელია.

- პოტენციურად თავიდან აცილებად შემთხვევებში პაციენტების 6.6% კვდება ჰოსპიტალიზაციის დროს.

- 19 000 შემთხვევის დირექტულება შეადგენს 85 მილიონ ევროს წელიწადში.

ევროკომისიამ 2006 წელს გამოაქვეყნა დაკვირვების შედეგები, რომლის მიხედვით 5-დან 4 ევროპელი მოქალაქე (78%) მკურნალობის შეცდომებს მათ ქვეყანაში მნიშვნელოვან პრობლემად მიიჩნევს. რესპონდენტების 38% აფასებს მას როგორც ძალიან მნიშვნელოვანს, ხოლო 40% - როგორც საკმაოდ მნიშვნელოვანს. ევროპელების 23% თვლის, რომ თავად ან მათი ოჯახი წარმოადგენს მკურნალობის შეცდომების მსხვერპლს, მათგან 18% ამბობს, რომ ეს მოხდა საავადმყოფოში, ხოლო 11% მიუთითებს, რომ მათ დაენიშნათ არასწორი მედიკამენტური მკურნალობა.

4.2. უსაზროსო ფამალი

არ არსებობს კარგი პრაქტიკა, რომელიც შეძლებს ნდობის მოპოვებას თუ გამოწერილი, გაცემული, მომზადებული, გამოყენებული წამალი იქნება საზიანო, დაბალხარისხიანი და არაეფუქტური. განსაზღვრა იმისა, თუ რა კითხვები ჩნდება წამლის უსაფრთხოების, ხარისხისა და ეფექტურობის მიმართ მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენს წამლის დისტრიბუციისა და გაცემის სისტემაში ცოდნის, პრაქტიკის, კონტროლის პროცედურების და უსაფრთხოების დაცვის განვითარების თვალსაზრისით.

უფლებამოსილების პროცედურები, დისტრიბუციის ქსელი და კვალიფიციური პერსონალი

დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ წამლით მომარაგების ჯაჭვის თითოეული რგოლი, მწარმოებლიდან აფთიაქამდე, შეესაბამებოდეს ეროვნულ და ევროპის კანონმდებლობებს. ეს საკითხი ფუნდამენტურია იმისათვის, რომ გაიზარდოს პაციენტის ნდობა წამლის მოხმარების სისტემის მიმართ და დაძლევული იქნას ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორიცაა ფალსიფიკაცია.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პაციენტის ცოდნის ამაღლებას წამლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი ისეთი პროცედურებისა და ზომების შესახებ, როგორიცაა სამკურნალო საშუალებების მარკეტინგის უფლებამოსილების პროცედურები, კარგი საწარმოო პრაქტიკა (GMP), კარგი სადისტრიბუციო პრაქტიკა (GDP), კარგი სააფთიაქო პრაქტიკა (GPP) და კვალიფიციური პერსონალის გალდებულება, რომ უზრუნველყოს სხვადასხვა დაწესებულებების (წარმოება, საბიოუმო მომარაგება, აფთიაქი) ზედამხედველობა.

ისეთი ახალი სადისტრიბუციო ქსელის გამოჩენასთან ერთად, როგორიცაა ინტერნეტ-აფთიაქები, უკიდურესად დროულია უსაფრთხოების ზომებისა და მოსალოდნელი რისკების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლება იმ პაციენტებისათვის, რომლებიც გადაწყვეტინ ინტერნეტ-აფთიაქებით სარგებლობას.

ფარმაკოუსაფრთხოება

წამლის გამოყენებაზე დაკვირვება მეტად მნიშვნელოვანია. ფარმაცევტი უნდა იყოს ის პირი, რომელსაც ყველაზე კარგად შეუძლია შეისწავლოს საგადმყოფოს გარეთ პაციენტებში გამოვლენილი წამლის არასასურველი თანამოვლენები, რის შესახებაც არსებული დოკუმენტაციის ინტეგრირება მოახდინოს პაციენტის მკურნალობის სისტემაზე პროცესებში.

არასასურველი თანამოვლენები შეფასებული უნდა იქნეს არა მხოლოდ მათი სიხშირის მიხედვით, არამედ მათი გამომწვევი მიზეზების გათვალისწინებითაც და ეს პროცესი უნდა განხორციელდეს მეცნიერებისა და პრაქტიკოსი ფარმაცევტების მჯიდრო თანამშრომლობით. თუ არასასურველი თანამოვლენების ძირითადი მიზეზი აღმოჩნდა სადისტრიბუციო შეცდომა ან არასათანადო რჩევა, სამედიცინო დახმარების პროცესში აუცილებელია სათანადო ცვლილებების შეტანა. პაციენტის უსაფრთხოების შესახებ შესაბამისი ინდივიდუალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და პროფესიული განათლების მაღალი დონე ფარმაცევტს ცენტრალურ როლს ანიჭებს ფარმაკოუსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

ფარმაკოუსაფრთხოება უზრუნველყოფილი უნდა იყოს მედიკამენტის მთლიანი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე, რათა ამაღლდეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ხარისხი. დღეისათვის ფარმაცევტული პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის ერთ-ერთი ბოლო ფაზა - იმ ფაზის გათვალისწინებით, როდესაც წამალი ხდება უფლებამოსილი ბაზარზე გასატანად - შესაძლოა მერყეობდეს ჰოსპიტალური ფაზიდან, როდესაც მედიკამენტის დანიშვნა ხდება მხოლოდ სპეციალისტის მიერ, იმ ფაზამდე, როდესაც იგი ხდება „ჩვეულებრივი“, რეცეპტით გასაცემი წამალი. აფთიაქებიდან წამლის გაცემა ხდება ფარმაცევტების მიერ ან მათი ზედამხედველობის ქვეშ. თუმცა, რიგ ქვეყნებში მედიკამენტების გაყიდვა ხდება არასააფთიაქო დაწესებულებებიდან. ეს არის ის საფეხური, რომელიც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მოსაზრებებიდან გამომდინარე მიუღებელია. ყოველ საფეხურზე წინასთან შედარებით უფრო მეტი რაოდენობის ადამიანი ექცევა წამლის ზემოქმედების ქვეშ და შეიძლება გამოვლინდეს ახალი არასასურველი ეფექტები, რომელიც წინა სტადიაზე არ დაფიქსირებულა.

მნიშვნელოვანია წამლის გამოყენებაზე დაკვირვება მათი უსაფრთხოებისა და ეფექტურობის გათვალისწინებით, რაზედაც ფარმაცევტებს მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა ეკისრებათ.

პოლანდიაში გვერდითი ეფექტების ცენტრი „LAREB“ დაარსდა 2006 წელს, პოლანდიის მთავრობისა და ფარმაცევტების სამეცნიერო-პროფესიული ორგანიზაციის ერთობლივი ძალისხმევით. ახალი წამლის შესახებ მომხმარებელთა გამოცდილების სწრაფი გაზიარების და უცნობი გვერდითი ეფექტების გამოვლენების მიზნით სპეციალურად ჩამოყალიბდა სისტემა - ე.წ. „lareb intensive monitoring“. პაციენტებს გამოსაცდელი წამლის მიღების შემდეგ ელფოსტით ეგზავნებათ მკურნალობასთან დაკავშირებული კითხვარი, სადაც მათ ეკითხებიან პირადი გამოცდილების შესახებ. კითხვარის გამოყენებით შესაძლებელი ხდება უცნობი გვერდითი ეფექტების გამოვლენა უფრო ადრეულ სტადიაზე, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ახალი წამლის უსაფრთხოებას. გვერდითი ეფექტების ცენტრი „LAREB“ წამალზე განსაკუთრებულ დაკვირვებას ახდენს მისი ბაზარზე მიმოქცევაში დაშვებიდან პირველ პერიოდში.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ფარმაცევტების მიერ განხორციელებული მონიტორინგი სამედიცინო პროდუქციაზე არ შემოიფარგლება წამლის არასასურველი რეაქციებითა და სხვა წამლისმიერი პრობლემების შეტყობინებით. იგი ასევე აფართოებს წარმოდგენას ჯენერიკულ და თერაპიულად ექვივალენტურ წამლებზე, მიმოიხილავს როგორც არსებულ ტრადიციულ წამლებს, ასევე კომპლექსურ და ალტერნატიულ საშუალებებს, ურეცეპტოდ გასაცემ პრეპარატებს, სისხლის, ბიოლოგიურ პრეპარატებსა და ვაქცინებს.

ფალსიფიკაცია

წამალი არ წარმოადგენს ჩვეულებრივი მოხმარების საგანს. მას აქვს განსაკუთრებული სტატუსი, ვინაიდან შეუძლია როგორც დიდი სარგებელის, ასევე სერიოზული რისკის მოტანა საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის.

ფალსიფიცირებული სამკურნალო საშუალება არის ნებისმიერი ბრენდი (ან ჯენერიკი), ასევე აქტიური ფარმაცევტული ინგრედიენტი, რომელიც უფლებამოსილების არმქონე მხარის მიერ წინასწარგანზრახულად და თაღლითურად არის არასწორად მარკირებული, მისი წარმომავლობის წყაროსთან ან/და შემადგენლობასა ან/და თერაპიულ ეფექტობის დაკავშირებით. ფალსიფიცირებული პროდუქტის ქვეშ მოიაზრება პროდუქტი აქტიური ინგრედიენტის გარეშე, ან არასწორი აქტიური ინგრედიენტების შემცველობით, ან არასაკმარისი ან არააქტიური ინგრედიენტებით ან ყალბი შეფუთვით.

შიდა ბაზრის განვითარება, დერეგულაციის ზომები, რომლებიც მიმართულია არასააფთიაქო დაწესებულებებიდან წამლის გასაღებისაკენ, არარეგულირებადი ინტერნეტ-აფთიაქები დრამატულად ცვლის ფარმაცევტულ ბაზარს ევროპაში. ასეთმა პროცესებმა შესაძლოა ცუდად იმოქმედოს წამლის მიკვლევადობაზე, რითაც გაიზარდოს სისტემაში ფალსიფიცირებული წამლის შეღწევადობის რისკი.

მიკვლევადობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს არა მარტო მედიკამენტებისათვის, არამედ იმ რგოლისათვის, რომელიც ჩართულია წარმოების, საბითუმო და საცალო ვაჭრობის, სადისტრიბუციო ქსელში. იგი მიიღწევა წამლის მიერ „გავლილი“ გზის იდენტიფიცირებით პროცესის კველა სტადიაზე, რომელიც დაახლოებით მსგავსია ფლორიდაში გამოყენებული „პედიგრის“ სისტემისა. თუმცა ასეთი ტიპის მიკვლევადობა უკიდურესად ძნელია ინტერნეტით დისტრიბუციისა თუ გამოუყენებელი მედიკამენტის რეციკლიცაზის (იგულისხმება სხვა მომხმარებლის მიერ მოხმარება) შემთხვევაში. მიკვლევადობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სადისტრუბუციო ჯაჭვზე ეფექტურ ზედამხედველობას.

ფალსიფიკაციის შემცირების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მიმართულებაა სარისხის მუდმივი კონტროლი წამლის წარმოების და სადისტრიბუციო ქსელის კველა სტადიაზე.

საინტერესო მაგალითი იქნა შემოთავაზებული 2006 წელს ბელგიაში, სადაც ბელგიის ფარმაცევტთა ასოციაციის (L'Association Pharmaceutique Belge (APB)) და ფარმაცევტული აუთენტურობის (უტყუარობა) კომპანიის ურთიერთობაში მშრომლობით ჩამოყალიბდა პაციენტთა უსაფრთხოების სისტემა, რომელმაც შექმნა მწარმოებლებსა და აფთიაქებს შორის კომუნიკაციის რგოლი. აღნიშნული ითვალისწინებს მათ მჭიდრო თანამშრომლობას და იცავს პაციენტს სუბსტანდარტული თუ ქსელიდან გამოთხოვილი წამლების მიღებისაგან. არსებული სისტემა სრულად ინტეგრირებულია და ახდენს ბელგიის კველა აფთიაქის პროგრამულ უზრუნველყოფას.

ფალსიფიკაციასთან ბრძოლის მეორე მიმართულება ითვალისწინებს მოსახლეობასთან კომუნიკაციას, მათი ინფორმირებულობის გაზრდას იმის შესახებ, თუ როგორი რისკის ქვეშ ექცევა პაციენტის ჯანმრთელობა ისეთი დაუცველი სადისტრიბუციო ქსელით სარგებლობის შემთხვევაში, როგორიცაა ინტერნეტი ან წამლის გაცემა არასააფთიაქო დაწესებულებიდან.

4.3. წამლის უსაფრთხო გამოყენება

პაციენტის თერაპიული განათლება

ფარმაცევტები არიან მედიცინის ის მუშაკები, რომლებმაც ზედმიწევნით კარგად იციან, როგორ მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე წამალი ან როგორ მოქმედებენ ისინი ერთმანეთთან. ამიტომ ფარმაცევტები წარმოადგენენ ძირითად რგოლს წამლის რაციონალურ და უსაფრთხო გამოყენებაში.

საკუთარ მკურნალობაში პაციენტების აქტიურად ჩართვისა და სამედიცინო პროდუქტების უფრო უსაფრთხო გამოყენების მიზნით, ფარმაცევტებმა პაციენტებს

ან მათ მომვლელებს უნდა მიაწოდონ აუცილებელი ინფორმაცია წამლის ან სამედიცინო აღჭურვილობის გამოყენების შესახებ.

პაციენტისა და ფარმაცევტის ახლო ურთიერთობის გაძლიერება ეფუძნება დია და აქტიურ კომუნიკაციას, ურთიერთპატივისცემას, საერთო შეხედულებებს პაციენტის საჭიროებების და საზრუნვის საკითხებში და ფარმაცევტის როლის შესახებ სათანადო ფარმაკოლოგიური დახმარების უზრუნველყოფაში. ასეთი ორმხრივად მიმართული პროცესი ყალიბდება აფთიაქის ფარმაცევტების მიუკერძოებელი კონსულტაციების მეშვეობით და პაციენტის ჩართვით მათ თერაპიულ განათლებაში.

გამოწერის შეცდომები

მედიკამენტური მეურნალობის შეცდომების შემთხვევების თავიდან აცილებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საჭირო მედიკამენტის სათანადო დოზირებით დანიშვნას. აფთიაქის ფარმაცევტს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს წამლის გამოწერის შეცდომების თავიდან აცილებაში.

გერმანიის ფარმაცევტთა ასოციაციის (ABDA) მიერ 2005 წლის იანვარსა და მაისში ჩატარებული კვლევის ფარგლებში 1.146 ფარმაცევტი დოკუმენტურად ასახავდა წამლის გამოწერის პრობლემებს მათი სამუშაო კვირის მანძილზე. ფარმაცევტებმა დააფიქსირეს დაახლოებით 10.500 გამოწერის შეცდომა, რომელთა 82% ადგილზევე შეასწორეს, ხოლო 60%-ში დაუკავშირდნენ ექიმებს შეცდომის შესწორების მიზნით. გერმანელი ფარმაცევტები ყოველდღიურად იღებენ დაახლოებით 3 მილიონ რეცეპტს.

ყოველი 200 რეცეპტიდან საშუალოდ ერთ რეცეპტში (0,49%) პოლანდიელ ფარმაცევტებს დადებითი ცვლილებები შეაქვთ. აქედან:

- დაახლოებით ნახევარი (49,8%) მიმართული იყო წამლის არასასურველი რეაქციების პრევენციისაკენ;
- 29,2%-ში ჩარევა მოხდა ფარმაკოთერაპიული ეფექტურობის დადებითად მოდიფიცირების მიმართულებით;
- 8,6%-ში რეცეპტში ცვლილების შეტანა მოხდა უეფექტობის და არასასურველი რეაქციების პრევენციის მიზნით.

მონაცემების ექსტრაპოლაციით დადგინდა, რომ წამლის გამოწერის შეცდომების თავიდან აცილების მიზნით პოლანდიის აფთიაქებაში პოზიტიური ჩარევის შემთხვევები ყოველდღიურად შეადგენს დაახლოებით 26.700 შემთხვევას. (ყოველდღიურად 1,6 შემთხვევა ერთ აფთიაქში). მკვლევარების შეფასებით უმეტეს შემთხვევებში ასეთი ჩარევა დადებით ზეგავლენას ახდენდა პაციენტის ჯანმრთელობაზე. პოლანდიელი პაციენტები გამოოქვამენ მედიკამენტების გამოყენებაზე უფრო ინტენსიური მონიტორინგის დაწესების სურვილს (National Patient's Platform,NPSF,2004).

უდავოა, რომ ეს ძალიან მგრძნობიარე სფეროა. პაციენტის უსაფრთხოების სათანადო კულტურის დანერგვის გარეშე ზემოაღნიშნული შესაძლოა აღქმული იქნეს ისე, თითქოს ფარმაცევტი გამიზნულად ეძებს სხვა სპეციალისტების მიერ დაშვებულ შეცდომებს.

გაცემის შეცდომები

იმისათვის, რომ დარწმუნდნენ წამლის უსაფრთხოებასა და სწორ დანიშნულებაში, სამკურნალო საშუალებების გაცემის დროს ფარმაცევტები

ასრულებებენ გარკვეულ ქმედებებს. აღნიშნული საქმიანობა მოიცავს ვარგისობის ვადის შემოწმებას, სწორი დანიშნულების დადასტურებას, რჩევებისა და წერილობითი ინფორმაციის მიცემას პაციენტისათვის. წამლის გაცემის დროს ფარმაცევტი ყურადღებით სწავლობს შესაძლო ურთიერთქმედებებს სხვა მედიკამენტებთან, თუმცა შეცდომები მაინც შეიძლება იყოს დაშვებული და თანაც სხვადასხვა მიზეზით.

დანიის ფარმაცევტული პრაქტიკის კოლეჯის, დანიის ფარმაცევტთა ასოციაციისა და პაციენტთა უსაფრთხოების საზოგადოების მხარდაჭერით დანიის აფთიაქებში სწავლობდნენ მედიკამენტური მკურნალობის შეცდომებს. კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ აფთიაქები უზრუნველყოფენ გამოწერისა და გაცემის შეცდომების დიდი რაოდენობის პრევენციას. წამლის გაცემის შეცდომები იშვიათია, მაგრამ მათი უმეტესობა არის პოტენციურად ზიანის მომტანი. კვლევების შესაბამისად, სხვადასხვა აფთიაქებიდან მიღებულ შეტყობინებათა სისტემატური ანალიზი იძლევა სისტემის შეცდომების იდენტიფიცირების შესაძლებლობას პაციენტთა უსაფრთხოებისათვის. ამდენად, შეტყობინების სისტემის განვითარება წარმოადგენს შეცდომების შესწავლის მნიშვნელოვან მქანიზმს.

შეეციაში აფთიაქები აღჭურვილნი არიან სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფით, რაც ფარმაცევტს საშუალებას აძლევს მონაცემთა ბაზაში შეიტანოს ინფორმაცია ყველა იდენტიფიცირებული და შეტყობინებული შეცდომის შესახებ. შეტყობინებათა ანალიზი ხორციელდება წელიწადში ორჯერ. იგი უზრუნველყოფს შეცდომების ტიპის იდენტიფიკაციას და ადგენს გამომწვევ მიზეზებს. ასეთი ანალიზი იძლევა გამაფრთხილებელი და ვალიდაციის სისტემების განვითარების საშუალებას.

მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ შეტყობინების სისტემები არ წარმოადგენს პრობლემების ავტომატური გადაწყვეტის საშუალებას. საჭიროა ფარმაცევტებმა ისწავლონ, როგორ გამოიყენონ ისინი ყოველდღიურ პრაქტიკაში შეცდომების თავიდან ასაცილებლად.

შეცდომები მედიკამენტის გამოყენებისას.

პაციენტმა სამკურნალო საშუალების მიღებამდე მნიშვნელოვანია იცოდეს, როგორ გამოიყენოს წამალი. ეს არის ფარმაცევტების საქმიანობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მხარე, სადაც ისინი პაციენტებთან ურთიერთობის მდიდარი გამოცდილების გამო შეუცვლელ როლს ასრულებენ პაციენტთა ინფორმირებასა და განათლებაში.

შეყვანის შეცდომების რისკის მაქსიმალურად შემცირებისათვის, მნიშვნელოვანია პაციენტების დახმარება ისეთ საკითხებში, როგორიცაა მაგალითად, ინჰალაციონ / ინსულინის მოწყობილობით სარგებლობა. მსგავსი ტიპის შეცდომებმა შესაძლოა განაპირობოს წარუმატებელი მკურნალობა წამლით თერაპიის არაეფექტურობის ფონზე, ან პაციენტების დაზიანება უსაფრთხოების პრობლემების გამო.

წამალთა ურთიერთქმედება და არასასურველი თანამოგლენები

პაციენტები შესაძლოა იღებდნენ ერთზე მეტ წამალს ან გადიოდნენ მკურნალობის კურსს ერთზე მეტი მედიკამენტის გამოყენებით. ეს განაპირობებს წამალთა ურთიერთქმედებას და შესაძლებელია გამოიწვიოს არასასურველი თანამოგლენები. ზოგჯერ პაციენტი, მისდევს რა დანიშნულ მკურნალობას, იმავდროულად იყენებს იმ სამკურნალო საშუალებებსაც, რომლებიც მისთვის

გამოწერილი არ ყოფილა. პოლი-მკურნალობის შემთხვევები ძირითადად ხანდაზმულ პაციენტებში გვხვდება, როდესაც ეპიზოდურ მკურნალობასთან ერთად მიმართავენ ხანგრძლივ მედიკამენტურ თერაპიას ან თვითმკურნალობას.

პაციენტის მკურნალობის ინტეგრირებული ჩანაწერები ფარმაცევტს ეხმარება უზრუნველყოს პაციენტის უსაფრთხოება.

ზოგ ქვეყანაში ფარმაცევტს შეუძლია კომპიუტერული მონაცემების მიხედვით იპოვოს პაციენტების სპეციალური ჯგუფი (მაგ. ასთმა, გულის დაავადებები) და მკურნალობის ჩანაწერების და ისტორიის საშუალებით განსაზღვროს, მიმართავს თუ არა პაციენტი ოპტიმალურ თერაპიას. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნულ საკითხს განიხილავს დანიშნულების მიმცემ სპეციალისტთან ერთად. ფარმაცევტის ასეთ ინიციატივას მაღალ შეფასებას აძლევენ როგორც პაციენტები, ასევე დანიშნულების მიმცემი სპეციალიტები.

წამლისმიერი დაავადებები

პაციენტებმა უნდა იცოდნენ, რომ წამლი თავისთავად შესაძლოა წარმოადგენდეს დაავადებათა გამომწვევ მიზეზს. ამ თვალსაზრისით ფარმაცევტი პაციენტისთვის არის ინფორმაციის ძირითადი წყარო და განმანათლებელი, რომელსაც ადვილად შეუძლია გამოვლინოს იატროგენული შემთხვევა და დროულად მიმართოს პაციენტი ექიმთან.

თერაპიული უპირატესობა/წამლის რაციონული გამოყენება/ ხარჯთ-ეფექტურობა

წამლით უსაფრთხო მკურნალობაში მონაწილეობით აფთიაქის ფარმაცევტები უზრუნველყოფენ საზოგადოების და ინდივიდუალური პაციენტების ფულის დაზოგვას, რამდენადაც მათ შეუძლიათ ისეთი არააუცილებელი ხარჯების თავიდან აცილება, რომლებიც დაკავშირებულია წამლის არასწორ გამოყენებასთან ან მედიკამენტის არგამოყენებასთან, დამატებით სამედიცინო კონსულტაციებთან, სამუშაოდან მოცდენასთან და ჰოსპიტალიზაციის ზოგიერთ შემთხვევებთან.

უკანასკნელ პერიოდში ჩატარდა ეკონომიკური ხარჯების კვლევა პოტენციურად თავიდან აცილებადი არასასურველი რეაქციების გასაანალიზებლად. ინგლისში განხილული იქნა ეკონომიკური დანახარჯების რამდენიმე შემთხვევა, რომლებიც გამოწვეული იყო წამლის შეუთავსებლობითა და პრევენციებადი არასასურველი რეაქციებით. ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლენილი შემთხვევები გამოსახული იქნა ციფრობრივი მონაცემების სახით:

- 2003-2004 წლებში 392,000 მწვავე შემთხვევა წარმოადგენდა წამლის არასასურველი რეაქციების შედეგს, რომელიც შეადგენს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის ბიუჯეტის 0,7%-ს;
- არასასურველი რეაქციებით გამოწვეული შემთხვევების 56% იყო პოტენციურად თავიდან აცილებადი, ხოლო მისი ექვივალენტი პოტენციურ დანახოვთან შეადგენს თითქმის 369 მილიონ ფუნტს (დაახლ. 560 მილიონ ევროს);

გამოვლენილი შეუთავსებლობის ფაქტებით დადგინდა, რომ:

- მკურნალობის დირექტულებამ ინგლისში 2004 წელს შეადგინა 8 მილიონი ფუნტი € (დაახლოებით 12 მილიონი ევრო);
- ყოველი 9 ოჯახიდან 1-ში ერთი დანიშნული წამლი მაინც ინახება, მაშინ, როცა პაციენტისათვის ამის საჭიროება აღარ არსებობს;

- წამლის დანაკარგი შეადგენს მედიკამენტური მკურნალობის ხაერთო ღირებულების 2,3%;
- შეხწავლილი ლიტერატურის მონაცემების მიხედვით წამლის ხავარაუდო დანაკარგი რეგიონში შეადგენს 16%.

შეციაში ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ ხანდაზმული პაციენტების მედიკამენტური მკურნალობის მონიტორინგის მიზეზით პაციენტების მკურნალობის ღირებულება (1450 \$ - დაახლ. 1122 € ყოველ პაციენტზე ყოველწლიურად) შემცირდა დაახლოებით 100 \$ (დაახლ. 77 € თითოეულ პაციენტზე ყოველწლიურად).

დანიაში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ხანდაზმული პაციენტების მკურნალობის სისტემატური მიმოხილვები დაზოგავდა 50 მილიონ €-ს წელიწადში.

4.4. ინფორმაცია პაციენტებისათვის

პაციენტთა უსაფრთხოების პროცესებში არის უკიდურესად მნიშვნელოვანი მხარე, სადაც განიხილება შემდეგ ძირითად ელემენტები:

- ფარმაცევტების მიერ პაციენტთა ცოდნის ამაღლება;
- ინფორმაციის გადაცემის ხელშეწყობა სხვადასხვა ჯანდაცვით დაწესებულებებში და სამუშაო ჯგუფებში;
- ინფორმაციით უზრუნველყოფის პრაქტიკის განვითარება (პაციენტთა ორგანიზაციებისათვის, საზოგადოებრივი ჯგუფებისათვის, ჯანმრთელობის სფეროს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის);
- პაციენტისა და ფარმაცევტის კომუნიკაციების გაზრდა;
- სიტყვიერი გზით ინფორმაციის გადაცემის ხელშეწყობა, რომელიც შევეძებული იქნება წერილობითი და არავერბალური ინფორმაციით.

ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტების გამოყენებით ხორციელდება პაციენტებისათვის სანდო და სარისხიანი ინფორმაციის მიწოდება.

წამლის გამოყენების პრაქტიკულ ნაწილში პაციენტი აუცილებლად უნდა იყოს ინფორმირებული ფარმაცევტისაგან შემდეგ საკითხებზე:

- რას აკეთებს მედიკამენტი?
- როგორ და როდის უნდა გამოიყენო?
- რამდენი ხნის მანძილზე უნდა გამოიყენო?
- როგორ მოქმედებს ის ცხოვრების ხტილზე?
- რა არის წამლის შეხაძლო გვერდითი ეფექტები და რისკი?
- რა უნდა გააკეთო მათი გამოვლენის შემთხვევაში?

მნიშვნელოვანია პაციენტი ინფორმირებული იყოს ჯანმრთელობის დაცის სპეციალისტებისათვის რელევანტური ინფორმაციის მიწოდების შესახებ, კერძოდ:

1. ყველა წამლის დასახელება, რომელსაც ისინი ამჟამად იღებენ (მათ შორის ის მედიკამენტები, რომელიც დანიშნული არ ყოფილა);
2. რაიმე ალერგიული რეაქციები ან წამლის გვერდითი ეფექტები, რომელთაც შესაძლოა აღიღონი პქონდა წარსულში;
3. თუ აქვთ რაიმე პრობლემა იმ მედიკამენტთან, რომელსაც ამჟამად ღებულობენ;
4. ქალი პაციენტების შემთხვევაში ორსულობის ან ძეგლთის კვების ვაქტი.

მნიშვნელოვანია, რომ პაციენტებმა რეალურად შეაფასონ, რომ რეკლამა არ უნდა იყოს აღქმული ინფორმაციად. ეგროსაბჭოს დირექტივა 2001/83, მუხლი 88 მოითხოვს, რომ წევრობის სტატუსის მქონე ქვეყნებში აიკრძალოს რეკლამა მოსახლეობისათვის იმ სამედიცინო პროდუქციაზე, რომლის გაცემაც ხდება რეცეპტით. რეკლამის განსაზღვრება ჩართული იქნა დირექტივაში შემდეგი ფორმულირებით: კარდაკარ ინფორმაციის გავრცელების ნებისმიერი ფორმა, რომელიც მიმართულია ფარმაცევტული პროდუქციის დანიშვნის (გამოწერისა), მომარაგების, გაყიდვის და მოხმარების დაგეგმილი სტიმულაციისაკენ.

4.5. პომუნიკაცია ჯანმრთელობის დაცვის საეციალისტებს შორის

წამლის გაცემის, დანიშვნის და გამოყენების თვალსაზრისით პაციენტის მკურნალობაში ჩართული არიან ჯანდაცვის სფეროს სხვადასხვა სპეციალისტები. ლია დიალოგები და კომუნიკაცია ჯანდაცვის სპეციალისტებს შორის ზრდის პაციენტთა უსაფრთხოებას. იგი საშუალებას აძლევს პაციენტებს და ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტებს გააკონტროლონ სამედიცინო მდგომარეობა და მკურნალობის შეცდომების გამოვლენის შემთხვევაში განახორციელონ შესაბამისი ქმედებები. აქედან გამომდინარე, ჯანმრთელობის დაცვის გუნდის წევრებს შორის პაციენტის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაცვლის სტრუქტურის განვითარებას არსებითი მნიშვნელობა აქვს გუნდის ყოველი წევრის გამოცდილების უკეთ გამოყენებისათვის პაციენტის სასარგებლოდ.

მაგალითად, პორტუგალიაში ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი კომისარის პატრონაჟით ყალიბდება ორმხრივი კომუნიკაციის ფურცლის მოდელი ფარმაცევტსა და ექიმს შორის, რომელიც შეიძლება ინიციორებული იყოს ნებისმიერი სპეციალისტის მიერ. მოდელი ხელს უწყობს კომუნიკაციის პროცესებს და სამედიცინო შეცდომების იდენტიფიკაციას, რაც მოითხოვს მედიკამენტური მკურნალობის მოდიფიკაციას (გამოწერილი წამალი).

4.6. განათლება და ტრანსმისი

პაციენტების, მათი მომვლელებისა და ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტებისათვის განათლება და ტრენინგი პაციენტთა უსაფრთხოებისაკენ გადადგმული ფუნდამენტური ნაბიჯია.

ტრენინგი არის დია კულტურის ფორმირების ძირითადი საშუალება, რაც ხელს უწყობს წამლის არასასურველი თანამოვლენების შეტყობინების სისტემის განვითარებას და ჯანდაცვის სპეციალისტებს შორის პასუხისმგებლობების გაზიარების სათანადო გარემოს შექმნას.

პაციენტის უსაფრთხოების კულტურის განვითარებაში კიდევ ერთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კომპონენტია პროცესებში დაინტერესებულ მხარეთა სრული სპექტრის ჩართვა (აკადემია, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მენეჯერები, ფარმაცევტული წარმოება და სხვა).

პაციენტი და მომვლელები

პაციენტებისა და მათი მომვლელების მიერ პროდუქტის უსაფრთხოება და ზრუნვა აღქმულია, როგორც მათი მთავარი მოლოდინი იმ სრული ეთიკური ასპექტების გათვალისწინებით, რომლებიც უკავშირდება ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხარისხს. კომუნიკაციის გზით პაციენტის კარგად ინფორმირება წამლის ეფექტურობის და რისკის შესახებ ინდივიდუალური გამოცდილების

ფონზე, გარკვეულწილად წარმოადგენს ფარმაციის სპეციალისტების გამოწვევას, რომლის შეფასებაც უნდა მოხდეს ჯანმრთელობის დაცვის პროფესიონალთა განათლების და ყოველდღიური პრაქტიკის სტანდარტების განვითარების გზით.

პაციენტებთან და მათ მომვლელებთან, ისევე როგორც პაციენტთა ადგილობრივ ჯგუფებთან ინდივიდუალური, ნდობით ადსავსე ურთიერთობის ჩამოყალიბებას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს პაციენტის უფლებამოსილებით აღჭურვისა და მისი ცნობიერების ამაღლებისათვის. ფარმაცევტებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიგანონ წამლის არასასურველი თანამოვლენების შეტყობინების სისტემაში პაციენტთა აქტიურ ჩართვაში და გაზარდონ მათი მსარდაჭერა და შეთანხმებული მოქმედება მკურნალობის პროცესთან.

4.7. საზოგადოებრივი ფარმაცევტების წვლილი პაციენტის უსაფრთხოები

საზოგადოების წევრები აფთიაქებს აღიარებენ, როგორც ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ცოცხალ, განუყოფელ ნაწილს. მათვის ნაცნობია ის ადგილები, სადაც შეუძლიათ ჯანსაღი, ობიექტური რჩევის მიღება არაფორმალურ და კომფორტულ გარემოში ჯანმრთელობის შესახებ კარგად გაცნობიერებული ჯანდაცვის სპეციალისტების მხრიდან. აფთიაქები ზოგადად წარმოადგენენ აშკარა ცენტრებს ყველა საზოგადოებაში, სადაც ეფექტურად ხდება ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება, ასევე მოსახლეობის დარწმუნება გამოყენებული წამლის უსაფრთხოებას, ხარისხსა და ეფექტურობაში.

ევროკავშირის ტერიტორიაზე დაახლოებით 400 000 ფარმაცევტი ყოველდღიურად ემსახურება 46 მილიონ ევროპელ მოქალაქეს სააფთიაქო ქსელით, რომელიც აერთიანებს 160.000-ზე მეტ აფთიაქს.

მტკიცებულებები აჩვენებს, რომ პოსპიტალიზაციის 6-14% უკავშირდება წამლით გამოწვეულ შემთხვევებს, მათ შორის 3-8%-ში ეს გამოწვეულია არასასურველი რეაქციებით. წამლით გამოწვეული პოსპიტალური შემთხვევების დაახლოებით 2% ფატალურია და დაახლოებით 60% - პრევენცირებადი. ყველაზე ხშირად განმეორებადი წამლისმიერი პრობლემები უკავშირდება 2 ძირითად მიზეზს:

- მედიკამენტური მკურნალობის არაეფექტურობა (მკურნალობის წარუმატებლობა), ხშირად ახორციელება წამლის დაბალი დოზის რეზისტაცია და შეუთავსებლობასთან.
- არსებული სამედიცინო მდგრამარეობისათვის წამლით არასაკმარისი თერაპია.

ნაკლები სისტირით გვხვდება უსაფრთხოების პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია არასასურველი ეფექტებით და წამლის მაღალი დოზის მიღებით. წამლისმიერი პრობლემები ხშირ შემთხვევაში ასოცირდება სამკურნალო საშუალებების ისეთ ჯგუფებთან, როგორიცაა კარდიოფასკულური საშუალებები, ანტიბიოტიკები, ტკივილგამაყუჩებლები (ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული) და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედი წამლები.

უკეთესი პრაქტიკის განსახორციელებლად ფარმაცევტები თავიანთ აფთიაქებში იყენებენ სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამებს (ბევრ ევროპულ ქვეყნაში ფარმაცევტების 90% აღჭურვილია კომპიუტერული სისტემებით, ზოგ ქვეყნებში აღჭურვა აღწევს 100%). განვითარებული პროგრამული უზრუნველყოფა და მონაცემთა ბაზა განაპირობებს სრულ ინფორმირებას წამალთა ურთიერთქმედებასა და არასტორი დანიშნულებების შესახებ. სულ ახლახანს ფარმაცევტებმა დანერგეს ელექტრონული დანიშნულების ფორმა, ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერები, შეფუთვის სკანირება ფალსიფიცირებული და ამოღებული,

უკან დაბრუნებული საშუალებებისათვის, შეტყობინების და სასწავლო სისტემები. გარდა ამისა, ფარმაცევტებს ჩამოყალიბებული აქვთ ადგილობრივი წრეები, სადაც ჯანმრთელობის დაცვის სხვა სპეციალისტებთან ერთად განიხილება მკურნალობის უსაფრთხოებისა და წამლის რაციონული გამოყენების გზები. სხვადასხვა ქვეყნები მიმართავენ ასევე შესაბამისობაზე ხარისხის სერტიფიცირების პროცედურებს (მაგ. ISO 9001:2000 სტანდარტი).

ამავდროულად, იმის გათვალისწინებით, რომ ფარმაცევტები ფეხდაფეხ მიყვებიან ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების პროცესებს და წარმოადგენენ პროფესიული პრაქტიკისათვის შესაფერის ელემენტებს, პროფესიული ორგანიზაცია მუდმივად უზრუნველყოფს პროფესიული სისტემის განვითარებას.

საზოგადოებრივი ფარმაცევტები წარმოადგენენ ჯანდაცვის სისტემის განუყოფელ ნაწილს და ამდენად შეუძლიათ თავიანთი წვლილი შეიტანონ ჯანდაცვის სისტემების უკეთ და ეფექტურად ფუნქციონირებაში.

ფარმაცევტები მონაწილეობენ პაციენტთა ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტების გათვალისწინებით:

- ფარმაცევტების პროფესიული განათლება, პრაქტიკული გამოცდილება და უწყვეტი პროფესიული განვითარება განაპირობებს სრულყოფილი ფარმაცევტული ცოდნის შეძენას;
- ფარმაცევტის მოღვაწეობის როლის განსაზღვრა ჯანმრთელობის დაცვის სისტემებში;
- აფთიაქებისადმი ხელმისაწვდომობა და მათი გეოგრაფიული განაწილება;
- ურთიერთობა ფარმაცევტებსა და პაციენტებს შორის ეფუძნება პაციენტთა უსაფრთხოების საკითხებს;
- წამლის გაცემის გარდა, ფარმაცევტი მრჩეველის/კონსულტანტის როლს ასრულებს;
- საზოგადოებრივი აფთიაქების კომპიუტერიზაციის დონე;
- ფარმაცევტების როლი წამლის არასასურველი თანამოვლენების და მედიკამენტური მკურნალობის შეცდომების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიკაციასა და პრევენციაში.

ჯანდაცვის სისტემებში პაციენტის უსაფრთხოების მაღალ დონეზე უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვანია:

- წამლების უსაფრთხო გავრცელება, მედიკამენტური მკურნალობის შეცდომების გაუვნებელყოფება და წამლის გაცემის შეცდომების თავიდან აცილება კომპიუტერული პრაქტიკის დანერგვის მეშვეობით;
- მონიტორინგი წამლების უსაფრთხოებაზე, რომელიც დაფუძნებულია დანიშნულების რეგულარულ კონტროლსა და წამლების არასასურველი თანამოვლენების აქტიურ გამოვლენაზე;
- ჯანდაცვის პროფესიონალებისა და პაციენტებისთვის მიუკერძოებელი და უახლესი ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, თანაფარდობის შენარჩუნება მკურნალობის ეფექტურობასა და რისკს შორის;
- პაციენტების და ზოგადად მოსახლეობის განათლება წამლების უსაფრთხო გამოყენების თაობაზე; პაციენტების აღქმა აქტიურ პარტნიორებად სამედიცინო მომსახურეობის გაწევისას;

- ეფექტური ურთიერთობა ჯანდაცვის პროფესიონალებს შორის ცალკეული პაციენტების მკურნალობასთან დაკავშირებით, რათა დროულად იქნეს აცილებული პრობლემები სამედიცინო შეცდომების დაშვების შემთხვევაში;
- ჯანდაცვის პროფესიონალების განათლება, ტრენინგი და უწყვეტი პროფესიული განვითარება;
- დისციპლინათაშორისი (მრავალპროფილური) თანამშრომლობა უსაფრთხოების კულტურის დასამკვიდრებლად;
- კვლევების ჩატარების დაგეგმვა პირველად ჯანდაცვაში;
ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების განადგურება

განადგურებას ექვემდებარება:

- ა) უკანონო ბრუნვიდან ამოღებული, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები;
- ბ) ავადმყოფის მკურნალობისათვის გაცემული და უკან დაბრუნებული ნარკოტიკული საშუალებები;
- გ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები "წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

5.4. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ბაზობრივი სფერო

სამედიცინო მიზნით ნებადართულია III და IV სიებში მითითებული, საქართველოში რეგისტრირებული ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების გამოყენება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო განსაზღვრავს სამკურნალო დანიშნულების იმ ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების ჩამონათვალსა და რაოდენობას, რომელთა გამოყენებაც პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით ნებადართულია საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საჭარო, საზღვაო და სარკინიგზო, მათ შორის საერთაშორისო რეისების შესრულებისას.

ნებისმიერი ტრანსპორტით საერთაშორისო რეისების შესრულებისას ან საერთაშორისო დონისძიებების ჩატარებისას, შესაბამისად მგზავრთა და მონაწილეთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით,

ნებადართულია სამკურნალო დანიშნულების ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების საერთაშორისო ნორმებით განსაზღვრული რაოდენობით გადაზიდვა საქართველოს ტერიტორიის გავლით. აღნიშნული პროცესი არ განიხილება როგორც შემოტანა, გატანა ან ტრანზიტი.

საერთაშორისო დონისძიებების ჩატარებისას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საბაჟო დეპარტამენტზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცემს შესაბამის დოკუმენტს, რომელიც საქართველოს საბაჟო ორგანოებისათვის წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების გატარების საფუძველს.

საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით მიმავალ ავადმყოფს უფლება აქვს თან იქნიოს ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებები სათანადო სამედიცინო და საბაჟო დოკუმენტებთან ერთად. თუ ტრანზიტით მიმავალი ავადმყოფი ვერ ტოვებს საქართველოს ტერიტორიას, მაგრამ მკურნალობის გასაგრძელებლად საჭიროებს ნარკოტიკული საშუალებებს და ფსიქოტროპული ნივთიერებებს, მაშინ ამ სამკურნალო საშუალებებით ავადმყოფის უზრუნველყოფა ხდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების საექსპერტო საქმიანობაში გამოყენების უფლება აქვთ შესაბამისი ნებართვის მფლობელ იურიდიულ პირს და სამისოდ უფლებამოსილ სახელმწიფო დაწესებულებას.

სახწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და დიაგნოსტიკური მიზნით ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების გამოყენების უფლება აქვს შესაბამისი ნებართვის მქონე იურიდიულ პირს, ხოლო პრეკურსორისა-ინდივიდუალურ მეწარმეს.

ყველა სახელმწიფო ორგანო, იურიდიული პირი და ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ლეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებულ საქმიანობას, ვალდებულია თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების ლეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია რეგისტრირდება სპეციალურ სარეგისტრაციო უფრნალში, რომლის წარმოების წესს ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

5.5. ნარკოლოგიური დახმარება

სახელმწიფო აფინანსებს ნარკომანით დაავადებული პირის გამოკვლევას და ექსპერტიზას, დიაგნოსტიკას, დისპანსერიზაციას, მკურნალობას და სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარებას „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში.

ნარკომანით დაავადებულ პირს ნარკოლოგიური დახმარება გაეწევა შესაბამისი ნებართვის მქონე სამედიცინო დაწესებულებაში გაცხადებულად ან ანონიმურად, ნებაყოფლობითი ან სავალდებულო წესით. არასრულწლოვან პაციენტს ნარკოლოგიური დახმარება გაეწევა მშობლის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის ან საკუთარი სურვილით.

ნარკომანიით დაავადებული პირის მკურნალობა ნარკოტიკული საშუალებებით აკრძალულია, გარდა სასიცოცხლო ჩვენებებისა, სტაციონარის პირობებში შესაბამისი სტანდარტის მიხედვით ნარკოტიკული დამიკიდებულების მოხსნის პერიოდისა, აგრეთვე ნარკომანის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამის განხორციელებისა.

ნარკომანიის ჩანაცვლებითი პროგრამით მკურნალობის მეთოდიკას განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო შესაბამისი ნორმატიული აქტით.

ნარკომანიით დაავადებულ პირთა, მომხმარებელთა, აგრეთვე ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებელთა გამოკვლევისა და ექსპერტიზის, დიაგნოსტიკის, დისპანსერიზაციის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის წესებს განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო შესაბამისი სტანდარტით. გამოკვლევის, ექსპერტიზისა და დიაგნოსტიკის შემთხვევაში ნარკომანიით დაავადებულ პირზე ვრცელდება „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მიღების ფაქტი დგინდება კლინიკური გამოკვლევის საფუძველზე შესაბამისი სტანდარტით.

ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში თავსდება ინფორმაცია საქართველოში ნარკომანიით დაავადებულ პირთა შესახებ. ანონიმური მკურნალობის შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულებებს უფლება აქვთ საინფორმაციო ბანკში ინფორმაცია გააგზავნონ პაციენტის პერსონალური მონაცემებს გარეშე. ასეთი მონაცემები წარმოადგენს საექიმო საიდუმლოებას, რომლის გაცხადება ხდება პაციენტის თანხმობით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

ნარკომანიის დიაგნოსტირებას ახდენს სამედიცინო დაწესებულება კომისიური წესით (არა ნაკლებ სამი ექიმი-ნარკოლოგის მონაწილეობით), რომელიც ნარკომანიით დაავადებულ პირზე სამ ეგზემპლარად ადგენს სააღრიცხვო ბარათს. ერთი ეგზემპლარი ეგზავნება ცენტრალურ საინფორმაციო ბანკს, მეორე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხოლო მესამე - რჩება დაწესებულებაში.

ნარკომანიით დაავადებული პირი მკურნალობის კურსის დამთავრების შემდეგ სამი წლის განმავლობაში იმყოფება დისპანსერულ მეთალურეობაზე. მას მკურნალობა უტარდება სამედიცინო დაწესებულებაში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სტანდარტების ფარგლებში.

ნებაყოფლობითი მკურნალობის შემთხვევაში ნარკომანიით დაავადებულ პირს უფლება აქვს დადგენილი წესით შეინარჩუნოს ანონიმურობა, საკუთარი სახსრებით, არანაკლებ სიცოცხლეში ერთხელ-სახელმწიფოს ხარჯზე ჩაიტაროს მკურნალობის სრული კურსი.

ანონიმური მკურნალობის შემთხვევაში ნარკომანიით დაავადებული პირი ვალდებულია სამედიცინო დაწესებულებას დადგენილი წესით წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი საბუთი. ასეთი საბუთის საფუძველზე პაციენტს ენიჭება სპეციალური საიდენტიფიკაციო კოდი, რომლის გაშიფრა ხდება მისი თანხმობით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

ნარკომანიით დაავადებული პირის სავალდებულო მკურნალობის სახეებია:

ა) ნარკოტიკული დამოკიდებულების მოხსნა თავისუფლების დროებითი შეზღუდვის ან პატიმრობაში აყვანის შემთხვევაში;

ბ) მკურნალობა თავისუფლების აღვეთის აღვილებაში.

თუ ნარკომანიით დაავადებულ პირს დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი და იგი უარს აცხადებს ნებაყოფლობით მკურნალობაზე, საგალდებულო მკურნალობის აუცილებლობას და ხანგრძლივობას განსაზღვრავს სამედიცინო დაწესებულება კომისიური წესით, რის საფუძველზედაც სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება პირისათვის სავალდებულო მკურნალობის ჩატარების შესახებ. სრულწლოვან პაციენტებს სავალდებულო მკურნალობა უტარდება სპეციალიზირებულ, დახურული ტიპის ნარკოლოგიურ დაწესებულებაში, ხოლო არასრულწლოვან პაციენტებს –სპეციალიზირებულ, დახურული ტიპის სამკურნალო აღმზრდებლობით დაწესებულებაში. სავალდებულო მკურნალობა წყდება შესაბამისი დაწესებულების კომისიური გადაწყვეტილების საფუძველზე და მისთვის თავის არიდება ისჯება კანონით.

5.6. ვარმაცევტულ, სამედიცინო, სასოფლო, სამეცნიერო-კვლევით, საექსპერტო-დიაგნოსტიკურ დაწუსებულებები და საკონტროლო-ანალიზურ ლაბორატორიაში ნარკოტიკული საშუალებების, ჟირიტოროგიული ნივთიერებებისა და პრეპარაციების ლებალური ბრუნვის წესები

5.6.1. ვარმაცევტულ საპითუმო ბაზაში ნარკოტიკული საშუალებების, ჟირიტოროგიული ნივთიერებებისა და პრეპარაციების შემენის, შენახვის, აღრიცხვის, ბაცემისა და რეალიზაციის წესი

ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და კრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, გაცემისა და რეალიზაციის უფლება აქვს ამ საქმიანობაზე შესაბამისი ნებართვის მქონე ფარმაცევტულ საბითუმო ბაზას.

ბაზაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენა, შენახვა, აღრიცხვა, გაცემასა და რეალიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ბაზის ხელმძღვანელსა და მის მიერ ბრძანებით გამოყოფილ პირებს. ბაზა ვალდებულია:

- ა)ნარკოტიკული საშუალებები დანიშნულების ადგილამდე გადაიტანოს მხოლოდ პოლიციის ბადრავის თანხლებით;
- ბ)შეიძინოს მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული, სამკურნალო დანიშნულების სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები, გარდა „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა;
- გ)საქართველოს ფარვლებში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები შეიძინოს და აწარმოოს საბითუმო რეალიზაცია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის მქონე იურიდიული პირისაგან;
- დ)საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს (შემდგომში „სააგენტო“) მიაწოდოს ინფორმაცია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების ლეგალური ბრუნვის შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დადგენილი წესით.

ბაზას ეკრძალება:

- ა)სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საცალო რეალიზაცია;
- ბ)სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების რეალიზაცია ხარისხის სერტიფიკატის გარეშე;
- გ)ნარკოტიკული საშუალებების გაცემა ფარმაცევტულ საქმიანობაზე უფლებამოსილ იმ იურიდიულ პირზე, რომელსაც გაცემის მომენტისათვის არ ახლავს პოლიციის დაცვა.
- დ)ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, და პრეკურსორებისა რეალიზაცია მყიდველისათვის აღვილზე მიწოდების გზით (გარდა სტიქიური უბედურებების ან სხვა საგანგებო სიტუაციების დროს გათვალისწინებული შემთხვევებისას).

ბაზაში ნარკოტიკული საშუალებების აღრიცხვისა და შემოსავალ-გასავლის უკელა საბუთი ინახება 5, ხოლო ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების - 3 წლის განმავლობაში ბრძანებით გამოყოფილ პირთან, რის შემდეგაც ნადგურდება შესაბამისი აქტით, რომელ შიც მითითებული უნდა იყოს განადგურებული დოკუმენტების ჩამონათვალი, განადგურების თარიღი. აქტს ხელს უნდა აწერდნენ ბაზის ხელმძღვანელი, ბაზაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენა, შენახვა, აღრიცხვა, გაცემასა და რეალიზაციაზე პასუხისმგებელი პირები და პოლიციის მოწვევული წარმომადგენელი.

ბაზაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები უქვემდებარება საგნობრივ-რაოდენიბრივ აღრიცხვას დალუქულ, დანომრილ, ზონარგაურილ და სააგენტოს ბეჭდით დამოწმებულ უურნალში.

**სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების
საგნობრიბ-რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალის
ფორმა საბითუმო ბაზისათვის**

შემოსავალი					
თვე	ნაშთი 1-ლი რიცხვისათვის	ვისგან არის მიღებული	საბუთის N და თარიღი	რაოდენობა	სერია
1	2	3	4	5	6

გასავალი						
მთლიანად თვის შემოსავალი ნაშთთან ერთად	ვისზე გაიცა (ლიცენზიის N-ის მითითე ბით)	საბუთის N და თარიღი	რაოდე ნობა	სერია	ნაშთი მომდევნო თვის 1-ლი რიცხვისა თვის	სულ გასავალი თვის განმავ ლობაში
7	8	9	10	11	12	13

ბაზაში ფსიქოტროპული ნივთიერებები, პრეკურსორები (მხოლოდ სუბსტანციის სახით) და ნარკოტიკული საშუალებები ინახება სპეციალურად გამოყოფილ უფანჯრო ოთახში, ცეცხლგამძლე სეიფში. ოთახს უნდა გააჩნდეს კაპიტალური კედლები, რკინის კარები, და აღვილობრივი შუქხმოვანი და პოლიციასთან დაკავშირებული სიგნალიზაციები. ბაზა, სადაც ინახება ამ პუნქტით გათვალისწინებული ნივთიერებები, უზრუნველყოფილი უნდა იყოს შეიარაღებული დაცვით. იმ შემთხვევაში, თუ ბაზა ვერ უზრუნველყოფს ამ პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას, ნარკოტიკული საშუალებების

შენახვა და გაცემა დასაშვებია დადგენილი საცავიდან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და შინაგან საქნეთა მინისტრების ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში, რაზეც ფორმდება შესაბამისი დოკუმენტი. აღნიშნულ საცავში ნარკოტიკული საშუალებების მიღების, შეძენის, აღრიცხვის, გაცემის და რეალიზაციის წესი შეესაბამება ბაზაში ნარკოტიკული საშუალებების მიღების, აღრიცხვის, გაცემისა და რეალიზაციის წესს.

ფსიქოტროპული ნივთიერებები და პრეკურსორები (გარდა სუბსტანციებისა) ინახება ცალკე, სპეციალურად გამოყოფილ ოთახებში, რომელიც აღჭურვილი უნდა იყოს რეინის კარებითა და ფანჯრებზე გისოსებით. სპეციალურად გამოყოფილი ოთახის და სეიფის გასაღებები ინახება სპეცკონტროლირებადი საშუალებების შენახვას, აღრიცხვასა და გაცემაზე შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირთან (პირებთან).

ოთახი და სეიფი, სადაც ინახება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ იკეტება და ილუქტება. ამ ოთახში შესვლის უფლება აქვთ მხოლოდ პასუხისმგებელ პირებს.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების მიღება წარმოებს ბაზის ხელმძღვანელის შიდა ბრძანებით გამოყოფილი მიმღები კომისიის მიერ.

კომისიის შემადგენლობაში შედიან:

- ა) კომისიის თავმჯდომარე (უმაღლესი ფარმაცევტული განათლებით);
- ბ) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (მოადგილუები);
- გ) შესაბამისი განყოფილების გამგე ან მისი მოადგილე;
- დ) ანალიზური ლაბორატორიის წარმომადგენელი.

ბაზის მიერ მიღებული ნარკოტიკული საშუალებების თითოეულ დასახელებაზე ივსება სააღრიცხვო ბარათი ან კომპიუტერული პროგრამით გათვალისწინებული აღრიცხვის ფორმა.

ბაზიდან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული საშუალებების სუბსტანციები გაიცემა მხოლოდ დალუქულ მდგომარეობაში. ეტიკეტზე აღინიშნება სუბსტანციის დასახელება, რაოდენობა, გამცემი ბაზის დასახელება, ლაბორატორიული ანალიზის და სერიის ნომრები, ვარგისობის ვადა და მოწმდება პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით.

ბაზიდან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები გაიცემა მხოლოდ სათანადო მოთხოვნის (განაცხადისა და ერთჯერადი მინდობილობის) საფუძველზე.

მოთხოვნა ნარკოტიკულ საშუალებებზე, ფსიქოტროპულ ნივთიერებებსა და პრეკურსორებზე იწერება ცალ-ცალკე. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები გამოიწერება სხვა სამკურნალო საშუალებებისაგან განცალკევებით, ლათინურ ენაზე, დასახელების, წამლის ფორმისა და დოზის სრული მითითებით. რაოდენობა მიეთითება როგორც რიცხობრივად, ასევე სიტყვიერად. მოთხოვნა მოწმდება იურიდიული პირის ბეჭდითა და ხელმძღვანელის ხელმოწერით.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გაცემის წინ ბრძანებით გამოყოფილი პირი ვალდებულია მოითხოვოს შესაბამისი ნებართვა, გადაამოწმოს გაცემის საფუძველი (მოთხოვნა, მინდობილობა), გასაცემი სამკურნალო საშუალების შესაბამისობა თანმხლებ დოკუმენტაციასთან, შეფუთვის, მარკირების და გაფორმების სისტორე, რის შემდეგაც ხელს აწერს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გაცემის სპეციალურ ფორმას.

**სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების
გაცემის სპეციალურ ფორმა**

მომწოდებელი ორგანიზაცია:

მისამართი:

მომსახურე ბანკი:

ანგარიშის N

ფარმაცევტული საქმიანობის
ლიცენზიის N

მიმღები ორგანიზაცია:

მისამართი:

მომსახურე ბანკი:

ანგარიშის N

ფარმაცევტული საქმიანობის
ლიცენზიის N

ხელშეკრულება N

N	სამკურნალო საშუალების დასახელება, დოზა, შეფუთვა	ზომის ერთეული	რაოდენობა	სერია	ვარგისობის ვადა	მწარმოებელი კომპანია, ქვეყანა	რეგისტრაციის ნომერი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9

მედიკამენტების ხარისხის სერთიფიკატები ინახება ბაზაში

პასუხისმგებელი ფარმაცევტი _____

გაამზადა _____ გასცა _____ მიიღო _____

**5.6.2. აფთიაქში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული
ნივთიერებების და პრეკურსორების შემძლებელის, შენახვის, აღრიცხვის,
მომზადების, გაცემის და
რეალიზაციის მქონე აფთიაქს. სათანადო ნებართვის მქონე აფთიაქს ასევე შეუძლია
მოამზადოს ნარკოტიკული საშუალებების შემცველი წამლის ფორმები.**

აფთიაქში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, მომზადების, გაცემის და რეალიზაციის (მათ შორის საბიოტო რეალიზაციის) უფლება აქვს შესაბამისი ნებართვის მქონე აფთიაქს. სათანადო ნებართვის მქონე აფთიაქს ასევე შეუძლია მოამზადოს ნარკოტიკული საშუალებების შემცველი წამლის ფორმები.

აფთიაქში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენა, მიღება, შენახვა, აღრიცხვა, გაცემასა და რეალიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ აფთიაქის ხელმძღვანელსა და მი მიერ ბრძანებით გამოყოფილ პირს (პირებს).

აფთიაქში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები ექვემდებარება საგნობრივ-რაოდენობრივ აღრიცხვას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ბეჭდით დამოწმებულ ჟურნალში.

**სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საგნობრივ-
რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალის ფორმა აფთიაქისათვის**

შემოსავალ I								
თვე	ნაშთი 1-ლი რიც ხვი სათ ვის	დოკუმენტის ტარიღი	რაოდენობა	სერია	დოკუმენტის N და თარიღი	რაოდენობა	სერია	სულ შემოსავალი ნაშთთან ერთად
იანვარი თებერვალი ... დეკემბერი								
1	2	3	4	5	6	7	8	9

გასავალი								
თვის რიცხვები					სულ გასავალი თვეში	ნაშთი	მატერიალური პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა	
1	2	...	30	31				
10			11			12		13

ბ.ა.

აფთიაქი ვალდებულია:

- ა) ნარკოტიკული საშუალებები დანიშნულების ადგილამდე გადაიტანოს მხოლოდ პოლიციის დაცვის თანხლებით;
- ბ) შესაბამისი ლიცენზიის მქონე იურიდიული პირისაგან შეიძინოს მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები;
- გ) ნარკოტიკული საშუალების ყოველი გაცემისას ფიზიკურ პირზე გასცეს აღნიშნულის დამადასტურებელი საბუთი მრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული ფორმით;
- დ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების ლეგალური ბრუნვის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს სააგენტოს საქართველოს მრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დადგენილი წესით.

აფთიაქს ეკრძალება:

- ა) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული საშუალებების სუბსტანციების სახით საცალო რეალიზაცია;
- ბ) ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების გაცემა ინდივიდუალურ მეწარმეზე;
- გ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ექსტემპორალური ფორმით მომზადება და გაცემა ექიმის მიერ გამოწერილი

სპეციალური რეცეპტის ან შესაბამისი ლიცენზიის მქონე დაწესებულების რფიციალური მოთხოვნის გარეშე;

დ)სიმპტომურ ძკურნალობაზე მყოფ ონკოინკურაბელური და სომატური ავადმყოფებისათვის ნარკოტიკული საშუალებების არატერიტორიული პრინციპით გაცემა (რეალიზაცია) შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანხმობის გარეშე.

აფთიაქის ხელმძღვანელი ყოველი მომდევნო თვის პირველი რიცხვისათვის ადარებს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ფაქტობრივ ნაშთს ჟურნალის ნაშთთან. მონაცემების შეუსაბამობის შემთხვევაში აფთიაქის ხელმძღვანელი ადგენს შესაბამის დოკუმენტს და აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს სააგენტოს, რომელიც ვალდებულია შეტყობინებიდან 5 დღის ვადაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეისწავლოს საკითხი.

აფთიაქში ნარკოტიკული საშუალებები ინახება სპეციალურად გამოყოფილ უფანჯრო ოთახში, ცეცხლგამდლე სეიფში. ოთახს უნდა ჰქონდეს კაპიტალური კედლები, რკინის კარები და გააჩნდეს ადგილობრივი შუქმოვანი და პოლიციასთან დაკავშირებული სიგნალიზაციები. აფთიაქი, სადაც ინახება ნარკოტიკული საშუალებები უზრუნველყოფილი უნდა იყოს შეიარაღებული დაცვით. იმ შემთხვევაში, თუ აფთიაქი ვერ უზრუნველყოფს ზემოთ გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას, დასაშვებია ნარკოტიკული საშუალებების შენახვა და გაცემა განხორციელდეს შესაბამისი რაიონული პოლიციიდან ამ უკანასკნელის თანხმობის შემთხვევაში.

ფსიქოტროპული ნივთიერები და პრეკურსორები ინახება ცალკე ხის ან რკინის კარადაში, ოთახი აღჭურვილი უნდა იყოს რკინის კარით და ფანჯრებზე გისოსებით.

სპეციალურად გამოყოფილი ოთახის (ოთახების), სეიფის და კარადის გასაღებები ინახება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შენახვა, აღრიცხვასა და გაცემაზე შესაბამისი ბრძანებით გამოყოფილ პასუხისმგებელ პირთან (პირებთან).

ოთახი (ოთახები) და სეიფი, სადაც ინახება სპეცკონტროლირებადი საშუალებები, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ იკეტება და ილუქტება. ამ ოთახში (ოთახებში) შესვლის უფლება აქვთ მხოლოდ პასუხისმგებელ პირებს.

აფთიაქიდან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები გაიცემა მხოლოდ სათანადო წესით შევსებული სპეციალური რეცეპტების (ფორმაNN1,2) ან/და მასთან ხელშეკრულებით მომუშავე სამედიცინო, ფარმაცევტული, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, საექსპერო-სადიაგნოსტიკო დაწესებულებისა და საკონტროლო-ანალიზური ლაბორატორიის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნისა (განაცხადის) და ერჯერადი მინდობილობის საფუძველზე.

მოთხოვნა ნარკოტიკულ საშუალებებზე, ფსიქოტროპულ ნივთიერებზე და პრეკურსორებზე იწერება ცალ-ცალკე. სპეცკონტროლირებადი საშუალებები გამოიწერება სხვა სამკურნალო საშუალებებისაგან განცალკევებით, ლათინურ ენაზე, დასახელების, წამლის ფორმისა და დოზის სრული მითითებით. რაოდენობა მიეთითება როგორც რიცხობრივად, ასევე სიტყვიერად. მოთხოვნა მოწმდება იურიდიული პირის ბეჭდითა და ხელმძღვანელის ხელმოწერით. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გაცემის წინ ბრძანებით გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი ვალდებულია იურიდიული პირისაგან მოითხოვოს შესაბამისი ლიცენზია, გადაამოწმოს გაცემის საფუძველი (მოთხოვნა, მინდობილობა), გასაცემი სამკურნალო საშუალების შესაბამისობა თანმხლებ დოკუმენტაციასთან, შეფუთვის, მარკირების და გაფორმების სისწორე, რის

შემდეგაც ხელს აწერს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და კონტროლირებადი საშუალებების გაცემის სპეციალურ ფორმას.

იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი რეცეპტში მითითებული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები აფთიაქს გააჩნია სხვა დოზებით ან სხვა სავაჭრო დასახელებით, ფარმაცევტს უფლება აქვს გასცეს ეს პრეპარატები რეცეპტში გამოწერილ დოზებთან შესაბამისობაში და მისცეს პაციენტს სათანადო განმარტება.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გაცემისას რეცეპტის მეორე გვერდზე კეთდება ჩანაწერი ფაქტობრივად გაცემული მედიკამენტის შესახებ წამლის სავაჭრო დასახელების, დოზის, რაოდენობის და გაცემის თარიღის მითითებით. ჩანაწერს ხელს აწერენ წამლის გამცემი და მიმღები პირები.

მიმდინარე სამუშაოებისათვის საასისტენტო ოთახში ნარკოტიკული საშუალებები გაიცემა სამარაგო გამყოფილებიდან, მხოლოდ აფთიაქის დირექტორის ან მისი ბრძანებით გამოყოფილი უფლებამოსილი პირის მიერ.

ექსტემპორალურად მოსამზადებელი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შემცველ წამლებზე რეცეპტის მიღებისას ფარმაცევტი ვალდებულია ამ ინგრედიენტის დასახელების ქვეშ გაუსვას წითელი ხაზი, დააზუსტოს ავადმყოფის ასაკი, შეამოწმოს დოზირების სისწორე და რეცეპტზე გამოწერილი ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ერთმანეთთან შეთავსება.

წამლის შემადგენლობაში შემავალი ნარკოტიკული საშუალებები (მხოლოდ სუბსტანციები) უნდა აიწონის ფარმაცევტ-ტექნოლოგის მიერ, ფარმაცევტის თანაშემწის თანდასწრებით, რის შემდეგ შტანგლასი დაუყოვნებლივ ინახებ კარადაში, აწონილი სუბსტანციისაგან წამალი მზადდება დაუყოვნებლივ, რეცეპტის უკანა მხარეს ხელს აწერენ გაცემაზე ფარმაცევტ-ტექნოლოგი, მიღებაზე - ფარმაცევტის თანაშემწე (სამკურნალო საშუალების დასახელებისა და რაოდენობის აღნიშვნით).

აფთიაქში მომზადებულ ნარკოტიკულ საშუალებას ეტიკეტზე ან სიგნატურაზე უნდა ჰქონდეს ზუსტი და გარკვევით მიწერილი შესაბამისი წარწერა: „შინაგანი”, „გარეგანი”, „საინექციო”, „თვალის წვეთები”, დამამზადებელი აფთიაქის დასახელება, წამლის შემადგენლობა, რაოდენობა, დამზადების თარიღი, ვარგისობის ვადა, უშუალო დამამზადებლის და აფთიაქიდან გამცემი პირის ხელმოწერები.

აფთიაქის ფარმაცევტი ვალდებულია:

- ნარკოტიკული საშუალების მიღებს წინასწარ დაუდგინოს წამლის მიღების დღე და საათი;
- უზრუნველყოს ტერიტორიული პოლიკლინიკების სისტემატური ინფორმირება აფთიაქში არსებული ნარკოტიკული საშუალების რაობის, წამლის ფორმისა და დოზის შესახებ.

სტაციონართან (სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურთან) ხელშეკრულებით მომუშავე აფთიაქიდან სპეციალტროლირებადი საშუალებების გაცემა ხდება სტაციონარის (სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურის) მიერ გაცემული მოთხოვნისა და ერჯერადი მინდობილობის საფუძველზე. მოთხოვნა გამოიწერება ოთხ ეგზემპლარად წამლის დასახელების (ლათინურ ენაზე), დოზირებისა და რაოდენობის სრული მითითებით. მოთხოვნას ხელს აწერენ სტაციონარის (სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურის) ხელმდგვანელი, მიღებაზე და გაცემაზე პასუხისმგებელი პირები. ოთხი ეგზემპლარიდან ორი რჩება აფთიაქში (აქედან ერთი გადაეცემა

აფთიაქის ბუდალტერიას, ხოლო მეორე წარმოადგენს საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის საფუძველს), ორი ეგზემპლარი უბრუნდება სტაციონარს (სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურს).

პოლიციის შენობიდან ნარკოტიკული საშუალებების მიღების, შეძენის, აღრიცხვის, გაცემის და რეალიზაციის წესი შეესაბამება აფთიაქიდან ნარკოტიკული საშუალებების მიღების, შეძენის, აღრიცხვის, გაცემისა და რეალიზაციის წესს.

პოლიციის შენობაში ნარკოტიკული საშუალებები ინახება პოლიციის უფროსის მიერ შერჩეულ ოთახში განთავსებულ სეიფში და შესანახი ოთახის დაცვის ორგანიზაცია ეკისრება პოლიციის უფროსის მიერ ბრძანებით გამოყოფილ პირს. სეიფში, სადაც ინახება ნარკოტიკული საშუალებები, აკრძალულია იარაღის, პოლიციის კუთვნილი დოკუმენტაციის ან სხვა საგნების შენახვა.

სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ აფთიაქის პასუხისმგებელი ფარმაცევტი კეტავს და ლუქავს სეიფს. დალუქული სეიფი დადგენილი წესით ბარღება პოლიციის მორიგეს, ხოლო სეიფის გასაღები და ლუქის ბჭედი ინახება აფთიაქის ფარმაცევტთან. სეიფის გახსნა ხდება მხოლოდ პოლიციის მორიგესთან ერთად ლუქის მთლიანობის შემოწმების შემდეგ. ლუქის დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში ფარმაცევტი და პოლიციის მორიგე ვალდებული არიან აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ პოლიციის უფროსს და სეიფი გახსნან მხოლოდ მისი ბრძანების შემდეგ.

აფთიაქში ნარკოტიკული საშუალებების აღრიცხვისა და შემოსავალ-გასავლის ყველა საბუთი ინახება 5, ხოლო ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორებისა - 3 წლის განმავლობაში (თუ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დუკუმენტის უფრო ხანგრძლივი დროით შენახვას), ბრძანებით გამოყოფილ პასუხისმგებელ პირთან, რის შემდეგაც ნადგურდება შესაბამისი აქტით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს განადგურებული დოკუმენტაციის ჩამონათვალი, განადგურების თარიღი. აქტს ხელს უნდა აწერდნენ აფთიაქის ხელმძღვანელი, აფთიაქში კონტროლირებადი ნივთიერებების შეძენა, შენახვა, აღრიცხვა, გაცემასა და რეალიზაციაზე პასუხისმგებელი პირები და პოლიციიდან მოწვეული წარმომადგენელი.

5.6.3. ზარმაცევთულ საჭაროში უსიქოტროკული ნივთიერებების

წარმოების, ნარკოტიკული საშუალებების, უსიქოტროკული
ნივთიერებებისა და კრეპურსორების შემძინებელი, შენახვის, აღრიცხვის,
გამოყენებისა და გაცემის წარმომადგენელი

ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, გამოყენების, გაცემის და რეალიზაციის უფლება აქვს შესაბამის ნებართვის მქონე ფარმაცევტულ საწარმოს.

საქართველოში აკრძალულია ნარკოტიკული საშუალებების წარმოება.

საწარმო ვალდებულია:

- ა) შესაბამისი ლიცენზიის მქონე იურიდიული პირისაგან შეიძინოს მხოლოდ წარმოებისათვის საჭირო, საქართველოში რეგისტრირებული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები;
- ბ) აწარმოოს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვა;
- გ) ნარკოტიკული საშუალებების შემცველი იმ კომბინირებული პრეპარატების წარმოებისას, რომლებიც არ მიეკუთვნება ნარკოტიკულ საშუალებათა ჩამონათვალს, უზრუნველყოს, რათა მათ შემადგენლობაში შემავალი

ნარკოტიკული საშუალებების ოდენობა შესაბამებოდეს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობას

დ)სამკურნალო დანიშნულების ფსიქოტროპული ნივთიერებების წარმოება განახორციელოს სამინისტროს მიერ დამტკიცებული მოცულობის ფარგლებში; ე)ნარკოტიკული საშუალებების საწარმოს ტერიტორიიდან გატანა ან საწარმოს ტერიტორიაზე შემოტანა განახორციელოს მხოლოდ პოლიციის დაცვის თანხლებით;

ვ)საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული წესით მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საქვეუჩყებო დაწესებულებას – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს საწარმოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ღუგალური ბრუნვის შესახებ.

საწარმოს უფლება აქვა:

- დადგენილი წესით შეიძინოს, საქართველოში შემოიტანოს კომბინირებული პრეპარატების წარმოებისათვის საჭირო ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპული ნივთიერებები და პერეკურსორები (მხოლოდ სუბსტანციების ან დაუფასოებელი ფარმაცევტული პროდუქციის სახით);
- აწარმოოს სამკურნალო მიზნით გამოყენებისათვის ნებადართული ფსიქოტროპული ნივთიერებები, აგრეთვე ნარკოტიკული საშუალების შემცველი ის კომბინირებული პრეპარატები, რომლებიც არ მიეკუთვნება ნარკოტიკული საშუალებების ჩამონათვალს;
- გასცეს ნარკოტიკული საშუალებები (სუბსტანციების სახით), აგრეთვე ფსიქოტროპული ნივთიერებების სუბსტანციები და ან დაუფასოებელი ფარმაცევტული პროდუქცია შესაბამისი ლიცენზიის მქონე საწარმოზე.
- კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს საწარმოზე რიცხული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ექსპორტი.

საწარმოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების შეძენა, შენახვა, აღრიცხვა, გაცემასა და რეალიზაციაზე, აგრეთვე საწარმო პროცესის მართვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დაწესებულების ხელმძღვანელს და მისი ბრძანებით გამოყოფილ პირებს.

საწარმოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების შეტანაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მიღების ადგილზე შეამოწმოს საქონლის რაოდენობის შესაბამისობა თანმხლებ დოკუმენტაციასთან.

საწარმოში ფსიქოტროპული ნივთიერებები და პრეკურსორები (მხოლოდ სუბსტანციების სახით), აგრეთვე ნარკოტიკული საშუალებები ინახება სპეციალურად გამოყოფილ უფანჯრო ოთახში (ოთახებში), ცეცხლმგამდლე სეიფში (სეიფებში). ოთახს უნდა ჰქონდეს კაპიტალური კედლები, რკინის კარები და გააჩნდეს ადგილობრივი შუქმოვანი და პოლიციასთან დაკავშირებული სიგნალიზაციები. საწარმოში, სადაც ინახება ნარკოტიკული საშუალებები უზრუნველყოფილი უნდა იყოს შეიარაღებული დაცვით.

საწარმოს ოთახები, სადაც ინახება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები, სეიფები და კარადები სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ იკეტება და იღუქება. ოთახის, სეიფის, კარადების გასაღებები და ლუქის ბეჭედი ინახება ბრძანებით გამოყოფილ პასუხისმგებელ პირთან.

საწარმოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ერთი განყოფილებიდან მეორეში გადატანის და მიღება-გადაბარებისას ივსება დოკუმენტი.

**საწარმოს განყოფილებებში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული
ნივთიერებების მიღება-გადაბარების დოკუმენტის ფორმა**

დაწესებულების დასახელება _____

გაცემა-მიღების დოკუმენტის N_____ თარიღი _____

სუბსტანციის (პრეპარატის) მიმღები განყოფილების დასახელება _____

სუბსტანციის (პრეპარატის) გამცემი განყოფილების დასახელება _____

სუბსტანციის (პრეპარატის) დასახელება, ზომის ერთეული _____

რაოდენობა _____

სერია _____

ვარგისიანობის ვადა _____

ტექნიკური კონტროლის განყოფილების მიერ გაცემული ხარისხის
სერთიფიკატის N _____

სუბსტანციის (პრეპარატის) გამცემი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა

მიმღების ხელმოწერა _____

შეთანხმებულია _____

(წარმოების ხელმძღვანელის ხელმოწერა და ბეჭედი)

დოკუმენტი ივსება 3 ეგზემპლარად

საწარმოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს ყველა შესაბამის განყოფილებაში ხელმძღვანელის მიერ გაცემულ დალუქებულ, დანომრილ, ზონაგაყრილ და დამოწმებულ სპეციალურ ჟურნალში.

შემოსავალი					
სუბსტანციის მიღების თარიღი	მომწოდებელი განყოფილება	ანგარიშ- ფაქტურის ნომერი	სერია, ვადა	ზომის ერთეული	რაოდენობა
1	2	3	4	5	6

გასავალი						პასუხისმ გებელი პირის ხელმო წერა	შენი შვნა
გაცე მის თარ ი ღი	მიმღები განყოფი ლების დასახე ლება	მოთხოვ ნის N და თარიღი	სერია, ვადა	ზო მის ერთ ეული	რაოდენ ობა		
7	8	9	10	11	12	13	14

საწარმოს საამქროში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების
საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალი

სუბსტანციის დასახელება _____

შემოსავალი					
მიღების თარიღი	ზომის ერთეული	მიღებული რაოდენობა	სერია	მზა პროდუქციის დასახელება	მზა პროდუქც იის რაოდენობა დოზის მითითებით
1	2	3	4	5	6

შემოსავალი (გაგრძელება)		
მზა პროდუქციის სერია, ვადა	მზა პროდუქციაზე გაცემული ხარისხის სერთიფიკატის N, პრეპარატში აქტიური ნივთიერების რაოდენობის მითითებით	პროდუქციის წარმოებაზე დახარჯული სუბსტანციის რაოდენობა
7	8	9

გასავალი						
მზა პროდუ ქციის გაცემის თარიღი	გაცე მის დოკუ მენ ტის N	მიმღები განყოფი ლების დასახელე ბა	მიღებული პროდუქც იის დასახელე ბა, დოზა, საზომი ერთეული	სერია, ვადა	მატერიალუ რად პასუხისმგე ბელი პირის ხელმოწერა	შენი შვნა
10	11	12	13	14	15	16

**საწარმოს მზა პროდუქციის საწყობში სპეციალურ კონტროლს
დაქვემდებარებული ნივთიერებების საგნობრივ-რაოდენობრივი
აღრიცხვის ჟურნალი**

პრეპარატის დასახელება .

შემთხვევალი				
მიღების თარიღი	მომწოდებელი განყოფილება	მზა პროდუქციის მიღების დოკუმენტის N და თარიღი	ზომის ერთეული	რაოდენობა
1	2	3	4	5

გასავალი				
მიღების თარიღი	მომწოდებელი განყოფილება	მზა პროდუქციის მიღების დოკუმენტის N და თარიღი	ზომის ერთეული	რაოდენობა
6	7	8	9	10

საწარმოში ნარკოტიკული საშუალებების აღრიცხვისა და შემოსავალ-გასავლის ყველა საბუთი ინახება - 5, ხოლო ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების - 3 წლის განმავლობაში (თუ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დუკუმენტის უფრო ხანგრძლივი დროით შენახვას), ბრძანებით გამოყოფილ პასუხისმგებელ პირთან, რის შემდეგაც ნადგურდება შესაბამისი აქტით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს განადგურებული დოკუმენტაციის ჩამონათვალი, განადგურების თარიღი. აქტს ხელს უნდა აწერდნენ საწარმოს ხელმძღვანელი, საწარმოში კონტროლირებადი ნივთიერებების შეძენა, შენახვა, აღრიცხვა, გაცემასა და რეალიზაციაზე პასუხისმგებელი პირები და პოლიციიდან მოწვეული წარმომადგენელი.

საწარმოს ხარისხის კონტროლის სამსახურში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების მოძრაობაზე პასუხისმგებელი არიან ამ სამსახურის უფროსი და მზა პროდუქციის საწყობის გამგე.

საქართველოში წარმოებული ფსიქოტროპული ნივთიერებების, აგრეთვე საწარმოს მიერ შემოტანილი ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების შეფუთვის ფორმა უნდა გამორიცხავდეს მისი მთლიანობის დაურღვევლად წამალთან შეხების შესაძლებლობას.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საწყობიდან საწარმო განყოფილებაში გადატანაზე, საწარმოო განყოფილებაში ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობაზე, მზა პროდუქციაზე და ამ პროდუქციის საწყობში გადატანაზე პასუხისმგებელია საწარმოო განყოფილების უფროსი, მისი მოადგილე და ტექნოლოგი (შესაბამის ეტაპებზე).

საწარმოს მზა პროდუქციის საწყობში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების მიღება, შენახვასა და აღრიცხვაზე პასუხისმგებელია მზა პროდუქციის საწყობის გამგე.

საწარმოდან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები გაიცემა:

- დადგენილი წესით გაფორმებული მოთხოვნისა და მინდობილობის საფუძველზე;
- შეფუთული, კანონმდებლობით დადგენილი წესით მარკირებული, ანალიზის ნომრის მითითებით.

5.6.4. სტაციონარში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და კრეპურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის შემთხვევის, შენახვის, აღრიცხვის, მომზადების და გამოყენების უფლება აქვს შესაბამისი ნებართვის მქონე სტაციონარულ დაწესებულებების

ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და კრეპურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, მომზადების და გამოყენების უფლება აქვს შესაბამისი ნებართვის მქონე სტაციონარულ დაწესებულებების.

სტაციონარში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენა, მიღება, შენახვა, აღრიცხვასა და გამოყენებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ დაწესებულების ხელმძღვანელს და აღნიშნულ საქმიანობაზე ბრძანებით გამოყოფილ პირს (პირებს).

აკრძალულია დადგენილი წესის დარღვევით შეძენილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების სტაციონარში შეტანა და ავადმყოფის საჭიროებისათვის გამოყენება.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენა ხორციელდება მხოლოდ შესაბამისი ნებართვის მქონე იურიდიული პირისგან. სტაციონარში შეტანილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეფუთვის ფორმა უნდა გამორიცხავდეს მისი მთლიანობის დაურღვევლად წამალთან შეხების შესაძლებლობას და ეტიკეტზე უნდა ჰქონდეს შემდეგი სახის აღნიშვნები:

- ა) სახელწოდება, წამლის ფორმა, შეფუთვაში მოთავსებული რაოდენობა;
- ბ) შემადგენლობა რაოდენობების მითითებით;
- გ) დამზადების თარიღი;
- დ) ვარგისიანობის ვადა;
- ე) სერია;
- ვ) მწარმოებლის ფირმა და ქვეყანა.

წამალს თან უნდა ახლდეს გამოყენების ინსტრუქცია.

სტაციონარს ეკრძალება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენა ან/და მიღება ზემოთ ჩამოთვლილი აღნიშვნების გარეშე, ასევე აკრძალულია ნარკოტიკულ საშუალებათა დაფასოება, ტარის შეცვლა, გაწონება, სხვა ჭურჭელში გადასხმა, ეტიკეტის ან სიგნატურის შეცვლა.

სტაციონარის განყოფილებების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად მორიგეობის საათებში, სადღესასწაულო და უქმე დღეების გათვალისწინებით სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შენახვასა და გაცემაზე პასუხისმგებელი პირი მორიგე ექიმს გადასცემს ამ სამკურნალო საშუალებების სავარაუდო მარაგს. პასუხისმგებელ პირსა და მორიგე ექიმს შორის ნარკოტიკული საშუალებების გადაცემის და მიღების გაფორმება ხდება სპეციალურ ჟურნალში.

სტაციონარის განყოფილებაში (სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურში) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების მორიგე ექიმებზე გადაბარების ჟურნალის ფორმა

თა რიღი	სამკურნალო საშუალებების დასახელება	რაო დენო ბა	სერია	სამკურნალო საშუალებები ჩაგაბარე (ხელმოწერა)	სამკურნალო საშუალე ბები მივიღე (ხელმოწერა)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7

სტაციონარის განყოფილებაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები ექვემდებარება საგნობრგ-რაოდენობრივ აღრიცხვას. აღრიცხვა უნდა წარმოებდეს დანომრილ, ზონარგაყრილ, დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერითა და ბეჭდით დალუქულ ჟურნალში.

სტაციონარში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების სააღრიცხვო დოკუმენტაცია ინახება 5 წლის განმავლობაში (თუ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ზოგიერთი დოკუმენტის უფრო ხანგრძლივი დროით შენახვას), ბრძანებით გამოყოფილ პასუხისმგებელ პირთან, რის შემდეგაც ნადგურდება შესაბამისი აქტის შედგენით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს განადგურებული დოკუმენტაციის ჩამონათვალი, განადგურების თარიღი. აქტს ხელს უნდა აწერდნენ დაწესებულების ხელმძღვანელი, კონტროლირებადი ნივთიერებების შეძენა, შენახვა, აღრიცხვა, გაცემაზე პასუხისმგებელი პირები და პოლიციიდან მოწვეული წარმომადგენელი

სტაციონარის განყოფილებაში (სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურში) ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა

სამკურნალო საშუალების დასახელება, წამლის ფორმა
და საზომი ერთეული _____

შემოსავალი				
მიღების თარიღი	საიდან არის მიღებული, საბუთის N	რაოდენობა	სერია	მიმღები პირის ხელმოწერა
1	2	3	4	5

გასავალი					ნაშთი	შენახვაზე და გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა
გაცემის თარიღი	ავადმყოფის გვარი, სახელი, მამის სახელი	ისტორიის N	რაოდენობა	სერია		
6	7	8	9	10	11	12

სტაციონარში ნარკოტიკული საშუალებები ავადმყოფს უკეთდება (ეძლევა) სათანადო დასაბუთების საფუძველზე, ექიმისა და მედდის თანდასწრებით, რაც ფიქსირდება ავადმყოფის ისტორიაში ინექციის ან სხვა გზით მიღების თარიღის, საათის, მედიკამენტის რაობის (ლათინურ ენაზე), დოზის ერთეულის, წამლის ფორმის და რაოდენობის მითითებით. ჩანაწერს ხელს აწერენ ექიმი და მედდა, რომლებიც ესწრებოდნენ აღნიშნულ პროცედურას, გამოყენებული ნარკოტიკული საშუალებების ცარიელი ამჰელები ინახება და ბარდება შესაბამის მუდმივმოქმედ კომისიას.

ავადმყოფის ისტორიაში უნდა დაფიქსირდეს ფსიქოტროპული ნივთიერებების მიღების ფაქტიც. ჩანაწერში მითითებული უნდა იყოს ინექციის ან

სხვა გზით მიღების თარიღი, მედიკამენტის რაობა (ლათინურ ენაზე), დოზის ერთეული, წამლის ფორმა და რაოდენობა. ჩანაწერს ხელს აწერს ექიმი ან მედიდა.

სტაციონარის ხელმძღვანელი გალდებულია შექმნას მუდმივმოქმედი კომისია არანაკლებ სამი პირის შემადგენლობით, რომლებიც ყოველ ათ დღეში ერთხელ უზრუნველყოფს გამოყენებული ცარიელი ამპულების განადგურებას. მონაცემები განადგურებული ცარიელი ამპულების შესახებ ფიქსირდება სათანადო ფორმის აქტში, რომელიც ინახება სტაციონარის ხელმძღვანელთან ან ბრძანებით გამოყოფილ პირთან 5 წლის განმავლობაში.

აქტის ფორმა

სტაციონარში (სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურში) გამოყენებული ნარკოტიკული საშუალებების ცარიელი ამჰალების განადგურებაზე

კომისიამ შემადგენლობით (არანაკლებ 3 პირისა):

1. გვარი, ინიციალები და თანამდებობა
 2. «
 3. «

წელი, რიცხვი, თვე

მოახდინა 200 წლის «_» ____ - დან 200 წლის «_» ____ - მდე პერიოდში დახარჯული ნარკოტიკული საშუალებების ცარიელი ამპულების განადგურება შემდეგი რაოდენობით:

- ა) ნარკოტიკული საშუალების დასახელება და რაოდენობა (სიტყვიერად)
 ბ) «
 გ) «
 რომელებიც გამოყენებულ იქნა სტაციონარში მოთავსებულ ავადმყოფებზე (მიეთითოს ავადმყოფობის ისტორიების ნომრები).

ამპულები განადგურდა გასრესის გზით.

კომისიის წევრების ხელმოწერა 1. _____
2. _____
3. _____

“ვამტკიცებ” _____

(დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერა)

8.5.

აქტი ინახება ხუთი წლის განმავლობაში

5.6.5. სტაციონარის აფთიაშვილი ნარპოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეპურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, მომზადების და აფთიაშვილან გაცემის წესი

სტაციონარის აფთიაქში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, მომზადების და აფთიაქიდან გაცემის წესი რეგულირდება „აფთიაქში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, მომზადების, გაცემის და რეალიზაციის” შესაბამისად.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენა, მიღება, შენახვა და განყოფილებებზე გაცემა ხორციელდება მხოლოდ სტაციონარის აფთიაქის მეშვეობით.

აფთიაქის მქონე სტაციონარს უფლება აქვს იქონიოს ნარკოტიკული საშუალებების 3 თვის საგარაულო მარაგი.

სტაციონარის აფთიაქში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენა, მიღება, შენახვა, აღრიცხვა, მომზადებასა და გაცემაზე პასუხისმგებლობა ეკისრება აფთიაქის გამგეს ან/და მის მოადგილეს.

სტაციონარის აფთიაქს უფლება აქვს მოამზადოს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები მხოლოდ წამლის ფორმის სახით. მომზადებულ ნარკოტიკულ საშუალებას ეტიკეტზე ან სიგნატურაზე უნდა ჰქონდეს ზუსტი და გარკვევით მიწერილი შესაბამისი წარწერა: „შინაგანი”, „გარეგანი”, „საინექციო”, „თვალის წვეთები”, დამამზადებელი აფთიაქის დასახელება, წამლის შემადგენლობა, რაოდენობა, დამზადების თარიღი, ვარგისობის ვადა, უმუალო დამამზადებლის და აფთიაქიდან გამცემი პირის ხელმოწერები.

აფთიაქის მიერ მიღებული ან შეძენილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები რეგისტრირდება ანგარიშ-ფაქტურების სარეგისტრაციო ჟურნალში

აფთიაქში შემოსული ანგარიშ-ფაქტურების სარეგისტრაციო ჟურნალი

თ ა რ ი ღ ი ს ა ხ ე ლ ება	მომ წო დე ბლ ის და სახ ელ ება	ანგარიშ- ფაქტურა	თანხა ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით									ბუღალ ტერის აღნიშვნა ანგარიშ- ფაქტური ს მიღების შესახებ
N	თა რი ღი		მედიკამენტ ები	შეს ახვ ევი მას ალა	დამს მარე მასა ლა	სამედი ცინო მოწყობ ილობა	მცირეფ ასიანი საგნები	ტარა	სულ ანგა რიშის მიხე დვით			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	

აფთიაქიდან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გაცემა წარმოებს მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერენ განყოფილების გამგე და განყოფილების უფროსი მედდა ან სხვა პასუხისმგებელი პირი. მოთხოვნას ხელმოწერით, ბეჭდით და შტამპით ამოწმებს სტაციონარის ხელმძღვანელი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი. ნარკოტიკულ საშუალებებზე, ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე და პრეკურსორებზე მოთხოვნა გამოიწერება ცალ-ცალკე. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები გამოიწერება სხვა სამკურნალო საშუალებებისგან განცალკევებით ლათინურ ენაზე, დასახელების, წამლის ფორმის და დოზის სრული მითითებით. რაოდენობა მიეთითება როგორც რიცხობრივად, ასევე სიტყვიერად. მოთხოვნაზე გამოიწერება მხოლოდ ერთი დასახელების ნარკოტიკული საშუალება, ფსიქოტროპული ნივთიერება ან/და პრეკურსორი. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული

ნივთიერებების გაცემის შემდეგ მოთხოვნაზე ხელს აწერენ მისი მიმღები და გამცემი პირები. მოთხოვნა გამოიწერება სამ ეგზემპლარად, აქედან ერთი უბრუნდება განყოფილებას და ინახება აღნიშნულ საქმიანობაზე პასუხისმგებელ პირთან, მეორე ეგზემპლარი აფთიაქის ყოველთვიურ ანგარიშთან ერთად გადაეცემა სტაციონარის ბუღალტერიას, ხოლო მესამე რჩება აფთიაქში და წარმოადგენს საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის საფუძველს. მოთხოვნები ინახება 5 წლის განმავლობაში.

აფთიაქში შემოსული მოთხოვნები ყოველდღიურად ჩაიწერება თანმიმდევრულად, ხომრების მიხედვით დანომრილ, ზონარგაყრილ, სტაციონარის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერით და ბეჭდით დამოწმებულ დანიხრული მოთხოვნების აღრიცხვის ურნალში.

დანიხრული მოთხოვნების აღრიცხვის ფორმა

"_____ 200 წ.

თარიღი	განყოფილების დასახელება	მოთხოვნების საგნები			ს უ ლ
		მედიკამენტები	შესახვევი მასალა	ტარა	
1	2	3	4	5	6

საგნობრივ-რაოდენობრივ აღრიცხვას დაქვემდებარებულ მედიკამენტებზე მოთხოვნების ხომრებს გაესმება ხაზი. დანიხრული მოთხოვნების აღრიცხვის ურნალში სტაციონარის თითოეული განყოფილებისათვის გამოიყოფა ცალკე გვერდი.

5.6. სპეციალურ კონტროლს დაშვემდებარებული ნივთიერებების შენახვის, მიღების, აღრიცხვისა და გაცემის წარი იმ სტაციონარებში, რომლებსაც არ გააჩნიათ აზოიაჟი

სტაციონარი, რომელსაც არ გააჩნია აფთიაქი, ვალდებულია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენაზე, ძირითადი მარაგის შენახვასა და მომზადებაზე ხელშეკრულება გააფორმოს მხოლოდ შესაბამისი ნებართვის მქონე აფთიაქთან (აფთიაქებთან).

სტაციონარი ვალდებულია ნარკოტიკული საშუალებები მიიღოს მხოლოდ მზა წამლის ფორმის სახით.

აფთიაქთან ხელშეკრულებით მომუშავე სტაციონარს უფლება აქვს იქონიოს ნარკოტიკული საშუალებების მხოლოდ 15 დღის მარაგი, რაც უნდა ინახებოდეს სეიფში ან რკინის კარადაში, დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით გამოყოფილ პასუხისმგებელ პირთან.

სტაციონართან ხელშეკრულებით მომუშავე აფთიაქიდან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების მიღება ხდება სტაციონარის ხელმძღვანელის ბრძანებით გამოყოფილი პირის მიერ, მოთხოვნისა და ერთჯერადი მინდობილობის საფუძველზე. ნარკოტიკულ საშუალებებზე, ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე და პრეკურსორებზე მოთხოვნა გამოიწერება ცალ-ცალკე. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები გამოიწერება სხვა სამკურნალო საშუალებებისაგან განცალკევებით, ლათინურ ენაზე, დასახელების, წამლის ფორმის და დოზის სრული მითითებით. რაოდენობა მიეთითება როგორც

რიცხობრივად, ასევე სიტყვიერად. მოთხოვნაზე გამოიწერება მხოლოდ ერთი დასასახლების ნარკოტიკული საშუალება, ფსიქოტროპული ნივთიერება ან/და პრეკურსორი. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გაცემის შემდეგ მოთხოვნაზე ხელს აწერენ სტაციონარის ხელმძღვანელი და ამ საშუალებების მიღებაზე და გაცემაზე პასუხისმგებელი პირები.

მოთხოვნა გამოიწერება ოთხ ეგზემპლარი რჩება აფთიაქში (აქედან ერთი გადაეცემა აფთიაქის ბუღალტერიას, მეორე წარმოადგენს საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის საფუძველს), ხოლო ორი ეგზემპლარი უბრუნდება სტაციონარს, რომელთაგან ერთი გადაეცემა სტაციონარის ბუღალტერიას, ხოლო მეორე - რჩება შესაბამის პასუხისმგებელ პირს.

აღნიშნული დოკუმენტაცია ინახება ხუთი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება სათანადო აქტის შედგენით. აქტში მოთითებული უნდა იყოს განადგურებული დოკუმენტების სახეობა, ნომერი, იმ სპეციონტროლირებადი საშუალებების რაობა და რაოდენობა, რომელზედაც გამოწერილი იყო აღნიშნული დოკუმენტი, განადგურების თარიღი. აქტს ხელს უნდა აწერდნენ სტაციონარის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენა, შენახვა, აღრიცხვასა და გაცემაზე პასუხისმგებელი მუშაკები, არანაკლებ ოთხი პირის შემადგენლობით.

5.6.7. სასწრავო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (სბჭს) სამსახურში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების შემძიმის, შენახვის, აღრიცხვის, მომზადებისა და გამოყენების დამოუწევებელი ბაზი

ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, მომზადებისა და გამოყენების უფლება აქვს შესაბამისი ნებართვის მქონე სასწრავო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (სგსდ) დაწესებულებას.

სგსდ სამსახურში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენა, მიღება, შენახვა, აღრიცხვასა და გამოყენებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ დაწესებულების ხელმძღვანელს და მისი ბრძანებით გამოყოფილ პირებს.

აკრძალულია არაოფიციალური გზით ან აფთიაქის გვერდი ავლით სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების სგსდ სამსახურში შეტანა და აგადმყოფის საჭიროებისათვის გამოყენება.

სგსდ სამსახურის საჭიროებისათვის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენა ხორციელდება მხოლოდ შესაბამის ნებართვის მქონე იურიდიული პირისგან.

სგსდ სამსახურის მიერ შეძენილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეფუთვის ფორმა უნდა გამორიცხავდეს მისი მთლიანობის დაურღვევლად წამალთან შეხების შესაძლებლობას და ეტიკეტზე უნდა ჰქონდეს შემდეგი სახის აღნიშვნები:

- ა) სახელწოდება, წამლის ფორმა, შეფუთვაში მოთავსებული რაოდენობა;
- ბ) შემადგენლობა რაოდენობების მითითებით;
- გ) დამზადების თარიღი;
- დ) ვარგისიანობის ვადა;
- ე) სერია;
- ვ) მწარმოებლის ფირმა და ქვეყანა.

წამალს თან უნდა ახლდეს გამოყენების ინსტრუქცია.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები ექვემდებარებიან საგნობრივ-რაოდენობრივ აღრიცხვას. აღრიცხვა უნდა წარმოებდეს დანომრილ, ზონარგაყრილ, დაწესებულების მიერ ხელმოწერითა და ბეჭდით დალუქულ ჟურნალში.

თითოეულ ბრიგადას უნდა გააჩნდეს ინდივიდუალური ყუთი, რომელშიც უნდა ინახებოდეს მხოლოდ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების 24 საათიანი მორიგეობისათვის საჭირო სავარაუდო მარაგი. ბრიგადაში ინდივიდუალურ ყუთზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელ ექიმს.

სგსდ სამსახურში ინდივიდუალური ყუთები ინახება ხელმძღვანელის ბრძანებით გამოყოფილ პასუხისმგებელ პირთან, რომელიც მორიგეობის დაწყებამდე აღნიშნულ ყუთებს გადასცემს მორიგე ბრიგადის ხელმძღვანელ ექიმს.

პასუხისმგებელ პირსა და მორიგე ბრიგადის ხელმძღვანელ ექიმებს შორის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გაცემისა და მიღების გაფორმება ხდება სპეციალურ ჟურნალში.

სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ მორიგე ბრიგადის ხელმძღვანელი ექიმი სგსდ სამსახურის პასუხისმგებელ პირს უბრუნებს ინდივიდუალურ ყუთს გამოყენებული ნარკოტიკული საშუალებების ცარიელ ამპულებთან ერთად. სგსდ სამსახურის პასუხისმგებელი პირი ადარებს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გაცემულ და დაბრუნებულ რაოდენობას, რაობას და სპეციალურ ჟურნალში აფიქსირებს შესაბამის ჩანაწერს, რასაც ხელს აწერენ პასუხისმგებელი პირი და მორიგე ბრიგადის ხელმძღვანელი ექიმი. ცარიელი ამპულები გადაეცემა კომისიას.

იმ შემთხვევაში, თუ გამოძახების შესრულებისას ავადმყოფს გაუკეთდა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები, ბრიგადის ხელმძღვანელი ექიმი ავსებს სპეციალურ ფორმას, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ავადმყოფის სახელი, გვარი, ასაკი, მისამართი, დიაგნოზი, გამოძახების რიგითი ნომერი, გამოძახების შესრულების თარიღი, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების დასახელება, წამლის ფორმა, საზომი ერთეული და რაოდენობა. ფორმას ხელს აწერს ბრიგადის ხელმძღვანელი ექიმი. იმ შემთხვევაში თუ ავადმყოფზე გამოყენებული იქნა ნარკოტიკული საშუალება, ფორმას ხელს აწერენ ბრიგადის ხელმძღვანელი ექიმი და მედდა (ან ექიმი). გამოძახების ბარათში, რომელიც ივსება ყოველ მომსახურებულ ავადმყოფზე, იწერება კურსუსი, რომელშიც დასაბუთებული უნდა იყოს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გამოყენების აუცილებლობა. აღნიშნული ბარათები ინახება ხუთი წლის განმავლობაში.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები ავადმყოფს უკეთდება ხელმძღვანელი ექიმის და მედდის (ან ექიმის) თანდასწერებით.

აკრძალულია ნარკოტიკული საშუალების ავადმყოფის საჭიროებისათვის დატოვება.

სგსდ სამსახურის ხელმძღვანელი ვალდებულია შექმნას მუდმივმოქმედი კომისია არანაკლებ სამი პირის შემადგენლობით, რომელიც ყოველ ათ დღეში ერთხელ უზრუნველყოფს გამოყენებული ნარკოტიკული საშუალებების ცარიელი ამპულების განადგურებას. მონაცემები განადგურებული ცარიელი ამპულების შესახებ ფიქსირდება სათანადო ფორმის აქტში, რომელიც ინახება დაწესებულების ხელმძღვანელთან ან ბრძანებით გამოყოფილ პირთან ხუთი წლის განმავლობაში.

5.6.8. სბსდ სამსახურის აფთიაქში სპეციალურ კონტროლს დაკვემდებარებული ნივთიერებების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის და გაცემის წესი რეგულირდება „აფთიაქში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, მომზადების, გაცემის და რეალიზაციის წესი“-ს შესაბამისად.

სგსდ სამსახურის აფთიაქში სპეციალურ კონტროლს დაკვემდებარებული ნივთიერებების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის და გაცემის წესი რეგულირდება „აფთიაქში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, მომზადების, გაცემის და რეალიზაციის წესი“-ს შესაბამისად.

აფთიაქის მქონე სგსდ სამსახურს უფლება აქვს შეინახოს ნარკოტიკული საშუალებების 3 თვის სავარაუდო მარაგი.

სგსდ სამსახურის აფთიაქში სპეციალურ კონტროლს დაკვემდებარებული ნივთიერებების შეძენა, შენახვა, აღრიცხვას და გაცემაზე პასუხისმგებლობა ეკისრება აფთიაქის გამგეს ან/და მის მოადგილეს.

აფთიაქის მიერ შეძენლი სპეციალურ კონტროლს დაკვემდებარებული ნივთიერებების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები რეგისტრირდება ანგარიშ-ფაქტურების სარეგისტრაციო ჟურნალში.

აფთიაქიდან სპეციალურ კონტროლს დაკვემდებარებული ნივთიერებების პასუხისმგებელ პირზე გაცემა წარმოებს მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერს დაწესებულებების პასუხისმგებელი პირი. მოთხოვნას ხელმოწერით, ბეჭდითა და შტამპით ამოწმებს დაწესებულების ხელმძღვანელი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი. ნარკოტიკულ საშუალებებზე, ფსიქოტროპულ ნივთიერებზე და პრეკურსორებზე მოთხოვნა გამოიწერება ცალ-ცალკე-სპეციალუროლირებადი საშუალებები გამოიწერება სხვა სამკურნალო საშუალებებისგან განცალკევებით ლათინურ ენაზე, დასახელების, წამლის ფორმისა და დოზის სრული მითითებით. რაოდენობა მიეთითება როგორც რიცხობრივად, ასევე სიტყვიერად. მოთხოვნაზე გამოიწერება მხოლოდ ერთი დასახელების ნარკოტიკული საშუალება, ფსიქოტროპული ნივთიერება და პრეკურსორი. სპეციალურ კონტროლს დაკვემდებარებული ნივთიერებების გაცემის შემდეგ მოთხოვნაზე ხელს აწერენ მისი მიმღები და გამცემი პირები. მოთხოვნა გამოიწერება სამ ეგზემპლარად, აქედან ერთი უბრუნდება პასუხისმგებელ პირს და ინახება მასთან, მეორე ეგზემპლარი აფთიაქის ყოველთვიურ ანგარიშთან ერთად გადაეცემა სგსდ სამსახურის ბუღალტერიას, ხოლო მესამე - რჩება აფთიაქში და წარმოადგენს საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის საფუძველს. მოთხოვნები ინახება ხუთი წლის განმავლობაში.

აფთიაქში შემოსული მოთხოვნები ყოველდღიურად ჩაიწერება თანმიმდევრულად, ნომრების მიხედვით, დანომრილ, ზონარგაურილ სგსდ სამსახურის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებულ დანიხელული მოთხოვნების აღრიცხვის ჟურნალში. საგნობრივ-რაოდენობრივ აღრიცხვას დაკვემდებარებულ მედიკამენტებზე მოთხოვნების ნომრებს გაესმება ხაზი.

5.6.9 სპეციალურ კონტროლს დაკვემდებარებული ნივთიერებების შეძენის, შენახვის, აღრიცხვისა და გაცემის წმინდა იმ სბსდ სამსახურში, რომელსაც არ გააჩნია აფთიაქი,

სგსდ სამსახური, რომელსაც არ გააჩნია აფთიაქი, ვალდებულია სპეციალურ კონტროლს დაკვემდებარებული ნივთიერებების შეძენასა და ძირითადი მარაგის შენახვაზე ხელშეკრულება გააფორმოს მხოლოდ შესაბამისი ნებართვის მქონე აფთიაქთან (აფთიაქებთან).

სგსდ სამსახური ვალდებულია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები შეიძინოს მხოლოდ მზა წამლის ფორმის სახით.

სგსდ სამსახურს უფლება აქვს შეინახოს ნარკოტიკული საშუალებების ერთი თვის სავარაუდო მარაგი.

ხელშეკრულებით მომუშავე აფთიაქიდან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების პასუხისმგებელ პირებზე გაცემა წარმოებს მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერს დაწესებულების პასუხისმგებელი პირი. მოთხოვნას ხელმოწერით, ბეჭდითა და შტამპით ამოწმებს დაწესებულების ხელმძღვანელი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი პირი. ნარკოტიკულ საშუალებებზე, ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე და პრეკურსორებზე მოთხოვნა გამოიწერება ცალ-ცალკე. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები გამოიწერება სხვა სამკურნალო საშუალებებისგან განცალკევებით ლათინურ ენაზე, დასახელების, წამლის ფორმის და დოზის სრული მითითებით. რაოდენობა მიეთითება როგორც რიცხობრივად, ასევე სიტყვიერად. მოთხოვნაზე გამოიწერება მხოლოდ ერთი დასახელების ნარკოტიკული საშუალება, ფსიქოტროპული ნივთიერება და პრეკურსორი. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გაცემის შემდეგ მოთხოვნას ხელს აწერენ მისი მიმღები და გამცემი პირები. მოთხოვნა გამოიწერება ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგანაც ორი რჩება აფთიაქში (აქედან ერთი გადაეცემა აფთიაქის ბუდალტერიას, ხოლო მეორე წარმოადგენს საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის საფუძველს), ხოლო ორი ეგზემპლარი უბრუნდება სგსდ სამსახურს, რომელთაგან ერთი რჩება შესაბამის პასუხისმგებელ პირთან, ხოლო მეორე გადაეცემა ბუდალტერიას.

აღნიშნული დოკუმენტაცია ინახება ხუთი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება სათანადო აქტის შედგენით. აქტში მითითებული უნდა იყოს განადგურებული დოკუმენტის სახეობა, ნომერი, იმ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების რაობა და რაოდენობა, რომელზეც გამოწერილი იყო აღნიშნული დოკუმენტი, განადგურების თარიღი. აქტს ხელს უნდა აწერდნენ დაწესებულების ხელმძღვანელი, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენა, შენახვა, აღრიცხვასა და გაცემაზე პასუხისმგებელი მუშაკები, არანაკლებ ოთხი პირის შემადგენლობით.

5.6.10. სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით, საექსპერტო დიაგნოსტიკურ დაწესებულებაში და საკონტროლო-ანალიზურ ლაბორატორიაში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპოვანული ნივთიერებების და პრეკურსორების და პრეპარატების შემცნიერების დამატებითი შემთხვევის შესაბამისი ნებართვის მქონე სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით, საექსპერტო-დიაგნოსტიკურ დაწესებულებას და საკონტროლო ანალიზურ ლაბორატორიას.

სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, საექსპერტო-დიაგნოსტიკური და საკონტროლო-ანალიზური საქმიანობის განხორციელების მიზნით ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის და გამოყენების უფლება აქვს შესაბამისი ნებართვის მქონე სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით, საექსპერტო-დიაგნოსტიკურ დაწესებულებას და საკონტროლო ანალიზურ ლაბორატორიას.

დაწესებულებას სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენის ან მიღების უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი ნებართვის მქონე იურიდიული პირისგან. დაწესებულებას თავისი საქმიანობის განხორციელებისას ეკრძალება უკანონო ბრუნვიდან ამოღებული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გამოყენება, თუ არ ახლავს მისი რაობის დამადასტურებელი დოკუმენტი. დაწესებულებაში სპეციალურ კონტროლს

დაქვემდებარებული ნივთიერებების შეტანისას დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ მათ მიღებაზე, შენახვა, აღრიცხვასა და გაცემაზე ბრძანებით გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი ამოწმებს მათ ფაქტობრივი რაოდენობის შესაბამისობას თანმხლებ დოკუმენტაციასთან. დაწესებულებაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები ინახება ითახში განთავსებულ რკინის კარადაში. ოთახის და კარადის გახსნის უფლება აქვს სპეციალურ კონტროლირებადი საშუალებების მიღებაზე, აღრიცხვასა და შენახვაზე ბრძანებით გამოყოფილ პასუხისმგებელ პირს.

დაწესებულებაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების აღრიცხვა წარმოებს დანომრილ, ზონარგაყრილ, დალუქულ და დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებულ ჟურნალში.

**სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით, საექსპერტო-დიაგნოსტიკურ დაწესებულებაში
და საკონტროლო-ანალიზურ ლაბორატორიაში სპეციალურ კონტროლს
დაქვემდებარებული ნივთიერებების აღრიცხვის ჟურნალი**

ნივთიერების დასახელება _____
ზომის ერთეული _____

შემოსავალი					
მიღების თარიღი	ვისგან არის მიღებული, საბუთის N	სერიის N	რაოდენობა	პასუხისმგე ბელი პირის ხელმოწერა	გაცემის თარიღი
1	2	3	4	5	6

გასავალი					
ვისზე გაიცა, რა მიზნით	რაოდენობა	სერიის N	გაცემა ზე ხელის მოწერა	მიღებაზე ხელმოწერა	ნაშთი
7	8	9	10	11	12

აკრძალულია დაწესებულებაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გამოყენების შემდეგ მათი ადგილზე დატოვება.

დაწესებულებაში მიმდინარე სამუშაოების ჩასატარებლად პასუხისმგებელი პირის მიერ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გაცემა ხდება მოთხოვნის საფუძველზე, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს საჭირო ნივთიერების დასახელება და რაოდენობა. მოთხოვნას ხელს აწერენ დაწესებულების ხელმძღვანელი და პირი, რომელიც უშუალოდ ატარებს სამუშაოს. საკონტროლო-ანალიზური ლაბორატორიის მიერ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საანალოზოდ აღების დროს დგება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული სამკურნალო საშუალებების სინჯის აღების აქტი.

საკონტროლო-ანალიზურ ლაბორატორიაში საანალიზოდ შეტანილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ანალიზის შემდეგ საკონტროლო ნიმუშები ინახება კანონმდებლობით დადგენილი ვადით, რის შემდეგაც შესაბამისი აქტის გაფორმებით გამოიყენება ლაბორატორიული მიზნებისათვის ან ნადგურდება დადგენილი წესით.

საანალიზოდ შემოსული სინჯების აღრიცხვა წარმოებს სპეციალურ ჟურნალში.

**ანალიზისათვის შემოსული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული
ნივთიერებების აღრიცხვის შურნალი**

ნივთიერების დასახელება _____

ზომის ერთეული _____

შემოსავალი					
შემოს ვ ლის თარი ღი	N.ე.ი. ანალიზის N	ვისგან არის მიღებუ ლი, საბუთის N	სერიის ან სინჯის N	რაოდენ ობა	ხელმოწე რა მიღებაზე
1	2	3	4	5	6

გასავალი					
ანალიზისათვის დახარ ჯული რაოდ ენობა	ანალიზის შესრულების და ანალიტი კოსის ხელმოწერა	ანალიზის ზის შედე ბი	ნაშთი ანალიზის შემდე ბ	ანალიზის შემდებ დარჩენილი ნაშთის ჩაბარების ან განადგურე ბის შესახებ აღნიშვნა	ლაბორა ტორის გამგის ხელმო წერა
7	8	9	10	11	12

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შესახებ
დოკუმენტაცია ინახება 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება
სათანადო აქტის გაფორმებით.

**5.6.11. ზარმაცევტულ, სამკურნალო, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით,
სამსახურთო-დიაგნოსტიკურ დაწესებულებასა და საკონტროლო-ანალიზურ
ლაბორატორიაში ნარკოტიკული საშუალებების ნივთიერებების და პრეკურსორების
ნივთიერებების და
პრეკურსორების ჩამოწმის და განადგურება ხდება ვარგისობის ვადის გასვლისას, აგრეთვე იმ
შემთხვევებში, როდესაც ისინი**

- ა) არ შეესაბამებიან სტანდარტს;
- ბ) დარჩენილია ამბულატორიული ან სტაციონარული ავადმყოფის მკურნალობის შეძლება;
- გ) დარჩენილია ამბულატორიული ან სტაციონარული ავადმყოფის მკურნალობის შეწყვეტის ან გარდაცვალების გამო.

დაწესებულებაში, სადაც ხდება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული
ნივთიერებების ჩამოწერა, ხელმძღვანელის ბრძანებით იქმნება კომისია არანაკლებ

3 პირისგან (პოლიციის თანამშრომლის აუცილებელი მონაწილეობით), რომელიც აღგენს გაუვარგისებულ მატერიალურ-სასაქონლო ფასეულობათა ჩამოწერა-განადგურების აქტს თანდართული ფორმის მიხედვით.

სავალდებულოა აქტში მითითებული ყველა მონაცემის სრულყოფილი შევსება. რომელიმე მონაცემის შეუვსებლობის შემთხვევაში დაწესებულების ხელმძღვანელი აქტს თან ურთავს ახსნა-განმარტებას აღნიშნულის შესახებ. აქტის სამივე ეგზემპლარი ინახება ჩამოწერილი მატერიალურ-სასაქონლო ფასეულობებთან ერთად დალუქულ მდგომარეობაში.

ნარკოტიკული საშუალებების (გარდა ამბულატორიული ან სტაციონარული ავადმყოფის მკურნალობის ან მკურნალობის შეწყვეტის შემდეგ დარჩენილი ნარკოტიკული საშუალებებისა) ჩამოწერა-განადგურებამდე საჭიროა ხარისხის კონტროლის ლაბორატორიის შესაბამისი დასკვნა. საანალიზო ნიმუშის აღების შემდეგ დაწესებულებაში დარჩენილი ნარკოტიკული საშუალებების ნაშთი იღუქება ლაბორატორიის წარმომადგენლის მიერ.

ცენტრალიზებული წესით შეძენილი ან/და ჰუმანიტარული გზით მიღებული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ჩამოწერა-განადგურებაზე სავალდებულოა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანხმობა.

განადგურებას ექვემდებარება მხოლოდ დადგენილი წესით ჩამოწერილი ნარკოტიკული საშუალებები, ფისიქოტროპული ნივთიერებები და პრეცერსორები.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების (გარდა ცენტრალიზებულად შეძენილი ან/და ჰუმანიტარულად მიღებულისა) განადგურება ხდება მათი დაგროვებისას, მაგრამ არა უგვაიანეს 30 დღისა.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები კაფსულების, დრაჟეების და ტაბლეტების სახით ნადგურდება დაწვის გზით, ხოლო შპრიც-ტუბები, ფლაკონები და ამპულები-დაჩეჩქვით.

განადგურებამდე კომისიის წევრები ამოწმებენ ჩამოწერილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეფუთვისა და ლუქის მთლიანობას. ლუქის დარღვევის შემთხვევაში ხდება შეფუთვის გადამოწმება და სხვაობის აღმოჩენისას დაუყოვნებლივ ტარდება კანონმდებლობით დადგენილი ზომები.

გაუვარგისებულ მატერიალურ-სასაქონლო ფასეულობათა ჩამოწერა-განადგურების აქტი N

დაწესებულების დასახელება _____

კომისიამ შემადგენლობით: თავმჯდომარე _____ კომისიის წევრები _____

200 წლის N ბრძანების საფუძველზე შეადგინა წინამდებარე აქტი მასზედ, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ფასეულობანი, რომელიც ინახება დაწესებულებაში, გაუვარგისდა და ექვემდებარება ჩამოწერას

N	ნომერის ნ	მატერიალურ-სასაქონლო ფასეულობათა დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ღირებულება			
					საბითუმო		საცალო	
1	2	3	4	5	ფასი	ჯამი	ფასი	ჯამი

ს აი და ნ და რ ო დი ს შ ე მ ო ვ ი დ ა					გაუკარგისების მიზეზი და ხასიათი, ლაბორატორიის დასკვნის N და თარიღი	
ანგარიში						
N	თა რიღი	მომწოდე ბელი	სერია	გამოშ ვების თარიღი	ვარგისანობის ვადა	
10	11	12	13	14	15	16

სულ აქტით _____ დასახელება, თანხით _____ ლარი _____ თეთრი
(რაოდენობა სიტყვიერად) (სიტყვიერად საბითუმო ან საცალო ფასებში)

კომისიის დასკვნა: _____
კომისიის თავმჯდომარის და წევრების ხელმოწერები:

აქტს ვამტკიცებ დანაკარგი თანხით _____ ლარი _____ თეთრი _____
(ჩამოწეროს ან დაეწეროს)

“ _____ ” 200 წ. დაწესებულების ხელმძღვანელი _____
(ხელმოწერა) ბ.ა.

აღნიშვნა ჩამოწერილ ფასეულობათთა შესახებ (ჰუმანიტარული, გრანტი, სახელმწიფო შესყიდვა - ხაზი
გაესვას) _____
(პრეპარატის დასახელება, ზომის ერთეული, წამლის ფორმა, რაოდენობა, განადგურების მეთოდი,
(განადგურების თრიღი)

კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა _____

კომისიის წევრების ხელმოწერა _____

განადგურების პროცესში დაცული და გათვალისწინებული უნდა იქნას
უსაფრთხოების წესები და გასანადგურებელი მასალის ფიზიკურ-ქიმიური
თვისებები, რაოდენობა, განადგურებისას შესაძლო ქიმიური რეაქციები და იმ
ადგილის მიზანშეწონილობა, სადაც უნდა მოხდეს განადგურება.

განადგურების შემდეგ აქტში ფიქსირდება განადგურების თარიღი, ადგილი,
მეთოდი, გამოყენებული ტარა, ტრანსპორტი, რასაც ხელმოწერით ადასტურებს
კომისიის ყველა წევრი, რის შემდეგაც აქტი მტკიცდება შესაბამისი
დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით. აქტის ერთი
ეგზემპლარი ეგზავნება საქართველოს მრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების
სააგენტოს, მეორე ეგზემპლარი-პოლიციას, ხოლო მესამე - რჩება დაწესებულებაში
და ინახება 5 წლის განმავლობაში.

5.6.12. ნარკომანით დააგადებულ პირთა ჩანაცვლებითი მკურნალობის ბანდახორციელებაში დაწესებულებებში ჩამნაცვლებები ნარკოტიკული საშუალებების მიღების, შენახვის, აღრიცხვისა და გაცემის წესს, რომელიც გამოიყენება ნარკომანით დააგადებულ პირთა ჩანაცვლებითი მკურნალობის განმახორციელებელ დაწესებულებებაში. ქვეყნისთვის საჭირო, იმპორტირებული ნარკოტიკული საშუალებების ძირითადი მარაგი ინახება შესაბამისი უფლების მქონე ნარკოტიკული საშუალებების განმკარგავ იურიდიულ პირთან, კაპიტალურ შენობაში არსებულ უფანჯრო ოთახში (საცავში), რომელიც აღჭურვილი უნდა იყოს რკინის კარით, ადგილობრივი შუქმოვანი და პოლიციასთან დაკავშირებული სიგნალიზაციით. საცავი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შეიარაღებული პოლიციის სადღედამისო დაცვით. იმ შემთხვევაში, თუ იურიდიულ პირს არ გააჩნია შენახვის პირობები, შესაძლებელია სათანადო პირობებისა და უფლებამოსილების მქონე დაწესებულებასთან გაფორმდეს ხელშეკრულება ნარკოტიკული საშუალებების შენახვაზე.

საცავში განთავსებული ნარკოტიკული საშუალებების მიღებაზე, შენახვაზე, აღრიცხვასა და გაცემაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ნარკოტიკული საშუალებების განმკარგავი იურიდიული პირის ხელმძღვანელს და მისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით გამოყოფილ პირს.

საცავში ნარკოტიკული საშუალებების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს ზონარგაყრილ, დანომრილ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით დამოწმებულ ჟურნალში.

**ნარკოტიკული საშუალებების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალის ფორმა
საცავისა და სამარაგოსათვის**

პრეპარატის დასახელება, დოზა _____

წამლის ფორმა _____

საზომი ერთეული _____

შემოსავალი					
თვე და რიცხვი	ნაშთი 1-ლი რიცხვისათვის	ვისგან არის მიღებული	საბუთის N და თარიღი	რაოდენობა	სერია
1	2	3	4	5	6

გასავალი					პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა
ვისზე გაიცა	გაცემის საფუძველი (მოთხოვნის N და გაცემის თარიღი)	რაოდენობა	სერია	ნაშთი მომდევნო თვის 1-ლი რიცხვისათვის	
7	8	9	10	11	12

იმ შემთხვევაში, თუ ნარკოტიკული საშუალებების განმკარგავი იურიდიული პირი იმავდროულად წარმოადგენს ჩანაცვლებითი მკურნალობის განმახორციელებელ დაწესებულებას, ნარკოტიკული საშუალებების საგნობრივ-რაოდენობრივ აღრიცხვა როგორც სათავში, ასევე დაწესებულებაში წარმოებს ერთ ჟურნალში და შესაბამისად, პასუხისმგებლობაც ერთ პირის ეკისრება. დაწესებულებაში ნარკოტიკული საშუალება ინახება სპეციალურად გამოყოფილ სამარაგო ოთახში (სამარაგოში), რომელიც განთავსებულია უშუალოდ ჩანაცვლებითი მკურნალობის განმახორციელებელ განყოფილებაში. სამარაგო წარმოადგენს უფანჯრო ოთახს, აქვს კაპიტალური კედლები, რეინის კარები, ადგილობრივი შუქმოვანი და პოლიციასთან დაკავშირებული სიგნალიზაცია და უზრუნველყოფილია 24 საათიანი შეიარაღებული დაცვით.

დაწესებულებას უფლება აქვს სამარაგოში შეინახოს არა უმეტეს 3 თვის სავარაუდო მარაგი. სამარაგოში განთავსებული ნარკოტიკული საშუალებების მიღება, შენახვა, აღრიცხვასა და გაცემაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ დაწესებულების ხელმძღვანელს და მისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით გამოყოფილ პირს (დაწესებულებაში, რომელსაც გააჩნია აფთიაქი, ხელმძღვანელთან ერთად პასუხისმგებლობა ეკისრება აფთიაქის გამგეს, ხოლო დაწესებულებაში, რომელსაც არ გააჩნია აფთიაქი - ხელმძღვანელთან ერთად განყოფილების უფროს მედდას). სამარაგოს გასაღები და ლუქი ინახება ნარკოტიკული საშუალებების მიღებაზე, შენახვაზე, აღრიცხვასა და განყოფილებისთვის გაცემაზე დაწესებულების ხელმძღვანელის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით გამოყოფილ პასუხისმგებელ პირთან.

სამარაგოში განთავსებული ნარკოტიკული საშუალებების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამოწმებულ ჟურნალში.

სამარაგოდან ნარკოტიკული საშუალებების განყოფილებაზე გაცემა წარმოებს მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერენ განყოფილების გამგე და საპროცედუროს მორიგე მედდა. მოთხოვნას ხელმოწერითა და ბეჭდით ამოწმებს დაწესებულების ხელმძღვანელი, მოთხოვნა იწერება ლათინურ ენაზე, წამლის დასახელების, ფორმისა და დოზის სრული მითითებით. რაოდენობა მიეთითება როგორც რიცხობრივად, ასევე სიტყვიერად. მოთხოვნაზე გამოიწერება მხოლოდ ერთი დასახელების ნარკოტიკული საშუალება. ნარკოტიკული საშუალების გაცემის შემდეგ მოთხოვნის მეორე გვერდზე კეთდება ჩანაწერი ფაქტობრივად გაცემული ნარკოტიკული საშუალებების შესახებ წამლის დასახელების, დოზის, რაოდენობისა და გაცემის თარიღის მითითებით, ჩანაწერს ხელს აწერენ ნარკოტიკული საშუალებების გამცემი და მიმღები პირები.

მოთხოვნა გამოიწერება სამ ეგზემპლარად, აქედან ერთი ეგზემპლარი უბრუნდება განყოფილებას და ინახება განყოფილების გამგესთან, მეორე ეგზემპლარი გადაეცემა დაწესებულების ბუღალტერიას, ხოლო მესამე რჩება სამარაგოს პასუხისმგებელ პირთან და წარმოადგენს საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხის საფუძველს. მოთხოვნები ინახება 5 წლის განმავლობაში.

დაწესებულება, რომელსაც არ გააჩნია აფთიაქი, ვალდებულია ნარკოტიკული საშუალებების მისთვის საჭირო მარაგის შენახვაზე და გადმოცემაზე ხელშეკრულება გააფორმოს საცავში განთავსებული ნარკოტიკული საშუალებების განმკარგავი იურიდიულ პირთან, რომელსაც განაცხადოან ერთად დამატებით წარუდგენს ერთჯერად, სათანადოდ გაფორმებულ მინდობილობას. განაცხადი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ნარკოტიკული საშუალების დასახელება, წამლის ფორმა, დოზა, რაოდენობა, მოწმდება დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით. იურიდიული პირი გასცემს დაწესებულებაზე ნარკოტიკული საშუალებების გაცემის დამადასტურებელ დოკუმენტს, რაც მიმღები ორგანიცაზისთვის წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალებების შემოსავალში აყვანის საფუძველს.

განყოფილებაში პაციენტებზე ნარკოტიკული საშუალებების გაცემა ხორციელდება სპეციალურად გამოყოფილი ოთახიდან (საპროცედუროდან), რომელსაც ფანჯრებზე უნდა ჰქონდეს გისოსები. საპროცედუროში დამონტაჟებული უნდა იყოს 24 საათიანი ვიდეოთვალი, რომლის დაკვირვების არე უნდა მოიცავდეს მთელ ოთახს. ნარკოტიკული საშუალებები განთავსდება ცეცხლგამძლე სეიფში, როლის გასაღები ინახება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით გამოყოფილ პირთან. საპროცედუროში ნებადაროულია ნარკოტიკული საშუალებების არაუმეტეს სამი დღის სავარაუდო მარაგის შენახვა.

საპროცედუროში შენახული ნარკოტიკული საშუალებების მიღება, შენახვა, აღრიცხვასა და პაციენტებისათვის გაცემაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ დაწესებულების ხელმძღვანელსა და მისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით გამოყოფილ პირებს.

დაწესებულებაზე ნარკოტიკული საშუალების გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის ფორმა

მომწოდებელი ორგანიზაცია:

მისამართი:

მიმღები ორგანიზაცია:

მისამართი:

ხელშეკრულება N

N	სამკურნალო საშუალების დასახელება, დოზა, შეფუთვა	ზომის ერთეული	გაცემის თარიღი	რაოდენობა	სერია
1	2	3	4	5	6

ვარგისობის ვადა	მწარმოებელი კომპანია, ქვეყანა	რეგისტრაციის ნომერი	შენიშვნა
7	8	9	10

წამლის გამცემის ხელმოწერა _____

წამლის მიმღების ხელმოწერა _____

ბ.ა.

საპროცედუროში ნარკოტიკული საშუალებების მიღებისა და გაცემის საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვა აღწესებულების ხელმძღვანელის მიერ დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ

საშუალებების მიღებისა და გაცემის წარმოების დანომრილ, ზონარგაჟრილ, დაწესებულების ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებულ ჟურნალში.

**საპროცედუროში ნარკოტიკული საშუალებების მიღებისა და გაცემის საგნობრივ-
რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალის ფორმა**

ნარკოტიკული საშუალების დასახელება _____

დოზა, წამლის ფორმა _____

საზომი ერთეული _____

შემოსავალი					
ნაშთი დღის დასაწყისისა თვის	მიღების თარიღი	საიდან არის მიღებული, დოკუმენტის N	რაოდენ ობა	სერია	მიმღები პირის ხელმოწერა
1	2	3	4	5	6

გასავალი								ნაშთი დღის ბოლო სათვის
გაცე მის თარ იღი	მიღების დრო	ავადმ ყოფის გვარ, სახე ლი, თის N	ამბულ ატ ორიუ ლი ბარა თის N	რაო დე ნობა	სერ ია	გაცემაზე პასუხისმ გებელი პირების ხელმო წერა	პაციენტის ხელმოწერა ნარკოტი კული საშუალების მიღებაზე	
7	8	9	10	11	12	13	14	15

პაციენტისათვის დანიშნული ნარკოტიკული საშუალებების დოზის ყოველი ცვლილება ფიქსირდება აგადმყოფის ამბულატორიულ ბარათში, რაც მოწმდება შესაბამისი სამედიცინო კომისიის (არანაკლებ 3 ექიმი ნარკოლოგი) წევრთა ხელმოწერით.

საპროცედურო ოთახიდან ნარკოტიკული საშუალებების გაცემა ხორციელდება ექიმის ან უფროსი მედის თანდასწრებით, სპეციალური სარკმლიდან, პაციენტის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ. პაციენტს ეკრძალება საპროცედურო ოთახში შესვლა.

პაციენტის მიერ ნარკოტიკული საშუალებების მიღების ფაქტი, ნარკოტიკული საშუალებების დასახელების, წამლის ფორმის, დოზის, მიღების თარიღის და ზუსტი დროის მითითებით, ფიქსირდება აგადმყოფის ამბულატორიულ ბარათში. ჩანაწერს ხელს აწერენ ექიმი და მედდა. გარდა ამისა, ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი აღინუსხება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილ და ბეჭდით დამოწმებულ ჟურნალში.

იმ შემთხვევაში, როდესაც ნარკოტიკული საშუალება წარმოდგენილია სენარიის ან სიროვის ფორმით, ულუფის გაცემა ხორციელდება ერთჯერად ჭიქებში, რომელიც წამლის მიღების შემდეგ უბრუნდება საპროცედურის მედდას. ნარკოტიკული საშუალების დოზირებული ულუფის განსაზღვრა და ჩამოსხმა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შემოწმებული საზომი ხელსაწყოების მეშვეობით მედდის მიერ, ექიმის ან უფროსი მედდის

თანდასწრებით. აკრძალულია ნარკოტიკული საშუალების ტარიდან ტარაში გადასხმა.

სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ საპროცედურო მორიგე მედდებს ან განყოფილებაში მომუშავე პირებს შორის ნარკოტიკული საშუალებების დარჩენილი ნაშთის გადაბარების წესს ადგენს დაწესებულების ხელმძღვანელი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

საპროცედუროში ნარკოტიკული საშუალებების ყოველდღიური გადაბარების ურნალის ფორმა

თარიღი	ნარკოტიკული საშუალების დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	სერია	ნარკო ტიკული საშუალებები	ნარკოტი კული საშუალებები მივიღე (ხელმოწერა)
1	2	3	4	5	6	7

იმ შემთხვევაში, როედესაც ნარკოტიკული საშუალება წარმოდგენილია ხსნარის ან სიროფის სახით და მოთავსებულია შუშის ან პოლიეთოლენის ჭურჭელში, ცარიელი ტარა ექვემდებარება გაუგნებლობას შემდეგი წესით: პაციენტებისათვის ნარკოტიკული საშუალებების გაცემის დასრულების შემდეგ საპროცედურის მედდა, დაწესებულების ხელმძღვანელის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისიის წევრების (არანაკლებ სამი პირის) თანდასწრებით, წყლის რამდენჯერმე გამოვლების გზით რეცხავს პოლიეთოლენის ცარიელ ტარას, აცლის ეტიკეტს და ჭრის, ხოლო შუშის ბოთლს ამსხვრევს. აღნიშნული ფორმდება აქტით.

აქტის ფორმა

გამოყენებული ნარკოტიკული საშუალებების ცარიელი ტარის განადგურებაზე

აქტი N

წელი, რიცხვი, თვე, ადგილი

კომისიამ შემადგენლობით (არანაკლებ 3 პირისა):

1. გვარი, ინიციალები და თანამდებობა
2. “
3. “

მოახდინა 200 წლის “_” — “-ს გამოყენებული შემდეგი ნარკოტიკული საშუალებების ცარიელი ტარის განადგურება:

ა) ნარკოტიკული საშუალების დასახელება _____

ბ) სერია _____

გ) ცარიელი ტარის დასახელება, რაოდენობა _____

კომისიის წევრების ხელმოწერა

1. _____

2. _____

3. _____

“ვამტკიცებ”

(დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ბ.ა.

აქტი ინახება ხუთი წლის განმავლობაში

ამ სახით დამუშავებული და გაუგარგისებული ტარის ნარჩენი ინახება საპროცედუროში და ყოველი კვირის ბოლოს ექვემდებარება დაწესებულებიდან გატანას და გადატვირთვას კორპუსთაშორის სანაგვე კონტეინერში, საიდანაც ხორციელდება კონტეინერების ტრანსპორტირება ნარჩენების გაუგნებლობის ადგილამდე.

ჩანაცვლებითი მკურნალობის პერიოდში პაციენტის სხვა სტაციონარში მოხვედრის შემთხვევაში, პაციენტის მოთხოვნის საფუძველზე, სტაციონარის ხელმძღვანელი ვალდებულია შესაბამისი დაწესებულებისგან მოითხოვოს და მიიღოს ნარკოტიკული საშუალებების კანონმდებლობით დადგენილი რაოდენობა.

სტაციონარში ან ბინაზე მკურნალობისას ნარკოტიკული საშუალებები გაიცემა დალუქულ მდგომარეობაში კანონმდებლობით განსაზღვრული ოდენობის ფარგლებში. ჭურჭელზე დაკრულ ქაღალდზე აღინიშნება ნარკოტიკული საშუალების დასახელება, ფორმა, დოზა და რაოდენობა. იმ შემთხვევაში, თუ ნარკოტიკული საშუალება წარმოადგნს სითხეს ან სიროვს, პაციენტისთვის განკუთვნილი რაოდენობა გაიცემა დღიური დოზების შესაბამისად დაფასოებული სახით. ლუქის ახსნა ხდება ავადმყოფის თანდასწრებით უშუალოდ ნარკოტიკული საშუალების მიღების წინ.

ზემოთ აღნიშნული შემთხვის დროს ნარკოტიკული საშუალებების მიმღებს დამატებით ეძლევა დაწესებულების მიერ ნარკოტიკული საშუალების გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ბინაზე ან სტაციონარში მწოლიარე პაციენტისათვის დაწესებულების მიერ ნარკოტიკული საშუალების გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის ფორმა

ნარკოტიკული საშუალების გამცემი _____
დაწესებულების დასახელება _____
იურიდიული მისამართი _____ ტელ.: _____

დაწესებულების მიერ გაცემული ნარკოტიკული საშუალების დასახელება და დოზა	წამლის ფორმა	საზომი ერთეული	რაოდენობა
1	2	3	4

წამლის გამცემი პირის ხელმოწერა _____
წამლის გაცემის თარიღი _____
წამლის მიმღების ხელმოწერა _____

ბ.ა

5.7. საეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების, ამ ნივთიერებათა წამლის უორმების, მათი შემცველი კომბინირებული კრეპარატების დანიშნენისა და გამოყვრის წმის

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების, ამ ნივთიერებათა წამლის ფორმებისა და მათი შემცველი კომბინირებული კრეპარატების დანიშვნისა და გამოწერის მოწესიგების მიზნით შემუშავებულია საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1999 წლის 29 ნოემბრის №465/ო ბრძანება „სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების, ამ

ნივთიერებათა წამლის ფორმების, მათი შემცველი კომბინირებული პრეპარატების გამოსაწერი რეცეპტის ბლანკის ფორმების დამტკიცების, მათი დანიშვნისა და გამოწერის დროებითი წესების შესახებ“.

ნარკოტიკული სამკურნალო საშუალებები გამოიწერება ყვითელი ფერის სპეციალური რეცეპტის ბლანკზე (ფორმა 1, „ნარკოტიკული საშუალებების მისაღებად“).

ვორმა 1

ნარკოტიკული საშუალების გამოსაწერი რეცეპტის ბლანკის
ფორმა (რეცეპტის ბლანკი ყვითელი ფერის)

<p>დაწესებულების შტამბი</p> <p>ვორმა 1 რეცეპტი ნს №0000000</p> <p>ნარკოტიკული საშუალების მისაღებად გამოწერის თარიღი</p> <p>ავადმყოფი (სახელი, მამის სახელი, გვარი)</p> <p>ასაკი</p> <p>ამბულ. ბარათის (ავად.ისტორიის №)</p> <p>დიაგნოზი</p> <p>Rp:</p> <p>S:</p> <p>ექიმის ხელმოწერა (სახელი, გვარი)</p> <p>ექიმის პირადი ბეჭედი ბეჭედი რეცეპტებისათვის დაწესებულების დერბიანი ბეჭედი</p>	<p>დამტკიცებულია საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1999წლის №465/ო ბრძანებით</p> <p>ექიმის სამახსოვრო</p> <ul style="list-style-type: none"> - რეცეპტში სამკურნალო საშუალება იწერება გენერიული დასახელებით - ლათინურ ენაზე, ლურჯი ან შავი ბურთულიანი კალმით; - ერთ ბლანკზე გამოიწერება მხო- ოდ ერთი სამკურნალო საშუალება; - ნებადართულია მხოლოდ დადგე- ნილი წესით დაშვებული შემოკლებანი; <p>რეცეპტი ვარგისია 7 დღის განმავლობაში გამოწერის დღის ჩათვლით</p>
--	---

შენიშვნა:

- რეცეპტის ბლანკს აქვს წარწერა „განსაკუთრებული აღრიცხვის დოკუმენტი“
- რეცეპტის ბლანკი იბეჭდება დაცვის მქონე სპეციალურ ქაღალდზე.

რეცეპტის ბლანკზე (ფორმა 2) გამოწერას ექვემდებარება საქართველოში რეგისტრირებული, სპეციალურ კონტროლს დაჭვემდებარებული არანარკოტიკული სამკურნალო საშუალებები, გარდა კალიუმის პერმანგანატისა, რომელიც გაიცემა ურეცეპტოდ, ერთ ხელზე არაუმეტეს 5 გრამისა,

ექსტრამარალურად მოსამზადებელი ნებისმიერი კომბინირებული წამლის ფორმა, რომელიც არ მიეკუთვნება ნარკოტიკულ საშუალებათა ჩამონათვალს,

მაგრამ მის შემადგენლობაში შედის ნარკოტიკული საშუალება, გამოიწერება ფორმა 2 რეცეპტის ბლანკზე.

ექსტემპორალურად მოსამზადებელი ნებისმიერი კომბინირებული წამლის ფორმა, რომელიც არ მიეკუთვნება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ საშუალებათა და ნივთიერებათა ჩამონათვალს, მაგრამ მის შემადგენლობაში შედის სპეციალუროლირებადი არანარკოტიკული ერთი ან რამდენიმე ნივთიერება, გამოიწერება ფორმა 2 რეცეპტის ბლანკზე.

ფორმა 2

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული არანარკოტიკული
სამკურნალო საშუალების გამოსაწერი რეცეპტის ბლანკის ფორმა
(რეცეპტის ბლანკი მწვანე ფერის)

<p>დაწესებულების შტამბი</p> <p>ფორმა 2</p> <p>რეცეპტი ნს №0000000</p> <p>სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული არანარკოტიკული სამკურნალო საშუალების მისაღებად</p> <p>გამოწერის თარიღი</p> <p>ავადმყოფი (ხახლი, გვარი)</p> <p>ამბულ. ბარათის (ავადისტორის №)</p> <p>Rp:</p> <p>S:.....</p> <p>ექიმის ხელმოწერა (ხახლი, გვარი)</p> <p>ექიმის პირადი ბეჭედი ბეჭედი რეცეპტებისათვის</p>	<p>დამტკიცებულია საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1999წლის №465/ო ბრძანებით</p> <p>ექიმის სამახსოვრო</p> <ul style="list-style-type: none">- რეცეპტში სამკურნალო საშუალება იწერება გენერიული დასახელებით- ლათინურ ენაზე, ლურჯი ან შავი ბურთულიანი კალმით;- ერთ ბლანკზე გამოიწერება მხოლოდ ერთი სამკურნალო საშუალება;- ნებადართულია მხოლოდ დადგმილი წესით დაშვებული შემოკლებანი; <p>რეცეპტი ვარგისია 14 დღის განმავლობაში გამოწერის დღის ჩათვლით</p>
---	---

შენიშვნა:

- რეცეპტის ბლანკს აქვს წარწერა „განსაკუთრებული აღრიცხვის დოკუმენტი“.
- რეცეპტის ბლანკი იბეჭდება დაცვის მქონე სპეციალურ ქაღალდზე.
- რეგისტრაციის ნომერი ნიშნავს სპეციალურ სააღრიცხვო ჟურნალში გატარებული იმ ავადმყოფის რიგით ნომერს, რომელზეც გაიცა რეცეპტი.

5.8. საეციალურ კონტროლს დაგენერაციაში სამგურნალო საშუალებების დანიშვნის, ბამოწერისა და საეციალური რეცეპტის ბლანკების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, გაცემის, ჩამოწერისა და განადგურების ფასი

ნარკოტიკული სამკურნალო საშუალებები გამოიწერება ყვითელი ფერის საეციალური რეცეპტის ბლანკზე (ფორმა 1, „ნარკოტიკული საშუალებების მისაღებად“).

გამოწერილ რეცეპტში (ფორმა 1) აღნიშნული უნდა იყოს:

- ა) ავადმყოფის სახელი, მამის სახელი, გვარი, ასაკი;
- ბ) ამბულატორიული ბარათის ნომერი;
- გ) დიაგნოზი;
- დ) რეცეპტის გამომწერი უქიმის სახელი და გვარი;
- ე) გამოწერილი ნარკოტიკული საშუალების დასახელება;
- ვ) ერთჯერადი და სადღედამისო დოზა;
- ზ) მიღების წესი;
- თ) გამოწერის თარიღი.

რეცეპტი ნარკოტიკული საშუალებების მისაღებად გამოიწერება ორ ცალად, გადამდები ქაღალდის მეშვეობით. პირველი პირი გადაეცემა ნარკოტიკული საშუალებების მიმღებს, ხოლო მეორე პირს უკეთდება წარწერა „ასლი“ და ინახება პოლიკლინიკის პასუხისმგებელ პირთან 5 წლის განმავლობაში.

რეცეპტის ბლანკის დედნისა და ასლის სერიები და ნომრები იდენტურია.

აკრძალულია რეცეპტის ასლის შტამპითა და ბეჭდით დამოწმება.

ნარკოტიკული საშუალებების გამოსაწერი რეცეპტის ბლანკების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, გაცემისა და გამოწერის წესი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

იმ შემთხვევაში თუ ავადმყოფი, რომელიც საჭიროებს ნარკოტიკული საშუალებებით სიმპტომურ მკურნალობას, გარკვეული მიზეზების გამო ცხოვრობს ნათესავთან ან სხვა ახლობელთან, ტერიტორიული პოლიკლინიკა ვალდებულია დაგენილი წესით აღრიცხვაზე აიყვანოს ასეთი ავადმყოფი (ამ უკანასკნელის მიმართვის შემთხვევაში) და გაუწიოს ყველა სახის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დახმარება.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული არანარკოტიკული სამკურნალო საშუალებები გამოიწერება მწვანე ფერის რეცეპტის ბლანკზე (ფორმა 2 „სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული არანარკოტიკული სამკურნალო საშუალებების მისაღებად“).

გამოწერილ რეცეპტზე (ფორმა 2) აღნიშნული უნდა იყოს:

- ა) ავადმყოფის სახელი, გვარი;
- ბ) ამბულატორიული ბარათის ან რეგისტრაციის ნომერი;
- გ) რეცეპტის გამომწერი უქიმის გვარი;
- დ) გამოწერილი სამკურნალო საშუალების დასახელება;
- ე) ერთჯერადი და სადღედამისო დოზა;
- ვ) მიღების წესი;
- თ) გამოწერის თარიღი.

სამკურნალო დაწესებულებაში გამოწერილი რეცეპტი (ფორმა 2) მოწმდება დაწესებულების შტამპით, ბეჭდით „რეცეპტებისთვის“ და ექიმის პირადი ბეჭდით. რეცეპტის ბლანკი (ფორმა 2) ივსება გარკვევით, მელნით ან ბურთულიანი კალმით და მასში ყოველგვარი შესწორებების შეტანა აკრძალულია.

აკრძალულია ასევე ბეჭედდასმული და ხელმოწერილი ნარკოტიკული საშუალებების რეცეპტის ბლანკის (ფორმა 1) შენახვა, აგრეთვე გამოწერამდე მათი შტამპითა და ბეჭდით დამოწმება.

რეცეპტის ბლანკის (ფორმა 2) აღრიცხვა ხორციელდება ზონარგაყრილ, დანომრილ, დაწესებულების ბეჭდით და ხელმძღვანელის ხელმოწერით დალუქულ სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში, რომელსაც აწარმოებს დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ბრძანებით გამოყოფილი პირი. ჟურნალში, რომელიც ინახება 5 წლის განმავლობაში, ფიქსირდება:

- ა) რეცეპტის ბლანკების გამცემი დაწესებულებიდან გამოტანილი რეცეპტის ბლანკების დასახელება;
- ბ) გამოტანილი რეცეპტის ბლანკების რაოდენობა სერიებისა და ნუმერაციის მითითებით;
- გ) ანგარიშ-ფაქტურის ნომერი;
- დ) რეცეპტის ბლანკების გამოტანის თარიღი;
- ე) რეცეპტის ბლანკების ექიმზე გაცემის თარიღი;
- ვ) ექიმზე გაცემული რეცეპტის ბლანკების რაოდენობა სერიისა და ნომრის მითითებით;
- ზ) რეცეპტის ბლანკების მიმღები ექიმის ხელმოწერა (გარკვევით) და თარიღი;
- თ) განადგურებული რეცეპტის ბლანკების სერიები და ნომრები.

ერთ რეცეპტზე (ფორმა 2) დასაშვებია მხოლოდ ერთი დასახელების მედიაკმენტის გამოწერა.

გამოწერილი რეცეპტი (ფორმა 2) ძალაშია 14 დღის განმავლობაში, ხოლო რეცეპტი (ფორმა 1) 7 დღის განმავლობაში, გამოწერის დღის ჩათვლით.

რეცეპტის (ფორმა №№1,2) გამოწერის უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის მფლობელ იმ კერძო პრაქტიკის ექიმს, რომელიც აღრიცხვაზე იმყოფება ნარკოტიკების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის სამმართველოში და გააჩნია შესაბამისი ცნობა.

კერძო პრაქტიკის ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტი (ფორმა №1,2) მოწმდება პირადი ბეჭდით და ხელმოწერით, ხოლო იმ ადგილზე, სადაც მინიშნებულია „სამკურნალო დაწესებულების შტამპი”, იწერება ფიზიკური პირის დასახელება და შესაბამისი სერტიფიკატის ნომერი.

კერძო პრაქტიკის ექიმის მიერ რეცეპტის ბლანკზე გამოწერის ყოველი ფაქტის შესახებ ჩანაწერი კეთდება ავადმყოფის ინდივიდუალურ ბარათში და სპეციალურ ჟურნალში. ავადმყოფის ინდივიდუალურ ბარათში მიეთიეთება გამოწერილი სამკურნალო საშუალების რაობა და რაოდენიბა, მისი დანიშვნის დასაბუთება, ერჯერადი ან სადღედამისო დოზა, რეცეპტის ბლანკის ნომერი და გამოწერის თარიღი.

ავადმყოფის საჭიროებისათვის ნარკოტიკული საშუალებების გამოწერის სურვილის მქონე კერძო პრაქტიკის ექიმი რეცეპტის ბლანკების (ფორმა 1) მიღებაზე ნებართვისათვის განცხადებით მიმართავს ნარკოტიკების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის სამმართველოს. განცხადებაში მიუთითებს რეკვიზიტებს, შესაბამისი სერტიფიკატის ნომერს, რეცეპტის ბლანკების საჭირო რაოდენობას, ამოწმებს ხელმოწერით და პირადი ბეჭდით. განცხადებაზე კეთდება შესაბამისი ჩანაწერი, მოწმდება ბეჭდით და ხელმოწერით.

განცხადებაზე დაფიქსირებული ჩანაწერი რეცეპტის ბლანკისგამცემი ორგანიზაციისათვის წარმოადგენს რეცეპტის ბლანკის გაცემის საფუძველს.

რეცეპტის ბლანკისგამცემი ორგანიზაცია ვალდებულია ათი დღის გადაში მიაწოდის ნარკოტიკების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის სამმართველოს

წერილობითი ინფორმაცია კერძო პრაქტიკის ექიმზე გაცემული რეცეპტის ბლანკების (ფორმა 1) შესახებ, რეცეპტის ბლანკებისმიმღები ფიზიკური პირის დასახელების და გაცემული რეცეპტის ბლანკებს რაოდენობის (ფიზიკური პირის დასახელების და რეცეპტის ნუმერაციის) ჩვენებით.

აფთიაქი, რომელიც კერძო პრაქტიკის ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტის (ფორმა 1) საფუძველზე გასცემს ნარკოტიკულ საშუალებას, ვალდებულია აღნიშნული რეცეპტის ბლანკების შესახებ მონაცემები (რეცეპტის გამომწერი ფიზიკური პირის დასახელება და რეცეპტის ნომრები) 10 დღის ვადაში წერილობით აცნობოს ნარკოტიკების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის სამმართველოს.

კერძო პრაქტიკის ექიმი რეცეპტის ბლანკებს უნდა ინახავდეს სეიფში.

რეცეპტის ბლანკების (ფორმა 2) მისაღებად კერძო პრაქტიკის ექიმი წერს მოთხოვნას რეცეპტის გამცემი ორგანიზაციის ხელმძღვანელის სახელზე, რომელშიც მიუთითებს რეკვიზიტებს, შესაბამისი სერტიფიკატის ნომერს, რეცეპტის ბლანკების საჭირო რაოდენობას, ამოწმებს ხელმოწერით, პირადი ბეჭდით და ნარკოტიკების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის სამმართველოში აღრიცხვაზე აყვანის დამადასტურებელ ცნობასთან ერთად წარუდგენს რაცეპტის ბლანკის გამცემ დაწესებულებას.

კერძო პრაქტიკის ექიმზე რეცეპტის ბლანკები (ფორმა 2) ერთჯერადად გაიცემა არაუმეტეს 500 (ხუთასი) ცალისა.

კერძო პრაქტიკის ექიმს უნდა გააჩნდეს რეცეპტის ბლანკების სარეგისტრაციო ქურნალი, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს:

- ა) შესაბამისი სამსახურიდან რეცეპტის შეძენის თარიღი;
- ბ) შეძენილი რეცეპტების რაოდენობა სერიებისა და ნუმერაციის ჩვენებით;
- გ) ანგარიშ-ფაქტურის ნომერი.

აკრძალულია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სანარკოზო საშუალებების რეცეპტის ბლანკზე გამოწერა.

ექტემპორალურად მომზადებული წამალი, რომელიც შეიცავს ნარკოტიკულ საშუალებებს ან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ შხამს, ფორმდება სიგნატურით და აფთიაქიდან გაიცემა დალუქულ მდგომარეობაში.

რეცეპტზე (ფორმა 2) გამოსაწერი სამკურნალო საშუალებების ისეთი ოდენობით გამოწერისას, რომელიც აღემატება ერთჯერად მაქსიმალურ დოზას, აფთიაქის ფარმაცევტს არ აქვს უფლება გასცეს წამალი დადგენილი უმაღლესი გამოსაწერი დოზის ნახევარ ოდენობაზე მეტი. ამ შემთხვევაში ფარმაცევტი ვალდებულია რეცეპტის უკანა გვერდზე გააკეთოს ჩანაწერი ფაქტიურად გაცემული რაოდენობის მითითებით, რაზედაც ხელს აწერს წამლის მიმღები.

თუ ექსტემპორალურად მომზადებული წამლის შემადგენლობაში შედის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება, მაშინ რეცეპტში (ფორმა 1, ფორმა 2) ის გამოიწერება დასაწყისში.

გაუვარგისებული რეცეპტის ბლანკი (ფორმა 1, ფორმა 2) გადაიხაზება ჯვარედინად, იხვრიტება და ინახება განადგურებამდე რეცეპტის ბლანკების აღრიცხვაზე პასუხისმგებელ პირთან.

გაუვარგისებული რეცეპტის ბლანკის განადგურება ხდება თვეში ერთხელ, დაწვის გზით იმ კომისიის მიერ, რომელიც უფლებამოსილია გამოყენებული ნარკოტიკული საშუალებების ცარიელი ამპულების (სტაციონარულ-სამკურნალო დაწესებულებებაში) ან დაბრუნებული ნარკოტიკული საშუალებების განადგურებაზე (ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებები).

თუ დაწესებულებებს არ გააჩნია მუდმივმოქმედი კომისია, მაშინ გაუვარგისებული რეცეპტების განადგურებას ახდენს ამ დაწესებულებების

ხელმძღვანელის ბრძანებით გამოყოფილი კომისია, რომელიც უნდა შედგებოდეს არა ნაკლბ სამი პირისაგან.

განადგურებული რეცეპტის ბლანკების სერიები და ნომრები ფიქსირდება სპეციალურ სარეგისტრაციო ქურნალში.

რეცეპტის ბლანკების სააღრიცხვო ქურნალის ფორმა

N	შემოსავალი				გასავალი				განადგურებული რეცეპტის ბლანკის სერია, N და განადგურების თარიღი
	რეცეპტის სახეობა (ფორმა1, ფორმა2)	შემო ტანის თარი ღი	ანგა რიშ- ფაქტ- ურის N და თარი ღი	რაო- დე ნობა სერ ია დაN	ვისზე გაიცა (ექიმის გვარი)	გაცე მის თარი ღი	რაოდე ნობა სერია და N	რეცეპ ტის მიმღე ბი ექი მის ხელ მოწერა	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10

რეცეპტი ფორმა 1 აფთიაქში ინახება 5 წლის, ხოლო ფორმა 2- 3 წლის განმავლობაში.

რეცეპტი (ფორმა 1, ფორმა 2), რომელიც არ პასუხობს ამ წესით დადგენილ რომელიმე მოთხოვნას, ითვლება ძალადაკარგულად და მის საფუძველზე წამლის გაცემა აკრძალულია.

თავი VI. GMP – სათანადო საჭარმოო პრაქტიკა

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, ფარმაცევტული წარმოების ტექნიკური დონის და წამლის ხარისხის კონტროლისათვის, შემოღებული იქნა „საერთაშორისო ვაჭრობაში ფარმაცევტული პრეპარატების ხარისხის დამოწმების სისტემა“ (შემდგომში სისტემა), რომლის მოქმედი ვარიანტი მიღებული იქნა 1992 წელს. სისტემაში მონაწილეობისათვის აუცილებელია სამი პირობის დაკმაყოფილება:

- სამკურნალო საშუალება იყოს რეგისტრირებული მწარმოებელ ქვეყანაში;
- ფარმაცევტული წარმოებაში რეგულარულად ხორციელდებოდეს სახელმწიფო ინსპექტირება;
- ფარმაცევტული წარმოება აკმაყოფილებდეს სათანადო საწარმოო პრაქტიკის (GMP) ხტანდარტის პირობებს.

დღეის მდგომარეობით, სისტემაზე მიერთებულია 140 სახელმწიფო, მათ შორის, GMP-ის სტანდარტის მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის და სათანადო კონტროლის ინსტიტუტის არ არსებობის გამო, სისტემის წევრი არ არის საქართველო.

GMP-ის პირველი წესები მიღებული იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1963 წელს, შემდეგ ანალოგიური სტანდარტები შემუშავდა კანადაში, იტალიაში, დიდ ბრიტანეთში, ავსტრალიაში და სხვა ქვეყნებში, დღეის მდგომარეობით GMP-ის ნაციონალური წესები მოქმედებს 40-ზე მეტ ქვეყანაში, არსებობს რეგიონული სტანდარტები, მაგალითად ევროგაერთიანების სტანდარტი, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის წევრ-ქვეყნების სტანდარტი. არსებობს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტანდარტი. რუსეთში პირველად 1991 წელს დაიწყო ადგილობრივი სტანდარტის დანერგვა, რომელიც რეგულარულად იხვეწება უკვე აპრობირებულია საერთაშორისო წესების შესაბამისად.

GMP-ის წესები წარმოების ორგანიზაციული წესრიგის, წარმოების პროცესში ხარისხის კონტროლის მექანიზმების და მინიმალური პრაქტიკული მითითებების ზოგადი სახელმძღვანელოა, შესაბამისად წინამდებარე სტანდარტი წარმოადგენს წარმოების ორგანიზაციის დროებითი წესების კრებულს.

ფარმაცევტულ წარმოებაში ხარისხის მართვის ძირითადი ელემენტებია:

- შესაბამისი ინფრასტურული ტრანსპორტი, ანუ „ხარისხის სისტემა“, რომელიც მოიცავს ორგანიზაციულ სტრუქტურას, მეთოდიკებს, პროცესებს და რესურსებს;
- აუცილებელი სისტემური ქმედებები, რათა პროდუქციაზ (მომხმარებელი) დააკმაყოფილოს ხარისხთან დაკავშირებული მოთხოვნები; ამ ქმედებების ერთობლიობა განაპირობებს ხარისხის უზრუნველყოფას.

ფარმაცევტული წარმოების ორგანიზაციის თვალსაზრისით, „ხარისხის უზრუნველყოფა“ განიხილება მართვის ინსტრუმენტად და სათანადო კონტრაქტების გაფორმებისას იგი მომწოდებლის საიმედოობაში დარწმუნების საშუალებას იძლევა.

ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, სათანადო საწარმოო პრაქტიკის სტანდარტი და ხარისხის კონტროლი ხარისხის მართვის ურთიერთდაკავშირებულ ასპექტებს წარმოადგენს.

6.1. ზარმაცხვფული ფარმოგბის მირითადი პრინციპები და ელემენტები

წარმოების სათანადო პრაქტიკის სტანდარტი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის იმ ნაწილს, რომელიც გარანტიას იძლევა, რომ პროდუქტი წარმოებული და გაკონტროლებულია შესაბამისი ხარისხის სტანდარტით.

წარმოების სათანადო პრაქტიკის სტანდარტის მოთხოვნაა:

- ა)ყველა საწარმოო პროცესი იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, პროცესები საჭიროებები რეგულარულ გადახედვას და სპეციფიკაციის შესატყვისი ხარისხის მქონე პროდუქტის წარმოების შესაძლებლობის დემონსტრირებას;
- ბ)საწარმოო პროცესების კრიტიკული ეტაპების და პროცესებში შეტანილი ნებისმიერი არსებითი ცვლილებების ვალიდირება;
კრიტიკული პროცესი— პროცესი, რომელიც შეიძლება იყოს ფარმაცევტული პრეპარატის ხარისხის შეცვლის მიზეზი.
- გ)სათანადო ღონის წარმოების უზრუნველყოფისთვის ყველა აუცილებელი პირობის გათვალისწინება, მათ შორის:
 - გ.ა) სათანადო კვალიფიკაციის პერსონალი;
 - გ.ბ) ადექვატური შენობა და ფართობი;
 - გ.დ) შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა და მომსახურება;
 - გ.ე) სათანადო საწყისი ნედლეული, მასალა, პირველადი შეფუთვები და ეტიკეტები;
 - გ.ვ) დამტკიცებული მეთოდიკები და ინსტრუქციები;
 - გ.ზ) სათანადო შენახვა და ტრანსპორტირება;
 - გ.თ) შესაბამისი ოდენობის პერსონალი, ლაბორატორია და საწარმოო პროცესის კონტროლისთვის შესაბამისი აღჭურვილობა;
- დ)ინსტრუქციები და მეთოდიკები იყოს გასაგებად და ერთმნიშვნელოვნად დაწერილი, გამოყენებული საშუალებებისათვის;
- ე) ოპერატორი განსწავლული უნდა იყოს პროცესის სწორად წარმართვაზე.
- ვ)ოქმები შედგეს წარმოების პროცესში, ყველა მოთხოვნილი ეტაპის, დადგენილი მეთოდიკებისა და ინსტრუქციების რეალურად განხორციელებისა და პროდუქტის რაოდენობისა და ხარისხის მოსალოდნელთან შესაბამისობის დასადასტურებლად;
- ზ)წარმოების და საბითუმო რეალიზაციის ოქმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სერიის მთელი ისტორიის მონიტორინგს, ინახებოდეს სრულყოფილი სახით და ხელმისაწვდომი ფორმით;
- თ)პროდუქციის სათანადო წესით შენახვას და საბითუმო რეალიზაციას მინიმუმდე დაჟყავს ხარისხთან დაკავშირებული რისკი;
- ი)არსებობდეს პროდუქტის ნებისმიერი სერიის ქსელიდან გამოთხოვის სისტემა;
- კ)დაუყოვნებლივ ხდებოდეს რეალიზაციაში გასულ პროდუქციაზე შემოსული რეკლამაციის განხილვა, მწარმოებლის საინფორმაციო ბაზაში შეტანა და სათანადო ღონისმიერების გატარება წუნდებული პროდუქციის მიმართ, შესაბამისად შემდგომი წარმოებისას წუნდების მიზეზების აღმოსაფხვრელად.

სამკურნალო საშუალებების წარმოება უნდა დაგეგმარდეს და განთავსდეს ტექნოლოგიური ზონების შესაბამისად: საწარმოო, სასაწყობო, ხარისხის კონტროლის და დამხმარე ზონები.

6.2. ხარისხის კონტროლი

ხარისხის კონტროლი სათანადო წარმოების პრაქტიკის სტანდარტის ის ნაწილია, რომელიც დაკავშირებულია ნიმუშის აღებასთან, სპეციფიკაციასა და გამოცდის ჩატარებასთან, ასევე რეალიზაციის ნებართვის გაცემის ორგანიზაციასთან, დოკუმენტირებასა და პროცედურასთან.

ყველა ლიცენზირებულ წარმოებას უნდა გააჩნდეს წარმოებაში ხარისხის კონტროლის განყოფილება, გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ იმ წარმოებებისთვის, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველზე ახორცილებენ საწარმოო პროცესის მცირე ნაწილს.

ხარისხის კონტროლის პროცესის ტექნოლოგიური პროცესიდან დამოუკიდებლობა სტანდარტის ძირითადი პრინციპია. ხარისხის კონტროლის სამსახურს უნდა ხელმძღვანელობდეს სათანადო კვალიფიკაციის და გამოცდილების პირი.

ხარისხის კონტროლისთვის ძირითადი მოთხოვნებია:

სათანადო ტექნიკური საშუალებები, განსწავლული პერსონალი, სინჯის აღების, საწყისი ნედლეულის, შესაფუთი მასალის, შუალედური, დაუფასოებელი და მზა პროდუქტის ხარისხის კონტროლის დამტკიცებული მეთოდიკები, ასევე აუცილებლობისას გარემოს კონტროლის მეთოდიკები.

საწყისი ნედლეულის, შესაფუთი მასალის, შუალედური, დაუფასოებელი და მზა პროდუქტის ნიმუშის აღება ხორციელდება მხოლოდ ხარისხის კონტროლის სამსახურის, აღნიშნულზე უფლებამოსილი პერსონალის მიერ, ამავე სამსახურის მიერ მოქმედი რეგლამენტაციის შესაბამისად დამტკიცებული მეთოდებით.

გამოცდის მეთოდები ვალიდირებული უნდა იყოს.

კონტროლის განხორციელებისთანავე შესაბამისი ოქმის გაფორმება იმის დასადასტურებლად, რომ სინჯის აღების, კონტროლის და გამოცდის ყველა საჭირო ღონისძიება ნამდვილად ჩატარდა და რომ ნებისმიერი გადახრა სრულადაა გამოკვლეული.

მზა პროდუქტი მოქმედ ნივთიერებებს სპეციფიკაციის შესატყვისი რაოდენობით და ხარისხით უნდა შეიცავდეს, ინგრედიენტები სათანადო სისუფთავის, მოთავსებული სათანადო შეფუთვაში და სწორად უნდა იყოს მარკირებული.

სპეციფიკაციის შესატყვისად უნდა იყოს შედგენილი საწყისი ნედლეულის და მასალის, შუალედური, დაუფასოებელი და მზა პროდუქტის გამოცდის ოქმები. პროდუქტის შეფასება უნდა მოიცავდეს შესაბამის საწარმოო დოკუმენტაციის და დადგენილი მეთოდიკებიდან გადახრის მიმოხილვას და შეფასებას.

მზა პროდუქტის არცერთი სერია არ შეიძლება გავიდეს რეალიზაციში, უფლებამოსილი პირის დასტურის გარეშე.

დამატებითი ანალიზების ჩატარების უზრუნველყოფისთვის, საკმარისი რაოდენობით უნდა იქნეს შენახული საწყისი ნედლეულის და პრეპარატების ნიმუშები. პროდუქტია შენახული უნდა იყოს საბოლოო შეფუთვით, გარდა დიდი მოცულობითი შეფუთვებისა.

ხარისხის კონტროლის სამსახურს ამასთან სხვა ფუნქციებიც გააჩნია, კერძოდ: ხარისხის კონტროლის მეთოდიკების შედგენა და ვალიდაცია; სუბსტანციის სტანდარტული ნიმუშების შეფასება, მათი დაცვა და შენახვა; ნედლეულიანი ტარის, მასალის და შეფუთული პრეპარატების სწორი მარკირების უზრუნველყოფა; აქტიური ფარმაცევტული ინგრედიენტების და პრეპარატების სტაბილურობის კონტროლის უზრუნველყოფა; პროდუქტის ხარისხთან დაკავშირებული რეკლამაციის განხილვაში მონაწილეობა, ასევე გარემოს კონტროლში მონაწილეობა. ყველა ეს სამუშაო უნდა განხორციელდეს წერილობითი მეთოდიკის შესაბამისად და საჭიროებისას უნდა დაოქმდეს.

მზა პროდუქციის შეფასება უნდა მოიცავდეს წარმოების პროცესთან დაკავშირებულ ყველა ფაქტორს, მ. შ. ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობის პირობებს, წარმოების პროცესში კონტროლის შედეგებს, საწარმო დოკუმენტაციას (მ. შ. შეფუთვის დოკუმენტაციას), პროდუქციის სპეციფიკაციასთან შესაბამისობას და მზა პროდუქტის საბოლოო სახეს.

ხარისხის კონტროლის განმახორციელებელი პერსონალისთვის სინჯის აღების და გამოკვლევისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საწარმოო ზონა.

6.3. სანიტარული და ჰიგიენური მოთხოვნები

სამკურნალო საშუალებების წარმოებისას მკაცრად უნდა იყოს დაცული სანიტარული და ჰიგიენური მოთხოვნები, რომლებიც უპირველესად მოეთხოვება პერსონალს, შენობას, მოწყობილობებს და ხელსაწყოებს, ნედლეულს, მასალას და პირველად შეფუთვებს, სადეზინფექციო, დასასუფთავებელ სხვა საშუალებებს და ა.შ., რაც შეიძლება პროდუქციის კონტამინაციის წყარო გახდეს. კონტამინაციის პოტენციური წყარო თავიდანვე უნდა იქნეს აღმოფხვრილი შესაბამისი სანიტარული და ჰიგიენური დონიძიებების გატარების საშუალებით.

პერსონალი

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ორგანიზაცია და ფუნქციონირება, ასევე სათანადო საწარმოო პრაქტიკა, ფარმაცევტული პრეპარატების და აქტიური ინგრედიენტების კონტროლი დაკისრებულია ადამიანებზე, ამიტომაც წარმოებაში დასაქმებული უნდა იყოს საქმარისი რაოდენობა კვალიფიცირებული პერსონალისა და თითოეული ნათლად უნდა იყოს გარკვეული საკუთარ მოვალეობებში, წერილობით უნდა იყოს ჩამოყალიბებული თითოეული თანამშრომლის თანამდებობრივი ინსტრუქცია და წარმოების ყველა თანამშრომელი კარგად უნდა იცნობდეს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ საწარმოო პრაქტიკის პრინციპებს.

თითოეული პერსონალის ვალდებულების სფერო უნდა იყოს ოპტიმალური, რათა გამოირიცხოს რისკი მოვალეობის შესრულების დაბალი ხარისხისა.

თანამშრომლებს ვალდებულებებთან ერთად უნდა გააჩნდეთ სათანადო უფლებამოსილება ვალდებულებების შესრულებისთვის. უნდა გამოირიცხოს ვალდებულებების დაუსაბუთებელი დუბლირება. ვალდებულებები სათანადო სახით უნდა აისახოს წარმოების საორგანიზაციო სქემაში, სადაც გაწერილი უნდა იყოს ყველა პასუხისმგებელი პირის ვალდებულება (შესაბამისად თანამდებობრივი ინსტრუქციებისა). თანამდებობრივი ვალდებულებების დელეგირება დასაშვებია პასუხისმგებელი პირების მოადგილებზე, რომლებსაც გააჩნიათ საკმარისი კვალიფიკაცია და გამოცდილება. საორგანიზაციო სქემაში წარმოდგენილი ვალდებულებები უნდა მოიცავდეს სათანადო საწარმოო პრაქტიკის ყველა მოთხოვნას.

ყველა თანამშრომელი ვალდებულია მონაწილეობდეს სათანადო საწარმო პრაქტიკის უწყვეტი განათლების სისტემაში, შესაბამისად მათი საქმიანობისა.

უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, რომ საწარმოო, შენახვის და ხარისხის კონტროლის ზონაში არ მოხვდეს პერსონალი შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე პერსონალი, რომელიც არ მუშაობს ამ ზონებში, არ უნდა ხვდებოდეს იქ.

პერსონალი სამსახურში მიღებამდე და შემდგომ - მუშაობის პერიოდში უნდა გადიოდეს შესაბამის სამედიცინო გამოკვლევას, თანამშრომლები, რომლებიც ახორციელებენ ვიზუალურ კონტროლს, უნდა რეგულარულად აკონტროლებდნენ საკუთარ მხედველობას ოფთალმოლოგთან.

პერსონალი განსწავლული უნდა იქნეს პირადი პიგიენის პრაქტიკაში; საწარმოო ზონებში დასაქმებული პერსონალი უნდა ზედმიწევნით იცავდეს პირადი პიგიენის ნორმებს. სასურველია შესაბამის აღგილებით ზოგიერთი შემახსენებელი წარწერების ან ნიშნების მიმაგრება, მაგალითად საწარმოო ზონების შესავლებში ხელების დაბანის შემახსენებელი და ა.შ.

ნებისმიერი თანამშრომელი დაავადების ნიშნებით, ან დია ჭრილობით, არ დაიშვება სამუშაოდ საწყის ნედლეულთან, შესაფუთ მასალასთან, ტექნოლოგიურ პროცესში არსებულ მასალასთან და მზა პრეპარატებთან, სანამ მისი ჯანმრთელობის მდგრადი შეიძლება გახდეს რისკის მიზეზი.

სასურველია თავიდან იქნეს აცილებული ოპერატორის ხელების პირდაპირი კონტაქტი საწყის ნედლეულთან, პირველად შესაფუთ მასალასთან, შუალედურ და დაუფასოებულ პროდუქციასთან.

კონტამინაციის თავიდან ასაცილებად, პერსონალს შესაბამისად საქმიანობისა უნდა ეცვას სპეციალური სუფთა ტანსაცმელი და ებუროს თავსაბურავი. გამოყენებული ტანსაცმელი და თავსაბურავი, თუკი ერთჯერადი არ არის, სათანადო დასუფთავებამდე (გარეცხვა, დეზინფიცირება ან სტერილიზაცია) უნდა ინახებოდეს საამისოდ გამოყოფილ დახურულ კონტენერებში.

საწარმო, ხარისხის კონტროლის, სასაწყობო ან სხვა ზონებში, სადაც შესაძლებელია პროდუქციის ხარისხზე უარყოფითი ზემოქმედება, არ დაიშვება თამბაქოს მოწევა, საკვების მიღება ან მცენარეების, საკვები პროდუქტების, სასმელების, სიგარეტის, პირადი მედიკამენტების შენახვა.

სუფთა ზონებში სავალდებულოა:

ა) საწარმოო პროცესი განხორციელდეს ოპტიმალურად მინიმალური რაოდენობის პერსონალით;

ბ) შეიზღუდოს სუფთა ზონებში მოძრაობა, მ.შ. მკვეთრი მოძრაობები და გადადგილებები;

გ) სამუშაო პროცედურაში გამოირიცხოს ძირს დაგარდნილი საგნების აღება და გამოყენება;

დ) პერსონალმა სუფთა ზონაში შესვლამდე (მოსამზადებელ სათავსში) უნდა მოიხსნას ყველა სამკაული და მოიცილოს კოსმეტიკა, ფრჩხილებიდან ლაქი, მიიღოს შხაპი, ხელები დაიბანოს ჯაგრისით და სარეცხი საშუალებებით და დაიმუშაოს სადეზინფექციო საშუალებებით, ჩაიცვას შესაბამისი ტანსაცმელი.

ხელმძღვანელი (პასუხისმგებელი) პერსონალი

წარმოებაში ფარმაცევტული საქმიანობის ხელმძღვანელ (პასუხისმგებელ) პერსონალს მიეკუთვნება: უფლებამოსილი პირი, საწარმოო განყოფილების ხელმძღვანელი, ხარისხის კონტროლის განყოფილების ხელმძღვანელი, საბითუმო რეალიზაციის განყოფილების ხელმძღვანელი. ამ სტრუქტურების და შესაბამისად პასუხისმგებელი პირების ფუნქციების გაერთიანება დაუშვებელია.

ხელმძღვანელი პერსონალი, როგორც წესი, უნდა მუშაობდეს სრულ სამუშაო დღეს, მისი შეთავსებით სხვაგან მუშაობა, გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისა, დაუშვებელია.

დიდ საწარმოებში შესაძლოა საჭირო გახდეს ხელმძღვანელი პირების გარკვეული ფუნქციების სხვა თანამშრომლებზე დელებირება, მაგრამ პასუხისმგებლობა კვლავინდებურად ხელმძღვანელი პირის პრეროგატივად რჩება.

ხელმძღვანელი პირებიდან: უფლებამოსილ პირს, საწარმოო განყოფილების და ხარისხის კონტროლის განყოფილების ხელმძღვანელ პირებს მოეთხოვებათ სპეციალური განათლება და სათანადო პრაქტიკული გამოცდილება; მათი უწყვეტი სწავლება შესაბამისად წარმოებული პრეპარატებისა უნდა ხდებოდეს შემდეგ დისციპლინებში:

- ა) ქიმია (ანალიზური, ან ორგანული ქიმია, ან ბიოქიმია...);
- ბ) ქიმიური ტექნოლოგია;
- გ) მიკრობიოლოგია;
- დ) ფარმაცევტული მეცნიერებები და ტექნოლოგია;
- ე) ფარმაკოლოგია და ტოქსიკოლოგია;
- ვ) ფიზიოლოგია;
- ზ) სხვა მომიჯნავე მეცნიერებები.

საწარმოო და ხარისხის კონტროლის განყოფილების ხელმძღვანელ პირებს გააჩნიათ რამდენიმე საერთო ან ერთობლივად განსახორციელებელი ვალდებულება:

- ა) წერილობითი მეთოდიკების და სხვა დოკუმენტების სანქცირება;
- ბ) საწარმოო გარემოს ზედამხედველობა და კონტროლი;
- გ) წარმოებაში შრომის ჰიგიენის ზედამხედველობა;
- დ) პროცესების ვალიდაცია და ანალიზური ხელსაწყოების დაკალიბრება; კალიბრება – განსაზღვრულ პირობებში ჩატარებული პროცედურა, რომლის მეშვეობითაც დგინდება ხელსაწყოების გაზომვის შედეგების შესაბამისობა შესატევისი ეტალონების მაჩვენებლებთან.
- ე) საწყისი ნედლეულის და მასალის მომწოდებლების დამტკიცება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოცულობით მათზე ზედამხედველობა;
- ვ) იმ საწარმოების შერჩევა, დამტკიცება და ხელშეკრულების საფუძველზე მათზე ზედამხედველობა, რომლებთანაც ძირითადი მწარმოებელი აფორმებს ხელშეკრულებას წარმოების პროცესიდან ცალკეული ციკლის განხორციელებაზე;
- ზ) საწყისი ნედლეულის, მასალის და მზა პროდუქციის შენახვის პირობების განსაზღვრა და შესრულებაზე ზედამხედველობა;
- თ) ოქმების სათანადო წარმოება და შენახვა;
- ი) ოვითინსპექტირება.

- საწარმოო განყოფილების ხელმძღვანელს, როგორც წესი მოეთხოვება:
- ა) წარმოების პროცესის და პროდუქციის შენახვის უზრუნველყოფა დადგენილი წესის შესაბამისად, რათა გარანტირებული იქნება სათანადო ხარისხი;
 - ბ) საწარმოო პროცედურის, მათ შორის საწარმოო პროცესში კონტროლის ინსტრუქციების დამტკიცება და მისი აღსრულების მკაცრი კონტროლი;
 - გ) ხარისხის კონტროლის განყოფილებისთვის გადაცემამდე საწარმოო ოქმების შეფასების და პერსონალურად უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერით დადასტურების უზრუნველყოფა;
 - დ) საწარმოო განყოფილების, შენობის, ტექნიკური აღჭურვილობის მდგომარეობის და მომსახურების კონტროლი;
 - ე) საწარმოო პროცესების ვალიდაციის ჩატარების უზრუნველყოფა, საკონტროლო აღჭურვილობის დაკალიბრება, აღნიშნული სამუშაოების დაოქმება და ანგარიშების შენახვა;
 - ვ) პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისი უწყვეტი განათლების პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფა.

ხარისხის კონტროლის განყოფილების ხელმძღვანელის ვალდებულებებში, როგორც წესი შედის:

- ა) საწყისი ნედლეულის, შესაფუთი მასალის, ასევე შუალედური, დაუფასოებელი და მზა პროდუქტის მოწონება ან დაწუნება;

- ბ) სერიის ოქმების ეფასება;
- გ) ყველა საჭირო გამოცდის ჩატარების უზრუნველყოფა;
- დ) სინჯის აღების ინსტრუქციების, სპეციფიკაციების, გამოცდის მეთოდებისა და ხარისხის კონტროლის ყველა სხვა მეთოდიკების დამტკიცება;
- ე) ხელშეკრულებით განხორციელებული ყველა ანალიზების კონტროლი და დამტკიცება;
- ვ) განყოფილების, შენობის და ტექნიკური აღჭურვილობის მდგომარეობის და მომსახურების კონტროლი;
- ზ) გალიდაციის დადგენილი წესით ჩატარების უზრუნველყოფა, მათ შორის ანალიზური მეთოდიკების ვალიდაცია და საკონტროლო აღჭურვილობის დაკალიბრება;
- თ) პერსონალის უწყვეტი განათლების, მათ შორის ხარისხის კონტროლის განყოფილების პერსონალის სწავლება, კონკრეტული პირობების გათვალისწინებით; და ა.შ.

ხელმძღვანელ პერსონალს მოეთხოვება საქმარისი პრაქტიკული გამოცდილება. თუ ამგვარი გამოცდილება ხელმძღვანელ პირს არ გააჩნია, მაშინ მისთვის აუცილებელია მოსამზადებელი პერიოდი, როცა იგი თავის ვალდებულებებს სხვათა პროფესიონალური ზედამხედველობით განახორციელებს.

საწარმოში უნდა არსებობდეს პერსონალის უწყვეტი სწავლების წერილობითი პროგრამა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს არა მარტო საწარმოო და ხარისხის კონტროლის ზონის პერსონალის უწყვეტ სწავლებას, არამედ ტექნიკური და მომსახურე, მათ შორის სანიტარული დასუფთავების განმახორციელებელი პერსონალის სწავლებასაც. გარდა ამისა, სწავლების პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იქნას ყველა ის თანამშრომელი, რომლის საქმიანობამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს პროდუქციის ხარისხს ზე.

გარდა ძირითადი სწავლებისა, რომელიც მოიცავს სათანადო საწარმოო სტანდარტის თეორიას და პრაქტიკას, თითოეულმა თანამშრომელმა სამუშაოზე მიღებისთანავე უნდა გაიაროს სწავლება პერსონალური ვალდებულებების შესაბამისად.

სწავლება ოქმდება და პერიოდულად ფასდება პრაქტიკულ ეფექტურობაზე.

პერსონალი, რომელიც დასაქმებულია კონტამინაციაზე მაღალი საშიშროების ზონებში, მაგალითად სუფთა ზონებში, ან ზონებში, სადაც მუშავდება ძლიერმოქმედი, ტოქსიური, დამაინფიცირებელი ან მასენსიბილიზებელი ნივთიერებები, უნდა გადიოდეს სპეციალურ სწავლებას.

სწავლებისას დეტალურად უნდა იქნეს განხილული არამარტო ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, არამედ მისი სათანადო აღქმის და გაუმჯობესების რაციონალური წინადადებები.

პერსონალი, რომელსაც არ ექნება გავლილი სათანადო სწავლება, არ უნდა იქნეს დაშვებული საწარმოო და ხარისხის კონტროლის ზონებში დამოუკიდებელი საქმიანობისათვის.

უფლებამოსილი პირი, როგორც ხარისხის ყველა ასპექტის ზედამხედველი, ძირითადში პასუხისმგებელია შემდეგ მიმართულებებზე:

- ა) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირება;
- ბ) კომპანიის ორგანიზაციული სქემის შემუშავება (სავალდებულოა მონაწილეობა);
- გ) შიდა აუდიტის ან თვითინსპექტირების რეგულარულ ჩატარებაზე მონიტორინგი (სავალდებულოა მონაწილეობა);
- დ) ხარისხის კონტროლის განყოფილების საქმიანობა;
- ე) მომწოდებლის აუდიტი (სასურველია პირადი მონაწილეობა);
- ვ) ვალიდაციის პროგრამის უზრუნველყოფა (სავალდებულოა მონაწილეობა).

ზ)უფლებამოსილი პირი შესაძლოა უშუალოდ არ ხელმძღვანელობდეს ყველა ამ მიმართულებებს, მაგრამ აუცილებელია მაქსიმალურად ფლობდეს დოკუმენტურ ობიექტურ ინფორმაციას ნებისმიერ ცვლილებაზე, რომლებსაც შეუძლიათ რაიმე ფორმით გავლენა იქონიონ მზა პროდუქტის ხარისხზე. ნებისმიერი შეუსაბამობის თაობაზე, უფლებამოსილი პირი ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს საწარმოს დირექტორს (თუკი ასეთი არსებობს) და ეს ვალდებულება უნდა აისახოს მის თანამდებობრივ ინსტრუქციაში.

თ)საწარმოს ლიცენზირების აუცილებელი პირობაა საწარმოში უფლებამოსილი პირის არსებობა, რომელიც დასაშვებია იყოს საწარმოს დირექტორი, მაგრამ არ არის სავალდებულო.

ი)საწარმოს ლიცენზიაში აღინიშნება უფლებამოსილი პირის ვინაობა, ამავდროულად საწარმოო განყოფილების (წარმოების მენეჯერი) და ხარისხის კონტროლის განყოფილების (ხარისხის მენეჯერი) ხელმძღვანელთა ვინაობები; მათი შეცვლის მიზეზების თაობაზე ინფორმაცია, წერილობით წარედგინება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ცვლილება შეტანილი იქნება თავად ლიცენზიის ფორმაში;

კ)აღნიშნული ცვლილებებისას წარმოდგენილი უნდა იქნეს უფლებამოსილი და/ან პასუხისმგებელი პირების შეცვლის მიზეზ(ების)ის შესახებ ინფორმაცია, რათა დაცული იყოს უფლებამოსილი პირი და/ან სხვა პასუხისმგებელი პირები, თავიანთი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას, მწარმოებელი კომპანიის ხელმძღვანელობისაგან ყოველგვარი ზეწოლის, უკანონობის, პროფესიული ვალდებულებების და ტექნიკური სტანდარტების დარღვევის იძულებისაგან.

წარმოებული სერიების რეალიზაცია დასაშვებია მხოლოდ უფლებამოსილი პირის მიერ წერილობით გაცემული თანხმობის საფუძველზე;

უფლებამოსილი პირი, მაქსიმალურად დამოუკიდებელი უნდა იყოს საწარმოო და ხარისხის კონტროლის უშუალო საქმიანობიდან. მისი უფლება-ვალდებულებაა უზრუნველყოს მაკონტროლებელი ორგანოებისთვის საწარმოს ინსპექტირებისთვის სათანადო პირობების შექმნა და ოფიციალური ინფორმაციების წარდგენა. უფლებამოსილი პირი პერსონალურად და პროფესიონალურადაა პასუხისმგებელი საწარმოო რეგლამენტის დაცვაზე; ამისათვის არ არის აუცილებელი უფლებამოსილი პირი უშუალოდ მუდმივად აკვირდებოდეს სრულად მთელ საწარმოო და გამოცდის პროცესს, საკმარისია ამ მიმართებით მონიტორინგი და რწმუნება სისტემის სათანადოდ ფუნქციონირებაზე.

სერიის რეალიზაციაზე თანხმობის მიცემამდე უფლებამოსილი პირი გარანტირებული უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნების შესრულებაზე:

ა)წარმოებული პრეპარატის ყოველი სერია უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემებს;

ბ)სრულად სრულდებოდეს წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნები;

გ)ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები და გამოცდის მეთოდები იყოს ვალიდირებული;

დ)ჩატარებული იქნას ყველა აუცილებელი შემოწმება, გამოცდა,

გათვალისწინებული იქნას წარმოების პირობები და საწარმოო ოქმები;

ე)პროდუქციის რეალიზაციამდე შესწავლილი და გაანალიზებული იქნას, წარმოების ან ხარისხის კონტროლის პროცესში ნებისმიერი ცვლილება ან/და გადახრა;

- ვ)დასახული ცვლილებების ან გადახრების დროს განხორციელდა დამატებით სინჯის აღება, გამოცდის და შემოწმების დამატებითი ღონისძიებები;
- ზ)ტექნოლოგიური პროცესის და ხარისხის კონტროლის ყველა დოკუმენტი შევსებული და ხელმოწერილია (დამოწმებული) პერსონალურად ამაზე განპირობებული პირების მიერ;
- თ)უფლებამოსილი პერსონალის მიერ ჩატარდა შესაბამისი აუდიტი, თვითინსპექტირება და შერჩევითი კონტროლი;
- ი)ხარისხის კონტროლის განყოფილების მიერ დადასტურებულია სათანადო ხარისხი;
- კ)სერიის დოკუმენტაციის განხილვისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტორი.

უფლებამოსილი პირი პასუხისმგებელია წარმოებაში კონტრაქტით შემოტანილი და შემდგომი წარმოებისთვის გამოყენებული შუალედური პროცესით გამოყენების უფლების გაცემაზე. პერსონალის და მთლიანად საწარმოს ფარმაცევტულ საქმიანობაზე. უფლებამოსილი პირი უნდა ფლობდეს წარმოების, ლაბორატორიის და დისტრიბუციის საკანონმდებლო რეგლამენტაციას, ფლობდეს გამოცდილებას ფარმაცევტული პრეპარატის შექმნის პრინციპებისა და პროცესების თაობაზე, მიკრობიოლოგიას, სინჯის აღების პრინციპებს და წესებს, ჰქონდეს საწყისი ნედლეულის, შესაფუთი მასალის და მზა პროდუქტის გამოცდის ჩატარების პრაქტიკა.

შენობა და ტექნიკური მოწყობილობები

გარემო, სადაც განთავსებულია საწარმო, საწარმოო პროცესების დაცვის ყველა ღონისძიებების გათვალისწინებით, უნდა წარმოადგენდეს მინიმალურ რისკს საწყისი ნედლეულის, მასალების და პროცესით კონტროლის კონტროლის თვალსაზრისით.

საწარმოო შენობის მდებარეობა, შენობასთან ერთად მოწყობილობების პროექტირება, დაგეგმარება, კონსტრუირება უნდა იყოს მოხერხებული და ექსპლოატირებული იმგვარად, რომ:

- შეესაბამებოდეს ჩატარებელ სამუშაოს;
- უზრუნველყოფდეს პროცესის უწყვეტობას;
- მინიმუმადე იქნას დაყვანილი დაბინძურების და შეცდომების რისკი;
- იძლეოდეს ეფექტური დასუფთავების და მომსახურების საშუალებას;
- უზრუნველყოფილი იქნეს უსაფრთხოების ტექნიკის დაცვა.

საწარმოო შენობა და მოწყობილობები უნდა იყოს სუფთა, გამართულ მდგრმარეობაში, მათი დასუფთავება და დეზინფიცირება უნდა ხორციელდებოდეს წერილობითი მეთოდიკის შესაბამისად, სათანადო პერიოდულობით.

ელექტრომომარაგება, განათება, ტემპერატურა, ტენიანობა და ვენტილაცია წარმოების პროცესის შესაბამისი უნდა იყოს და გამორიცხავდეს წარმოების და შენახვის პროცესებზე, ფარმაცევტული პრეპარატის ხარისხზე და ტექნიკური აღჭურვილობის ფუნქციონირების სიზუსტეზე, პირდაპირ ან ირიბ ზეგავლენას.

შენობის პროექტირება და მოწყობილობა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოფდეს შენობის მწერების, მღრღნელების და სხვა ცხოველებისაგან დაცვას.

ტექნოლოგიური აღჭურვილობების დაპროექტება, განთავსება და ექსპლუატაცია უნდა ხდებოდეს დანიშნულების შესაბამისად, მკაცრად გამოყენების ინსტრუქციის დაცვით.

მოწყობილობების მონტაჟისას რეკომენდებულია, შეძლების და გვარად, ავტომატური და მექანიკური ნაწილების სუფთა ზონის გარეთ განთავსება, რათა მათი ტექნიკური მომსახურება ამ ზონის გარეთ სრულდებოდეს.

საპოხი ნივთიერებები და გამაცივებელი სითხეები არ უნდა იყოს შეხებაში პროდუქციასთან, რათა გავლენა არ იქონიოს პროდუქციის ხარისხის მაჩვენებელსა და უსაფრთხოობაზე.

წყლის დასამუშავებელი დანადგარები უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისი ხარისხის წყლის მიღებას. აპარატურა არ უნდა მუშაობდეს წარმადობაზე ჭარბი მოცულობით, მიღებული წყლის შენახვის პირობები უნდა გამორიცხავდეს მიკრობთა ზრდას.

ქიმიური ჭურჭელი ავტომატებში კარგად უნდა ირგცხებოდეს მცირე დალექვის უნარის მქონე სარეცხი საშუალებებით, გავლება უნდა ხდებოდეს დისტილირებული და დეიონიზებული წყლით.

გასარეცხი და სარეცხი მოწყობილობები ისე უნდა იყოს კონსტრუირებული და გამოყენებული, რომ არ შექმნან დაბინძურების დამატებითი წყარო.

ავტომატური, მექანიკური და ელექტრონული მოწყობილობები უნდა მოწმდებოდეს და ხდებოდეს მათი დაკალიბრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; დაკალიბრების და შემოწმების ოქმების წერილობითი ფორმით შენახვა სავალდებულოა.

საფერმენტებს, ავტოკლავებს, თერმოსტატებს და სხვა მოწყობილობებს რეკომენდირებულია პქონდეთ ჩამწერი მოწყობილობები, მიზანშეწონილია მოწყობილობების აღჭურვა გაუმართაობის შემატყობინებელი სიგნალიზაციით.

ყველა საწარმოო მოწყობილობამ პარის სტერილიზაციის, ფილტრაციის, წყლის დამატებავებელი დისტილატორების სისტემების ჩათვლით, უნდა გაიაროს გეგმიური ტექნიკური დათვალიერება და ვარგისობა დოკუმენტურად უნდა იყოს დადასტურებული.

ტექნიკური აღჭურვილობების ნაწილები, რომლებიც საწარმოო პროცესის დროს ივსება საწყისი, შუალედური ან მზა ფარმაცევტული პროდუქციით, პროცესის დასრულებისთანავე უნდა გასუფთავდეს, რათა გამოირცხოს ჯვარედინი კონტამინაცია.

პასუხისმგებელი პირი ვალდებულია პროცესის დაწებამდე შეამოწმოს მოწყობილობები და მათი სისუფთავე. უნდა გამოირიცხოს თავად გამწმენდი საშუალებებით მოწყობილობების დაბინძურება.

სტერილურ მასალასთან სამუშაოდ გამოყენებული მოწყობილობა სავალდებულო წესით უნდა მოწმდებოდეს მიკრობიოლოგიური მეთოდებით.

მოწყობილობების ექსპლოატაციის და დასუფთავების ღონისძიებების სტანდარტული პროცედურული ოპერაციები (SOP) სავალდებულო წესით ქართულ ენაზე წერილობით უნდა იყოს გაფორმებული, დადგენილი წესით სანქცირებული და დამაგრებული უშუალოდ მოწყობილობებთან.

სტანდარტული სამუშაო მეთოდიკა SOP- სანქციონირებული წერილობითი მეთოდიკა, რომელშიც ჩამოყალიბებულია ინსტრუქციები არასპეციფიკური, შედარებით ზოგადი ხასიათის სამუშაოს შესასრულებლად (მაგალითად: ექსპლოატაცია, ტექნიკური მომსახურება, მოწყობილობის გაწმენდა, ვალიდაცია, ხათავსოების დასუფთავება, გარემო პირობების კონტროლი, სინჯის აღება და ინსპექტირება).

SOP-ებში უნდა მიეთითოს:

ა)ტექნიკური მომსახურების, დასუფთავების და სანიტარული ღონისძიებების რეჟიმი;

- ბ)მოწყობილობის მონტაჟის და დემონტაჟის მეთოდები ცალკეული კვანძის სტერილზაციის საჭიროებისას;
- გ)უშავალოდ გამოყენების წინ მოწყობილობის შემოწმების მეთოდი და პერიოდულობა.

მოწყობილობის შემოწმების პერიოდულობა, დაკალიბრება შეტანილ უნდა იქნეს მოწყობილობის ექსპლოატაციის სარეგისტრაციო უურნალში, სადაც პარალელურად ფიქსირდება შემოწმება, დაკალიბრება, ტექნიკური მომსახურება, რემონტი და დასუფთავება, თარიღების და შემსრულებელი პირების მითითებით.

მოწყობილობების ექსპლოატაციაზე პასუხისმგებელი პირები წლის დასაწყისში აღგენენ მოწყობილობების კონტროლის და პროფილაქტიკური შემოწმება/შეკეთების წლიურ გრაფიკს.

გაუმართავი მოწყობილობა დაუყოვნებლივ უნდა დაიდამდოს, როგორც დეფექტური. მისი შეკეთება უნდა მოხდეს უმოკლეს ვადებში ან გატანილი იქნეს წარმოების და კონტროლის ზონიდან. შეკეთება უნდა იყოს დოკუმენტირებული.

ზოგადი მოთხოვნები საწარმოო ზონის მიმართ

შენობის დაგეგმარება უნდა შეესაბამებოდეს რეგლამენტით გათვალისწინებულ ტექნოლოგიური პროცესების თანმიმდევრობას და სისუფთავის კლასზე მოთხოვნებს.

წარმოების პროცესში პრეპარატების ან მათი კომპონენტების ჯვარედინი კონტამინაციის თავიდან ასაცილებლად, აღრევის რისკის, დაუდევრობის ან არასწორი ქმედების მინიმიზაციისთვის, უნდა იყოს სათანადო სამუშაო სივრცე, წარმოებისას სათანადო შესანახი სათავსო, რომელიც საშუალებას იძლევა მოწესრიგებულად და ლოგიკურად განთავსდეს საწარმოო ზონის ტექნიკური აღჭურვილობა და საჭირო მასალები.

ტექნიკური აღჭურვილობები და მათი რაციონალური განთავსება უნდა იძლეოდეს ეფექტური ექსპლოატაციის და სათანადო დასუფთავების საშუალებას.

გარკვეული ჯგუფის სამკურნალო საშუალებების წარმოება, ისეთებისა, როგორიცაა ძლიერ სენსიბილირებადი ნივთიერებები (მაგალითად პენიცილინი) ან ბიოლოგიური პრეპარატები (მაგალითად ცოცხალი მიკროორგანიზმებიდან დამზადებული პრეპარატები), უნდა ხდებოდეს გამოცალკევებულ, მხოლოდ საამისოდ განპირობებულ ტექნიკურ საშუალებებზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული ჯვარედინი კონტამინაციით გამოწეული ჯანმრთელობის სერიოზული გართულებები.

ერთი და იმავე ტექნიკური საშუალებებით ანტიბიოტიკების, პორმონების, ციტოტოქსინების, ძლიერმოქმედი ფარმაცევტული პრეპარატების წარმოება არ დაიშვება. დაუშვებელია ფარმაცევტულ წარმოებებში არასამკურნალო საშუალებების წარმოება, ან პირიქით, სამკურნალო საშუალებების წარმოება არაფარმაცევტულ საწარმოებში.

საწარმოო ზონის შიგა ზედაპირი (კედლები, იატაკი, ჭერი) უნდა იყოს გლუვი, პირიპირზე ნაპრალების და ბზარების გარეშე, იძლეოდეს ადვილი და ეფექტური დასუფთავების, საჭიროებისას დეზინფიცირების საშუალებას. მათ არ უნდა სცილდებოდეს მექანიკური ნაწილაკები.

საწარმოო ზონებში, სადაც ტექნოლოგიური ოპერაცია ხორციელდება, მექანიკური ნაწილაკების და მიკროორგანიზმების დასაშვები შემცველობის შესაბამისად დგინდება საპარო სივრცის სისუფთავის კლასები.

პარტიის კლასიფიკაციის სისტემა სტერილური პროდუქციის წარმოებისას:

კლასი	ნაწილაკების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა 1მ³-ში		სიცოცხლისუნარიანი მიკროორგანიზმების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა 1მ³-ში
	0,5-5გვგ	5გვგ-ზე ნაკლები	
A	3 500	0	1-ზე ნაკლები
B	3 500	0	5
C	350 000	2 000	100
D	3 500 000	20 000	500

საწარმოო შენობა უნდა აღიჭურვოს საპარტო ვენტილაციის სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს სისუფთავის შესაბამის კლასს, (ტექნოლოგიური რეგლამენტის შესაბამისი ტექნოლოგიური პროცესის სტანდარტისათვის);

გარკვეული სისუფთავის კლასის მიღწევის უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს შენობის ზომები, ტექნიკური საშუალებები, მათი განთავსება და პერსონალი, რომელიც იქ იმყოფება, პარტიკულის მრავალჯერადი უზრუნველყოფა და შესაბამისი ფილტრების არსებობა.

განათება, ტემპერატურა, ტენიანობა და გენტილაცია უნდა შეესაბამებოდეს ტექნოლოგიურ რეგლამენტს და უარყოფითად არ უნდა ზემოქმედებდეს იქ წარმოებულ სამკურნალო საშუალებასა და მოწყობილობაზე.

საწარმოო ზონები კარგად უნდა იყოს განათებული, განსაკუთრებით იქ, სადაც ხორციელდება ვიზუალური კონტროლი.

ფარმაცევტული პრეპარატების შესაფუთი ზონა სპეციალურად დაპროექტებული და განთავსებული უნდა იყოს იმგვარად, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ადრევის ან ჯვარედინი კონტამინაციის რისკი.

დაუშვებელია საწარმოო, სასაწყობო და ხარისხის კონტროლის ზონებში უცხო პირთა შესვლა ან/და მათი გასასვლელად გამოყენება პერსონალისათვის, რომელიც ამ ზონებში არ მუშაობს.

ტექნიკური აღჭურვილობა უნდა სუფთავდებოდეს ვალიდირებული მეთოდიების (აქტუალიზირებული SOP-ები) შესაბამისად, რათა გამოირიცხოს ამ მხრივ სამკურნალო საშუალების ხარისხზე უარყოფითი ზეგავლენა.

სამუშაო მიღვაყვანილობები, გასანათებელი საშუალებები, სავენტილაციო მოწყობილობები და მომსახურების სხვა სისტემები ღრმულების გარეშე უნდა იყოს დამონტაჟებული, რომ არ გართულდეს მათი დასუფთავება.

სტაციონარული მიღები უნდა იყოს გარკვევით მარკირებული, მიეთითოს შიგთავსი და ნაკადის მოძრაობის მიმართულება, განსაკუთრებული უზრადდება უნდა მიექცეს მიღებს, რომელშიც საშიში გაზები და სითხეები მიედინებიან.

ტექნოლოგიური პროცესის და კონტროლის ოპერაციებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სიზუსტის სათანადო დიაპაზონის მქონე სასწორები და გაზომვის სხვა საშუალებები.

ტექნოლოგიური საშუალებების ის ნაწილები, რომლებიც შეხებაშია პროდუქციასთან, არ უნდა შედიოდეს მათთან რეაქციაში, არ უნდა იყოს შესაძლებელი ისეთი ოდენობით ადსორბცია, რაც გავლენას იქონიებს პროდუქციის ხარისხზე.

ზოგადი მოთხოვნები ხარისხის კონტროლის ზონებთან

ხარისხის კონტროლის ლაბორატორია წარმოების ზონისგან განცალკევებული უნდა იყოს და აკმაყოფილებდეს „ლაბორატორიის რეგლამენტის“ ნორმატიული აქტის მოთხოვნებს.

საკონტროლო ლაბორატორიის პროექტირება უნდა შეესაბამებოდეს ჩასატარებელ პროცედურებს. აღრევის და ჯვარედინი კონტამინაციის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ლაბორატორია განთავსებული იყოს საკმარისად ვრცელ ფართზე, სადაც გამოყოფილი იქნება სათანადო სათავსი ნიმუშების, სტანდარტ-რეფერაციების (აუცილებლობისას დაბალ ტემპერატურაზე) და ანგარიშების შესანახად.

ლაბორატორიის პროექტი უნდა ითვალისწინებდეს სამშენებლო მასალების შესატყვისობას დანიშნულებასთან, კერძოდ: კვამლის და აორთქლებისგან დაცვას, ვენტილაციას; ბიოლოგიური, მიკრობიოლოგიური და რადიოზოტოპური ლაბორატორიებისათვის მოთხოვნება პაერის დამშუშავებელი და სისუფთავის უზრუნველყოფი სისტემის დამატებითი დანადგარები.

ხარისხის კონტროლის ზონები, სადაც გამოიყენება ბიოლოგიური, მიკრობიოლოგიური და რადიოზოტოპური გამოცდის მეთოდები, ერთმანეთისგან გამოცალებებული უნდა იყოს.

წარმოების ლაბორატორიის ხარისხის კონტროლის ტექნიკური აღჭურვილობა უნდა იძლეოდეს მათ მიერ წარმოებული ყველა პროდუქტის ხარისხის პარამეტრის (სათანადო სტანდარტის შესაბამისად) მაქსიმალური სიზუსტით განსაზღვრის საშუალებას.

წარმოების და ხარისხის კონტროლის პროცესში გამოყენებული გაზომვის მეთოდები მეტროლოგიურად დადასტურებული და დადგენილი წესის შესაბამისად გაფორმებული უნდა იყოს.

ზოგადი მოთხოვნები სასაწყობო ზონების მიმართ

სასაწყობო ზონა სათანადოდ დაპროექტებული, ტევადი და მოხერხებული უნდა იყოს სხვადასხვა კატეგორიის მასალების და პროდუქტის (საწყისი ნედლეულის, შესაფერი მასალის, შუალედური, დაუფასოებელი და მზა პროდუქტის, კარანტინში არსებული, რეალიზაციაზე ნებადართული, წუნდებული, დაბრუნებული ან გამოთხოვილი პროდუქციის) განთავსებისთვის, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მათი მოწესრიგებული შენახვა.

სასაწყობო ზონა უნდა იყოს სუფთა, მშრალი; ტემპერატურა და ტენიანობა უნდა შეესაბამებოდეს პროდუქციის სპეციფიკაციის მოთხოვნებს, რომლის უზრუნველყოფისთვისაც სასაწყობო ზონა საჭიროებისას უნდა აღიჭურვოს სათანადო ტექნიკური საშუალებებით (შესაბამისი მაცივარი, კონდენციონერი...); ტემპერატურის და ტენიანობის კონტროლი უნდა მიმდინარეობდეს მუდმივად და შესაბამისი მონაცემების რეგისტრაცია ხორციელდებოდეს სპეციალურ ჟურნალში.

საწყობის სამიმდებო და საექსპედიციო ზონები უნდა უზრუნველყოფდეს საქონლის დაცვას ამინდის ზეგავლენისაგან და საჭიროებისას შესაძლებელი იყოს შემოსული პროდუქციის ტარის გასუფთავება.

კარანტინი— სტატუსი საწყისი ნედლეულის, შესაფუთი მასალის, შუალედური, დაუფასოებელი ან მზა ფარმაცევტული პროდუქტისა, რომელთა იზოლირება ხდება ფიზიკური ან სხვა ეფექტური საშუალებით, მათი რეალიზაციის, წუნდების ან გადამუშავების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე.

კარანტინის განხორციელების ნებისმიერი სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს სათანადო უსაფრთხოებას. საკარანტინო ზონა შესაძლოა იყოს საწყობში, ცალკე ოთახის ან განცალკევებული იზოლირებული სათავსის სახით, ყველა შემთხვევაში იგი თვალსაჩინოდ მარკირებული უნდა იყოს და მასში მოხვედრა მხოლოდ საამისოდ უფლებამოსილ პირ(ების) უნდა შეეძლოთ.

საწყისი ნედლეულიდან ნიმუშის აღება უნდა ხორციელდებოდეს განცალკევებულ ზონაში. თუ ეს პროცესი შენახვის ზონაში ხორციელდება, მაშინ უნდა იყოს შექმნილი სათანადო პირობები კონტამინაციის, ან ჯვარედინი კონტამინაციის თავიდან ასაცილებლად.

წუნდებული, გამოთხოვილი ან დაბრუნებული მასალები, საწყისი ნედლეული ან პროდუქცია საამისოდ გამოყოფილ იზოლირებულ ზონაში უნდა ინახებოდეს.

სპეციალუროვლს დაქვემდებარებული საშუალებები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნდა ინახებოდეს.

ცეცხლსაშიში ან ფეთქებადი ნივთიერებები უსაფრთხო და დაცულ ზონებშიუნდა ინახებოდეს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მარკირებული შესაფუთი მასალების საიმედო და უსაფრთხო შენახვას.

აწონების ზონა

აწონების ზონა საჭიროების შესაბამისად შეიძლება იყოს სასაწყობო და საწარმოო ზონაში, სასურველია იგი იყოს საამისოდ სპეციალურად აღჭურვილ განცალკევებულ სათავსში. აწონების ზონაში უნდა რეგულარულად კონტროლდებოდეს სისუფთავე.

ზოგადი მოთხოვნები დამხმარე (დამატებით) ზონებთან

დასასვენებელი და სასადილო ოთახები სხვა ზონებიდან განცალკევებულად უნდა იყოს განთავსებული. გარდერობი, შხაპი და ტუალეტი რაოდენობრივად და სანიტარულ-ტექნიკური აღჭურვილობით უნდა აქმაყოფილებდეს სათანადო მოთხოვნებს. დაუშვებელია, რომ ტუალეტი უშუალოდ უკავშირდებოდეს საწარმოო, სასაწყობო და ხარისხის კონტროლის ზონებს. სახელოსნო უნდა იყოს განცალკევებული საწარმოო, სასაწყობო და ხარისხის კონტროლის ზონებიდან; თუ სათადარიგო ნაწილი და ინსტრუმენტი საწარმოო ზონაში ინახება, ამისთვის უნდა იყოს სპეციალურად გათვალისწინებული ოთახი ან ადგილი.

ცხოველთა ადგილსამყოფელი შენობა ყველა სხვა ზონიდან იზოლირებული უნდა იყოს, პქონდეს ცალკე შესასვლელი და პაერის სათანადო დამუშავების დამოუკიდებელი სისტემა.

მოთხოვნები წარმოებაში გამოყენებული ნედლეულის, მასალისა და მზა პროდუქციისადმი

წარმოებაში შესული ნედლეული, მასალა და მზა პროდუქტი დაუყოვნებლივ, წარმოებაში გამოყენების ან რეალიზაციაში გაშვების ნებართვის მიღებამდე, ექვევა კარანტინში.

საწყისი ნედლეული, მასალა და პროდუქცია უნდა ინახებოდეს მწარმოებლის მიერ სპეციფიკაციაში მითითებულ პირობებში, სერიების მიხედვით მოწერილებული სახით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სასაწყობო მარაგის მიმოქცევის სერიული რიგითობა.

საწყისი ნედლეულის შესყიდვა მნიშვნელოვანი პროცედურაა, რომელშიც ჩართული უნდა იქნან უფლებამოსილი პირი, საწარმოო და ხარისხის კონტროლის სამსახურების ხელმძღვანელები.

საწყისი ნედლეული შესყიდული უნდა იქნეს მხოლოდ სარეგისტრაციო ფაილში მითითებული მომწოდებლისგან (უპირატესად უშუალოდ მწარმოებლისგან).

საწყისი ნედლეულის მიღებისას ტარა ექვემდებარება კონტროლს შეფუთვის და ლუქის მთლიანობაზე, აგრეთვე დაკვეთის, შემოსავლის ზედღებულის და მომწოდებლის ეტიკეტის შესაბამისობაზე.

ტარის დაზიანება ან ნებისმიერი სხვა პრობლემები, რომლებსაც შეუძლიათ რაიმე უარყოფითი გავლენა იქონიონ საწყისი ნედლეულის ხარისხზე, უნდა დაოქმდეს და გადაეცეს ინფორმაცია ხარისხის კონტროლის სამსახურს.

თუ ერთი მოწოდება რამოდენიმე სერიას მოიცავს, თითოეული სერია დამოუკიდებლად ექვემდებარება სინჯის აღებას, გამოცდას და ნებართვას შემდგომ გამოყენებაზე.

სასაწყობო ზონაში საწყისი ნედლეული სერიების მიხედვით უნდა იყოს მარკირებული, სასაწყობო ეტიკეტი უნდა მოიცავდეს მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას:

- ა) პროდუქციის დასახელება, საჭიროებისას შიდა ქარხნული კოდი;
- ბ) მომწოდებლის მიერ მინიჭებული სერიის ნომერი, თუ სერიის ნომერს ანიჭებს მიმღებიც, მაშინ ეს მონაცემიც უნდა მიეთითოს;
- გ) შენახვის სტატუსი (მაგ. კარანტინი, საგამოცდო, ნებადართული, წუნდებული, დაბრუნებული, გამოთხვილი);
- დ) გარგისობის ვადა, საჭიროებისას თარიღი, რის შემდეგაც აუცილებელია მისი შემდგომი გადაკონტროლება.

ტარა, საიდანაც ხდება სინჯის აღება, იდენტიფიცირებული უნდა იყოს.

წარმოებაში გამოიყენება მხოლოდ ის საწყისი ნედლეული, რომელზეც ხარისხის კონტროლის სამსახურს ნებართვა აქვს გაცემული და ისიც მხოლოდ ვარგისობის ვადის პერიოდში.

საწყისი ნედლეული გაიცემა მხოლოდ საამისოდ უფლებამოსილი პირების მიერ, წერილობითი მეთოდიკის შესაბამისად, რათა გარანტირებული იყოს რომ კონკრეტული სერიისთვის განსაზღვრული რაოდენობის შესაბამისი ნედლეულის გაცემა სათანადო სისუფთავისა და სათანადო მარკირებული ტარით.

გაცემული ნედლეულის ყველა სახეობის მასა ან მოცულობა დამოუკიდებლად უნდა გაკონტროლდეს და გაფორმდეს ოქმი.

პირველადი და მეორეული შეფუთვის შესყიდვა, მიმოქცევა და კონტროლი საწყისი ნედლეულის მსგავსად ხორციელდება.

მარკირებული პირველადი და მეორეული შეფუთვის შენახვა უნდა ხორციელდებოდეს საქმარისად უსაფრთხო პირობებში და გამორიცხავდეს უცხო პირთათვის მათ ხელმისაწვდომობას. დაჭრილი ეტიკეტები და სხვა დაცალკევებული ბეჭვნითი მასალა, როგორც წესი, უნდა ინახებოდეს და ტრანსპორტირდებოდეს ცალკე დახურულ ტარაში, რათა გამოირიცხოს აღრევა; მხოლოდ პერსონიფიცირებულ პერსონალს აქვს მათი გაცემის უფლება.

პირველადი და მეორეული შეტუთვის მასალის ყოველი მიღება ან სერია იდენტიფიცირდება სპეციალური ხორით ან საიდენტიფიკაციო ნიშნით.

ვადაგასული, გაუვარგისებული ან ხმარებიდან ამოღებული შესაფუთი მასალა სავალდებულო წესით ნადგურდება, რაზედაც ფორმდება შესაბამისი ოქმი.

შუალედური და დაუფასოებელი პროდუქცია უნდა ინახებოდეს სათანადო პირობებში.

შუალედური და დაუფასოებელი პროდუქციის შესყიდვისას მათ მიმართ ტარდება ყველა ის ღონისძიება როგორც საწყის ნედლეულზე.

მზა ფარმაცევტული პროდუქტი რეალიზაციაზე უფლებამოსილი პირის თანხმობის მიღებამდე ინახება კარანტინში.

წუნდებული ნივთიერებები და პრეპარატები მკაფიოდ მარკირდება და ინახება იზოლირებულად, შეზღუდული დაშვების ზონაში. იგი ექვემდებარება, წუნდების საფუძვლიდან გამომდინარე, მომწოდებლისთვის დაბრუნებას, გადამუშავებას, ან განადგურებას. ნებისმიერ ასეთ გადაწყვეტილებას იღებს უფლებამოსილი პირი, შესაბამის პასუხისმგებელ პირთან ერთად, რაც ფორმდება სათანადო ოქმით.

წუნდებული პროდუქციის გადამუშავება დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, კერძოდ: როცა მიიღწევა მზა პროდუქციის სათანადო ხარისხი, დაცულია სპეციფიკაცია და გადამუშავება ხორციელდება სანქცირებული მეთოდიკით, სადაც არსებითად იქნება შეფასებული რისკაქტორი; გადამუშავების ოქმი ინახება, გადამუშავებულ სერიას ენიჭება ახალი ნომერი.

წარმოების გარკვეულ სტადიაზე, სათანადო ხარისხის მთლიანი სერიის ან სერიის ნაწილის შეტანა ამგვარი პროდუქციის სათანადო ხარისხის სხვა სერიაში თავიდანვე სანქცირებული უნდა იყოს. შერევის მეთოდიკაში სავალდებულო წესით უნდა იყოს გათვალისწინებული ხარისხზე და ვარგისობის ვადაზე გავლენის რისკიაქტორი, შერევის პროცესი ოქმდება.

გადამუშავებული ან რეგენერირებული პროდუქტის დამატებით მიღებული მზა პროდუქტის გამოცდის აუცილებლობას განსაზღვრავს ხარისხის კონტროლის განყოფილება.

გამოთხოვილი პროდუქცია დაუყოვნებლივ იდენტიფიცირებული და შენახული უნდა იქნეს ცალკე, უსაფრთხო ზონაში, მის მიმართ ღონისძიებების გატარებამდე, რომელიც რაც შეიძლება სწრაფად უნდა იქნეს მიღებული.

ქსელიდან დაბრუნებული წუნდებული პროდუქცია ექვემდებარება განადგურებას.

რეაქტივები და კულტურალური ნიადაგი მიღების ან დამზადებისთანავე ექვემდებარებიან სპეციალურ უურნალში რეგისტრაციას.

ლაბორატორიაში რეაქტივების მომზადება ხორციელდება სათანადო წერილობითი მეთოდიკების შესაბამისად; ეტიკეტზე უნდა აღინიშნოს კონცენტრაცია, შესწორების კოეფიციენტი, ვარგისობის ვადა, შესწორების კოეფიციენტის შემდგომი განსაზღვრის ვადა და შენახვის პირობები; ეტიკეტი უნდა იყოს ხელმოწერილი და დათარიღებული რეაქტივის დამამზადებლის მიერ.

კულტურალური ნიადაგის ვარგისობის დამოწმებისთვის გამოიყენება როგორც პოზიტიური ასევე ნეგატიური კონტროლი. პოზიტიური კონტროლისას გამოყენებული დასათესი მასალა (ინოკულიატი) უნდა იყოს სათანადო მგრძნობელობის.

სტანდარტულ ნიმუშებად შეიძლება გამოყენებული იქნას ფარმაკოპეის სტანდარტული ნიმუშები; მწარმოებლის მიერ მომზადებული სტანდარტული ნიმუში საჭიროებს სათანადო გამოცდას, გამოყენებაზე ხარისხის კონტროლის განყოფილების უფროსის ნებართვას. სტანდარტული ნიმუშები უნდა ინახობოდეს პერსონიფიცირებული პირის პასუხისმგებლობით უსაფრთხო ადგილას.

ფარმაკოპეული სტანდარტული ნიმუშები მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას მხოლოდ შესაბამის მონოგრაფიებში აღწერილ შემთხვევებში.

მეორეული ან სამუშაო სტანდარტული ნიმუშები შეიძლება დადგენილი იქნეს სტანდარტიზაციის მიზნით რეგულარულად განხორციელებული შესაბამისი გამოცდის და შემოწმების საშუალებით. ყველა დამოუკიდებლად დადგენილი სტანდარტული ნიმუში უნდა ეფუძნებოდეს ფარმაკოპეულ სტანდარტულ ნიმუშს, თუკი ასეთი არსებობს.

ყველა სტანდარტული ნიმუში უნდა იმგვარად იქნეს შენახული და გამოყენებული, რომ გამოირიცხოს მათ ხარისხზე არასასურველი ზემოქმედება.

წარმოებაში გათვალისწინებული უნდა იქნას ნარჩენების უსაფრთხო შენახვის და მოცილების სათანადო პირობები; ტოქსიური ნივთიერებები და აღვილად აალებადი მასალა დადგენილი წესით უნდა ინახებოდეს სპეციალურად კონსტრუირებულ, გამოცალკევებულ, დახურულ კარადებში.

დაუშვებელია ნარჩენების დაგროვება, ის უნდა გროვდებოდეს შენობის გარეთ სპეციალურ სათავსში და დროის მოკლე ინტერგალებით ხდებოდეს მისი გატანა, სანიტარული ნორმების დაცვით.

საწარმოში სადეზინფექციო და სადერატაციო საშუალებების გამოყენებისას უნდა გამოირიცხოს კონტამინაციის საშიშროება.

სტერილური და იმუნობიოლოგიური პრეპარატების წარმოების სპეციფიური მოთხოვნები

სტერილური წარმოებისთვის სპეციფიური მოთხოვნები

წინამდებარე ნაწილში ჩამოყალიბებული მოთხოვნები კი არ ცვლის სტანდარტის ზოგად ნაწილში მითითებულ მოთხოვნებს, არამედ გამოყოფს და აზუსტებს სპეციფიურ მომენტებს, რათა სტერილური წარმოებისას მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მიკრობიოლოგიური კონტამინაცია, კონტამინაცია ნაწილაკებით და პიროგენებით.

სტერილური პროდუქციის წარმოება დასაშვებია მხოლოდ სუფთა ზონებში (შენობებში), სადაც პერსონალის შესვლა, ნედლეულის, მასალის ან სხვა საგნების მიწოდება დასაშვებია მხოლოდ საპარტიო შლუზებით.

სუფთა ზონების მომსახურება უნდა უზრუნველყოფდეს სისუფთავის სათანადო სტანდარტს, მასში პარტიის შესვლა დასაშვებია მხოლოდ სათანადო ეფექტურობის ფილტრებში გავლით.

კომპონენტების მომზადების სხვადასხვა თპერაციები, პირველადი შეფუთვების და შესაფუთი მასალების, პირველადი შეფუთვის ჭურჭლის შევსება და სტერილიზაცია, აუცილებელია ხორციელდებოდეს უშუალოდ სუფთა ზონაში.

სტერილური პროდუქციის წარმოებისთვის სუფთა ზონები კვალიფიცირდება A, B, C და D სისუფთავის კლასებად.

ლამინარული საპარტიო ნაკადის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს პარტის თანაბარ სიჩქარეს, დაახლოებით ვერტიკალური ნაკადისთვის 0,30 მ/წ და პორიზონტალური ნაკადისთვის 0,45 მ/წ, პარტის ზუსტი სიჩქარე დამოკიდებული იქნება ტექნიკური აღჭურვილობის ტიპზე.

სისუფთავის B,C,D კლასების მიღწევა, როგორც წესი, შესაძლებელია ოთახში სადაც დამონტაჟებულია შესაბამისი მაღალეფებური სპეციალურ ფილტრებიანი საპარტიო ნაკადის სათანადო სისტემა და სადაც პარტის ცვლის ჯერადობა საათში 20-ზე მეტია.

კონტამინაციის დაბალი მაჩვენებელი სარწმუნოა მხოლოდ პარტის სინჯის ელემენტების დიდი ოდენობით აღებისას.

ყოველი ტექნოლოგიური თპერაცია მოითხოვს გარემომცველი არის სისუფთავის გარკვეულ დონეს, რათა თავიდან იქნეს აცილებული დამუშავებული პროდუქციის და მასალის მექანიკური ნაწილაკებით და მიკროორგანიზმებით კონტამინაცია. მათი შემცველობა დაცული უნდა იყოს პროდუქციის უშუალო მოსაზღვრე ზონებში, სადაც პროდუქცია განიცდის გარემოს ზემოქმედებას. სისუფთავის სათანადო მახასიათებლები უნდა უზრუნველყოფილი იქნას ზონაში

პერსონალის არ ყოფნისას და თუკი ადგილი აქვს პაერის ხარისხის გაუარესებას, მაშინვე ხანძოკლე დასუფთავების შემდგე.

სტერილური პრეპარატების წარმოების ოპერაცია პირობითად სამ კატეგორიად იყოფა:

- ა)პრეპარატის სტერილიზაცია ხორციელდება საბოლოოდ ჰერმეტულად თავმოხუფულ პირველად შეფუთვაში;
- ბ)წარმოების დროს ხორციელდება ფილტრაციით პრეპარატის სტერილიზაცია;
- გ)ფილტრაციით ან შეფუთული სახით ვერ ხორციელდება სტერილიზაცია და საჭიროა პრეპარატის წარმოება სტერილური საწყისი ნედლეულიდან ასეპტიკურ პირობებში.

წარმოების დროს ფილტრაციით პრეპარატის სტერილიზაციის შემთხვევაში, საწყისი ნედლეულის და სნარების მომზადება უნდა ხორციელდებოდეს C ან D კლასის ზონაში; ფილტრაციით სტერილიზაციის შემდეგ, აუცილებელია პროდუქციის დამუშავება და პირველად შეფუთვაში დაფასოება ხორციელდებოდეს ასეპტიკურ პირობებში ან კლასის სისუფთავის ზონაში, ამ შემთხვევაში მოსაზღვრე გარემო უნდა იყოს შესაბამისად B ან C სისუფთავის კლასის ზონის.

სტერილური საწყისი ნედლეულიდან ასეპტიკურ პირობებში წარმოებისას საწყისი ნედლეულის მომზადება და მთელი შემდგომი პროცესი უნდა ხორციელდებოდეს A ან B კლასის სისუფთავის ზონაში. შესაბამისად მოსაზღვრე გარემო უნდა იყოს B ან C კლასის სისუფთავის.

სუფთა ზონაში სისუფთავის სათანადო კლასის მისაღწევად უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სათანადო მომზადებული პაერის მიწოდება; პაერის დასუფთავების და ფილტრების გამოყენების ეფექტურობის კონტროლი უნდა ხორციელდებოდეს სისტემატურად.

სუფთა ზონებში დია ზედაპირები უნდა იყოს გლუკი, შეუღლებადი და დაუზიანებელი, რათა მინიმუმადე იქნას დაყვანილი ნაწილაკების და მიკროორგანიზმების წარმოქმნის/დაგროვების რისკი და იძლეოდეს მრავალჯერადი დასუფთავების და დეზინფიცირების საშუალებას.

სტერილური წარმოების ზონაში რაც შეიძლება ნაკლები უნდა იყოს გამოწეული კიდეები, თაროები, კარადები და ტექნიკური საშუალებები; კარებები, მილები, არხები იმგვარად უნდა იყოს კონსტრუირებული, რომ არ იყოს დასუფთავებისთვის მიუწვდომელი ღრმულები.

შეკიდული ჭერი უნდა იყოს ჰერმეტიზებული, რომ თავიდან იქნეს აცილებული მისი ზედაპირიდან კონტამინაცია.

ასეპტიკური პირობების ზონაში დაუშვებელია სველი წერტილების (ნიუარების...) დამონტაჟება, მხოლოდ დანიშნულების ადგილზე უნდა მოხდეს მათი პროექტირება, განთავსება და ექსპლოატაცია იმგვარად, რომ მინიმუმადე იქნას დაყვანილი მიკრობული კონტამინაციის რისკი.

საპაერო შლუზი - შეზღუდული ხივრცე ორი ან მეტი კარებით, ორ ან მეტ ოთახს შორის; მაგალითად, ხხვადასხვა სისუფთავის კლასის მქონე ოთახებს შორის, რათა გაკონტროლდეს ოთახებში შესვლისას პაერის ნაკადი; საპაერო შლუზები გამოიყენება პერსონალის და ტვირთის გადასაადგილებლად.

საპაერო შლუზის ორივე კარის ერთდროული გაღება დაუშვებელია, რაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბლოკირების სისტემის მეშვეობით.

სამუშაო ზონაში გაფილტრული პაერის მიწოდების უზრუნველყოფა უნდა ხორციელდებოდეს სამუშაო ზონაში გარემომცველ ზონასთან შედარებით

არსებული მაღალი წნევით; პაერის ნაკადი უნდა ეფექტურად უვლიდეს სამუშაო ზონას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მომატებული რისკის ზონებს, პაერის ნაკადების მიმართულება და ოდენობა არ უნდა ქმნიდეს კონტამინაციის საშიშროებას.

აუცილებელია პაერის ნაკადის არასაკმარისად მიწოდების დამაფიქსირებელი სისტემის არსებობა. გარდა ამისა, თუკი სათავსოებს შორის წნევათა სხვაობა არსებითი უნდა იყოს, აუცილებელია შესაბამისად მათი გამზომი საშუალებების დამონტაჟება და რეგულარულად ჩევნებათა და სხვაობათა დაოქმება სპეციალურ ჟურნალში.

სისუფთავის ზონაში შედარებით ნაკლები სისუფთავის ზონიდან არ უნდა შედიოდეს კონკეირის ხაზი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა თვითონ ხაზი უწყვეტად სტერილდება (მაგალითად სტერილიზაციის ტუნელში).

რამდენადაც ეს შესაძლებელია, სტერილური პრეპარატების წარმოება უნდა ხორციელდებოდეს იმგვარი ტექნიკური საშუალებებით, რომლებიც ეფექტურად სტერილდებიან ორთქლით, მშრალი ორთქლით ან სხვა მსგავსი მეთოდებით, ტექნიკური საშუალებების დაპროექტება, დამონტაჟება უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ სამუშაო ოპერაციები და ტექნიკური საშუალებები გარემონტების შემდეგ გასტერილდეს.

თუ მოწყობილობების ტექნიკური მომსახურება სუფთა ზონაში ხდება, ეს უნდა განხორციელდეს სუფთა ხელსაწყოებით და ინსტრუმენტებით და მომსახურეობის სამუშაოს ჩატარების შემდეგ ზონა უნდა დასუფთავდეს, და ახალი პროცესის დაწყებამდე ჩატარდეს შესაბამისად დეზინფექცია ან სტერილიზაცია.

ყველა ტექნიკური საშუალება, მათ შორის სტერილიზატორები, პაერის ფილტრაციის სისტემა, წყლის დამუშავების სისტემა გეგმიურ ტექნიკურ მომსახურებას, ვალიდაციას და კონტროლს ექვემდებარება; ტექნიკური დათვალიერების შემდეგ მათი ექსპლოატაციის ნებართვა ფორმდება დოკუმენტურად.

წყლის მოსამზადებელი დანადგარის პროექტირება, კონსტრუირება და ექსპლოატაცია, უნდა უზრუნველყოფდეს სათანადო ხარისხის წყლის მიღებას, არ შეიძლება მათი ექსპლოატაცია პროექტით გათვალისწინებულ სიმძლავრის ზემოთ; წყლის წარმოება, შენახვა და განაწილება უნდა გამორიცხავდეს მიკროორგანიზმებით მის დაბინძურებას, მაგალითად მუდმივი ცირკულაციის ხარჯზე 80°C -ის ზემოთ ან 4°C -ის ქვემოთ.

სუფთა ზონაში პერსონალის რაოდენობა უნდა იყოს მინიმალური, განსაკუთრებით ასეპტიკურ პირობებში მუშაობისას. შიდა კონტროლი და ინსპექტირება, რამდენადაც ეს შესაძლებელია უნდა ხორციელდებოდეს გარედან.

სუფთა ზონაში მომუშავე პერსონალი (მათ შორის დამლაგებლები და ტექნიკურად მომსახურე) უნდა იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის და პქონდეს სათანადო გამოცდილება, რაც აუცილებელია სტერილურ პროდუქტებთან პერსონალს მოეთხოვება პირადი პიგიენის და სისუფთავის უზრუნველყოფა რეგლამენტის შესაბამისად; პერსონალის ტანსაცმლის გამოცვლა და დასუფთავება უნდა ხორციელდებოდეს უშუალოდ სუფთა ზონების მოსაზღვრე ზონაში, რათა მინიმუმადე იქნეს დაყვანილი სპეციალის და სუფთა ზონების დაბინძურების რისკი. სუფთა ზონაში არ დაიშვება საათი, სამკაული, აგრეთვე კოსმეტიკა, რომელსაც შეიძლება მოსცილდეს მექანიკური ნაწილაკები.

ტექნოლოგიური პროცესის ჩატარებისას, გარედან სუფთა ზონის დაბინძურების მინიმალიზაციისთვის, პერსონალი შემოსილი უნდა იყოს სისუფთავის კლასის შესაბამისი სპეციალის ცმლით:

- ა) D კლასი – თმები და არსებობისას წვერები დაფარული, დამცავი ტანსაცმელი და შესაბამისი ფენსაცმელი ან ბაზილები;

- ბ) С კლასი - თმები და არსებობისას წვერები დაფარული, აუცილებელია კომბინეზონი ან შარგალი პერანგით, მაჯაზე მჭიდროდ მორგებული და მაღალი საყელოთი, შესაბამისი ფეხსაცმელი ან ბახილები, ტანსაცმელს პრაქტიკულად არ უნდა სცილდებოდეს ბოჭკო ან სხვა ნაწილაკები.
- გ) В კლასი - თმები და წვერები (არსებობისას) ქუდით უნდა იყოს დაფარული, რომელიც ჩაყოლებული უნდა იყოს პიჯაკის საყელოში, სახეზე ნიღაბი, ხელზე გასტერილებული, გაუპუდრავი რეზინის ხელთათმანები, გასტერილებული ან დეზინფიცირებული ბახილები, მასში უნდა იყოს შარვლის ქვედა ტოტები ჩაყოლებული, ხოლო პერანგის სამაჯურები ხელთათმანებში, ტანსაცმლის მასალა პრაქტიკულად უნდა გამორიცხავდეს მისგან ბოჭკოების ან ნაწილაკების მოცილებას და პირიქით უნდა იკავებდეს სხეულიდან გამოყოფილ ნაწილაკებს.

В კლასში მომუშავე ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტერილური სპეციანსაცმლით, რომელიც უნდა იცვლებოდეს ყოველი ცვლის წინ, ან უკიდურეს შემთხვევაში ყოველდღიურად (ეს უკანასკნელი გამართლებული უნდა იყოს შედეგების კონტროლით); მუშაობის პროცესში ხელთათმანები რეგულარულად უნდა დეზინფიცირდებოდეს, ნიღაბი და ხელთათმანები უნდა იცვლებოდეს უკიდურეს შემთხვევაში ყოველ ცვლაში. საჭიროებისას გამოყენებული უნდა იქნას ერთჯერადი ტანსაცმელი.

სუფთა ზონის სპეციანსაცმლის გარეცხვა/დამუშავება ხორციელდება სათანადო სტანდარტული სამუშაო პროცედურის შესაბამისად ცალკე სამრეცხაოში.

სუფთა ზონების დასუფთავება უნდა ხდებოდეს SOP-ის მიხედვით, სადეზინფექციო საშუალებების პერიოდული ცვლით. მიკროორგანიზმების მდგრადი შტამების აღმოჩენისთვის აუცილებელია რეგულარული კონტროლის განხორციელება; არ დაიშვება ულტრაიისფერი გამოსხივებით ქიმიური დეზინფექციის ჩანაცვლება, მისი შეზღუდული ეფექტის გამო.

სპეციალური მოთხოვნები იმუნობიოლოგიური პრეპარატების წარმოებისთვის

სტერილურ იმუნობიოლოგიურ პრეპარატებთან მუშაობა უნდა ხორციელდებოდეს მომატებული წნევის ზონებში, მაგრამ განსაკუთრებულ ზონებში - პათოგენური მიკროორგანიზმების ლოკალიზაციის წერტილებში, წნევა შედარებით დაბალი უნდა იყოს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ამ ზონის იზოლაცია. პათოგენურ მიკროორგანიზმებთან ასეპტიკურ პირობებში მუშაობისას, დაწეული წნევის ზონების ან უსაფრთხო ბოქსების გამოყენებისას, აუცილებელია ისინი განთავსდნენ მომატებული წნევის სტერილური ზონის შუაში.

საწარმოო ზონაში უნდა იყოს ჰაერის ფილტრაციის სპეციალური დანადგარი, სადაც არ დაიშვება ცოცხალ პათოგენურ ორგანიზმებზე სამუშაო ზონებიდან ჰაერის რეცირკულაცია.

პარენტერალურად შესაყვანი იმუნობიოლოგიური პრეპარატების ფილტრაციისთვის გამოყენებული ფილტრებიდან არ უნდა ხდებოდეს ბოჭკოების გამოყოფა, ამგვარი ფილტრების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტარდება დამატებითი ფილტრაცია ფილტრებით, რომლებიც არ გამოყოფენ ბოჭკოებს და მათი ფორების ზომა არ აღემატება 0,22მ.

იმუნობიოლოგიური პრეპარატების ჩამოსხმის ან გადატანისას გამოყენებულ უნდა იქნას ელასტიკური მილები მეკრივი გამძლე კედლებით, რომლებიც ექვემდებარებიან ორთქლით მრავალჯერად სტერილიზაციას. მილების გამძლეობა

არ უნდა იცვლებოდეს ინაქტივატორებად, სტაბილიზატორებად და კონსერვანტებად გამოყენებული ქიმიური ნივთიერებების დაბალი კონცენტრაციების ზემოქმედების დროს.

პრეპარატთან უშუალო შეხებაში არსებულმა მოწყობილობების ნაწილებმა უნდა გაუმდონ 1სთ-ის განმავლობაში დუღილის ან ავტოკლავირების 160°C -ზე მრავალჯერადი სტერილიზაციის რეჟიმს. სამონტაჟო სქემა უნდა ითვალისწინებდეს და უზრუნველყოფდეს აპარატის, მიღგაყვანილობის, ჩამკეტი და მარეგულირებელი აპარატურის, აგრეთვე ასეპტიკურ პირობებში მომუშავე ტექნიკური სისტემის სხვა ელემენტების შიდა ზედაპირის თითოეული წერტილის გარანტირებულ სტერილიზაციას.

წარმოების პროცესში იმუნობიოლოგიურ პრეპარატებთან შეხებაში არსებული მოწყობილობების გაცხელება $30\text{-}32^{\circ}\text{C}$ -ზე მაღალ ტემპერატურაზე დაუშვებელია.

სტერილურ პირობებში მუშაობის აუცილებელი პირობაა მოწყობილობების და კომუნიკაციების ჰერმეტულობა. მიღგაყვანილობაში იმუნობიოლოგიური პრეპარატების ტრანსპორტირებამ და აპარატების სამუშაო რეჟიმში არ უნდა შეუქმნას საფრთხე პრეპარატის სტერილურობას.

მოწყობილობები ან მათი ნაწილები, რომლებიც საწარმო პროცესის დროს ივსება იმუნობიოლოგიური პრეპარატის საწყისი, შეალედური და მზა პროდუქტით, პროცესის დასრულებისთანავე უნდა გასუფთავდეს, თანაც იმგვარად, რომ სრულად მოცილდეს მასალის კვალიც, რათა გამოირიცხოს მოწყობილობების კედლებზე ადსორბირებული მასალებით კონტამინაცია.

6.4. დოკუმენტაცია

დოკუმენტების შედგენის ზოგადი პრინციპები

დოკუმენტაცია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განუყოფელი ნაწილია და ასახავს წარმოების ყველა ასპექტს.

პროცესის დოკუმენტირების მიზანია: დადგინდეს ნედლეულის, მასალის და პროდუქციის სპეციფიკაციები, წარმოების წესი და კონტროლის მეთოდები, უზრუნველყოფილი იქნეს წარმოების პროცესის პერსონიფიცირება, პერსონალის პასუხისმგებლობა, უფლებამოსილი ფარმაცევტის ყველა საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფა, რათა მიღებული იქნეს მის მიერ სათანადო გადაწყვეტილება პარტიის (სერიის) რეალიზაციაზე თანხმობის თუ უარის შესახებ. შესაძლებელი იყოს მოელი პროცესის დოკუმენტური აუდიტი, რათა დაზუსტდეს პროცესის დინამიკის მართებულობა.

დოკუმენტები უნდა დამუშავდეს, მომზადდეს, განახლდეს და გავრცელდეს საჭიროების შესაბამისად.

დოკუმენტები უნდა იყოს დამტკიცებული, ხელმოწერილი და დათარიღებული უფლებამოსილი პირ(ების) მიერ. მათში რაიმე ცვლილების შეტანა, სათანადო სანქცირების გარეშე, დაუშვებელია.

დოკუმენტების შინაარსი ერთმნიშვნელოვანი უნდა იყოს, მათი სათაური, ტიპი და დანიშნულება თვალსაჩინოდ უნდა იყოს აღნიშნული. დოკუმენტები მოწესრიგებულად უნდა განლაგდეს, რათა გაადვილდეს მათი ხელმისაწვდომობა და გადამოწმება. დოკუმენტების ასლები უნდა იყოს ნათელი, გასაგები და ქსეროქსირებისას გამორიცხავდეს ყოველგვარ უზუსტობას.

დოკუმენტები ექვემდებარებიან რგვულარულ გადახედვას და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას (აქტუალიზირებას).

თუკი დოკუმენტი გათვალისწინებულია მონაცემთა დასაფიქსირებლად, ჩანაწერისთვის უნდა იყოს საკმარისი ადგილი; ჩანაწერი უნდა კეთოდებოდეს ნათლად, მკაფიოდ და იმგვარი საწერი საშუალებით, რომ გამოირიცხოს ჩანაწერის წაშლა.

ნებისმიერი ჩასწორება უნდა იყოს ხელმოწერილი, დათარიღებული და იმგვარად გაკეთებული, რომ იკითხებოდეს პირველადი ინფორმაცია, საჭიროებისას ცვლილების მიზეზი უნდა დაოქმდეს.

ოქმები, სავალდებულო წესით, დგება წარმოებული ქმედებების პროცესში, იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს პროცესზე დაკვირვება; ოქმები და მასთან დაკავშირებული სტანდარტული სამუშაო მეთოდიკები უნდა ინახებოდეს შესაბამისი მზა პროდუქტის ვარგისობის ვადის გასვლიდან ერთი წლის განმავლობაში.

მონაცემების შესატანად დასაშვებია მონაცემთა დამუშავების ელექტრონული სისტემის გამოყენება. ამ შემთხვევაში მოითხოვება აღნიშნული სისტემის გამოყენებაზე დეტალური სტანდარტული სამუშაო მეთოდიკის არსებობა, პარალელურად უნდა მოწმდებოდეს ჩანაწერების სისწორე; ელექტრონულ სისტემაში მონაცემთა შეტანა/შეცვლა/დამუშავება დასაშვებია განახორციელოს მხოლოდ აღნიშნულზე უფლებამოსილმა პირმა, ელექტრონულ სისტემაში შეტანილ მონაცემებთან მიმართებაში ყოველი ცვლილება ან წაშლა ექვემდებარება დაოქმებას; სისტემასთან დაშვება უნდა იყოს შეზღუდული პაროლებით ან სხვა საშუალებებით, დამოუკიდებელი კონტროლია საჭირო კრიტიკული მონაცემების შეტანის შედეგებზე; სერიის ოქმების ასლები ელექტრონული მახსოვრობის გარდა უნდა იყოს მაგნიტურ მატარებლებზე, მიკროფილმების, ქადალდზე ამობეჭდილი ან სხვა სახით; მნიშვნელოვანია რომ შესაბამისი პერსონალისათვის შენახული ინფორმაცია იყოს ადვილად ხელმისაწვდომი.

საწარმოო ეტიკეტი

საწარმოო ეტიკეტი მაგრდება ტარაზე, ტექნიკურ საშუალებებზე, სათავსოზე და ა.შ. იგი ერთმნიშვნელოვანი და ნათელი უნდა იყოს, სასურველია ინფორმაციულობიდან გამომდინარე განსხვავებული ფერების ეტიკეტების გამოყენება (მაგალითად ეტიკეტი – „კარანტინზე“, ეტიკეტი – „წუნდებული“, ეტიკეტი – „ხელსაწყო დასასუფთავებელია“ და ა.შ.).

მზა ფარმაცევტული პრეპარატის შეფუთვა-მარკირება ხორციელდება „წამლის და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად.

სტანდარტული ნიმუშების ეტიკეტზე და თანმხლებ სხვა დოკუმენტაციაშიც მიეთითება: კონცენტრაცია, წარმოების თარიღი, ვარგისობის ვადა, პირველადი შეფუთვის დაგმანვის თარიღი, განახენელია თუ არა შეფუთვა, შენახვის პირობები.

სპეციფიკაცია და გამოცდის მეთოდიკა

დოკუმენტებში აღწერილი გამოცდის მეთოდიკები რუტინულ გამოცდებში გამოსაყენებლად შერჩევამდე, საწარმოში არსებული ტექნიკურ აღჭურვილობებზე და საშუალებებზე უნდა იყოს ვალიდირებული.

საწარმოს უნდა გააჩნდეს სათანადო წესით დამტკიცებული, საწყისი ნედლეულის, მზა პროდუქტის (მ.შ. იდენტურობაზე, რაოდენობრივ შემცველობაზე, სისუფთავეზე და ხარისხზე), შესაფუთი მასალის სპეციფიკაციები, საჭიროებისას

შუალედური და დაუფასოებელი პროდუქტის სპეციფიკაციები, გარდა ამისა სპეციფიკაციები ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებულ წყალზე, გამხსნელებზე და რეაქტივებზე.

ყოველი სპეციფიკაცია უნდა იყოს ხარისხის კონტროლის განყოფილების მიერ სათანადო წესით სანქცირებული.

სპეციფიკაციები საჭიროებენ პერიოდულ გადახედვას და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას.

საწარმოს ხარისხის კონტროლის განყოფილება უნდა ფლობდეს შესაბამის ფარმაკოპე(ებს)ას, სტანდარტულ ნიმუშებს, სტანდარტულ სპექტრებს და სხვა სტანდარტულ ნივთიერებებს.

საწყისი ნედლეულის, პირველადი და მეორეული შესაფუთი მასალის სპეციფიკაციები, უნდა მოიცავდეს გამოყენებული ნივთიერების თუ მასალის შესახებ, შემდეგ ინფორმაციას:

- ა)დასახელება (არსებობისას საერთაშორისო, არაპატენტირებული დასახელება) და მითითება შიდა კოდზე;
- ბ) არსებობისას ფარმაკოპეის შესაბამის მონოგრაფიაზე მითითებას;
- გ) ხარისხობრივ და რაოდენობრივ მოთხოვნებს, დასაშვები ზღვრებით;
- დ) ინფორმაცია მწარმოებელზე და მომწოდებელზე;
- ე) ბეჭდვითი მასალის ნიმუში;
- ვ) ნიმუშის შერჩევის და ანალიზის მეთოდიკა (ან მითითება მეთოდიკაზე);
- ზ) შენახვის პირობები და სიფრთხილის ზომები;
- თ) განმეორებით კონტროლამდე შენახვის მაქსიმალური ვადა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ფარმაცევტული პრეპარატის და პირველადი (და/ან მეორეული) შესაფუთი მასალის შეთავსებადობას, შესაფუთი მასალა უნდა გამოკვლეული იყოს მასში კრიტიკულ ან სხვა მნიშვნელოვან ფიზიკურ დეფექტებზე და სათანადო მარკირებაზე.

დოკუმენტები, რომელშიც აღწერილია გამოცდის მეთოდიკები, უნდა ადგენდნენ ყოველი საწყისი ნედლეულისთვის, მათი სტაბილურობის გათვალისწინებით, განმეორებითი ანალიზების პერიოდულობას.

წარმოებისთვის სავალდებულოა შუალედური და დაუფასოებელი პროდუქტის სპეციფიკაციების ფლობა თუკი ხდება საწარმოს მიერ მათი შესყიდვა, ან პირიქით რეალიზაცია, ან თუ ეს მონაცემები გამოიყენება მზა პროდუქტის ხარისხის შესაფასებლად; ეს სპეციფიკაციები უნდა იყოს შესაბამისად საწყისი ნედლეულის და მზა პროდუქტის სპეციფიკაციების მსგავსი.

მზა პროდუქტის სპეციფიკაცია უნდა მოიცავდეს ინფორმაციას:

- ა)პროდუქტის დასახელება და არსებობისას საწარმოო კოდი;
- ბ)აქტიური ინგრედიენტების დასახელება (არსებობისას საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელებების მითითებით);
- გ)შემადგენლობა, ან შემადგენლობაზე მითითება;
- დ) პრეპარატის ფორმის აღწერილობა და დეტალური ინფორმაცია შეფუთვის შესახებ;
- ე)ნიმუშის შერჩევის და ანალიზის მეთოდის აღწერა ან სხვა ოფიციალურ დოკუმენტზე მითითება;
- ვ) ხარისხობრივი და რაოდენობრივი მოთხოვნები, დასაშვები ზღვრებით;
- ზ) შენახვის პირობები და სიფრთხილის ზომები;
- თ) ვარგისობის ვადა.

საწარმოო რეგლამენტი/საწარმოო რეცეპტურა

საწარმოს, ყოველ წარმოებულ პრეპარატზე და სერიის ყოველ მოცულობაზე, სავალდებულო წესით, უნდა ჰქონდეს, „საწარმოო რეგლამენტის შემუშავების წესის“ შესაბამისად შემუშავებული და სანქცირებული საწარმოო რეგლამენტი/საწარმოო რეცეპტურა.

საწარმოო რეცეპტურაში აისახება:

- ა) პროდუქტის დასახელება, მითითება სპეციფიკაციის შესაბამის კოდზე;
- ბ)სამკურნალო საშუალების ფორმა, პრეპარატის დოზა და სერიის მოცულობა;
- გ)გამოყენებული საწყისი ნედლეულის (არსებობისას საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება) სრული ჩამონათვალი (მათ შორის იმ ნივთიერებებისაც, რომლებიც ტექნოლოგიური პროცესის დროს შეიძლება გაქრეს) და რაოდენობები;
- დ)მზა პროდუქციის გამოსავლიანობის სავარაუდო რაოდენობა (დასაშვები ზღვრები), იქ სადაც შესაძლებელია - შუალედური პროდუქციის გამოსავლიანობის ოდენობა;
- ე)ინფორმაცია პროცესის მიმღინარეობის ადგილის და გამოყენებული ძირითადი ტექნიკური საშუალებების შესახებ;
- ვ)ძირითადი ტექნიკური საშუალებების მოსამზადებელი მეთოდები ან მათზე მითითება, მაგალითად: დასუფთავება (განსაკუთრებით პრეპარატის შეცვლისას), მონტაჟი, დაკალიბრება, სტერილიზაცია და ა.შ.;
- ზ)ყოველი მოქმედების დეტალურად ამსახველი ტექნოლოგიური ინსტრუქციები (მაგალითად: ნედლეულის კონტროლი, წინასწარი დამუშავება, ნედლეულის ჩატვირთვის წესი, შერევის დრო, ტემპერატურული რეჟიმები...);
- თ)წარმოების პროცესში გამოყენებული ყველა სახის კონტროლის ინსტრუქცია, ზღვრული სიღიდეების მითითებით;
- ი)აუცილებლობისას დაუფასოებელი პროდუქციის შენახვის პირობები, მათ შორის ტარის, მარკირების შესახებ და საჭიროებისას შენახვის სპეციალური პირობები;
- კ)სიფრონილის ყველა ზომა.

შეფუთვის ინსტრუქცია

ყოველი პრეპარატის, შეფუთვის ზომის და შეფუთვის ტიპისთვის უნდა არსებოდეს ოფიციალურად სანქცირებული შეფუთვის ინსტრუქცია, რომელიც, როგორც წესი, უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას ან მითითებას ამ ინფორმაციაზე:

- ა) პრეპარატის დასახელება;
- ბ) საჭიროებისას ფორმის, დოზის აღწერა;
- გ) დასრულებულ შეფუთვაში პრეპარატის რაოდენობა ასახული შესაბამისად ცალობით, წონით ან მოცულობით;
- დ)სტანდარტული ზომის სერიისთვის საჭირო შესაფუთი მასალის სრული ჩამონათვალი, რაოდენობა, ზომები და ტიპი სპეციფიკაციების შესატყვისი კოდების ან ნომრების მითითებით;
- ე)აუცილებლობისას ნიმუში ან დაბეჭდილი შესაფუთი მასალის ასლი, რათა ვიზუალურად შესაძლებელი იყოს ინახოს სად უნდა დაისვას სერიის ნომერი და პრეპარატის ვადის გასვლის თარიღი;

- ვ) სიფრთხილის საჭირო დონისძიებები, მათ შორის სამუშაო ზონების და ტექნიკური საშუალებების შემოწმება, რომ გარანტირებული იყოს მუშაობის დაწყებამდე სათანადო სისუფთავე;
- ზ) შეფუთვის პროცესის აღწერილობა, ყველა დამხმარე ოპერაციებით და გამოსაყენებელი აღჭურვილობებით და ხელსაწყობით;
- თ) წარმოების პროცესში კონტროლის დეტალური აღწერა, სინჯის აღების ინსტრუქციები და დასაშვები ზღვრული სიდიდეები.

სერიის წარმოების ოქმი

ყოველ წარმოებულ სერიაზე უნდა უნდა იყოს შენახული სერიის წარმოების ოქმი, რომელიც სავალდებულო წესით უნდა ეფუძნებოდეს სათანადო საწარმოო რეგლამენტის (რეცეპტურის) შესაბამის ნაწილს.

ნებისმიერი ტექნოლოგიური პროცესის დაწყებამდე უნდა შემოწმდეს ტექნიკური საშუალებები და სამუშაო ზონა, რომ იგი თავისუფალია დაგეგმილი პროცესის წინამორბედი შესაბამისად პროდუქციის, დოკუმენტების და მასალისაგან და ეს შემოწმება უნდა დაოქმდეს.

ტექნოლოგიური პროცესისას წარმოებული ყველა ქმედება ფორმდება შესაბამისი ოქმით, ოპერაციის დასრულებისთანავე საოქმო ჩანაწერი თარიღდება და დასტურდება ტექნოლოგიურ პროცესზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის ხელმოწერით; ოქმი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) პროდუქციის დასახელებას;
- ბ) საწარმოო სერიის ნომერს;
- გ) პროცესის (შესაბამისად ძირითადი, შუალედური და საბოლოო სტადიების) დაწყების და დასრულების თარიღი და დროის მითითებას;
- დ) შესაბამის ტექნოლოგიურ პროცესზე პასუხისმგებელი პირის სახელი გვარი;
- ე) ტექნოლოგიური პროცესის ყოველი სტადიის პასუხისმგებელი პირის სახელსა და გვარს;
- ვ) სერიის ნომერს და/ან ანალიზური კონტროლის ნომერს, აგრეთვე საწყისი ნედლეულის ფაქტიურად აწონილი რაოდენობას (მათ შორის სერიის ნომერი და რაოდენობა, რეგენერირებული თუ გადამუშავებული ნედლეულის ნებისმიერი დამატებული რაოდენობა);
- ზ) ინფორმაციას პროცესთან და ძირითად ტექნიკურ საშუალებასთან დაკავშირებული გეგმიური პროცედურების და შემთხვევების თაობაზე;
- თ) წარმოების დროს განხორციელებული ხარისხის კონტროლს, კონტროლის შედეგებს და შემსრულებელი პირის სახელსა და გვარს;
- ი) წარმოების სხვადასხვა სტადიაზე მიღებული პროდუქციის რაოდენობას (გამოსავალი), თუკი მოსალოდნელია შედეგიდან არსებითი გადახრა, უნდა ახლდეს სათანადო კომენტარები ან განმარტებები;
- კ) დეტალური ინფორმაციას განსაკუთრებულ პრობლემებზე, კერძოდ, საწარმოო რეგლამენტიდან (რეცეპტურიდან) ნებისმიერ გადახრაზე და აღნიშნულზე სათანადო სანქციონების არსებობაზე.

სერიის შეფუთვის ოქმი

ყოველ მომზადებულ სერიაზე ან სერიის ნაწილზე, უნდა ინახებოდეს სერიის შეფუთვის ოქმი, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს შეფუთვის სტანდარტულ სამუშაო მეთოდიკას.

შეფუთვის პროცედურის დაწყებამდე უნდა შემოწმდეს, რომ სამუშაო ზონა და ტექნიკური საშუალებები განთავისუფლებულია წინამორბედი პროცედურის პროდუქციის, დოკუმენტების და მასალისაგან, რომელიც ზედმეტია დაგეგმილი შეფუთვის პროცედურისთვის და რომ ტექნიკური საშუალებები სუფთაა და მზადაა ექსპლუატაციისთვის; აღნიშნული პირობების შემოწმება საოქმო ჩანაწერის სახით ფიქსირდება შესაბამის ჟურნალში.

შეფუთვის პროცედურის ყველა ოპერაცია ოქმდება, მიეთითება თარიღი, და მოწმდება პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით; სერიის შეფუთვის პროცედურის ოქმი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას:

ა)პრეპარატის დასახელება, სერიის ნომერი და ამ სერიისთვის შესაფუთი დაუფასოებელი პროდუქციის რაოდენობა, აგრეთვე მზა პროდუქციის სერიის ნომერი და დაგეგმილი რაოდენობა, რეალურად მიღებული რაოდენობა მზა ფარმაცევტული პროდუქტის და ამ მონაცემებს შორის ბალანსი.

ბალანსი— თანაფარდობა თეორიულად საწარმოებელი და/ან გამოსაყენებელი პროდუქციის და/ან ნედლეულის და/ან მასალის რაოდენობებისა, ფაქტიურად წარმოებულ და/ან გამოყენებულ რაოდენობებს შორის (დასაშვები გადახრების გათვალისწინებით);

ბ)შეფუთვის ოპერაციის თარიღ(ები) და დრო;

გ)შეფუთვის პროცედურაზე პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი;

დ)იდენტურობაზე და შეფუთვის სტანდარტულ სამუშაო მეთოდიკასთან

შესაბამისობაზე შემოწმების შედეგები, აგრეთვე საწარმოო კონტროლის შედეგები;

ე)დეტალური ინფორმაცია შეფუთვის პროცედურისას განხორციელებულ ოპერაციებზე, მათ შორის გამოყენებულ ტექნიკურ საშუალებებზე და შესაფუთ ხაზზე, აგრეთვე აუცილებლობისას შეუფუთავი პროდუქციის შენახვის ინსტრუქციის ან შეუფუთავი პროდუქციის სასაწყობო ზონაში დაბრუნების ოქმი;

ვ)შესაძლებლობისას, გამოყენებული ბეჭვნითი შესაფუთი მასალის ნიმუშები, მათ შორის ნიმუშები მარკირების (მათ შორის სერიის ნომრის, ვარგისობის ვადის და ნებისმიერი სხვა ბეჭვნითი წარწერების) დემონსტრირებით;

ზ)დეტალური ინფორმაცია შეფუთვის პროცესის დროს განსაკუთრებული პრობლემების, მათ შორის ინსტრუქციიდან ნებისმიერი გადახრის და აღნიშნულზე უფლებამოსილი პირის სათანადო წერილობითი სანქციის შესახებ;

თ)შეფუთვის პროცედურისთვის გაცემული, გამოყენებული, გაუგარგისებული ან საწყობში უკან დაბრუნებული ბეჭვნითი შესაფუთი მასალის და დაუფასოებელი პროდუქციის რაოდენობა, სერია ან იდენტიფიცირების სხვა მონაცემები (კოდი, ნომერი), შესაბამისი ბალანსის მოსამზადებლად.

სტანდარტული სამუშაო მეთოდიკები და ოქმები

საწყისი ნედლეულის, პირველადი და მეორეული შესაფუთი მასალის უველი მიღება ხორციელდება სათანადო სტანდარტული სამუშაო მეთოდიკის შესაბამისად და ფიქსირდება საოქმო ჩანაწერის სახით სპეციალურ ჟურნალში.

მიღების ოქმში აღინიშნება:

- ა) ზედდებულში და ტარაზე მითითებული მასალის დასახელება;
- ბ) მასალის შიდა საწარმოო დასახელება და/ან კოდი, თუკი იგი განსხვავდება ა-ქვეპუნქტში მითითებული დასახელებისგან;
- გ) მიღების თარიღი;
- დ) მომწოდებლის და შესაძლებლობისას მწარმოებლის დასახელება;
- ე) მწარმოებლის სერია ან მასზე მითითება;
- ვ) საერთო რაოდენობა და რაოდენობა, მიღებული შეფუთვის ერთეულით;
- ზ) მიღების შემდეგ მინიჭებული სერიის ნომერი;
- თ) საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი შენიშვნა (მაგალითად ტარის მდგომარეობა).

აუცილებელია სტანდარტული სამუშაო მეთოდიკები არსებობდეს შიდა საწარმოო მარკირებაზე, საწყისი ნედლეულის (საჭიროებისას სხვა მასალაზეც) კარანტინზე, შენახვაზე.

უველი ხელსაწყოს და ტექნიკური ერთეულისთვის უნდა არსებობდეს სტანდარტული სამუშაო მეთოდიკა, რომელიც გამოკრული იყოს უნდა უშუალოდ შესაბამის ტექნიკური საშუალების თუ ხელსაწყოს განთავსების ადგილზე;

აუცილებელია სინჯის შერჩევის სტანდარტული სამუშაო მეთოდიკების არსებობა, სადაც სავალდებულო წესით მიეთითება ამ პროცედურის განმახორციელებელი პასუხისმგებელი პირიც;

სინჯის აღების ინსტრუქციაში უნდა მიეთითოს:

- ა) სინჯის შერჩევის მეთოდი და გეგმა;
- ბ) გამოყენებული ტექნიკური საშუალებები;
- გ) კონტამინაციის ან ხარისხის გაუარესების თავიდან ასაცილებლად სიფრთხილის ქვემდებარე ზომები;
- დ) ასაღები სინჯის რაოდენობა;
- ე) სინჯის დაყოფის ინსტრუქცია;
- ვ) ნიმუშისთვის გამოსაყენებელი ტარა და აღნიშვნა სინჯის შერჩევა ასეპტიკურ თუ ჩვეულებრივ პირობებში გათვლილი და შესაბამისია თუ არა საამისოდ აღნიშნული ტარა;
- ზ) სიფრთხილის განსაკუთრებული ზომები, განსაკუთრებით სტერილური და საშიში მასალიდან სინჯის აღებისას.

აუცილებელია სერიის ნუმერაციის სისტემის დეტალურად აღმწერი სტანდარტული სამუშაო მეთოდიკის არსებობა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს შუალედური, დაუფასოებელი და მზა პროდუქტის ყოველი სერიის სპეციფიური ნომრებით იდენტიფიცირება.

პრეპარატის წარმოების და შესაბამისად შეფუთვის პროცესში გამოყენებული სერიის ნუმერაციის სტანდარტული სამუშაო მეთოდიკები ურთიერთ-დაკავშირებული უნდა იყოს.

სერიის ნუმერაციის სტანდარტული სამუშაო მეთოდიკა უნდა გამორიცხავდეს წარმოებისას და/ან გადამუშავებისას ერთიდაიგივე სერიის განმეორებით გამოყენებას.

მინიჭებული სერია დაუყოვნებლივ რეგისტრირდება სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში, სადაც დამატებით მიეთითება სერიის მიკუთვნების თარიღი, სერიის ოდენობა და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები;

აუცილებელია ნედლეულის, შესაფუთი მასალის და წარმოების სხვადასხვა სტადიაზე, პროდუქტის ანალიზის(გამოცდის) წერილობითი მეთოდიკების ფლობა, სადაც მიეთითება გამოყენებული ანალიზის მეთოდი, ტექნიკური საშუალებები და ხელსაწყოები; ჩატარებული ანალიზი ოქმდება.

ანალიზის ოქმში უნდა შეტანილი იქნას მინიმუმ შემდეგი მონაცემები:

ა)ნედლეულის ან პრეპარატის დასახელება, აუცილებლობისას პრეპარატის ფორმა;

ბ)სერიის ნომერი, აუცილებლობისას მწარმოებლის და/ან მომწოდებლის დასახელება;

გ)შესაბამისი სპეციფიკაცია ან მითითება მასზე და გამოცდის მეთოდიკები; დამოცდის შედეგები, მათ შორის გამოთვლები, დაკვირვებები და მითითება სპეციფიკაციით გათვალისწინებულ მახასიათებლების ზღვრებზე;

ე)გამოცდის ჩატარების თარიღი;

ვ) გამოცდის ჩამტარებელი პირის სახელი, გვარი;

ზ) გამოცდის და გამოთვლების ზედამხედველი პირის სახელი, გვარი;

თ)არაორაზროვანი დასკვნა რეალიზაციაზე ნებართვის, ან წუნდების თაობაზე, უფლებამოსილი პირის ხელმოწერით დადასტურებული და დათარიღებული.

აუცილებელია ნივთიერებების და პრეპარატების რეალიზაციაზე ნებართვის გაცემის და წუნდების პროცედურის წერილობითი მეთოდიკის არსებობა.

წარმოებიდან პროდუქციის გაცემა აღირიცხება სერიულად, ფორმდება ოქმით, რათა გაადგილდეს საჭიროებისას მათი გამოთხოვის პროცედურა.

წარმოებაში, დამატებით უნდა არსებობდეს შემდეგი სტანდარტული სამუშაო მეთოდიკები და მათთან დაკავშირებული პროცედურების და/ან დასკვნების შესაბამისი საოქმო ჩანაწერები:

ა) ტექნიკური საშუალებების მონტაჟის და ვალიდაციის;

ბ) ანალიზური ხელსაწყოები და კალიბრების;

გ) ტექნიკური მომსახურების, დასუფთავება და სანიტარული დამუშავების;

დ) პერსონალთან დაკავშირებული საკითხების, მათ შორის კვალიფიკაციის, სწავლების, ტანსაცმლის და პიგიენური მოთხოვნების შესახებ;

ე) გარემოს კონტროლის;

ვ) პარაზიტებთან, მავნე მწერებთან და ცხოველებთან ბრძოლის;

ზ) რეკლამაციის;

თ) პროდუქციის გამოთხოვის;

ი) პროდუქციის დაბრუნების.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ან კრიტიკული აღჭურვილობისათვის უნდა გაიხსნას სპეციალური ჟურნალები, სადაც დაოქმდება მათი ვალიდაცია, კალიბრება, ტექნიკური მომსახურება, დასუფთავება, რემონტი - თარიღის და შემსრულებლების მითითებით.

ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, სათანადო წესით უნდა ხორციელდებოდეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ან კრიტიკული მოწყობილობების და ზონების გამოყენების რეგისტრაცია, სადაც განხორცილდა პროდუქციის დამუშავება.

სათანადო სანიტარული პირობების უზრუნველყოფისთვის აუცილებელია, დასუფთავების გრაფიკის, მეთოდების, საშუალებების შესახებ წერილობითი მეთოდიკის არსებობა და მათი განუხრელი შესრულება.

6.5. ვალიდაცია

ვალიდაცია— დოკუმენტური დასაბუთება იმისა, რომ რომელიმე მეთოდიკა, პროცესი, აღჭურვილობა, ნედლეული, საქმიანობა ან სისტემა, რეალურად მოხალოდნელ შედეგს იძლევა.

ვალიდაცია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის განუყოფელი ნაწილია. იგი დაკავშირებულია სისტემის, ტექნიკური საშუალების და პროცესების პერიოდულ შესწავლასთან. მისით დადგინდება მათზე განპირობებული ფუნქციის სათანადოდ, მუდმივად და ადგენტურად განხორციელება.

სტანდარტის ერთმნიშვნელოვანი მოთხოვნაა წარმოების მთელი ტექნოლოგიური პროცესის, ტექნოლოგიურ პროცესებში ცვლილებების და ყველა სახის დამხმარე საქმიანობის პროცედურის ვალიდაცია;

კრიტიკული პროცესები, რომლებიც მოცემულ კონტექსტში წარმოადგენენ პროცესს, ოპერაციას ან სტადიას, ზედმიწევნით ყურადღებას საჭიროებენ (მაგ. სტერილიზაცია). (ევროსტანდარტით კრიტიკულ და არაკრიტიკულ პროცესების ვალიდაციებს შორის არანაირი განსხვავება არ არსებობს);

სტანდარტის სხვა მრავალი მოთხოვნისგან განსხვავებით ვალიდაცია თავისთავად არ სრულყოფს პროცესებს, იგი ადასტურებს ან არ ადასტურებს, რომ პროცესი შემუშავებულია სათანადო, კონტროლდება და იძლევა სასურველ შედეგს.

ვალიდაციის სათანადო პრაქტიკა მოითხოვს შემუშავების, წარმოების, ინჟინერიის, ხარისხის უზრუნველყოფის და კონტროლის განმახორციელებელი განყოფილებების მჭიდრო თანამშრომლობას.

ვალიდაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როცა ხორციელდება პროცესის სერიულ წარმოებაში დანერგვა. შემდგომი ვალიდაციების გაიოლების, ხარისხის აუდიტის ან რეგულარული ინსპექტირებისთვის რეკომენდირებულია, აღნიშნული ვალიდაციის მთელი დოკუმენტაციის ცალკე “ტექნოლოგიაში დანერგვის დოსიერ” აკინძვა და შენახვა.

აღექვატური ვალიდაცია მწარმოებლისთვის მომგებიანია მრავალი მიზეზის გამო, რამდენადაც:

- იგი აიოლებს პროცესების გაგებას, ამცირებს წარმოებისას გართულებების წარმოშობის რისკს და შესაბამისად იძლევა ტექნოლოგიური პროცესების სწორი მიმდინარეობის გარანტიას;
- ამცირებს დევეპტური პროდუქციის მიღების რისკს და შესაბამისად მცირდება ხარჯიც;
- სათანადო ვალიდაციისას მცირდება შემდგომი კონტროლის მოცულობებიც.

ტექნოლოგიური პროცესის ვალიდაციის ტიპები

ტექნოლოგიური პროცესის ვალიდაცია შეიძლება იყოს პერსპექტიული, თანმხლები, რეტროსპექტული ან განმეორებითი.

პერსპექტიული ვალიდაცია ხორციელდება შემუშავების ეტაპზე ცალკეულ სტადიებად დაყოფილი ტექნოლოგიური პროცესების პროვოკაციული გამოცდის

საშუალებით, შემდგომ შეძენილი გამოცდილების საფუძველზე ხდება მათი შეფასება, კერძოდ, იმის გარკვევა შესაძლებელია თუ არა ამ პროცესებით კრიტიკული სიტუაციების შექმნა, სადაც შესაძლებელია განისაზღვროს კრიტიკული სიტუაციები, შეფასდეს მათი ალბათობა და რისკის ხარისხი, გამოკვლეული იქნას შესაძლო მიზეზები და მათი წარმოშობის სისმირე, დგება გამოცდის გეგმა და განისაზღვრება პრიორიტეტები.

პროცესაციული გამოცდა/უარესი შემთხვევა— ხტანდარტული სამუშაო მეთოდი ეფარგლება, ტექნოლოგიური პროცესის და სხვა გარემოებების ზედა და ქვედა ზღვრების მომცველი პირობები ან რიგი პირობები, რომლის დროსაც ოპტიმალურ პირობებთან შედარებით, წარმოშვება პროცესის წყვეტილობის და/ან პროდუქციის წუნდების მეტი ალბათობა.

შემდგომ ხორციელდება გამოცდის ჩატარება, შეფასება და შედეგების საფუძველზე მასშტაბური დასკვნის გაკეთება; თუკი კვლევის შედეგები მისაღებია, პროცესი ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად; არადამაკმაყოფილებელი პროცესები საგალდებულო წესით ექვემდებარება გაუმჯობესების მიმართულებით მოდიფიცირებას, მანამ, სანამ არ იქნება მიღწეული დამაკმაყოფილებელი შედეგები. ამ ტიპის ვალიდაცია აუცილებელია, რათა შემცირდეს საინექციო პრეპარატების სერიული წარმოებისას შეცდომების რისკი.

თანმხლები ვალიდაცია ხორციელდება ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობისას. იგი ეფაქტურია მხოლოდ მაშინ, როდესაც შემუშავების ეტაპზე მიღწეულია პროცესის საფუძვლის სათანადო გაგება; პირველი სამი საწარმოო სერია უნდა გაკონტროლდეს ყოველმხრივ, რამდენადაც ეს შესაძლებელია (ზოგჯერ ამგვარი კონტროლი განიხილება როგორც პერსპექტიული ვალიდაცია); ამგვარი კონტროლის შედეგების საფუძველზე ყალიბდება შემდგომი კონტროლის, წარმოების პროცესის და მზა პროდუქტის გამოცდის სპეციფიკაციის ხასიათი. თანმხლები ვალიდაცია, ტენდენციების ანალიზთან ერთად, მათ შორის, სტაბილურობაზე გამოცდის ჩათვლით, აუცილებელია შესაბამისი მოცულობით შესრულდეს პრეპარატის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.

რეტროსპექტული ვალიდაცია დაკავშირებულია წარმოების პროცესში დაგროვილი გამოცდილების კვლევაზე და ითვალისწინებს პრეპარატის შემადგენლობას, პროცედურების და ტექნიკური აღჭურვილობის უცვლელებლობას. ეს გამოცდილება, წარმოების პროცესში კონტროლის შედეგები და მზა პროდუქტის გამოცდის შედეგები ფასდება, ტექნოლოგიურ პროცესთან დაკავშირებული სირთულეები და წარუმატებლობები ანალიზდება, რათა განისაზღვროს პროცესის პარამეტრების ზღვრები. პარამეტრების შესაძლო ზღვრების დასადგენად, შესაძლებელია განხორციელდეს ტენდენციების ანალიზიც. როგორც წესი, რეტროსპექტული ვალიდაცია არ გამოიყენება ახალ პროცესებთან და პრეპარატებთან მიმართებაში, შესაძლებელია გამოყენებული იქნას მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში, მაგალითად როცა ვალიდაცია პირველად ხორციელდება წარმოებაში, გარდა ამისა, რეტროსპექტული ვალიდაცია სასარგებლოა ვალიდაციის პროგრამაში პრიორიტეტების დასადგენად. თუკი რეტროსპექტული ვალიდაციის შედეგები დადგებითია, ეს ნიშნავს, რომ პროცესი არ საჭიროებს დაძაბულ ყურადღებას და ექვემდებარება ვალიდაციის ჩვეულებრივი გრაფიკით. ტაბლეტების წარმოებისას, როცა ხდება მათი დაპრესვა წნევასთან მიმართებაში ინდივიდუალურად მგრძნობიარე ფორმაში, სათანადოდ კვალიფიცირებულ აღჭურვილობაზე — მიზანს ეწონილია რეტროსპექტული ვალიდაცია, მაგრამ ვალიდაციის ეს ფორმა მიუღებელია სტერილური პრეპარატების წარმოების ვალიდირებისთვის.

რევალიდაცია აუცილებელია, იმის დასადასტურებლად, რომ გამიზნულმა ან შემთხვევითმა ცვლილებამ პროცესში ან/და გარემოში არ იქნია უარყოფითი გავლენა პროცესის მახასიათებლებზე და პროდუქციის ხარისხზე.

რევალიდაცია დადგენილ მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის დადასტურებისთვის, დამტკიცებული პროცესის ან პროცესის ნაწილის განმეორებითი ვალიდაცია.

რევალიდაცია შეიძლება გაიყოს ორ დიდ კატეგორიად:

ა) რევალიდაცია ნებისმიერი ცვლილების შემდეგ, რომლებსაც შეუძლია გავლენა იქონიოს პროდუქციის ხარისხზე;

ბ) გრაფიკის შესაბამისად განხორციელებული პერიოდული რევალიდაცია.

ცვლილების შემდგომი რევალიდაცია მიზანშეწონილია გამოყენებული იქნეს ნებისმიერი ცვლილებისას, რაც გავლენას ახდენს საწარმოო და/ან სტანდარტულ პროცედურაზე და შესაბამისად შეიძლება შეიცვალოს პრეპარატის დადგენილი მახასიათებლები. ამგვარი ცვლილებები მოიცავს საწყისი ნედლეულის, შესაფუთი მასალის, ტექნოლოგიური პროცესების, აღჭურვილობის, წარმოების პროცესში კონტროლის, საწარმოო ზონების ან დამხმარე სისტემების (წყლით, ორთქლით მომარაგება და ა.შ.) ცვლილებებს. ამ შემთხვევებში კვალიფიციურმა სპეციალისტებმა უნდა განიხილო ყოველი ასეთი ცვლილება და გაარკვიონ - არის თუ არა ყოველი ცვლილება იმდენად მნიშვნელოვანი, რომ საჭიროებს რევალიდაციას და თუ საჭიროებს, რა მოცულობით.

ცვლილების შემდგომი რევალიდაცია შეიძლება დაეფუძნოს იგივე გამოცდებს და ოპერაციებს, რაც გამოყენებული იყო პირველადი ვალიდაციისას, მათ შორის პროცესების ცალკეული ეტაპების გამოცდა და ამ დროს გამოყენებული ტექნიკური საშუალებები.

რევალიდაცია მოეთხოვება ზოგიერთ ტიპიურ ცვლილებებს, კურძოდ ესენია:

ა) საწყის ნედლეულთან დაკავშირებული ისეთი ცვლილებები, როგორიცაა სიმკვრივე, სიბლანტე, ზომების მიხედვით მექანიკური ნაწილაკების განაწილება, კრისტალების ტიპი, მათი მოდიფიკაცია და სხვა, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ პროცესზე ან პროდუქციაზე;

ბ) შესაფუთ მასალასთან დაკავშირებული ისეთი ცვლილებები, როცა იცვლება, მაგალითად პლასტმასი შუშით, რაც გავლენას მოახდენს პრეპარატის სტაბილურობაზე;

გ) პროცესში ცვლილება, მაგალითად შერევის ხანგრძლივობის შეცვლა, შრობის ტემპერატურის ან გაციების რეჟიმის შეცვლა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს პრეპარატის ხარისხზე;

დ) ტექნიკური საშუალებების შეცვლა, მაგალითად გამზომი ხელსაწყოების, გარდა ამისა, ტექნიკური მომსახურეობისას ძირითადი ნაწილების შერემონტება ან შეცვლა;

ე) ცვლილებები საწარმოო ზონაში და დამხმარე სისტემებში. მაგალითად საწარმოო ზონის ან დამხმარე სისტემის გადაკეთება, რასაც შეიძლება მოყვეს პროცესში ცვლილებები; დამხმარე სისტემის რემონტი და ტექნიკური მომსახურება, მაგალითად ვენტილაცია, რამაც შეიძლება შეცვალოს გარემო, ეს ძირითადად ეხება სტერილურ წარმოებას;

ვ) ოვითინსპექტიონებისას ან აუდიტის დროს გამოვლენილი შემთხვევითი ცვლილებები და გადახრები.

პერიოდული რევალიდაცია – კარგადაა ცნობილი, რომ პროცესში ცვლილებები შეიძლება ხდებოდეს თანდათანობით, მაშინაც კი, როცა გამოცდილი ოპერატორი მუშაობს დამტკიცებული მეთოდიკის შესაბამისად. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ტექნიკური საშუალებების ცვეთა, რის გამოც რეკომენდირებულია, გრაფიკის შესაბამისად, პერიოდული რევალიდაცია, იმ შემთხვევაშიც, როცა ცვლილებები არ არის სპეციალურად განზრახული.

პერიოდული რევალიდაციის ჩატარების გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს უმთავრესად წინამორბედი ანალიზების, საწარმოო პროცესისას საკონტროლო გამოცდის და ბოლო გალიდაციის შემდგომ მზა პროდუქტის გამოცდის მონაცემებს, რომელთა გაანალიზებით უნდა გამოვლინდეს და შეფასდეს ნებისმიერი ტენდენცია.

სტერილიზაციის პროცესებში საჭიროა მათი დამატებითი გამოცდა, რისი მოცულობაც უნდა დაზუსტდეს პირველადი ვალიდაციის შემდგომ.

გეგმიური რევალიდაციისას აუცილებელია დამატებით შემოწმდეს შემდეგი:

- ა) განხორციელდა თუ არა რაიმე ცვლილება ტექნოლოგიურ რეცეპტურაში ან მეთოდში, სერიის მოცულობაში და ა.შ. თუკი განხორციელდა, შეფასდა თუ არა მათი გავლენა პრეპარატზე;
- ბ) სრულდებოდა თუ არა კალიბრება დადგენილი წესით და დადგენილი პერიოდულობით;
- გ) ხორციელდებოდა თუ არა პროფილაქტიკური ტექნიკური მომსახურება დადგენილი პროგრამით და დადგენილი პერიოდულობით;
- დ) არის თუ არა სათანადო წესით დამტკიცებული სტანდარტული სამუშაო მეთოდიკები;
- ე) უზრუნველყოფილია თუ არა სტანდარტული სამუშაო მეთოდიკების შესრულება;
- ვ) დაცულია თუ არა დასუფთავების და პიგიენური მოთხოვნები;
- ზ) ანალიზურ მეთოდებში განხორციელდა თუ არა რაიმე ცვლილება.

ვალიდაციის წინაპირობა

ვალიდაციის პროცესის დაწყებამდე საწარმოო და საკონტროლო ტექნიკური საშუალებები და მოწყობილობები, აგრეთვე პრეპარატის შემადგენლობა და ტექნოლოგია შეფასებული (კვალიფიცირებული) უნდა იყოს; კერძოდ, პრეპარატის შემადგენლობა და ტექნოლოგია დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი და კვალიფიცირებული შემუშავების ეტაპზე ანუ მასზე სარეგისტრაციო დოსიეს წარდგენამდე; ყოველივე ეს მოიცავს კვლევებს შემადგენლობის, აქტიური ინგრედიენტების და დამხმარე საშუალებების, შეთავსების, აგრეთვე მზა ფარმაცევტული პრეპარატის და შესაფუთი მასალის თავსებადობის, სტაბილურობის შესახებ და ა.შ.

ვალიდირებული უნდა იქნეს წარმოების სხვა ასპექტებიც, მათ შორის მომსახურების კრიტიკული ელემენტები (წყალი, ჰაერი, აზოტი, ელექტროენერგია და ა.შ.) და დამხმარე ოპერაციები, როგორიცაა ტექნიკური საშუალებების და შენობის სანიტარული დასუფთავება.

წარმატებული ვალიდაციის წინა პირობაა პერსონალის სათანადო სწავლება და მათი საქმიანობის მოტივაცია.

ვალიდაციის პროცესის განხორციელების ფორმა

ვალიდაციის პროცესთან მიმართებაში (გარდა ტექნიკური საშუალებების კვალიფიკაციის, საზომი და საკონტროლო საშუალებების კალიბრების, გარემომცველი გარემოს ფაქტორების შეფასების და ა.შ.) გამოიყოფა ორი ძირითადი მიღებობა: ექსპერიმენტული და ადრე მიღებული მონაცემების ანალიზე დაფუძნებული მიღებობა;

ექსპერიმენტული მიდგომა, რომელიც გამოიყენება, როგორც პერსპექტიული, ისე თანმხელები ვალიდაციისას, შეიძლება ჩართული იყოს:

- პროდუქციის გაფართოებული გამოცდისას;
- მოდელირებული პროცესის გამოცდისას;
- პროკოაციული გამოცდისას;
- პროცესის პარამეტრების (ძირითადად ფიზიკური) კონტროლისას.

არასტერილური პროდუქციისთვის პროცესის ვალიდაციის ერთ-ერთი ყველაზე პრაქტიკული ფორმა - ხარისხის ჩვეულებრივ კონტროლისთვის სპეციფიკაციით გათვალისწინებულზე გაცილებით დიდი მოცულობის მზა პროდუქტის გამოცდა. ეს გამოცდა შეიძლება მოიცავდეს დიდი ოდენობით ნიმუშის ამოღებას, ვიდრე ამას სპეციფიკაცია ითვალისწინებს. ხშირად რამდენიმე პარამეტრის განსაზღვრისთვის შესაძლებელია ერთი სერიიდან რამდენიმე ასეული ტაბლეტის ამოღება და აწონვა, რათა განისაზღვროს მასის მიხედვით დოზირების ერთგვაროვნება. შემდეგ შედეგები სტატისტიკურად მუშავდება რომ დადასტურდეს „განაწილების ნორმალურობა“ და განისაზღვრება სტანდარტული გადახრა საშუალო მასიდან. ასევე ფასდება ინდივიდუალური შედეგების და მთელი სერიის ერთგვაროვნების სარწმუნო ზღვრები.

სინჯის დიდი ოდენობით შერჩევა და შედარებით ფართო გამოცდა შეიძლება განხორციელდეს ხარისხის ნებისმიერი მახასიათებლის მიმართ. ამგვარად შეიძლება განხორციელდეს შუალედურ სტადიებზე ვალიდაცია; მაგალითად მრავალი ნიმუში შეიძლება გაანალიზდეს ცალ-ცალკე, რათა დადასტურდეს შერევის ან გრანულირების სტადია, დაბალი დოზირების მქონე ტაბლეტების დოზირების ერთგვაროვნების გამოცდის გამოყენებით; პროდუქცია (შუალედური ან მზა) დრო და დრო, შეიძლება გამოიცადოს იმ მახასიათებლების მიხედვით, რომელიც ჩვეულებრივ არ განისაზღვრება, მაგალითად პარენტერალურ პრეპარატებში უხილავი ნაწილაკები შეიძლება განისაზღვროს ელექტრონული ხელსაწყოების საშუალებით ან ტაბლეტები/კაფსულები შეიძლება გამოიცადოს სსნადობის პროფილზე, თუმცა ასეთი გამოცდა არ უტარდება ყველა სერიას.

პროცესის მოდელირების გამოცდა ძირითადად გამოიყენება პარენტერალური პრეპარატების ასეპტიკურ პირობებში დაფასოების ვალიდაციისას. ამ დროს ფაქტობრივად პირველად შეფუთვაში სტერილიზაცია არ ხერხდება. ეს გამოცდა ხორციელდება ჩვეულებრივ პირობებში ამპულების კულტურალური ნიადაგით შევსებით, შემდგომი ინკუბაციით და მიკროორგანიზმების ზრდის კონტროლით. ადრე დასაშვები იყო კონტამინაცია 0,3%-მდე, დღეისათვის ის არ უნდა აღემატებოდეს 0,1%-ს.

პროცერაციული ექსპერიმენტები ტარდება პროცესის საიმედობის, ანუ მისი შეფერხებელი მიმდინარეობის უნარის განსაზღვრისთვის, როდესაც პარამეტრები უახლოვდება მისაღებ ზღვრებს.

პროცესზე და მის საიმედობაზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ჩვეულებრივ, ტექნოლოგიურ ციკლში პროცესის ფიზიკური პარამეტრები კონტროლდება. მგრძნობიარე ტემპერატურული ზონდების დამატებითი რაოდენობა მონტაჟდება ავტოკლავში ან მშრალი ორთქლის სტერილიზატორში, რაც საშუალებას იძლევა უკეთ იქნეს შესწავლილი რამოდენიმე ჩატვირთვისთვის სითბოს განაწილება. სითბოს შეღწევის გაზომვა რეკომენდებულია მაღალი სიმკვრივის ან 5 მლ-ზე მეტი მოცულობის საინგენიორო პრეპარატებისთვის. წნევის მიმართ მგრძნობიარე უჯრებით აღჭურვილი სატაბლეტო პრესი, მიზანშეწონილია მატრიცის ერთგვაროვანი შევსების და შესაბამისად მასის მიხედვით ერთგვაროვნებაზე სტატისტიკური მონაცემების შესაგროვებლად.

რეტროსპექტული ვალიდაციის დროს ადრე მიღებული მონაცემების ანალიზზე დაფუძნებული მიღგომისას ექსპერიმენტები არ გარდება და ამის სანაცვლოდ გროვდება, ანალიზდება პრეპარატის მრავალ სერიაზე ხელთარსებული ყველა ინფორმაცია და მონაცემი; თუკი ვალიდაციამდე ინტერგალში ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს შეუფერხებლად, მაშინ გროვდება და სტატისტიკურად მუშავდება წარმოების პროცესში და მზა პროდუქტის ხარისხის კონტროლის მონაცემები, დამატებით ამისა პროცესის შესაძლებლობის კვლევის მონაცემები, ტენდენციის ანალიზი და ა. შ რითაც გამოვლინდება კონტროლირდება თუ არა პროცესი.

რეტროსპექტული ვალიდაციისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ხარისხის კონტროლის ცხრილები. ამ მიზნით, 12-თვიან პერიოდში წარმოებული, 10-25 (ან მეტი) სერიის საკონტროლო გამოცდის შედეგები განიხილება ერთობლივად. (ჩვეულებრივი რეტინული კონტროლისას წუნდებული სერიები არ ჩაირთვება ამ ანალიზში, რამდენადაც იგი განეკუთვნება სხვა “კატეგორიას” და წარუმატებლობის მიზეზების კვლევა წარმოებს დამოუკიდებლად). რეტროსპექტული ვალიდაციისთვის შეირჩევა მზა პროდუქტის ხარისხის კრიტიკული პარამეტრი, მაგალითად რაოდენობრივი მაჩვენებელი ან აქტივობა, დოზირების ერთგვაროვნება, დაშლადობის ხანგრძლივობა ან ხსნადობის ხარისხი. განსახილველად სერიის პარამეტრი შეირჩევა სერიის რეალიზაციაზე ნებართვის დოკუმენტაციიდან. ყოველი სერიის გამოცდის შედეგები მუშავდება ქვეჯგუფებად. შედეგობრივი შუალედური მნიშვნელობა (პროცესის შუალედური მნიშვნელობა) და საკონტროლო ზღვრები გამოითვლება და დგება გრაფიკი ან ცხრილი, მსგავსად კონტროლის ცხრილებისა.

ცხრილების დეტალური მიმოხილვა იძლევა საშუალებას შეფასდეს პროცესის საიმედობა. პროცესი ითვლება საიმედოდ თუკი გრაფიკის ან ცხრილის მონაცემები ეთანადება საკონტროლო ზღვრებს, ხოლო ცალკეული შედეგების ვარირება მუდმივია ან არის ტენდენცია შემცირებისკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, საჭიროა შემდგომი კვლევა და სრულყოფა.

დამატებით ხორციელდება პროდუქტიასთან დაკავშირებული პრობლემების თაობაზე ინფორმაციის ანალიზი. პროცესის საიმედობა დასტურდება თუკი ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ არის წუნდება, რეკლამაცია, უკან დაბრუნება, გაუთვალისწინებელი გვერდითი რეაქციები და ა.შ. შეიძლება ჩაითვალოს რომ პროცესმა გაიარა რეტროსპექტული ვალიდაცია, თუკი სტატისტიკური ანალიზის შედეგები წარმოადგენს დადგებითს და დოკუმენტირებულია სერიოზული პრობლემების არ არსებობა, მაგრამ ამგვარი მიღგომა დაუშვებელია სტერილურ წარმოებასთან მიმართებაში.

ვალიდაციის ორგანიზაცია

არსებობს ვალიდაციის ორგანიზაციის რამდენიმე მეთოდი, მათ შორის ერთ-ერთია ვალიდაციისთვის ჯგუფის შექმნა. ამ მიზნით ხელმძღვანელობა ნიშნავს ვალიდაციაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც შემდეგ აყალიბებს ჯგუფს (კომისიას), რომელშიც შედიან ყველა განყოფილების (სამსახურის) წარმომადგენლები, მათ შორის აუცილებლად დამუშავების, თავად წარმოების, ტექნიკური, ხარისხის უზრუნველყოფის და კონტროლის განყოფილებებიდან. პერსონალური შემადგენლობა დროდადრო უნდა იცვლებოდეს, რათა სხვებსაც მიეცეთ საშუალება გამოცდილების შეძნის. ვალიდაციის ჯგუფი ადგენს პროგრამას, სადაც განისაზღვრება სამუშაო სფერო, მისი პრიორიტეტები, გრაფიკი, აუცილებელი რესურსები და ა.შ.

ვალიდაციის ჩატარებაზე და შედეგების დამტკიცებაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელი პასუხისმგებელი პირი.

პროცესის ვალიდაციის პროგრამის პრიორიტეტების ნიმუშები

ახალი პროცესებისთვის რეკომენდებულია პირველი სამი სრულმასშტაბიანი საწარმოო სერია არ მოიხსნას კარანტინიდან, ხარისხის კონტროლის დადებითი დასკვნის შემთხვევაშიც, სანამ არ იქნება ვალიდაცია დასრულებული, შედეგები განხილული, გადამოწმებული და შესაბამისად პროცესი დამტკიცებული (სერთიფიცირებული).

პროცესის ვალიდაციის პროგრამის პრიორიტეტების მაგალითი

პროცესის ტიპი	ვალიდაციის მოთხოვნილება
ახალი	ყოველი ახალი პროცესი, ხერიულ წარმოებაზე დამტკიცებამდე, უნდა იყოს ვალიდირებული
არსებული: სტერილური პროდუქციის წარმოების პროცესი	ყველა პროცესმა, რომელიც გავლენას ახდენს სტერილურობაზე და საწარმოო გარემომცველ გარემოზე, უნდა გაიაროს ვალიდაცია, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სტერილიზაციის სტადიას;
არასტერილური პროდუქციის წარმოების პროცესი	ძლიერმოქმედი ნივთიერებების მცირე დოზის შემცველი ტაბლეტები და კაფსულები: შერევის და გრანულირების პროცესში დოზირების ერთგვაროვნების ვალიდაცია; სხვა ტაბლეტები და კაფსულები: ტაბლეტების დაპრესის და კაფსულების შევხების პროცესში მასის მიხედვით ერთგვაროვანი დოზირების ვალიდაცია.

ვალიდაციის ოქმი და ანგარიში

ვალიდაციის ოქმი ან გეგმა არის ვალიდაციის პროცესში შესასრულებელი აუცილებელი მოქმედებების, მათ შორის ტექნოლოგიური პროცესის, ან მისი ნაწილის დასამტკიცებლად რუტინული გამოყენებისთვის მისაღები კრიტერიუმების ამსახველი დოკუმენტი.

ვალიდაციის ანგარიში დოკუმენტია, რომელშიც თავმოყრილია ოქმები, შედეგები, ასევე დასრულებული ვალიდაციის პროგრამის შეფასება. იგი შეიძლება შეიცავდეს პროცესის და/ან მოწყობილობის სრულყოფის წინადადებებს.

ვალიდაციის ოქმი და ანგარიში დგება შემდეგი სქემის შესაბამისად:

- ნაწილი 1. მიზანი (ვალიდაცია) და წინასწარი პირობები;
- ნაწილი 2. მთელი პროცესის და ქვეპროცესების ასახვა, პროცესების თანმიმდევრობის სქემა, კრიტიკული სტადიები/რისკები;
- ნაწილი 3. ვალიდაციის ოქმი, დამტკიცება;
- ნაწილი 4. დანადგარების შეფასება, ნახაზები;
- ნაწილი 5. ოქმი/ანგარიში შეფასების თაობაზე (კვალიფიკაციაზე);

5.1. ქვეპროცესი 1

5.1.1. მიზანი

5.1.2. წესი/მეთოდიკები, წარმოების წესის, სტანდარტული სამუშაო მეთოდიკების და წერილობითი მეთოდიკების (იმის გათვალისწინებით რა არის აუცილებელი) ჩამონათვალი;

5.1.3. სინჯის აღების და გამოცდის ჩაბარების მეთოდიკები, მისაღები კრიტერიუმები (დეტალური აღწერა ან მინიშნება ოფიციალურ ფარმაკოპეაში აღწერილ მეთოდებზე);

5.1.4. ანგარიში

5.1.4.1. წარმოების პროცესში გამოცდისთვის გამოყენებული ხელსაწყოების კალიბრება;

5.1.4.2. გამოცდის მონაცემები (დაუმუშავებელი მონაცემები);

5.1.4.3. შედეგები;

5.1.5. დამტკიცების და რეკვალიფიკაციის პროცედურა;

5.2. ქვეპროცესი 2 (ქვეპროცესი 1-ის ანალოგიურად) და ა.შ.

ნაწილი 6. პროდუქციის დახასიათება, ვალიდირებული სერიის გამოცდის შედეგები.

ნაწილი 7. შეფასება, მათ შორის მისაღებ კრიტერიუმებთან შედარებით (გათვალისწინებით) და რეკომენდაციები (მათ შორის რევალიდაცია/რეკვალიფიკაციის ჩატარების სისტემები).

ნაწილი 8. დამტკიცება (სერიფიკაცია).

ნაწილი 9. თუკი შესაძლებელია, ვალიდაციის ანგარიშის შემოკლებული ვერსია საჯარობისთვის, ან საჭიროებისას მაკონტროლებელ ორგანოებში წარსადგენად.

ამას გარდა, ვალიდაციის ოქმი და ანგარიში უნდა მოიცავდეს პრეპარატის სტაბილურობის თაობაზე ანგარიშს, ან მის მოკლე ჩანაწერს, დასუფთავების ვალიდაციისა და ანალიზური მეთოდების ვალიდაციის ჩანაწერებს.

საანალიზო მეთოდიკები

ფარმაცევტული პრეპარატების გამოცდისთვის გამოყენებული ანალიზური მეთოდიკების ვალიდაცია

ანალიზური ვალიდაციის მთავარი მიზანია მეთოდიკის შედეგების საიმედობისა და დასახულ მიზანთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. ამდენად აუცილებელია სათანადო წესით იყოს დადგენილი მეთოდიკის გამოყენების პირობები და მიზანი. წინამდებარე დოკუმენტში მითითებული დირექტივები ძირითადად ორიენტირებულია ქიმიური და ფიზიკო-ქიმიური თვისებების კონტროლის სპეციფიკაციებზე, ზოგიერთ შემთხვევებში მიკრობიოლოგიურ და ბიოლოგიურ მეთოდიკებზე.

სამკურნალო საშუალების, ან ცალკეული ინგრედიენტის სპეციფიკაციის ანალიზური მეთოდიკები უნდა ითვალისწინებდეს სამ ძირითად ნაწილს:

- სხვა მიღებობებით შედარებით მოწოდებული მეთოდიკის შერჩევის დახაბუთებას. ახალი მეთოდიკის გამოყენებამდე აუცილებელია მისი მეცნიერული დასაბუთება, თუკი ამ მეთოდიკით უნდა მოხდეს სხვა მეთოდიკის ჩანაცვლება აუცილებელია მათი შედარებითი მონაცემები;
- მეთოდიკის დეტალური აღწერა, რამდენადაც ეს აუცილებელია მისი სათანადო წარმართვისთვის. უნდა დახასიათდეს საჭირო რეაქტივები ან მიეთითოს ინფორმაციის ოფიციალური წყარო, სტანდარტული ნიმუშების ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაცია. თუკი მეთოდიკა დაფუძნებულია ანალიზურ ქიმიაში ცნობილი პრინციპების

გამოყენებაზე, შეიძლება არ გახდეს აუცილებელი შედეგის გამოსათვლელი ფორმულის მოყვანა, მაგრამ თუ მეთოდი რთულია, მაშინ აუცილებელია საგალდებულო მონაცემების განმხაზღვრელი სრული ფორმულის ასახვა;

- ვალიდაციის შედეგები. მეთოდიკა უნდა განხილული და გამაგრებული იყოს ექსპერიმენტული მონაცემებით. თუ მეთოდიკა უკვე აღიარებულია ფარმაკოპეის მეთოდად, ამ შემთხვევაში პრიორიტეტულია ვალიდირებით დადასტურდეს კონკრეტული ინგრედიენტის შემთხვევაში მისი გამოყენების მიზანშეწოდობა.

საანალიზო მეთოდიკების მახასიათებლები

ქვემოთ გადმოცემულია, თუ როგორ უნდა დადგინდეს და განისაზღვროს საანალიზო მეთოდიკების მახასიათებლები:

მართვებულობა: მეთოდიკის მართვებულობა არის მოცემული მეთოდიკით მიღებული შედეგების ჭეშმარიტ მნიშვნელობასთან სიახლოვე. მეთოდიკის მართვებულობის დასადგენად საჭიროა რაოდენობრივი სიზუსტით დამზადებული ნიმუშების ანალიზი. თუკ შესაძლებელია ამგვარი ნიმუშები უნდა შეიცავდეს ყველა კომპონენტს, საანალიზო ნივთიერების ჩათვლით. გარდა ამისა, უნდა მომზადდეს ნიმუშები, რომლებიც საანალიზო ნივთიერებას შეიცავენ რაოდენობრივად 10%-ით მეტი და ნაკლები ოდენობით, მოსალოდნელ შემცველობასთან შედარებით. მეთოდიკის მართვებულობა ასევე შეიძლება დადასტურდეს ადრე ვალიდირებული ალტერნატიული მეთოდიკის შედეგებთან შედარებით.

სიზუსტე: მეთოდიკის სიზუსტე არის გამოცდის ცალკეული შედეგების შეთანხმების ხარისხი. იგი იზომება საშუალო მაჩვენებლიდან ცალკეული შედეგების გადახრით და აისახება, როგორც სტანდარტული გადახრა ან გადახრის კოეფიციენტი, სრული მეთოდიკის გამოყენებით ერთი და იმავე ერთგვაროვანი სერიიდან შერჩეული იდენტური ნიმუშების განმეორებითი ანალიზისას.

თანხმურა: (შიდა ლაბორატორიული ცვლილება) ე არის ერთი და იმავე ანალიტიკოსის მიერ, ერთსა და იმევე პირობებში (იგივე რეაქტივები, ტექნიკური საშუალებები, პარამეტრები, ლაბორატორია), ხანმოკლე დროის ინტერვალით განხორციელებული მეთოდიკის სიზუსტე. მეთოდიკის თანხვდრის შეფასება ხორციელდება, ნორმალურ სამუშაო პირობებში ერთი და იგივე ერთგვაროვანი სერიიდან აღებული ნიმუშების ცალკეული პარამეტრების სრული გამოცდით.

აკლავწარმოება: არის სხვადასხვა პირობებში, ჩვეულებრივად სხვადასხვა ლაბორატორიებში, ერთი და იმავე ერთგვაროვანი სერიიდან შერჩეული, სავარაუდო იდენტურ ნიმუშებზე ჩატარებული მეთოდიკების სიზუსტე. სხვადასხვა ანალიტიკოსის მიერ სხვადასხვა საშუალებებით ან სხვადასხვა დროს ჩატარებული ანალიზის შედეგების შედარება, ამ თვალსაზრისით დირებული ინფორმაციაა.

მდგრადობა: არის მეთოდიკის უნარი, პირობების შეცვლის შემთხვევაშიც, მისადაები სისტორით და სიზუსტით მოგვცეს ანალიზის შედეგები. ამ მახასიათებლით იზომება სამუშაო პირობების ან გარემომცველი გარემოს გავლენა (რომელიც მოცემული მეთოდიკის სპეციფიკის შესატყვისი უნდა იყოს) ანალიზის შედეგებზე.

სწორხაზოვნება და დიაპაზონი: მეთოდიკის სწორხაზოვნება მეთოდის ნიმუშებში საანალიზო ნივთიერების კონცენტრაციის პირდაპირპოპორციული შედეგების მოცემის შესაძლებლობაა. მეთოდიკის დიაპაზონი აისახება, როგორც უმაღლესი და უმდაბლესი კონცენტრაცია, რომელთა ზღვრებში დემონსტრირდება

საანალიზო ნივთიერების მისადები სიზუსტით, სწორად და სწორხაზოვნად განსაზღვრა. მოცემული მეთოდიკის წინამდებარე მახასიათებლები განისაზღვრება სერიის იმ ნიმუშების ანალიზისთვის, რომელთაც გააჩნიათ მოთხოვნის დიაპაზონის შესაბამისი საანალიზო ნივთიერების კონცენტრაცია; თუკი თანაფარდობა კონცენტრაციასა და შედეგებს შორის არასწორხაზოვნაია, სტანდარტიზაცია შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს მრუდე კალიბრის საშუალებით.

შერჩევითობა: შერჩევითობა ან სპეციფიურობა არის მეთოდის საანალიზო ნივთიერების განსაზღვრისას, საანალიზო ნიმუშის სხვა კომპონენტების (მაგალითად, მინარევები, დაშლის პროცესები და ა.შ.) ზეგავლენისგან დამოუკიდებლად დარჩენის უნარი. შერჩევითობა (ან მისი არ არსებობა) შეიძლება აისახოს კომპონენტების მოსალოდნელი თანაარსებობისას საანალიზო ნივთიერების გამოცდის შედეგების სხვა კომპონენტების თანაარსებობის გარეშე შედეგებთან შერევის ერთეულებით; როდესაც სხვა კომპონენტები ცნობილი და სელმისაწვდომია, შერჩევითობა შეიძლება განისაზღვროს შედეგების შედარებით, რომლებიც მიიღება ნიმუშში განსასაზღვრელი ნივთიერების გამოცდით, პიტენციურად ხელშემშლელი ნივთიერებების დამატებით და დაუმატებლობის შემთხვევებში. თუკი ასეთი კომპონენტები არაიდენტიფიცირებულია ან მიუწვდომელია, შერჩევითობა ხშირად დგინდება სხვა კომპონენტების მუდმივი დონის შემცველ ნიმუშიდან სუფთა განსასაზღვრავი ნივთიერების სტანდარტული დანამატის გამოყვანის განსაზღვრის გზით.

მგრძნობელობა: მგრძნობელობა გამოცდის მეთოდიკის მიერ კონცენტრაციის მცირე ცვლილებების დარეგისტრირების უნარია; მგრძნობელობა კალიბრების მრუდის დახრილობით აისახება; ეს ტერმინი არ უნდა იქნეს უფრო ფართო გაგებით გამოყენებული, მაგალითად ნაცვლად ტერმინისა „გამოვლინების ზღვარი“ და/ან „რაოდენობრივი განსაზღვრის ზღვრები“.

გამოვლინების ზღვარი: გამოვლინების ზღვარი საანალიზო ნივთიერების ის უმცირესი რაოდენობაა, როდესაც შესაძლებელი ხდება მისი აღმოჩენა; თუმცა იგი შეიძლება ვერ განისაზღვრებოდეს რაოდენობრივად. ეს მეთოდიკა ძირითადად გამოიყენება ექსპერიმენტალურ პირობებში. გამოსახულების ერთეულად გამოიყენება ნიმუშში საანალიზო ნივთიერების კონცენტრაცია (მაგალითად მკგ/ლ-ში). თუკი საბოლოო გაზომვა ეფუძნება ხელსაწყოების ჩვენებას, შეიძლება აუცილებელი გახდეს ფონური გამოძახილის მიღება (დაკვირვებადი გამოძახილის თანაფარდობა სიგნალ-ხმაურთან).

რაოდენობრივი განსაზღვრის ზღვრები: რაოდენობრივი განსაზღვრის ზღვრები ნიმუშში საანალიზო ნივთიერების უმცირესი კონცენტრაციაა, რომელიც, შეიძლება სათანადო სიზუსტით, შესაბამისი მეთოდიკით განისაზღვროს. იგი იზომება საანალიზო ნივთიერების შემცირებულ რაოდენობის შემცველი ნიმუშის ანალიზით, რომლის დროსაც სათანადო სიზუსტით განისაზღვრება შემცველობის მინიმალური დონე; თუ საბოლოო შეფასება დაფუძნებულია ხელსაწყოს ჩვენებაზე, შეიძლება აუცილებელი გახდეს ფონური გამოძახილის სიდიდის (შესატყვისობა „სიგნალ-ხმაური“) განსაზღვრა. მეტწილ შემთხვევებში რაოდენობრივი განსაზღვრის ზღვარი გამოვლინების ზღვარს დაახლოებით ორჯერ აღემატება.

ცალკეულ შემთხვევებში ანალიზური მახასიათებლების გამოყენება

ანალიზური მეთოდიკებისთვის ყველა მახასიათებლის გამოყენება არ არის სავალდებულო, ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის შესატყვისი მახასიათებელი უნდა იქნეს შერჩეული.

ფარმაცევტული პროდუქტის კონტროლის მიზნით გამოყენებული მეთოდები შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

სხვადასხვა კლასის ანალიზური მეთოდიკებისთვის
აუცილებელი მახასიათებლები

მახასიათებლები	კლასი	კლასი		C კლასი	D კლასი
		რაოდენობრივი გამოცდა	ზღვრებზე გამოცდა		
მართებულობა		X		X	X*
სიზუსტე		X		X	X
მდგრადობა	X	X	X	X	X
სწორხაზოვნება და დიაპაზონი		X		X	X
შერჩევითობა	X	X	X	X	X
გამოვლინების ზღვარი	X		X		
რაოდენობრივი განსაზღვრის ზღვარი					

*- გადაადგილება დასაშვებია.

„A კლასს“ განეკუთვნება გამოცდები, რომლებიც გამიზნულია, როგორც დაუფასოებელი სამკურნალო საშუალების, ასევე მზა სამკურნალო საშუალების ცალკეული ინგრედიენტების იგივეობის დასადგენად;

„B კლასს“ განეკუთვნება აქტიურ ინგრედიენტებში და მზა სამკურნალო საშუალებებში მინარევების აღმოჩენის და რაოდენობრივი განსაზღვრის მეთოდები;

„C კლასს“ - დაუფასოებელ სამკურნალო საშუალებაში ან მზა სამკურნალო საშუალების ძირითადი ინგრედიენტის კონცენტრატის რაოდენობრივი განსაზღვრის მეთოდები;

„D კლასს“ განეკუთვნება მზა სამკურნალო საშუალების ხსნადობის პროცესის და დოზირების ერთგვაროვნების შესაფასებელი მეთოდები.

მიზნის შესაბამისად, შეიძლება მეთოდიკაში საჭირო გახდეს რომელიმე მახასიათებლის ჩართვ, ან პირიქით, - ამოდება. გარდა ამისა, მახასიათებლების შერჩევა და მათი კვლევის სიღრმე დამოკიდებულია გამოცდის მიზანზე, მაგალითად B, C და D კლასის მეთოდებში საჭიროა სიზუსტის განსაზღვრა, მაგრამ სიზუსტის განსაზღვრის სიმკაცრე შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, ან კიდევ, მინარევების რაოდენობრივი განსაზღვრისთვის შეიძლება არ იყოს ისეთი სიზუსტე საჭირო, როგორც დაუფასოებელი სამკურნალო საშუალების რაოდენობრივი განსაზღვრისას. გარდა ამისა, ახალი საშუალების იგივეობის გამოცდისას, რომელზეც არ არსებობს წინამორბედი მონაცემები, საჭიროა გაცილებით მეტი

მონაცემები, ვიდრე ადრე შექმნილი კარგად ცნობილი საშუალების იგივეობის დადასტურებისთვის.

ფარმაკოპეის სტანდარტის რეგისტრაციისათვის კიდევ უფრო სხვა მიდგომებია საჭირო, მაგალითად მდგრადობა ფარმაკოპეის მეთოდოლოგიისთვის, კრიტიკული მახასიათებელია, თუმცა ამავდროულად იგი შეიძლება ნაკლებად მნიშვნელოვანი იყოს წარმოების სპეციფიკაციისთვის.

6.6. მცენარეული სამკურნალო საშუალებების წარმოების სათანადო პრაქტიკა

მცენარეული სამკურნალო საშუალებები, სინთეზური ნედლეულიდან წარმოების კვლავწარმოებული მეთოდით მიღებული პრეპარატებისგან განსხვავებით, მცენარეული წარმოშობის ნედლეულიდან იწარმოება და მეტადაა მიდრეკილი კონტამინაციისა და იოლი გაფუჭებისაკენ, ცვლადი შემადგენლობა და თვისება აქს; უფრო მეტიც, მცენარეული სამკურნალო საშუალებების წარმოების და ხარისხის კონტროლისას ხშირად გამოიყენება პროცედურები და ტექნიკური ხერხები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება სინთეზური ფარმაცევტული პრეპარატების წარმოებისაგან.

მცენარეული პრეპარატების წარმოებისას, საწყისი ნედლეულის კონტროლი, შენახვის პირობები და ტექნოლოგიური პროცესი განსაკუთრებულ მნიშვნელობას მათგან დამზადებული საშუალების რთული და ცვლადი თვისებების გამო. გარდა ამისა, იმის გამო, რომ მცენარეული პრეპარატები მირითადში მრავალ აქტიურ ინგრედიენტს, ზოგჯერ ისეთი უმნიშვნელო რაოდენობით შეიცავენ, რომ მათი ქიმიური და ბიოლოგიური მეთოდებით განსაზღვრა ანალიზური ტექნიკის გამო ყოველთვის შესაძლებელი არ არის.

მცენარეული პრეპარატების წარმოებაში დაკავებულ პერსონალს მოეთხოვება სათანადო კვალიფიკაცია და პერიოდული სწავლება/დახელოვნება ისეთ სფეროებში როგორიცაა: ბოტანიკა, ფარმაკოგნოზია, ფარმაცევტულ ქიმიის შესაბამისი ნაწილი.

შენახვის ზონა

მცენარეული ნედლეული უნდა ინახებოდეს განცალკავებულ, კარგად განიავებად (ვენტილირებად) ზონაში, რომელიც იმგვარად უნდა იყოს აღჭურვილი, რომ უზრუნველყოფილი იყოს მწერების, ცხოველებისაგან და განსაკუთრებით მდრღნელებისგან დაცვა. უნდა ტარდებოდეს ეფექტური ღონისძიებები, მცენარეულ ნედლეულს მოყოლილი ცხოველების და მიკროორგანიზმების გავრცელების და ჯვარედინი კონტამინაციის თავიდან ასაცილებლად. ტარა უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ჰაერის თავისუფალი ცირკულაცია.

სასაწყობე სათავსოების დაგეგმარება, სხვადასხვა კატეგორის მასალის განცალკავებით შენახვის და მარაგის როტაციის საშუალებას უნდა იძლეოდეს.

მცენარე, ექსტრაქტი, ნაყენი და სხვა პრეპარატები ხშირად საჭიროებს შენახვის განსაკუთრებულ პირობებს, (ტენიანობა, ტემპერატურა და სინათლისგან დაცვა), რაც სავალდებულო წესით უნდა იქნას უზრუნველყოფილი და კონტროლდებოდეს სისტემატურად.

დაუშვებელია ბოჭკოვან ტარაში (ცილინდრებში, პარკებში ან ყუთებში) მოთავსებული მცენარეული მასალის პირდაპირ იატაკზე განთავსება, იგი უნდა სავალდებულო წესით განთავსდეს ქვესადგამზე ან თაროზე (იმისდა მიხედვით, თუ რა არის მოსახერხებელი) და სათანადო წესით იწმინდებოდეს და ინსპექტირდებოდეს.

ნედლი მცენარეული ნედლეული, თუკი სხვაგვარი მითითება არ არის, უნდა შენახულ იქნეს $1\text{--}5^{\circ}\text{C}$ -ზე, გაყინული პროდუქტები კი -18°C -ზე, (ხანგრძლივი შენახვისას -20°C -ზე).

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შენახვის ზონის, განსაკუთრებით იმ ზონის, სადაც დიდია მტვრის წარმოქმნის საშიშროება, სისუფთავეს და სათანადო მომსახურებას.

საწარმოო ზონა

მცენარეული სამკურნალო საშუალების სინჯის აღების, აწონგის, შერევის და დამუშავების პროცესში მაღალია ჯვარედინი კონტამინაციის რისკი, რისთვისაც აუცილებელია სიფრთხილის ადექვატური დონისძიებების გატარება (მაგალითად, მტვრის სისტემატური აღება, განიავების სათანადო სისტემის გამოყენება, ნარჩენებისთვის სპეციალური ყუთების არსებობა და მათი, სულ ცოტა, დღეში ერთხელ დაცლა).

დამტვრიანების და სხვა გართულებების თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია სპეციალიზებული შენობების გამოყენება.

ტექნიკური მოწყობილობები ექვემდებარებიან ყოველი გამოყენების შემდეგ შიგნიდან და გარედან დასუფთავებას, სათანადო პირობებში შენახვას და ყოველი გამოყენების წინ სისუფთავეზე შემოწმებას.

რეკომენდებულია მათი ვაკუუმით ან სველი წესით დამუშავება. შეკუმშული ჰაერი და ჯაგრისები უნდა გამოყენებული იქნეს ფრთხილად, თუ შესაძლებელია საერთოდაც არ გამოყიდებოთ, რამეთუ ზრდიან კონტამინაციის რისკს.

საწმენდი მასალის შენახვისათვის საჭიროა საწარმოო ზონისგან გამოყოფილი ადექვატური სივრცე.

სოკოვანი/მიკრობული კონტამინაციის ან სხვა ინვაზიის საწინააღმდეგო ნებისმიერი დამუშავება უნდა დოკუმენტირებული იქნეს, აუცილებელია ამ დონისძიებების ამსახველი სტანდარტული პროცედურული ინსტრუქციის ფლობა, სადაც პროცესი დეტალურად იქნება აღწერილი და მითითებული დასაშვები კონტამინაციის ზღვრები.

დასუფთავება უნდა ხორციელდებოდეს სათანადო წერილობითი ინსტრუქციის შესაბამისად, სადაც სულ ცოტა ასახული უნდა იყოს:

- დასუფთავების განრიგი;
- დასუფთავების მეთოდი;
- დასუფთავებისთვის გამოყენებული მოწყობილობებისა და ხელსაწყოები;
- დასუფთავებისთვის გამოყენებული მოწყობილობების და ხელსაწყოების დაცვა ხელახლ გამოყენებამდე დაბინძურებისაგან;
- ნარჩენების მოცილება.

გარეგანი (ინ ვიგო) დანიშნულების პროდუქციის დასამზადებლად განვითვნილი მოწყობილობა გამოყოფილი უნდა იყოს შიგნით მისაღები (ინ ვიტრო) პროდუქციის მოწყობილობებისაგან.

არ არის რეკომენდირებული ხის მასალის მოწყობილობების გამოყენება, თუკი ეს აუცილებლობით არ არის განპირობებული. ასეთ შემთხვევებში თავიდან უნდა იქნეს აცილებული მისი პირდაპირი შეხებები ქიმიურ ნივთიერებებთან, დამაბინძურებელ/დამაინფიცირებელ მასალასთან, რათა არ მოხდეს სამკურნალო საშუალებების დაბინძურება.

საწყისი ნედლეულის სპეციფიკაცია

ფარმაცევტული პრეპარატებისათვის განკუთვნილი ინფორმაციის გარდა, მცენარეული ნედლეულის სპეციფიკაცია, შეძლებისდაგვარად, უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებსაც:

- მცენარის ბოტანიკური დასახელება, ბინომიალური სისტემით (გვარი, სახეობა, თუ შესაძლებელია წყაროს მინიშნებით);
- მცენარის წარმომავლობის შესახებ დეტალურ ინფორმაციას (ქვეყანა ან რეგიონი, სადაც იგი მოყვანილია, შეგროვდა, სასურველია კულტივირების მეთოდი, შეგროვების დრო, შეგროვების მეთოდი, შესაძლებლობის ფარგლებში გამოყენებული პესტიციდები, მათი რაოდენობა და გამოყენების დრო და ა.შ.);
- გამოიყენება მთელი მცენარე თუ მისი გარკვეული ნაწილი;
- შრობის მეთოდი, თუ შესყიდულია გამომშრალი ნედლეული;
- მცენარეული ნედლეულის აღწერა, დაფუძნებული ვიზუალურ და/ან მიკროსკოპულ დათვალიერებაზე;
- იდენტიფიკაციის ტესტები ცნობილი აქტიური ინგრედიენტების ან მარკერების იგივეობაზე;

მარკერები – სამკურნალო მცენარეულის ნედლეულის კომპონენტები, რომელთა ქიმიური შემაღვენებლობა განსაზღვრულია და გამოიყენება კონტროლისთვის. მარკერები გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა ვერ მოინახა, ან მკაფიოდ ვერ განისაზღვრა ცნობილი თერაპიული აქტივობის ინგრედიენტები; ისინი შეიძლება გამოყენებული იქნებ მცენარეული ნედლეულის, ან მათ ფუძეზე მიღებული მზა სამკურნალო საშუალების რაოდენობის გამოსათვლელად. საწყისი ნედლეულის შემოწმებისას მარკერები განისაზღვრება რაოდენობრივად.

- საჭიროებისას ცნობილი თერაპიული აქტივობის კომპონენტების ან მარკერების რაოდენობრივი განსაზღვრა;
- პესტიციდებით შესაძლო კონტამინაციის ზღვრები და მათი განსაზღვრის მეთოდები;
- გამოცდის შედეგები მძიმე მეტალების, სავარაუდო კონტამინანტების, უცხო მასების და მინარევების შემცველობაზე;
- გამოცდის შედეგები მიკრობიოლოგიურ და/ან ფუნგალურ კონტამინაციაზე, რადიოაქტიურობაზე, სადეზინფექციო საშუალებებზე (გამოყენების შემთხვევაში) და ა.შ. სხვა შესაბამისი ტესტები (ნაწილაკის ზომა, გაჯირჯვების ინდექსი, ნარჩენი გამხსნელები...).

მოთხოვნები ხარისხობრივ და რაოდენობრივ შემადგენლობასთან

აქტიური ნივთიერებების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები უნდა აისახოს შემდეგნაირად:

მცენარეული ნედლეული, რომელიც დაფხვნილი ან დაფუძნილი სამკურნალო მცენარეული მასალისგან შედგება:

- ა) მიეთითება მცენარეული მასალის რაოდენობა ან
- ბ) მასში შემავალი თერაპიული ეფექტის მქონე ინგრედიენტების შესაბამისი ოდენობების ზღვრები.

თუ პრეპარატში ინგრედიენტების თერაპიული აქტივობა ცნობილია, მაშინ საჭიროა მისი რაოდებრივი განსაზღვრა. როცა ეს შესაძლებელი არ არის, უნდა

განისაზღვროს მარკერები; საბოლოო პროდუქტისთვის განკუთვნილი ანალიზის მეთოდები უნდა ემსახურებოდეს შესაბამისად აქტიური ინგრედიენტების ან მარკერების რაოდენობრივ და ხარისხობრივ იდენტიფიკაციას.

მზა პრეპარატის სპეციფიკაცია

თუკი პრეპარატის ფუძედ გამოყენებულია ერთი ან რამდენიმე სახეობის მცენარეული ნედლეული და ყოველი აქტიური ინგრედიენტის რაოდენობრივი განსაზღვრა ვერ ხერხდება, მაშინ შესაძლებელია განისაზღვროს რამდენიმე აქტიური ინგრედიენტის ჯამი. ამგვარი მეთოდიკის აუცილებლობა, სავალდებულო წესით, უნდა დასაბუთდეს.

მზა პროდუქტის სპეციფიკაცია უნდა მოიცავდეს შესაბამისად ტესტებს ქვემოთ ჩამოთვლილი მონაცემების განსაზღვრისათვის:

- ა) მიკრობიოლოგიური და ტოქსიკური მეტალებით კონტამინაცია;
- ბ) წონა (ტაბლეტების და კაფსულებისათვის), შემადგენელ ნაწილებად დაყოფა (ტაბლეტების და კაფსულებისათვის), სიმაგრე (ტაბლეტებისათვის), ვისკოზურობა (შინაგანი და გარეგანი გამოყენების სითხეებისათვის), ჰომოგენურობა;
- გ) ფიზიკური მახასიათებლები, როგორიცაა ფერი, გემო და ზომა.

წარმოების ტექნოლოგიური რეგლამენტი

ტექნოლოგიური რეგლამენტი უნდა მოიცავდეს მცენარეული ნედლეულის მიმართ განხორციელებული შველა ოპერაციის ჩამონათვალს – შრობა, დაქუცმაცება, გაცრა, შრობის პროცესისთვის საჭირო ტემპერატურა და დრო, დაქუცმაცების ზომის უზრუნველყოფისათვის გამოყენებული მეთოდები, დამატებით ამისა გაცრით ან სხვა მეთოდებით უცხო სხეულების მოშორების ინსტრუქცია, გარდა ამისა უნდა მოტანილი იქნეს სრული ინფორმაცია მიკრობული კონტამინაციის შემცირებისათვის გამოყენებული ნებისმიერი პროცედურის თაობაზე, მაგალითად, როგორიცაა ფუნქციური, ასევე კონტამინაციის ხარისხის განსაზღვრის მეთოდები.

მცენარეულ ნედლეულზე დაფუძნებული პრეპარატების წარმოების რეგალმენტში სავალდებულო წესით აღინიშნება ნებისმიერი მატარებელი და გამსხველი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს, ექსტრაგირების დრო და ტემპერატურა, კონცენტრირების ეტაპები და მეთოდები, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს.

ხარისხის კონტროლი

ხარისხის კონტროლის განყოფილების პერსონალი უნდა ფლობდეს პრეპარატის სპეციფიური ექსპერტიზის სიახლეებს, რათა შეძლოს იდენტიფიკაციის ტესტების ჩატარება - მინარევებზე, სოკოზე, ინკაზიებზე, მოწოდებულ ნედლეულში არაერთგვაროვნებზე და სხვა.

მცენარეული ნედლეულის საკონტროლო ნიმუშების აღება პერსონალის მიერ დიდი სიფრთხილით უნდა ხორციელდებოდეს, რამდენადაც ისინი, როგორც მცენარეული მასალა, ქმნიან პეტეროგენულობის მაღალ რისკს;

ნიმუშები გამოიყენება შედარებითი გამოცდისათვის, ვიზუალური და მიკროსკოპული კვლევისათვის და ქრომატოგრაფიისათვის.

სტანდარტული ნიმუშები

მცენარეული პრეპარატის შემთხვევაში რეკომენდირებული სტანდარტი შეიძლება იყოს მცენარის ბოტანიკური ნიმუში, ან მცენარეული პრეპარატის ნიმუში, ან ცნობილი ქიმიურად განსაზღვრული აქტიური ინგრედიენტი, მარკერი ნივთიერება;

რეკომენდებულ სტანდარტს მოეთხოვება შესაბამისი ხარისხი;

თუ მცენარე არ არის ოფიცინალური, არ არის შეტანილი არც ადგილობრივ ფარმაკოპეაში, საჭიროა მთელი მცენარის, ან მისი ნაწილის (თუ მთელი მცენარე ხეა) პერბარიუმის ნიმუშის წარმოდგენა.

სტაბილურობაზე გამოცდა

მცენარეულ პრეპარატში თერაპიული აქტიობის მქონე ცალკეული ინგრედიენტების სტაბილურობის განსაზღვრა საკმარისი არ არის, რამდენადაც მცენარეული ნედლეული ან მის ფუძეზე მომზადებული პრეპარატი, მთლიანობაში განიხილება აქტიურ ინგრედიენტად. რამდენადაც შესაძლებელია, უნდა დადასტურებული იქნეს (მაგალითად ქრომატოგრამის შედარებით), რომ მცენარეული პრეპარატის შემადგენელი სხვა ნივთიერებებიც სტაბილურია და მათი შემცველობა პრეპარატში მუდმივია.

თუკი მცენარეული სამკურნალო საშუალება შეიცავს რამდენიმე სახეობის მცენარეულ ნედლეულს და არ ხერხდება ყოველი აქტიური ინგრედიენტის სტაბილურობის განსაზღვრა, მაშინ მიზანშეწონილია პრეპარატის სტაბილურობის დადგენა ისეთი მეთოდებით, როგორიცაა ქრომატოგრაფია, რაოდენობრივი განსაზღვრისთვის ფართოდ გამოყენებადი მეთოდები, ფიზიკური, ვიზუალური ან სხვა შესატყვისი გამოცდები.

სტაბილური ნიმუშები ინახება სარეალიზაციოდ გამიზნულ პირველად ჭურჭელში, დასაშვებია პირველადი ჭურჭელი სხვა (მეტწილად უფრო მცირე ზომის იქნება საჭირო) მოცულობის იყოს;

პროდუქციის პირველი სამი სარეალიზაციო პარტია საჭიროებს სტაბილურობაზე მონიტორინგს, მას შემდეგ, რაც მონაცემებით დადგინდება, რომ პროდუქტი სტაბილურობას ინარჩუნებს 2 წლის განმავლობაში, შესაძლებელია პროდუქციის სტაბილურობის მონიტორინგიდან მოხსნა.

მცენარეული სამკურნალო პრეპარატის წარმოების პირველი ეტაპის შერჩევა

მცენარეული სამკურნალო საშუალებების წარმოების პირველი ეტაპის შერჩევა უაღრესად აქტუალურია, რამდენადაც პირველ ეტაპად მიჩნეული პროცესიდან იწყება პროცედურაზე სათანადო საწარმოო სტანდარტის მოთხოვნების გავრცელება.

როგორც წესი, მცენარის შეგროვება, კულტივირება და მოსავლის აღება არ განიხილება წარმოებად, იგი სხვა სტანდარტების (GSP) დირექტივებს ექვემდებარება.

პირველადი დამუშავება შრობა, დაჭრა, დაქუცმაცება და ა.შ. წარმოების პირველ სტადიად ჩაითვლება, თუკი აქტიური ნივთიერება დაქუცმაცებული მცენარისგან შედგება და შესაბამისად ამ პროცედურაზე გავრცელდება წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნები.

თუ აქტიური ინგრედიენტი, რამდენიმე მცენარისგან შედგება, მაშინ წარმოების პირველ ეტაპად მიიჩნევა საბოლოო ექსტრაქტის დამზადების ეტაპი.

როცა აქტიური ინგრედიენტი (ან ინგრედიენტები) გამოყოფილია მცენარისაგან, ამ სტანდარტის გამოყენება იწყება იზოლირების წინა ეტაპზე. თუ მცენარეული პრეპარატი ფერმენტაციული მეთოდით არის დამზადებული, წინამდებარე სტანდარტის გავრცელება იწყება ფერმენტაციული პროცესებიდან, როცა უჯრედის ბანკიდან უჯრედების ჩართვა იწყება.

6.7. პროდუქციის გაზრიდან გამოთხოვის სისტემა

რეკლამაცია

საწარმოს უნდა გააჩნდეს რეკლამაციის და საერთოდ პროდუქციის დეფექტთან დაკავშირებული ინფორმაციის და მასალის განხილვის წერილობითი მეთოდიკა.

აღნიშნულ საკითხების გასაანალიზებლად და გადაწყვეტილების მისაღებად საწარმოში სპეციალურად იქმნება რამდენიმე საშტატო ერთეული და ინიშნება მათი ხელმძღვანელი პასუხისმგებელი პირი, ან ეს ფუნქცია ეკისრება უფლებამოსილ პირს.

აღნიშნულმა ჯგუფმა უნდა განიხილოს ამ თემატიკის ნებისმიერი ინფორმაცია და საჭიროებისას მიიღოს გადაწყვეტილება პროდუქციის გამოთხოვის თაობაზე.

პროდუქციის დეფექტთან ნებისმიერი რეკლამაცია ოქმდება დეტალურად და განიხილება საგულდაგულოდ. ხარისხზე პასუხისმგებელი პირი(ები) უნდა სავალდებულო წესით მონაწილეობდნენ ამ საკითხის შესწავლაში.

თუკი აღმოჩენილია რაიმე დეფექტი კონკრეტული სერიის პროდუქციაში, უნდა მიღებული იქნეს გადაწყვეტილება სხვა სერიების შემოწმების თაობაზე, რათა დადგინდეს დამახასითებელია თუ არა აღნიშნული პროდუქციისთვის ამგვარი დეფექტი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ სერიების კონტროლს, რომელიც ამ დეფექტური სერიის გადამუშავებით მიიღება, თუკი კონკრეტული დეფექტის შემთხვევაში ასეთი გადამუშავება დასაშვებია.

რეკლამაციის გამოკვლევის და შეფასების შემდეგ უნდა გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, საჭიროებისას პროდუქციის გამოთხოვაც. ყველა გადაწყვეტილება ოქმდება და თან ერთვება კონკრეტული სერიის ოქმებს.

რეკლამაციის ჩანაწერები რეგულარულად უნდა განიხილებოდეს, რათა გამოვლინდეს სპეციფიურობა ან განმეორებადობა.

პროდუქციის გამოთხოვა

საწარმოს სავალდებულო წესით, უნდა გააჩნდეს ქსელიდან ცნობილი და/ან სავარაუდო დეფექტის მქონე ფარმაცევტული პროდუქციის გამოთხოვის ეფექტური სისტემა, რომელსაც უნდა ხელმძღვანელობდეს უფლებამოსილი პირი ან აღნიშნულზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება უფლებამოსილი პირის წინაშე.

გამოთხოვის სისტემის ხელმძღვანელი დამოუკიდებელი უნდა იყოს გასაღების და მარკეტინგის სამსახურიდან, მას უნდა ექვემდებარებოდეს სათანადო ოდენობის პერსონალი სისტემის ეფექტური და ყოველმხრივი განხორციელების უზრუნველყოფის განხორციელებისთვის.

გამოთხოვის სისტემა უნდა აისახოს წერილობითი მეთოდიკით და დამტკიცდეს საწარმოს ხელმძღვანელის მიერ. აღნიშნული მეთოდიკა საჭიროებს პერიოდულ გადახედვას და განახლებას.

სარეკლამაციო და/ან ამგვარი ინფორმაციის დადასტურებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს პროდუქციის გამოთხოვა უპირველესად საავადმყოფოებიდან, საავადმყოფოსთან ხელშეკრულებით მომუშავე აფთიაქებიდან, შემდეგ აფთიაქებიდან, სააფთიაქო ფილიალებიდან და გაცვლითი ოპერაციების შემთხვევაში საბითუმო ბაზებიდან.

ყველა ქვეყნის წამლის ხარისხის კონტროლზე უფლებამოსილი ორგანოები უნდა იქნენ ინფორმირებული მათ ქვეყანაში ექსპორტირებული სავარაუდო დეფექტის მქონე ან დეფექტითი პროდუქციის გამოთხვის თაობაზე.

ეფექტური გამოთხვის მიზნით, გამოთხოვის სისტემაზე პასუხისმგებელი პირისთვის ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს სათანადო ინფორმაცია საბითუმო და საცალო რეალიზაციის თაობაზე (მიმღები, მიღებული რაოდენობა, სერია და ა.შ.).

გამოთხვის პროცედურის მთელი პროცესი ოქმდება და სრულდება იგი საბოლოო ანგარიშით, სადაც მიეთითება თანაფარდობა რეალიზებულ და დაბრუნებულ პროდუქციის რაოდენობებისა.

გამოთხვის ღონისძიებების ეფექტურობა ექვემდებარება შეფასებას.

გამოთხოვილი პროდუქცია ექვემდებარება განცალკავებულ უსაფრთხო შენახვას, სანამ არ იქნება მიღებული გადაწყვეტილება მათ მიმართ საბოლოო ღონისძიების თაობაზე.

თავი VII. სამპურნალო საშუალებების რეკლამის მთიპური პრიტერიუმები

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესრულებისა და ქვეყანაში სამკურნალო საშუალებების მიმართ მომხმარებლის სწორი ორიენტაციის მიზნით, შემუშავებულია „სამკურნალო საშუალებების რეკლამის ეთიკური კრიტერიუმები“.

სამკურნალო საშუალებების რეკლამა მოიცავს ყველა საინფორმაციო და დამარტინირებულ ქმედებებას, რომლებიც იწვევენ სამკურნალო საშუალებების დანიშვნის, მიწოდების, რეალიზაციის (გაცემის) ან მოხმარების პროპაგანდას, კერძოდ:

- ა) რეკლამა მოსახლეობისათვის;
- ბ) რეკლამა სამედიცინო პერსონალისათვის, რომელიც პასუხისმგებელია სამკურნალო საშუალების დანიშნულებაზე;
- გ) რეკლამა დისტრიბუტორებისათვის;
- დ) რეგისტრაციის მაძიებლის ვიზითი პირებთან, რომლებიც პასუხისმგებელები არიან სამკურნალო საშუალებების დანიშნულებაზე;
- ე) სამკურნალო საშუალების ნიმუშების გავრცელება;
- ვ) სამკურნალო საშუალების დანიშვნის და/ან შესყიდვის სტიმულირების მიზნით საჩუქრები, თანხობრივი ან სხვა მატერიალური წახალისება, მომგებიანი წინადაღებები;
- ზ) რეკლამის მიზნით, სამკურნალო საშუალებების დანიშნულებაზე და/ან დისტრიბუტორების პასუხისმგებელ პირებთან შეხვედრების სპონსორობა;
- თ) სამკურნალო კონფრენციების, სიმპოზიუმების და სხვა შეგაფინანსებულებების სპონსორობა, სადაც მონაწილეობას იღებენ სამკურნალო საშუალების დანიშნულებაზე პასუხისმგებელი პირები და დისტრიბუტორები, ნაწილობრივ მათი მგბავრობის და ცხოვრების ხარჯების ანაზღაურება.

სამკურნალო საშუალებების რეკლამა უნდა იყოს ესთეტიკური გემოგნებით შესრულებული, ზუსტი, გასაგები, მხოლოდ სამკურნალო საშუალების რეგისტრაციის დროს დადასტურებული ობიექტური ინფორმაციის ამსახველი, მაღალი ეთიკური კრიტერიუმების შესაბამისი, რათა:

- ა) გამოირიცხოს სამკურნალო საშუალების გადაჭარბებული შეფასება;
 - ბ) არ იყოს შენიდბული და დამაბნეველი.
- რეკლამირებისას აუცილებლად ნათალად უნდა აისახოს, რომ:
- ა) რეკლამირებული პროდუქტი სამკურნალო საშუალებაა;
 - ბ) ინფორმაცია სარეკლამო ხსიათისაა.
- სარეკლამო განცხადება შეიძლება იყოს სრული ან შემახსენებელი.

რეკლამა მოსახლეობისთვის

მოსახლეობისათვის სამკურნალო საშუალებების რეკლამირებისას იკრძალება:

- ა) არარეგისტრირებული,
- ბ) რეცეპტით გასაცემი,
- გ) ოფიციალური და მაგისტრალური რეცეპტით აფთიაქში მომზადებული სამკურნალო საშუალებების რეკლამა.

აკრძალვა არ ეხება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხირციელებულ ვაქცინაციას.

მოსახლეობისათვის სამკურნალო საშუალებების რეკლამა, როგორც წესი, უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) სამკურნალო საშუალების დასახელება (არსებობისას გენერიკული სახელწოდება);
- ბ) აქტიური ინგრედიენტების ჩამონათვალი;
- გ) ჩვენებები, სიფრთხილის გომები, გვერდითი ეფექტები და სხვა მნიშვნელოვანი გაფრთხილებები;
- დ) სწორი გამოყენება;
- ე) პროდუქტის დისტრიბუტორის პასუხისმგებელი იურიდიული პირის დასახელებას და იურიდიულ მისამართს.

რეკლამაში მკაფიოდ უნდა იყოს გამოყოფილი წარწერა, სამკურნალო საშუალებების მიღებამდე მისი გამოყენების ინსტრუქციის ყურადღებით გაცნობის აუცილებლობის თაობაზე.

შემახსენებელი სარეკლამო განცხადება უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემდეგ ინფორმაციას:

- ა) სამკურნალო საშუალების დასახელება, არსებობისას გენერიკული სახელწოდების მითითებით;
- ბ) აქტიური ინგრედიენტების ჩამონათვალი;
- გ) მაფიოდ გამოყოფილ წარწერას, რომ სამკურნალო საშუალების მიღებამდე აუცილებელია გამოყენების ინსტრუქციის ყურადღებით გაცნობა;
- დ) პროდუქტის დისტრიბუტორის პასუხისმგებელი იურიდიული პირის დასახელებას და იურიდიულ მისამართს.

რეკლამაში არ უნდა იყოს მასალა, რომელიც ირწმუნება ან ქმნის შთაბეჭდილებას, რომ,—

- ა) სამედიცინო კონსულტაცია ან/და ქირურგიული მკურნალობა ან არის საჭირო, (მაგალითად კონკრეტულ დიაგნოსტიკური არის პირდაპირი შეთავაზება სამკურნალო საშუალებისა, ან მკურნალობა ელ.ფოსტით და ა.შ.);
- ბ) ეფექტი გარანტირებულია, სამკურნალო საშუალებას არა აქვს გვერდითი მოქმედებები;
- გ) სარეკლამო სამკურნალო საშუალების გამოყენებისას ეფექტი ექვივალენტურია ან აღმატება სხვა მკურნალობის მეთოდის ან სხვა სამკურნალო საშუალების ეფექტს;
- დ) სამკურნალო საშუალების მიღებისთვალი გაუმჯობესდება ჯანმრთელობის მდგრადირება;
- ე) სამკურნალო საშუალების მიუღებლობის შემთხვევაში მოხდება ჯანმრთელობის გაუარესება (აღნიშნული არ ვრცელდება ვაქცინაციის რეკლამაზე);
- ვ) სამკურნალო საშუალება განკუთვნილია მხოლოდ ან ძირითადად ბავშვებისთვის;
- ზ) წარმოდგენილი ინფორმაცია მეცნიერების, სამედიცინო მუშაკების ან იმ პირთა რეკომენდაციებით, რომელთა საქვეყნოდ ცნობილი გვარების გამო, შეიძლება მოხდეს სამკურნალო საშუალებების მოხმარების სტიმულირება;
- თ) სამკურნალო საშუალება თანაბრლება საკვებ პროდუქტებთან, კოსმეტიკურ ან სხვა ფართო მოხმარების საგნებთან;
- ი) სამკურნალო საშუალების უსაფრთხოობა და ეფექტურობა განპირობებულია მისი ბენებრივი წარმოშობით;
- კ) დაავადების მიმდინარეობის დეტალური აღწერა, რამაც შესაძლოა განპირობოს არასწორი თვითდაგნოსტირება;
- ლ) არასწორი ან დამაბნეველი ტერმინოლოგიის გამოყენებით გამოჯანმრთელების დაპირების თაობაზე;
- მ) ავადმყოფობით, ტრამკით, ან სამკურნალო საშუალებების მოქმედებით გამოწვეული ცვლილებების მცდარი ილუსტრირება ან/და არასწორი, დამაბნეველი ტერმინოლოგიის გამოყენება;

6) შექსერება, რომ სამკურნალო საშუალება რეგისტრირებულია და/ან სერთიფიცირებულია.

ოპტამა სამედიცინო მუშაკებისთვის

ნებისმიერი რეკლამა, რომელიც გამიზნულია სამკურნალო საშუალებების დანიშნულებაზე პასუხისმგებელი სამედიცინო პერსონალისათვის და სამკურნალო საშუალებების დისტრიბუტორებისთვის, უნდა მოიცავდეს:

- ა) ობიექტურ და დამატებით ინფორმაციას, კურძოდ-
 - ა.ა) სამკურნალო საშუალების დასახელების (არსებობისას გენერიკულ სახელწოდების);
 - ა.ბ) ფარმაცევტული პრეპარაციის ფორმის;
 - ა.გ) ყველა აქციური ინგრედიენტის დასახელების;
 - ა.დ) მწარმოებელი ქარნის, ქვეყნის და არსებობისას რეგისტრაციის უფლების მქონე სხვა სებიექტის დასახელების;
 - ა.ე) საქართველოში რეგისტრაციის ღრმას დამტკიცებული გამოყენების ჩვენების;
 - ა.ვ) უკუჩვენებების;
 - ა.გ) გვერდითი მოვლენების, პროფილაქტიკური ღონისძიებების, სხვა წამლებთან ურთიერთებულების;
 - ა.თ) დოზირების;
 - ა.ი) შეფუთვის მოცულობის;
 - ა.ქ) მოწოდების სპეციფიკობისა;
 - ა.ლ) ფასის შესახებ (დასაშვებია პირობით გროველებში);
- ბ) სამკურნალო საშუალების კლასიფიკაციას.

წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი, თანამედროვე, სარწმუნო, სამეცნიერო თვალსაზრისით საკმარისად სრული, რათა რეკლამის მომხმარებელმა შეძლოს შეაფასოს სამკურნალო საშუალების თერაპიული დირექტულება.

ინფორმაციასთან დაკავშირებულ-ციტატას, ცხრილს და სხვა საილუსტრაციო მასალას უნდა მიეთითოს საინფორმაციო წყარო (მაგ. კონკრეტული სამედიცინო ჟურნალი, სამეცნიერო ნაშრომი და ა.შ.) და სავალდებული წესით უნდა იყოს ორიგინალური წყაროს აუტენტური.

სამედიცინო პერსონალისათვის და სამკურნალო საშუალებების დისტრიბუტორებისათვის გამიზნული სარეკლამო ინფორმაციის მოსახლეობისათვის ხელმიუწვდომობა დაცული უნდა იყოს.

სამკურნალო საშუალების რეკლამის დამკვეთი შეიძლება იყოს მხოლოდ ფარმაცევტული დაწესებულება ან/და შესაბამისად მათი სამედიცინო წარმომადგენელი (წარმომადგენლობა).

რეკლამის დამკვეთი პასუხისმგებელია რეკლამის შესაბამისობა მოქმედ წარმომადგენელი (შინაარსზე).

რეკლამის დამკვეთი ვალდებულია:

- ა) უბრაველყოს მის მიერ დაკვეთილი რეკლამის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან;
- ბ) ფლობდეს:

- ბ.ა) მათ მიერ დაკვეთილ ყველა სარეკლამო მასალას (ან მათ ასლებს),
- ბ.ბ) სარეკლამო მასალის დამატებებს და ცვლილებებს (ან მათ ასლებს),
- ბ.გ) რეკლამის მწარმოებლების და გამამუცელებლების, გამუცელების პირველი თარიღის, პერიოდულობის და ჯერადობის თაობაზე განსაზღვრული ინფორმაციას.

ჯანმრთელობის დაცვის საკითხებთან დაკავშირებული სიმპოზიუმები, კონგრესები და მათი მსგავსი ზეპირი ურთიერთობის დონისძიებები თუკი, თუნდაც ნაწილობრივ, ფინანსირდება ფარმაცევტული დაწესებულების მიერ, აუცილებელია:

- ა) თავიდანვე აღინიშნოს სპონსორები;
- ბ) ამგვარი შეხვედრების შედეგად მიღებული ბეჭდვითი, აუდიოვიზუალური და ელექტრონული ვერსიები უნდა მასაზე ასახავდეს გამოსვლების და მსჯელობების შინაარსს;
- გ) მიღებები, საჩუქრები ან/და სტუმართმოყვარეობის სხვა ფორმები, ძირითად მიმართან შედარებით უნდა იყოს მეორეარაისხოვანი და უმნიშვნელო;
- დ) ღონისძიებაზე ექიმების დასასწრებად ნებისმიერი მხარდაჭერა არ უნდა იყოს განპირობებული სამკურნალო საშუალების დანიშნის და მიმოქცევის გამრდის (შემდგომში „წინწაწევის“) რაიმე ვალდებულებით;
- ე) ღონისძიებაზე გამომსვლელების/მომხსენებლებისთვის პონორარების (გონივრულ ბლერებში) და კ.წ. ჯაბის ხარჯების, მათ შორის ფრანსპორტის ხარჯის გადახდა ჩვეულებრივი და საჭირო პრაქტიკა, მაგრამ უნდა გამოირიცხოს იმ პირთა საფრანსპორტი ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც მოწვევულ პირებს აცილებენ.
- დაუშვებელია პროდუქციის ეგრეთ წინდებული წინწაწევის მოტივაციით, სამედიცინო და ფარმაცევტული პერსონალის გაუმართლებელი ფინანსირება, ან ნებისმიერი სახვა ფორმით მატერიალური წახალისება, ასვე მათ მიმართ მოჭარბებული სტუმართმოყვარეობა, შესაბამისად სამედიცინო და ფარმაცევტულმა პერსონალმა არ უნდა მიიღოს ამგვარი წახალისება. სტუმართმოყვარეობა, როგორც სარეკლამო კამპანიის ერთ-ერთი საშუალება, უნდა იყოს მისაღები და აუცილებლად მეორეხარისხოვანი, შეხვედრის მიზანთან შედარებით.
- სამკურნალო საშუალებების დანიშვნაზე პასუხისმგებელი პირისათვის:

- ა) უფასო ნიმუშების მიწოდება დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში იმ პირობით, რომ მათი ღირებულება უმნიშვნელოა და აქვთ გასაცნობი ხასიათი.
- ბ) სპეციალურ კონფრონცია დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების ნიმუშების გადაცემა და უშვებელია.

სამკურნალო საშუალებების დანიშვნაზე პასუხისმგებელი პირისათვის უფასო ნიმუშების გადაცემის შემთხვევაში, სავალდებულია:

- ა) უფასო ნიმუში იყოს საქართველოში რეგისტრირებული მინიმალური სტანდარტული შეფუთვის სახით;
- ბ) შემდეგული ოდენობით;
- გ) ნიმუშები აღნიშნული იყოს „უფასო ნიმუში, აკრძალულია გაყიდვა.“
- დ) უფასო ნიმუშების მომწოდებელმა უზრუნველყოს შესაბამისი კონფრონცია და აღრიცხვა;
- ე) ნიმუშს ახლდეს გამოყენების მიზრუქცია;

წარმომადგენლები სამკურნალო საშუალების გავრცელების მიზნით, ყოველი ვიზიტისას ვალდებული არიან გასცენ დამსწრეებზე სამკურნალო საშუალებების გამოყენების ინსტრუქცია.

ფარმაცევტული დაწესებულების წარმომადგენელი უნდა იყოს სათანადოდ განსწავლული, უმაღლესი სამედიცინო ან ფარმაცევტული განათლების, ფლობდეს სამკურნალო საშუალებების შესახებ მეცნიერულ (ფარმაკოლოგიურ, ფარმაცევტულ) ინფორმაციას, ფარმაციის და რეკლამირების მარეგულირებელ საქართველოს კანონმდებლობას, რათა უზრუნველყოს სამკურნალო საშუალებების შესახებ ზესტი და შეძლებისდაგვარად სრული ინფორმაციის დადგენილი წესით გავრცელება.

სახელმძღვანელოში გამოყენებული ტერმინების განმარტვანი

ასეპტიკა – პირობები და ღონისძიებათა კომპლექსი მიმართული მიკრობული და სხვა სახის დაბინძურების წინააღმდეგ, ტექნოლოგიური პროცესის ყველა ეტაპზე სტერილური პროდუქციის მიღებისას.

ასეპტიკური ბლოკი – სპეციალურად გამოყოფილი აფთიაქის ტერიტორია, აღჭურვილი და გამოყენებული იმგვარად, რომ შეამციროს მასში მიკრობიოლოგიური, ასევე სხვა სახის დაბინძურების მოხვედრა, წარმოქმნა და შეკავება.

ასეპტიკური ბლოკის ტექნოლოგიური ტანსაცმლის კომპლექტი – განკუთვნილია მედიკამენტების, დამხმარე ნივთიერებებისა და მასალების, მზა პროდუქციისა და ჰაერის დასაცავად პერსონალის მიერ გამოყოფილი მიკროორგანიზმებითა და მექანიკური ნაწილაკებით მეორადი კონტამინაციისაგან.

აფთიაქი – სამედიცინო ფარმაცევტული დაწესებულება, რომელიც სახელმწიფო ნებართვით ახორციელებს სამკურნალო საშუალებების და სამედიცინო დანიშნულების საქონლის შესყიდვას, წამლის მომზადებას, კონტროლს, შენახვას, აღრიცხვას, ინფორმაციას და გაცემას.

აქტიური ფარმაცევტული ინგრედიენტი (ფარმაცევტული სუბსტანცია) – ნებისმიერი წარმოშობის, შესაბამისი ხარისხის და ფარმაკოლოგიური აქტივობის ნივთიერება, რომელიც გამოიყენება წამლის მომზადების და/ან წარმოებისათვის.

გადამუშავება – ტექნოლოგიური პროცესის გარკვეულ სტადიაზე არასათანადო ხარისხის სერიის იმგვარი გადამუშავება, რათა ერთი ან რამდენიმე დამატებითი პროცესით, მიღწეული იქნეს პროდუქციის სათანადო ხარისხი.

დამატებითი (დამხმარე) ზონები – შენობა (სათავსი), ტექნოლოგიური პროცესის ჩატარების მომსახურებისათვის, რომელიც არ შედის საწარმოო, სასაწყობო, ხარისხის კონტროლის ზონებში და გამოცალკევებულია მათგან (სახელოსნო, დასასვენებელი ოთახები, ტუალეტები, ცხოველთა ადგილსამყოფელი ოთახები).

დანადგარის კვალიფიკაცია – ტექნოლოგიური პროცესის წარმართვისთვის გამოყენებული დანადგარის (მანქანები, საზომი ხელსაწყოები, კომუნიკაცია, საწარმოო ზონა) გამოცდა, რომელიც ადასტურებს, რომ იგი შერჩეულია სათანადო წესით, დამოწავებულია სწორად და მუშაობს სპეციფიკაციის შესაბამისად

დაუფასოებელი პროდუქტი – ფარმაცევტული პროდუქტი, რომელსაც გავლილი აქვს წარმოების ტექნოლოგიური პროცესის ყველა სტადია, საბოლოო შეფუთვის გარდა.

დაუფასოებელი ფარმაცევტული პროდუქცია – ფარმაცევტული პროდუქტი, რომელსაც გავლილი აქვს საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესის ყველა სტადია, გარდა საბოლოო შეფუთვისა.

კონტროლი წარმოების პროცესში – ტექნოლოგიური პროცესის დროს განხორციელებული კონტროლი, რომელიც მიზნად ისახავს პროდუქციის სპეციფიკაციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით პროცესის კონტროლს და აუცილებლობისას მის რეგულირებას. გარემოსა და აღჭურვილობის კონტროლიც შეიძლება განიხილული იქნას, როგორც კონტროლი წარმოების პროცესში.

მეორეული შეფუთვა – შეფუთვის ფორმა, რომელშიც თავსდება სამკურნალო საშუალება პირველადი შეფუთვით.

მზა პროდუქტი – ფარმაცევტული პროდუქტი, რომელსაც გავლილი აქვს საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესის ყველა, მათ შორის შეფუთვა-მარკირების სტადია.

მიკროორგანიზმებით კონტამინაცია: პირველადი დაბინძურება – ჰაერის ნაკადით შემოტანილი; მეორადი დაბინძურება – განვითარებული ასეპტიკის მოთხოვნების დაუცველობის შედეგად.

მკაცრად შეზღუდული ნარკოტიკული საშუალება – საქართველოში სამედიცინო მიზნით გამოყენებისათვის აკრძალული, განსაკუთრებით საშიში ნარკოტიკული საშუალება, რომლის გამოყენებაც ნებადართულია მხოლოდ სასწავლო, სამეცნიერო - კვლევითი და საექსპერტო - დიაგნოსტიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით.

მომხმარებელი – პირი, რომელიც ექიმის დანიშნულების გარეშე მოიხმარს ნარკოტიკულ საშუალებას, მაგრამ მის მიმართ ჩამოყალიბებული არა აქვს ფსიქიკური ან/და ფიზიკური დამოკიდებულება.

მოწყობილობის (ალკორგილობის) ქვალიფიკაცია – დაგეგმარების აქტი, მოწყობილობის გამოცდის შესრულება და შედეგების დაოქმება, რითაც დასტურდება, რომ მოწყობილობა იმუშავებს დანიშნულების შესაბამისად.

მწარმოებელი – სათანადო ლიცენზიის მფლობელი იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს წარმოების თუნდაც ერთ სტადიას.

ნარკომანია – დაავადება, რომელიც ხასიათდება ნარკოტილული საშუალებების მიღებისადმი მზარდი, დაუძლეველი სურვილით მათ მიმართ ჩამოყალიბებული ფსიქიკური ან/და ფიზიკური დამოკიდებულების გამო.

ნარკომანით დაავადებული პირი – პირი, რომელსაც შესაბამისი ლიცენზიის მქონე სამედიცინო დაწესებულების მიერ დადგენილი აქვს დიაგნოზი „ნარკომანია“.

ნარკოტიკული საშუალების ანალოგი – ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის უცნობი ნივთიერება, რომელიც შეტანილი არ არის სიებში, მაგრამ თავისი ფსიქოაქტიური მოქმედებით ნარკოტიკული საშუალების მსგავსია.

ნარკოტიკული საშუალების და ფსიქოტროპული ნივთიერების მომზადება – სამკურნალო დანიშნულების ნარკოტიკული საშუალების და ფსიქოტროპული ნივთიერებისათვის წამლის ფორმის მიცემა შესაბამისი ლიცენზიის მქონე აფთიაქში, რეცეპტის საფუძველზე, სათანადო ტექნოლოგიით.

ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარება – ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე, რაც ისჯება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებით.

ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების გადაზიდვა-ნარკოტიკული საშუალების და ფსიქოტროპული ნივთიერების საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება ნებისმიერი საშუალებით, მათი განმკარგავი ან მფლობელი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ.

ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების გაცემა – უფლებამოსილი პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების და ფსიქოტროპული

ნივთიერების გაცემა იურიდიულ პირზე ან ფიზიკურ პირზე სათანადო დანიშნულებით, უფასოდ ან დადგენილი ფასით.

ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების და პრეკურსორის გადაგზავნა – სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება ნებისმიერი საშუალებით, ტვირთის გამგზავნის, მიმღებისა და ადრესატის დაუსწრებლად.

ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების და პრეკურსორის გამოყენება – სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გამოყენება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების და პრესკურსორის საქართველოში შემოტანა, საქართველოდან გატანა (შემოტანა, გატანა) – სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გადმოტანა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადატანა.

ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების რეალიზაცია – უფლებამოსილი იურიდიული პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების და ფსიქოტროპული ნივთიერების გასხვისება იურიდიულ პირზე.

ნებართვის გამცემი – ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც კანონით დადგენილი წესით გასცემს ნებართვას.

ნებართვის მაძიებელი – ნებართვის მიღების მსურველი პირი.

ნებართვის მფლობელი – პირი, რომელსაც ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე მინიჭებული აქვს უფლება, განახორციელოს ნებართვით განსაზღვრული ქმედება, ან სხვა ნებართვის მფლობელის მიერ გადაცემული აქვს სანებართვო ქმედების განხორციელების უფლება.

პირველადი შეფუთვა – შეფუთვის ფორმა, რომელიც უშუალოდ ეხება სამკურნალო საშუალებას.

პირი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი.

პერსონალი – აფთიაქის ან კონკრეტული (ცალკეული) ქვეგანყოფილების პროფესიული ან სამსახურებრივი ნიშნის მიხედვით შედგენილი პირადი შემადგენლობა.

პროდუქციის დაბრუნება – მწარმოებლისთვის მზა პროდუქტის უკან გაგზავნა.

რეგენერაცია (შერევა) – წარმოების განსაზღვრულ სტადიაზე, სათანადო ხარისხის პროდუქციის წინა სერიების ან მათი ნაწილის შერევა სხვა სერიაში.

სამედიცინო დანიშნულების საქონელი – სამედიცინო პრაქტიკაში დაავადების პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და ავადმყოფის მოვლის მიზნით გამოყენებული სამედიცინო საქონელი: ინსტრუმენტები, მოწყობილობები, დანადგარები, სამედიცინო ტექნიკა, შესახვევი მასალა, საპროტეზო-ორთოპედიული ნაწარმი და სხვა.

სამკურნალო საშუალებების ხარისხის კონტროლი – სამკურნალო საშუალებების ხარისხის უზრუნველყოფის საკანონმდებლო მოთხოვნათა შესრულებისათვის ორგანიზაციული და სამართებლივი ღონისძიებების ერთობლიობა.

სამკურნალო საშუალების ნედლეული – ნებისმიერი წარმოშობის ნედლეული, რომელიც უშუალოდ ან გადამუშავების შემდეგ გამოიყენება წამლის მოსამზადებლად.

სამკურნალო საშუალების უკანონო ასლი – სამკურნალო საშუალება, რომლის შეფუთვა და ეტიკეტი წარმოადგენს სხვა მწარმოებლის იმიტაციას.

სამკურნალო საშუალების ხარისხის სერტიფიკატი – სამკურნალო საშუალების ფარმაკოპეის სტანდარტისადმი შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სამუშაოს კვალიფიკაცია – დოკუმენტური დადასტურება, რომ სისტემა ან ქვესისტემა მუშაობს სამუშაო რეჟიმის დიაპაზონის მოსალოდნელ ზღვრებში.

სანებართვო მოწმობა – ნებართვის ფლობის დამადასტურებელი საბუთი.

სანებართვო რეესტრი (სახელმწიფო, უწყებრივი) – მონაცემთა სისტემური ერთობლიობა ნებართვების გაცემის, მათში ცვლილებების შეტანის და მათი გაუქმების თაობაზე.

სანიტარული რეჟიმი – სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდემიასაწინააღმდეგო ღონისძიებების კომპლექსი (დღის განრიგი, მოქმედება, პირობები, ინსტრუქტაჟი და ა.შ.) მიმართული ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო პირობების უზრუნველსაყოფად.

სანიტარული ტანსაცმელი – სამედიცინო ხალათი, ქუდი და სხვა დამცავი ტანსაცმელი, რომელიც განკუთვნილია მედიკამენტების, მასალების და მზა პროდუქციის დაბინძურებისაგან დასაცავად.

სარეაბილიტაციო ღონისძიებები – ნარკომანით დაავადებულ პირთა გამოჯანმრთელებისაკენ და საზოგადოებრივ-შრომითი ინტეგრაციისაკენ მიმართული სამედიცინო და სოციალური ღონისძიებების სისტემა.

სარეგისტრაციო მოწმობა – სამკურნალო საშუალებების სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი.

სასაწყობო ზონა – შენობა (სათავსი), სადაც ხდება საწყისი ნედლეულის, დამხმარე ნივთიერებების, მასალის, დაუფასოებელი და მზა ფარმაცევტული პროდუქტის განთავსება, ხარისხის კონტროლისთვის სინჯის აღება, შენახვა, გაშვება.

საქართველოს სამკურნალო საშუალებების სახელმწიფო რეგისტრი – ცნობარი, რომელიც მოიცავს საქართველოში წარმოებისათვის და სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენებისათვის ნებადართული სამკურნალო საშუალებების ნუსხას.

საქართველოს სახელმწიფო ფარმაკოპეა – საქართველოში წარმოებული სამკურნალო საშუალებების სტანდარტებისა და დებულებების კრებული.

საწარმოო ზონა – შენობა (სათავსი), სადაც ხდება წარმოება, კონტროლი, შეფუთვა და მარკირება.

საწარმოო რეცეპტურა (ტექნოლოგიური რეგლამენტი, ტექნოლოგიური ინტრუქცია) - ძირითადი დოკუმენტი, რომელშიც რეგლამენტირებულია კონკრეტული

ფარმაცევტული პროდუქტის წარმოებისას საწყისი ნედლეული და მასალები, მათი ხარისხი და ხარჯვის ნორმები, ტექნიკური საშუალებები და ტექნოლოგიური ნორმები, მუშაობის უსაფრთხოების, შრომის დაცვის, გარემოს დაცვის და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

საწყისი ნედლეული— ნებისმიერი წარმოშობის ნივთიერება, რომელიც უშუალოდ ან გადამუშავების შემდეგ გამოიყენება ფარმაცევტული პრეპარატის მოსამზადებლად (გარდა შესაფუთი მასალებისა).

საპაერო რაბი — მექანიკური ნაწილაკებისა და მიკროორგანიზმების შეღწევადობის ხელშემშლელი სპეციალური მოწყობილობა ან ჩაკეტილი სივრცე სხვადასხვა სისუფთავის მქონე სათავსებს შორის.

სერია — საწყისი ნედლეულის, შესაფუთი მასალის ან პროდუქციის განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც ექვემდებარება დამუშავებას ერთ ან რამდენიმე შემდგომ ტექნოლოგიურ პროცესში იმგვარად, რომ მიღწეულ იქნეს მისი ერთგვაროვნება.

სერიის ნომერი — სერიის იდენტიფიცირებისთვის გამოყენებული ციფრების და/ან ასოების სპეციფიური კომბინაცია.

სერიის ოქმი — დაუფასოებელი ან მზა პროდუქტის სერიის წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, სადაც აღწერილია ყოველი სერიის ისტორია და შესაბამისი მზა პროდუქტის ხარისხთან დაკავშირებული ყველა გარემოება.

სომატონარკომანი — ტკივილის სინდრომით მიმდინარე რომელიმე სომატური ავადმყოფობით დაავადებული პირი, რომელსაც კანონიერად დაენიშნა ნარკოტიკული საშუალება და მის მიმართ ჩამოყალიბებული აქვს ფსიქიკური ან/და ფიზიკური დამოკიდებულება.

სპეციფიკაცია — წარმოებაში გამოყენებული ან წარმოების შედეგად მიღებული ნედლეულის ან პროდუქციის და მასალისადმი წაყენებული მოთხოვნების დეტალურად ამსახველი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ხარისხის შეფასების საფუძველს.

სტერლიზაციისწინა დამუშავება — ცილოვანი, ცხიმოვანი, მექანიკური, სამკურნალო საშუალებების ნარჩენი რაოდენობების მოცილება.

სუფთა ზონა — ზონა, რომელშიც კონტროლდება გარემო ნაწილაკებით და მიკროორგანიზმებით კონტამინაციაზე; სუფთა ზონა უნდა იყოს იმგვარად დაგეგმარებული, აშენებული და გამოყენებული, რომ მაქსიმალურად შემცირდეს ზონის შიგნით კონტამინანტების შეღწევა, წარმოქმნა და შენარჩუნება.

სხვა ადმინისტრაციული ორგანო — ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ვალდებულია დაადგინოს კანონმდებლობით განსაზღვრული დამატებითი სალიცენზიო და სანებართვო პირობების დამაკმაყოფილებელი ფაქტობრივი გარემოებები. დადგენის პროცედურაზე ვრცელდება ამ კანონით ლიცენზიისა და ნებართვის გაცემისათვის დადგენილი წესები და პრინციპები.

უფლებამოსილი პირი — წარმოებიდან მზა პროდუქციის სერიის რეალიზაციის უფლების მინიჭებაზე, უმაღლესი ფარმაცევტული განათლებისა და სათანადო გამოცდილების მქონე, პასუხიმგებელი პირი.

ფარმაკოპეა – სამკურნალო საშუალების ხარისხის განმსაზღვრელი სტანდარტებისა და დებულებების კრებული.

ფარმაკოპეის სტატია, მონოგრაფია, დროებითი ფარმაკოპეის სტატია, ტექნიკური პირობა – სამკურნალო საშუალების ხარისხის მახასიათებლების და მათი განმსაზღვრელი ანალიზის მეთოდების ამსახველი იურიდიული დოკუმენტი.

ფარმაცევტული დაწესებულება – ფარმაცევტული საქმიანობის განხორციელების მიზნით შექმნილი, დადგენილი წესით ლიცენზირებული იურიდიული პირი.

შეზღუდული ნარკოტიკული საშუალება – საქართველოში სამედიცინო მიზნით გამოყენებისათვის ნებადართული ნარკოტიკული საშუალება.

შეფუთვა – დაუფასოებელი ფარმაცევტული პროდუქტის მზა ფარმაცევტულ პროდუქტამდე მიყვანისათვის ყველა დარჩენილი პროცედურა (პირველად შეფუთვაში მოთავსება და მარკირება); გამონაკლისია სტერილური პროდუქტები, რომელთა შემთხვევაშიც პირველად შეფუთვაში დაფასოება არ განიხილება შეფუთვად

შუალედური პროდუქტი – ნაწილობრივ გადამუშავებული ნედლეული, რომელმაც დაუფასოებელ პროდუქტად გარდაქმნამდე უნდა გაიაროს ტექნოლოგიური პროცესის შემდგომი სტადიები.

წამლის მომზადება – აფთიაქში მაგისტრალური ან ოფიცინალური რეცეპტის საფუძველზე სამკურნალო საშუალებისათვის წამლის ფორმის მიცემა.

წარმოება – საწარმოში სათანადო სტანდარტის მოთხოვნათა სრული დაცვით წამლის სერიულად გამოშვება, ანუ ყველა პროცედურა დაწყებული ნედლეულის შესყიდვიდან, მზა ფარმაცევტული პროდუქტის მიღებით და დადგენილი წესით მასზე სარეალიზაციო დასტურით.

წარმოებაში ხარისხის კონტროლი – შესაბამისი მეთოდით მოცემული პროდუქტის, პროცესის ან მომსახურების ერთი ან რამდენიმე მახასიათებლის დადგენის ტექნიკური პროცედურა.

წარმოების პროცესი ანუ ტექნოლოგიური პროცესი – წამლის წარმოებასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია დაწყებული ნედლეულის მიღება – დამუშავება - შეფუთვიდან, დამთავრებული პროდუქტის მიღება – დაფასოება – შეფუთვა - მარკირებით.

ხარისხის კონტროლის ზონა – შენობა (სათავსი), სადაც ხდება ნედლეულის, მასალის, შუალედური პროდუქტის და მზა ფარმაცევტული პროდუქტის ხარისხის კონტროლი (ფიზიკო-ქიმიურ და მიკრობიოლოგიურ მაჩვენებლებზე, ბიოლოგიურ კვლევებზე).

ჯვარედინი კონტამინაცია – ტექნოლოგიურ პროცესში საწყისი ნედლეულის, შუალედური ან მზა პროდუქტის სხვა საწყისი ნედლეულით, შუალედური ან მზა პროდუქტით დაბინძურება

ბამოყვნებული ლიტერატურა

- საქართველოს კონსტიტუცია 1995 წ.
- საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ 2005 წ.
- საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ 1997 წ.
- საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ 1997 წ.
- საქართველოს კანონი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ 2002 წ.
- „ფარმაკოლოგიურ საშუალებათა კლინიკური კვლევის, ფარმაცევტული წარმოების, სააფთიაქო დაწესებულებებითა (I ჯგუფის აფთიაქის, II ჯგუფის აფთიაქისა და სააფთიაქო პუნქტის) მოწყობის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებათა იმპორტისა ან ექსპორტის ნებართვების გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 14 ოქტომბრის №176 დადგენილება.
- „აფთიაქების მოწყობისა და ექსპლუატაციის სანიტარული წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 12 ნოემბრის №282/6 ბრძანება.
- „ფარმაცევტულ, სამედიცინო, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით, საექსპერტო დიაგნოსტიკურ დაწესებულებაში და საკონტროლო-ანალიზურ ლაბორატორიაში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების ლეგალური ბრუნვის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 21 ივლისის №150/6 ბრძანება.
- „სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების, ამ ნივთიერებათა წამლის ფორმების, მათი შემცველი კომბინირებული კომბინირებული პრეპარატების გამოსაწერი რეცეპტის ბლანკის ფორმების დამტკიცების, მათი ფანიშვნისა და გამოწერის დროებითი წესების შესახებ“ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1999 წლის 29 ნოემბრის №465/ო ბრძანება.
- „სამკურნალო საშუალებების რეკლამის ეთიკური კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 17 სექტემბრის ბრძანება.
- Van Mil JW, Schulz M, Tromp TF. Pharmaceutical care, European developments in concepts, implementation, teaching, and research: a review. Pharm World Sci. 2004 Dec; 26(6):303–11.
- The role of the pharmacist in the health care system. Preparing the future pharmacist: Curricular development. Report of a third WHO Consultative Group on the role of the pharmacist, Vancouver, Canada, 27–29 August 1997. Geneva: World Health Organization; 1997. WHO/PHARM/97/599. Available at: <http://www.who.int/medicinedocs/>.
- WHO policy perspectives on medicines. Globalization, TRIPS and access to pharmaceuticals. Geneva: World Health Organization; 2001. Available at: <http://www.who.int/medicines>.
- Rational use of drugs: Report of the Conference of Experts, Nairobi, 1985. Quoted in: WHO policy perspectives on medicines. Promoting rational use of medicines: core components. Geneva: World Health Organization; 2002. Available at: <http://www.who.int/medicines>.
- Pharmacy in the future – implementing the NHS Plan. A programme for pharmacy in the National Health Service. London: Department of Health; 2000.

- WHO policy perspectives on medicines. Pharmacovigilance: ensuring the safe use of medicines. Geneva: World Health Organization; 2004. Available at: <http://www.who.int/medicines>.
- Pharmacy Practice Activity Classification (PPAC), American Pharmacy Association Academy of Pharmaceutical Research and Science, web site: <http://www.aphanet.org/default.htm>.
- How to develop and implement a national drug policy. 2nd ed. Geneva: World Health Organization; 2001. Available at: <http://www.who.int/medicines>.
- The role of the pharmacist in the health care system. Preparing the future pharmacist: curricular development. Report of the third WHO Consultative Group on the Role of the Pharmacist, Vancouver, Canada, 27–29 August 1997. Geneva: World Health Organization; 1997. Document no. WHO/PHARM/97/599. Available at: <http://www.who.int/medicines>.
- The role of the pharmacist in the health care system. Report of a WHO Consultative Group, New Delhi, India, 13–16 December 1988. Report of a WHO Meeting, Tokyo, Japan, 31 August–3 September 1993. Geneva: World Health Organization, 1994. Document no. WHO/PHARM/94.569. Available at: <http://www.who.int/medicines>.
- The role of the pharmacist in the health care system. Preparing the future pharmacist: curricular development. Report of the third WHO Consultative Group on the Role of the Pharmacist, Vancouver, Canada, 27–29 August 1997. Geneva: World Health Organization; 1997. Document no. WHO/PHARM/97/599. Available at: <http://www.who.int/medicines>.
- The role of the pharmacist in the health care system. Preparing the future pharmacist: curricular development. Report of the third WHO Consultative Group on the Role of the Pharmacist, Vancouver, Canada, 27–29 August 1997. Geneva: World Health Organization; 1997. Document no. WHO/PHARM/97/599. Available at: <http://www.who.int/medicines>.
- The role of the pharmacist in self-care and self-medication. Report of the fourth WHO Consultative Group on the Role of the Pharmacist. Geneva: World Health Organization; 1998. Document no. WHO/DAP/98.13. Available at: <http://www.who.int/medicines>.
- Good pharmacy practice in community and hospital pharmacy settings. Geneva: World Health Organization; 1996. Document no. WHO/PHARM/DAP/96.1. Good pharmacy practice in the newly independent states: manual on development and implementation of standards. World Health Organization Regional Office for Europe; 2002. Document no. EUR/02/5042302. No.36.
- Good pharmacy practice in developing countries: recommendation for step-wise implementation. The Hague, The Netherlands: International Pharmaceutical Federation; 1998b. Available at: <http://www.fip.org>.
- <http://www.who.int/patientsafety/worldalliance/en>.
- Recommendation Rec(2006)7 of the Committee of Ministers to member states on management of patient safety and prevention of adverse events in health care, adopted by the Committee of Ministers on 24 May 2006 at the 965th meeting of the Ministers' Deputies, Council of Europe.
- WHO Quality of care: patient safety Report EB113/37 by the Secretariat to the Executive Board, 4 December 2003, 6p. http://policy.who.int/cgi-bin/om_isapi.dll?hitsperheading=on&infobase=ebdocen&record={809}.
- Preventing Medication Errors: Quality Chasm Series, Committee on Identifying and Preventing Medication Errors, Philip Aspden, Julie Wolcott, J. Lyle Bootman, Linda R. Cronenwett, Editors, National Academy of Sciences, Washington DC, 2007.
- Medical errors, Eurobarometer, January 2006, http://ec.europa.eu/health/ph_information.
- Linda T. Kohn, Janet M. Corrigan, and Molla S. Donaldson, Editors; To err is Human; Committee on Quality of Health Care in America, Institute of Medicine, Nov. 1999.
- 2003 FIP statement policy on counterfeit medicines.

- P. Knudsen, H. Herborg, M. Knudsen, AR. Mortensen, A. Hellebek, Preventing medication errors in the pharmacy - root cause analysis of transcription errors, Pharmakon, Danish College of Pharmacy Practice, 2005.
- Economic burden of avoidable adverse drug reactions and non-compliance in the UK, Journal of Medical Economics, 2006; 9:27-44.
- www.who.int/entity/medicines/areas/quality_safety/quality_assurance/gmp/en.
- GMP - Good Manufacturing Practice
ec.europa.eu/enterprise/pharmaceuticals/pharmacos/gmp_doc.htm
- GMP Quality - Good Manufacturing Practice. gmp-quality.com.
- Guidelines for Developing Good Manufacturing Practices (GMPs)
www.haccpalliance.org/alliance/Nmagmp2.pdf.

იბეჭდება ავტორთა მიერ ფარმოლგენილი სახით

გადაეცა წარმოებას 01.05.2009. ხელმოწერილია დასაბეჭდად
18.05.2009. ქაღალდის ზომა 60X84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 11.
ტირაჟი 100 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი,
კოსტავას 77



ი.მ. „გოჩა დალაქიშვილი“,
ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, კორპ. 333, ბინა 38